



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

აკაკი წერეთელი

თხზულებათა სრული კრებული
ოც ტომად

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2014

აკაკი წერეთელი

ტომი IV

პოემები

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2014

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

ირმა რატიანი

მთავარი რედაქტორი

ზაზა აბზიანიძე

მაკა ელბაქიძე

ნანა ფრუიძე

როსტომ ჩხეიძე

ზურაბ ჭუმბურიძე

თამაზ ჯოლოგუა

ჯულიეტა გაბოძე

პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი

თამაზ ჯოლოგუა

ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები,
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო
ჯულიეტა გაბოძემ

ტომი გამოსაცემად მომზადდა რუსთაველის
ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)

ISBN 978-9941-0-6172-1 (მეოთხე ტომის)

უაკ(UDC) 821.353.1-11

წ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოემები

მეუდაბნოე

უდაბნოს, უცხოს, მიყრუებულსა,
სად სხივი მზისა ვერ მისწვდებოდა,
ბნელსა მღვიმესა, მოხუცებულსა
ბინა დაედვა, იქ იზრდებოდა.

დიდი ხანია, რაც ეს სოფელი
მან დაუტევა თვისის სურვილით,
ალუპყრა ზეცას ვედრების ხელი
და გარდასახლდა იმ ქვეყნად სულით!

თუთხმეტი წელი ყოველ დღე, ღამე,
მუხლმოყრით ღმერთსა ევედრებოდა,
ამაო იყო მისთვის სიამე,
და სხვა მას არრა აგონდებოდა.

როდესაც ძილსა მიეცემოდა
ლოცვით მაშვრალი მცირესა ჟამსა,
მხეცთ რალაც ზარი დაეცემოდა
და ჩაიწყვეტდენ მყვირალნი ხმასა.

მიეცემოდა მყუდროებასა
წმინდა მოხუცი მუდამ ამ გვარად
და ზეციერსა ნეტარებასა
ცხადად უჭვრეტდა წინასწარ მარად.

დაღამდა. სხივნი მთვარისა სუსტად
ძლივს განივლიდენ შუა ტყეს ხშირსა
და ანათებდენ რალაცა ბინდად,
დასცვინდებოდნენ რა მღვიმის პირსა.

ამ დროს მოხუცმა დაასრულა რა
თავისი ლოცვა გულმხურვალეებით,
გარეთ გამოხდა, თავი ახარა
და ვარსკვლავს სჭვრეტდა ბნელის თვალეებით.

სიამოვნებით მოკასკასესა
იგი უჭვრეტდა ვარსკვლავთ კრებასა
და წმინდა მამა ბნელსა ღამესა,
მათში ჰხედავდა ღვთის დიდებასა.

ქარი, ტყე, კლდენი, მთაც მდუმარებდენ,
მდუმარებდენცა მხეცნი მთისანი,
ისმენდენ, თუ ვით გადმოდიოდენ
წმინდა მოხუცზედ მაღლნი ღვთისანი.

დიდ ხანს უჭვრეტდა მოხუცი მამა,
ენატრებოდა თვისი სიკუდილი,
უცებ უკნიდამ ხმა შემოესმა
და დაინახა შორით აჩრდილი.

თრთოლვით თან და თან მიუახლოვდა,
და რა მთვარემან სხივი მიჰფინა,
ასხმული მძვლები უსხეულოდა
განდგომილის წინ გამოაჩინა.

მეუდაბნოე მცირედ შენუხდა,
დაიარაღდა მან ჯვარის სახით,
ღვთისა სახელით მერმე მიბრუნდა
და ეს შეჰყვირა მას მამაცის ხმით:

„მფარველად მივის ღმერთი ჯვარსცმული
მის ძალით გკითხავ: მითხარ, რას შვრები?
ჯოჯობით ხარ ბოროტი სული,
ჩემ შესაცდენად? ტყვილათ დაშვრები!

რისთვის მოსულხარ ჩემსა მღვიმესა?
ან რად მიშფოთებ აქ მყუდროებას?
განვედი ჩემგან ამავე ღამესა,
ჯვარცმულის სახით არ გაძლეე ნებას!

„წმინდა მამაო ნუ აღშფოთდები!
ცრემლით მიუგო ახლოს აჩრდილმა, –
ვისაც შენ ესავე მას ვევედრები
და ღღეს მოგმართე შემცოდე შვილმა.

მეცა შენსავით მოვშორდი სოფელს,
მაგრამ ლტოლვის გზა სხვა და სხვა არის
შენ ნაცვლად ელი იქ სასუფეველს
და ჩემი გული მას ვერ შეხარის!

სასტიკ-უნყალომ, ოჰ! სიყვარულმა
მოხუც-მყო, მაჭკნო მე ასე უხნოდ
და სიყვარულით დამწვარმა გულმა
სოფელს მოშორდა... განდგა უდაბნოდ.

ორი წელია, ტანჯვას ვითმენდი,
იქა ვსცხოვრობდი ჰე! იმ მღვიმეში!
ფარვით შენს ლოცვას ტყვილათ ვისმენდი,
ვერა რა ვპოვე მათშიდც ნუგეში!

სიყვარულისა დიდია ძალი!
ის სძლევს ყოველთა თურმე მამაო,
არ გაენყოზა მას სხუა ნამალი
და ყოველი ცდა არის ამაო!

მხედავ წმინდაო დამწვარ, დამჭკნარსა
სიჭაბუკის დროს, ყვავილოვანს ჟამს,
ვით დავემსგავსე ცოცხალი მკვდარსა?
ვით არ შევბრალდე ვისაც ღმერთი სწამს?

„მომიახლოვდა სიკვდილი ცოდვილს,
დრო არს მამაო, ან მაზიარე!
სული მიხსენე მე შემცოდე შვილს
და შენს მღვიმეში მკვდარი დამფარე!

„მე ობლად განვლე ესე სოფელი,
არავინ მრჩება აქ ნათესავი,
მოხსენებასაც არვისგან ველი
და ჩემთვის ყველა შენვე იყავი!

„ეს მეთექვსმეტე წელიცა მიდის,
რაც მამა ჩემი სოფელს განშორდა,
მის შემდეგ მისი არავინ იცის
მოკვდა, სად არის, რა დაემართა?

მისის ჯავრითა დედაცა მოკვდა,
„შემდეგ სიკვდილი ეწვია ჩემს დას,
მისი ჩანგები ჩემს ძმასაც მოხვდა
და ეხლა მეცა ვნახავ მათ ზეცას.“

თანაგრძნობითა დიდხანს ისმენდა,
მოისმინა რა, უცებ შეძრწუნდა;
რალაც ტანჯვასა წმინდა ითმენდა,
ბოლოს იყვირა ველარ დაჩუმდა:

„შენ ხარ ძე ჩემი! მე ვარ ის მამა!
მე დაუტევე მანგრე სოფელი!
სჩანს შეგვახვედრა ერთად ზეცამა,
მო, შვილო ჩემო! მომხვიე ხელი!“

ასე შეჰყვირა მას განდგომილმა
და მსწრაფლ წიაღსა თვისსა მიიპყრა;
მამაცა თვისი იცნო რა შვილმა,
ხელში შეაკვდა, ამ სოფლად განქრა.

დიდხანს მოხუცმა ცრემლი აყარა,
გაუახლდა რა მშობლისა გრძნობა,
ბოლოს ცისადმი თავი ახარა
და ღმერთს შესწირა ცრემლით მადლობა.

„დედაო ღვთისა, აჰა! იხილე
სიყუარულისა უწყალო მსხვერპლი
და სატანჯველსა შენ განაცილე
ძისა შენისა მადიდებელი!

და ჩემთვისაცა ან კმარა ესე,
გარდმომივლინე მეცა სიკუდილი,
ძისა მახლობლად ბინა მიწესე
და მიიბარე ცოდვილი სული!“

ოდეს წარმოსთქუა ეს ტკბილის გრძნობით,
დააკუდა შვილის ცივსა სხეულსა
და ნათლის სვეტნი ღვთისა განგებით
გადმოეფინენ ცით კურთხეულსა.

1859 წელს
5-სა გიორგობის თვეს
ს. პეტერბურგით

აღმოსა

(ზღაპარი ყმანვილებისათვის)

თავი I

შვილო ალექსი!
მსურს გითხრა ლექსი,
საკუთრათ შენთვის მოვმართო ქნარი,
დამიგდე ყური!..
ვით ლუკმა პური,
ისე შეგერგოს შენ ეს ზღაპარი!
აბა დავიწყო:
იყო და იყო,
ღვთის უკეთესი არა იყო რა;
აქედამ წალმა,
ცხრა მთას გადაღმა,
იდგა პატარა, ლამაზი გორა,
რომელიც მუდამ
თვის სიმაღლიდამ
რალაც მოლხენით დამზერდა ქალას,
მის წინ გაშლილსა,
სამოთხეთ ქმნილსა,
და მასში სჭვრეტდა ბუნების ძალას.
ეს აგარაკი,
გაშენდა რაკი,
აღყვავდა ტურფათ, სხვადასხვა ფერათ;
გაჩნდენ ჩიტები,
გაშალეს ფრთები,
დაიწყეს მღერა გულის მადგერათ:
თქვეს: „ვნახეთ ზღუდე,
ვაკეთოთ ბუდე,
ეს ხეები სულ ჩვენ-ჩვენთვის გავჰყოთ;
ვიხაროთ გული,
ზამთარ-ზაფხული

უზრუნველათა გვიჯობს აქ დავჰყოთ.“
 თქვეს, გაიხარეს,
 წილიც არ ჰყარეს,
 დაეპატრონენ ისე თითო ხეს.
 შრომა დაიწყეს,
 ზარმაცი ჰკიცხეს,
 ყველა უვლიდა თავ-თავის კუთხეს.
 მშვიდობიანს გვრიტს,
 იმ უწყინარ ჩიტს,
 ერგო მაღალი ხე ნაკერჩხალი;
 ვერ ნახა წუნი,
 იწყო ღულუნი,
 თქვა: „ხეც პურში დგას, ახლოც მაქვს წყალი;
 რომ დავიბუდებ,
 კვერცხებსაც დავდე
 და იქიდანა ორ ხუნდს გამოვჩეკ;
 მათ გასაზრდელათ
 მე ახლოს, ხელათ
 წყალსაც ვიშოვნი და პურსაც ავკენკ“.
 დასკვნა ეს რჩევა
 და ღმერთს კურთხევა
 შეძღვნა და ძღვენიც არ იყო ის ცრუ:
 დილა-საღამოს,
 ტკბილ და საამოს,
 ლოცულობს გვრიტი, იძახის: „ღრუ! ღრუ!“
 ყვანჩალა ყვავმა,
 ავმა და შავმა,
 ჯერ გაიცინა, მოჰყვა: „ხე! ხე! ხე!
 ჩემ სამოსახლოს
 ვხედავ მე ახლოს,
 ძალიან მომწონს დიდი ნიგვზის ხე;
 ბუდეს ვიკეთებ,
 ჩიტებს ვაფეთებ,
 კვერცხებს დავდე და ბარტყებს გამოვტეხ.
 შორს აღარ ვეძებ
 საკენკარს: უცებ
 აქვე ვიშოვი, კაკალს რომ გავტეხ“.
 ეს განიზრახა,

გაალო ხახა
 და შემოსძახა მაღლა ხმით: „ყვა! ყვა!“
 თვით მოენონა,
 ასე ეგონა,
 თუ მაგალობელი ტოლი აღარ ჰყვა!..
 პატარა მწყერმა,
 იმ პურის მტერმა,
 ხე რომ იხილა, „რათ მინდაო“ – თქვა
 და პურში შეძვრა,
 მინას დაეკრა
 და იქ დაიწყო მან ჩუმათ გოგვა.
 თქვა: „რას დავეძებ!
 კვერცხებს ბევრს დავდე
 და წინილებსაც ბლომათ გამოვჩეკ.
 ოხრათ მაქვს პური,
 ბედს რათ ვემდური?“
 გაგოგდა, იწყო პურში: „ბეკ! ბეკ! ბეკ!“
 მგოგავმა შაშვმა,
 არ ავმა, შავმა,
 რომ დაინახა დიდ ეკლის ბურდი,
 მას მიაშურა,
 სხვას არ უყურა,
 ისე შეძვრა შიგ, როგორც რომ ქურდი.
 თავისთვის ჩქარა
 დაესახლ-კარა
 და ოჯახობას მიჰყო მან ხელი.
 ჭიაც იქ ჰქონდა,
 საზრდოც მიჰქონდა,
 საამოთ სტვენდა,
 ყველას აღხენდა,
 სალამურივით რა გაჰკიოდა,
 იმ არე-მარეს,
 ტკბილათ მდუმარეს, –
 სხვა ზრუნვით თავი მას არ სტკიოდა.
 შავი მერცხალი,
 როგორც რომ მთვრალი,
 დაბარბაცობდა, ჰფრენდა ტრიალით,
 უჭრიდა რა გზებს

მომფრინავ ბუზებს
 საზრდოთ უჭვრეტდა მათ მტრული თვალით,
 რა გაძლებოდა,
 შტოზე ჯდებოდა,
 ინყებდა ხოლმე ჭიკჭიკს საამოს;
 მერე, ვით ქალი,
 წყნარ პატარძალი,
 შინ მიჰფრინავდა ყოველ სალამოს.
 მაგრამ გუგულმა,
 ცრუმ და ცივგულმა,
 ასე თქვა: „ბუდის არა მაქვს ჯავრიო,
 სჯობს სხვის ზღუდეში,
 მე მზა ბუდეში,
 სხვის კვერცხებშია ჩემიც გავრიო!
 მას ეგონება –
 არ აქვს გონება –
 მისი და ზედაც კრუხათ დაჯდება.
 და როს გამოტეხს,
 თავებს დაუტეხს
 ჩემი ბარტყი სხვებს – თვით გაიზრდება.
 სხვებს ვიმსახურებ,
 სეირს ვუყურებ,
 მე ხის წვერზედა შევჯდები დილით
 და მე იქიდან
 ბრანებს დავატან
 გამვლელ-გამომვლელს „გუ-გუს“ ძახილით“
 მაშინ ბულბულმა,
 ტკბილ გრძნობით სრულმა,
 მიმართა ვარდნარს სიამოვნებით;
 და რომ დაჰხედა
 ვარდის ბუჩქზედა,
 ბუდე გამართა თავმონონებით.
 კოკობი ვარდი,
 იმისი დარდი,
 თვალთ წინ საამოთ ეფურჩქნებოდა;
 და მით ბულბული,
 აღელვებული,
 მეტი ემხითა თითქოს დნებოდა.

ვარდი კოკობი,
 ბალჩისა მკობი,
 ბულბულის გულსა ცეცხლს უკიდებდა;
 და არე-მარე,
 მუდამ მდუმარე,
 ვარდის მღერალსა ყურსა უგდებდა.
 ბულბული ამკობს,
 ვარდიც ამყოფს,
 შურით კი ჭკნება საბრალო ია;
 და იადონი,
 თავის მომწონი,
 რას დასდევს იას, სტვენს: „ტია! ტია!“
 ასე, ამ გვარად,
 მარად და მარად
 სტვენენ სხვადასხვა გვარის ჩიტები;
 დღიური საზრდო
 ყველას წინ ედო
 და შესაქცევით მარგალიტები.
 ეს ტურფა მხარე,
 ტკბილათ მდუმარე,
 ეკუთვნოდა ერთ მშვიდობიან ცხვარს;
 და კმაყოფილი,
 ის მადლის შვილი,
 მადლობას ძღვნიდა თავის მაცხოვარს.

თავი II

ეს ცრუ სოფელი,
 მწარსამყოფელი,
 ვერ ვის დაინდობს, არვის გაიტანს!..
 უდროვოთ აღხენს,
 უდროვოთ აწყენს
 კაცს აბურთავეებს, სად არ გაიტანს?!
 ვინ არა ძრახავს?
 არ ვინ მინახავს,
 რომ ამ სოფელზე მადლობა ეთქვას!
 და ეს კი მიკვირს:
 სიცოცხლე თუ სჭირს,

რად ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას?..
 მაგრამ იმედი,
 უბედოს ბედი,
 გვამხნევენს ჭირში, მით გვაძლევინებს;
 და მნარ შავ დღეებს
 მთლად დაგვაგინებს
 ტანჯვით დამაშურალს, წამს თუ გვაცინებს.
 ჰოი, სად ხარ დრო,
 ტკბილო, ნეტარო!
 კაცობრიობის მალამო, გელით
 და სასოებით
 რა გელოდებით,
 ეკლიან გზას ვნმენდთ შიშველი ხელით.
 და მოველით დროს,
 ტკბილ სანეტაროს,
 როს იგრძნობს ერი ბედნიერებას!..
 ანმყო ცხოვრება
 მითი გვიტკბება
 და თანაუგრძნობთ იმ ნეტარებას!
 ეს აღსარება
 ვის ეყურება!..
 ბევრს უკვირს ჩვენი სხვა გვარი ქცევა;
 გიჟებათ გვხდიან,
 და დაგვცინიან...
 ხან გვესმის მათგან რისხვა და წყევა!..
 მაგრამ ჩვენ იმ დროს,
 რომ დაგვიფაროს,
 ქრისტეს სიტყვები გვაგონდებიან:
 „შენ ზეციერო,
 მამავ ძლიერო!
 არ იციან, თუ რასა შერებინა!“
 ოდეს მუშაკი,
 ოფლსა ჰღვრის რაკი,
 შემოდგომისას თესავს ხორბალსა,
 შიმშილს არ ნალვლობს,
 მაცხოვარს მადლობს,
 მომავალ ზაფხულს უხატავს თვალსა
 და წინეთ უმზერს,

გული მით უძგერს,
 რომ მისი შრომა კარგ ნაყოფს აძლევს,
 რომლითც მრავალი
 მშვიერ საწყალი,
 საზრდოს ჰპოვებს და დღეებს ტკბილათ ჰლევს.
 მაშინ მდიდარი,
 მარად მაძლარი,
 ამ ნეტარებას, ვით გიჟურს, ძრახავს!..
 მუქთად მყლაპავი,
 საზიზღი სვაგი,
 საბრალო მუშაკს ძმათაც არ სახავს.
 და ამაყ-გული,
 მძორ-დიდებული
 სულელს ახარებს, თავს უქცევს რა თვალს.
 მაგრამ ჭკვიანი,
 მართლგრძნობიანი,
 უმაღლ თაყვანს სცემს მუშაკსა საწყალს;
 და მით იმის გულს,
 გრძნობით აღვსებულს,
 ახალ შრომისთვის მარჯვედ ამხნევენს
 და ასის დევნას
 უსუსტარ წყენას
 ერთის თანმგრძნობით მალე ავიწყებს...
 ჩვენც ხომ ისე ვართ,
 დევნა გვჩანს არად
 ათასის, თუ რომ ერთი თანგვიგრძნობს.
 მაგრამ ჯერ ჩვენში
 სად არს ნუგეში?
 ჩვენგანი თანმგრძნობს ჯერ ვერვის იცნობს!..
 და წყლული გული,
 აღელვებული,
 ძგერს უიმედოთ, ნალვლით აღვსილი.
 მით ამ ცრუ დრომა
 დაგვიჭკნო შრომა,
 ჭლექში ვარდება ჩვენი სურვილი...
 გამრავლდით, მშრომნო,
 სულით ამაყნო!
 თქვენი საფლავი დროსა მომავალს

საძირკვლავთ ჰქონდეს,
რომ აგონებდეს
თქვენი ცხოვრების პატიოსან კვალს!
და ვინცა ანმყოს,
რა ხელი მიჰყოს,
თავის სიცოცხლეს შესწირავდეს მთლად
და უმცროს მოძმეს,
ვითა მონამეს,
შეინირავდეს თავისთვის მსხვერპლად,
ხალხში გაჰკიცხეთ
და შეარცხვინეთ,
რომ შვილებმაცა მათ არ მიჰბადონ
და სუსტთ ამკლები,
კაცები – მგლები,
თვისის სამწყსოდან მათაც განაძონ.
მაგრამ ეს ლექსი,
შვილო აღექსი,
შენთვის ადრეა... ირჩევ ჯერ ზღაპარს?
მაშ კარგი, შვილო,
მამულის ნვლილო,
მიემართოთ ისევ ჩვენს საცოდავ ცხვარს.

თავი III

უზრუნველათა,
მწვანე ველათა
დანავარდობდა სიამით ცხვარი;
სჭამდა, ცხოვრებდა
და ცივ წყალს ხვრებდა
ფეხით გაჰქონდა სულ მთა და ბარი.
ვის რას უყოფდა?
მით ამაყობდა,
რომ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა;
და ისე ხტოდა,
როგორც უნდოდა,
ცა ქუდათ უჩნდა, ქალამნათ – მიწა.
მაგრამ ერთ დღეს კი
აკვნიტეს ნეკი,

როდესაც ჭორათ მოჰკრა მან ყური,
რომ სხვა მხეცებსა,
მის მეზობლებსა,
გულში შესვლიათ საბრალოს შური!..
დიდათ ჰკვირობენ
და უპირობენ
ძალით საბრალოს დამონებასა,
თუ რომ სურვილით
და სიტყვით ტკბილით
თვითონ არ დაჰყვა იმათ ნებასა!
ჯერ თავმომწონე,
ამის გამგონე,
საბრალო ცხვარი მეტათ დაღონდა;
თქვა: „ცა გამინყრა!“
ბევრი იფიქრა
და ბოლოს ხერხი მას მოაგონდა:
ის სამფლობელო,
მისი სამშობლო
სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,
ყოველი კუთხით
გალავნით, ციხით
შეჰკრა – მტერი ვერ მოუხტებოდა!
და შემდეგ მარად
ის უშიშარად
აბუჩა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა
და თავის გულში,
დამშვიდებულში,
მოსისხარ მტერებს პამპულათ ხდიდა!
ერთხელ, ვით მტვერი,
მოადგა მტერი,
მაგრამ რა ნახეს გამაგრებული,
გაჰკვირდენ მეტად,
შეიქმნენ რეტად
და მოულოდნათ დაწყდათ მათ გული.
ვერრა გააწყვეს,
ამოიძუეს,
დაბრუნდენ სახლში ბილნი მხეცები;
და ცხვარმაც საგზლათ

ხშირათ და ხან-გრძლიათ
 თან გაატანა იმათ ბრანები!
 უფრო დიდებით
 და დამშვიდებით
 ამ საქმის შემდეგ ცხვარი ცხოვრებდა
 და ის სხვა ცხოვლებს,
 ვერც დათვებს, ვერც მგლებს
 ძალით მომსევად ვერ უყურებდა.
 ხანი გამოხდა,
 ცვლილება მოხდა:
 ეტიკინა სანყალს ჩვენს ცხვარს მუცელი;
 დასვა კრავები,
 ნიკორ-შავები,
 და გასაზღვლათ მიჰყო მათ ხელი.
 ძუძუსა სწოვდენ,
 სხვას არას სთხოვდენ,
 დედას დასდევდენ და ნავარდობდენ.
 სილამაზითა
 და სინაზითა,
 ასე გასინჯეთ, ერთმანეთს სჯობდენ!
 ჭკუა-გონება,
 დიდი ქონება –
 რაც ცხვრისა წესზედ კი შეიძლება –
 იმათაც ჰქონდათ,
 თავი მოსწონდათ;
 აკლდათ მათ მხოლოთ გამოცდილება,
 მაგრამ ეს ნიჭი,
 ცხოვრების ბიჯი,
 დედის მუცლიდან არვის დაჰყვება.
 ცრემლ-ნალველითა,
 გულის მწველითა
 ის მხოლოდ შემდეგ მოიპოვება.
 და ერთხელ ვინცა
 მას ხარკი მისცა,
 ჭმუნვის ბეჭედი აზის მის სახეს;
 და რაც პირველათ
 ჩნდა სასურველათ,
 ბოლოს იქ ჰგონებს საფრთხეს და მახეს!..

თავი IV

ხარბი რამ არი
 და უმაძლარი
 ვნებითა სრული, აღმშფოთი გული:
 რაც რომ ჩვენია, –
 მოსაწყენია,
 და რაც არა გვაქვს, – მიგვიდის სული!
 მწარისა ოხვრით
 და ცრემლების ღვრით
 როს ავისრულებთ ჩვენ ერთს სურვილსა, –
 კიდევ სხვას, ახალს
 გული იჩენს ალს
 და არ გვისვენებს კრულს და ურვილსა!
 ჩვენს ნაცნობ ცხვარსა,
 შეუპოვარსა,
 მოსწყინდა მალე ის არე მარე
 და მოსაძოვრათ,
 ნეკრის საშოვრათ,
 გადააბიჯა გალაგანს გარე
 და ის კრავები,
 საცოდავები,
 გალაგანს შიგნით მარტოთ დაჰყარა!
 მაგრამ იმავ დროს
 უფროს და უმცროს
 ორივე შვილებს ეს დაუბარა:
 „ჩუმათ! ნუ ბლავით,
 ფრთხილად იყავით,
 დაკეტეთ კარი, არვის გაულოთ!
 მარტო რომ გნახონ,
 არ მოგატყუონ
 ჩემმა მტერებმა, არ დავიღუპოთ!..
 მე როცა მოვალ,
 ყველაზედ უმალ
 სამჯერ „ბეს“ ვიტყვი და „ბეკეკესა“
 და მითი მიხვდით
 კარებს მოახტით,
 ჩქარა გამიღეთ და გაჭმევთ რძესა!“

ამგვარად ცხვარმა,
 გულუმაძღარმა,
 კრავებს ეს სიტყვა რა დაუბარა,
 მინდორი გავლო,
 მთებიც გადავლო,
 მოუხედავით გასწია ჩქარა
 უდედურათა,
 უძუძურათა
 დარჩენ კრავები და მოიწყინეს;
 ვერც იკუნტრუშეს,
 ვერც ინუგეშეს,
 მინვენ ჩეროში და დაიძინეს.
 მათ ძილში მგელი,
 ის საძაგელი,
 მიადგა კარებს, ეცა რა სუნი.
 ერთი მან გარეთ
 იზუვლა მნარეთ
 და დაუნყო კარს ჩქარა კაკუნი.
 ძილი დაუფრთხათ
 ტკბილი, მაგარი
 ამ ხმაურობით პატარა კრავებს
 და რომ წამოხტენ,
 მაშინვე მიხვდენ,
 რომ აბრიყვებდა ვილაც მათ მტრობით.
 მიცვივდენ კარზედ,
 მაგრამ უარზედ
 დადგენ და აღარ გაუღეს კარი:
 „ვილაცა ხარო,
 თუ დედა ხარო,
 აბა, ნიშანი შენი გვითხარი!“
 კუდგრძელმა მგელმა,
 იმ საზარელმა,
 მოსატყუებლათ შეჰქმნა ზუილი,
 მაგრამ კრავებმა,
 ნიკორაებმა,
 იცვნეს და უთხრეს მათს მტერს: „ტყუილი!
 გსურს გაგვაბრიყვო?!
 დედა რომ იყო, –
 სამჯერ იტყოდი „ბეს“ და „ბეკეკეს!“

ჩვენც მივხვდებოდით,
 კარს მივხტებოდით,
 გაგიღებდით და შენც გვაჭმევდი რძეს.
 შენ დედა არ ხარ,
 სხვაგვარათ ჰყარხარ,
 საიღამც მოხველ, იქვე წადიო!“
 მგელი დალონდა,
 რალა გზა ჰქონდა!
 თქვა: „დამეკარგა დილის მწვადიო!
 ახლა ამ კრავებს,
 ეშმაკებს, ავებს,
 ვერ მოვატყუებ, წახდა ფიცო,
 მაგრამ მეორეთ
 შევაცდენ სწორეთ,
 რადგან ნიშანი მათი ვიციო!“
 მართლაც მეორეთ
 დაბრუნდა სწორეთ
 სამხრობის დროზედ კარი მონახა.
 ასუნ-დასუნა,
 დაუკაკუნა,
 „ბე“ და „ბეკეკე“ სამჯერ დასძახა...
 მაშინ კრავები,
 საცოდავები,
 მოტყუვდენ და წამს გაუღეს კარი.
 და ვაი მათ მტერს!
 მგელს შეხვდენ მშიერს...
 ორნივე ჩაყლაპა მგელმა უმწვარი!..
 და გამაძღარი,
 არ გასახარი
 მგელი წავიდა სახლში ძუნძულით;
 და ის გრძელკუდა,
 როგორც რომ გუდა,
 გამოიბერა მუცლით და გულით.

თავი V

დაბრუნდა ცხვარი.
 რომ ნახა კარი
 ღია, კრავებიც აღარსად იყო,

მას ელდა ეცა,
პირქვე დაეცა
და საცოდავით ბლავილი ინყო!
თქვა: „ეს რა მოხდა!“
ზეზე ნამოხტა,
თუმცა ცრემლები ადგა მას თვალში,
და თავის მტერსა,
გულის მაძგერსა,
გარისხებული ჩაუდგა კვალში.
მისდია ჩქარა,
მთა გადიარა
და ერთ ღელეში ნახა მან მტერი.
შეშინდა მგელი,
ის საძაგელი,
ცხვარს რომ შეხედა, ნაუხდა ფერი!
ის, გამაძლარი,
ეგდო, ვით მკვდარი,
და აღარ ჰქონდა საომრათ ძალა.
და მონელება,
ომის შეძლება
იმ წყეულს ცხვარმა აღარ აცალა,
დროზედ მოასწრო,
იშოვნა მან დრო,
ამოჰკრა ფაშვში მრისხანემ რქები,
გააპო ჩქარა
და გადმოჰყარა
ისევ ცოცხლები თავის შვილები!
ბევრი იხარეს,
ცრემლები ჰღვარეს,
სიამოვნებით შეექნათ კოცნა...
და მერე ცხვარმა,
ბედით დამტკბარმა,
თავის შემოქმედს მადლობა უძღვნა.
და ნამოვიდა
დიდის ამბითა
თავის სახლისკენ გულდამშვიდებით;
და ძველებურათ
ის მისებურათ

ისევ ცხოვრებდა, იყო დიდებით.
ხშირათ მტერები,
მგლები, ტურები,
დათვები და სხვა თუმცა ანუხებდენ,
მაგრამ დიდ ზარალს
ვერ აძლევდენ მას,
რადგან ციხის კარს მათ არ უღებდენ.

თავი VI

უსამართლობით,
ომით, ძალობით
არვის შეეძლო, გაელო კარი,
თუ რომ შეცდენით
და მოყვრის ენით
არ დაელუპათ საბრალო ცხვარი!
მოულოდნელათ,
მოუწვეველათ
გაჩნდა მოყვარე, მტერზედაც ავი.
ეს იყო მელა!
ცუნცულით, ნელა
მობრძანდა, თოვლში ის ნაგორავი,
და მოტყუებით,
ტკბილი სიტყვებით
მიმართა ცხვარსა კეთილ მზრუნველათ:
„კეთილო ცხვარო,
ღირს შესაყვარო,
მამაცო, სიმხნით ქებულო ძველათ!
ყოველი კუთხით
ღამითა და დღით
მტერი გყავს, არ გაქვს მით მოსვენება!
და შენ მოყვარე
არ გყავს მომხმარე, –
რომ მოგეხმარო, მომეცი ნება.
მაღალო სულით,
მიყვარხარ გულით
და მისთვის მინდა გეძმო, გემოყვრო;
და შენი მტერი,

როგორც რომ მტვერი,
 ისე გავხადო, მინდა... ამოვფხრო.
 მე ერთი მურა
 თეთრი, შავყურა
 მყავს, თუმც არ არის ჩემი ფერია,
 და როგორც მელის, –
 ჩემგან რას ელის?
 ის უნდა იყოს დიდი მტერია,
 მაგრამ სიბრიყვით
 ის, ერთი სიტყვით,
 რადგანაც არ აქვს მეტი გონება:
 რა გაეგება,
 კიდევ ექება
 თავგანწირულათ ჩემი მონება!
 აი, ამ მურას
 მოვიყვან, ტურას
 და მგელს წავიფრენ მე წინ სიმწრითა!
 და მაშინ შენა
 მოგხედავს ზენა,
 მტერს მოიგერებ ყოველი მხრითა.
 მოგაშორებ მტერს,
 არც გთხოვ არაფერს
 ამ სამსახურში მე გულ წმინდაო!
 მონმედ მყავს ღმერთი
 მე მხოლოთ ერთი –
 შენი მოყვრობა გულით მინდაო!“
 ცხვარს რომ ეს უთხრა,
 თავი დაუკრა
 და ისე ჩქარა წავიდა შინა,
 რომ იმ სანყალ ცხვარს,
 მის სიტყვით დამტკბარს,
 თითქმის მადლობაც არ ათქმევინა.
 დარჩა მარტო და ამას ამბობდა
 ცხვარი: „ეს მელა სით გამიჩნდაო!
 ბევრიც უვლია,
 შორეულია,
 ჩემგნით რა აქვსო იმას სადაო!
 როგორც ეტყობა,

ჩემი მოყვრობა
 მას გულითა სურს, უზაკველადო.
 მაშ დამტკიცოს,
 მტრისგან დამიცოს,
 ომი გამართოს მტრებთან ველადო;
 და მაშინ მეცა,
 მონმეთ მყავს ზეცა,
 რომ არ დავრჩები უმადურიო:
 კარსაც გაუღლებ,
 ტკბილათ მივიღებ,
 რომ ნახოს ჩემგან სამსახურიო“.
 რა გადასწყვიტა
 ეს, შინ მივიდა,
 კრავებს უამბო, უმახარობლა.
 და იმავე დღიღამ
 ყოვლის კუთხიღამ
 მისმა ნათელმა დღემ მოიღრუბლა!..

თავი VII

დადგა ზამთარი.
 მგელი გამხდარი,
 ტურა და დათვიც იერიშითა
 მოადგენ ციხეს,
 კრავებმა ნახეს
 და გაიკმიდეს მათ ხმა შიშითა.
 მაგრამ ამავე დროს,
 ცუდს და საზაროს,
 პირობისამებრ მოვიდა მელა,
 თან მოჰყვა მურა,
 დასძახა „ურა!“
 და წაიფრინა წინ მტრები ყველა.
 დათვი აბლავლეს,
 ტურა აჭყავლეს,
 მგელი გაბერეს, როგორც რომ გუდა!..
 და ვით სარდალი,
 მხნე და მართალი,
 ისე მოიქცა აქ მელაკუდა.

უბრძანა მურას;
 „ნუ მზოგავ ნურას,
 რაც გინდა მთხოვე, აგისრულებო!
 და მართებულათ
 მე უეჭველათ
 ამ საცხვარეთში შენ გიგულებო.
 მაგრამ კი ჯერე
 მე დამიჯერე:
 ფარისევლურათ და ფრთხილათ ვიყოთ,
 რომ არ შეგიტყოს,
 ცხვარმა რო გვკითხოს
 ჩვენი აზრები და გავაბრიყოთ:
 კარი გაგვიღოს,
 ჯერ შინ მიგვიღოს,
 ცოტა ხანს ვიყოთ ჩვენც, ვით სტუმარი,
 და მერე, როცა
 ხელთ ვიგდოთ დროცა,
 გავკრიჭოთ ჩვენი ცხვარი ხუმარი.
 თუ იუაროს,
 არ მოგვეკაროს,
 და არ მოტყუვდეს ჩემი ტკბილ ენით,
 მაშინ შენ მალე
 გადუბრიალე
 თვალეზი რისხვით, მუქარით, ღრენით!
 რომ მაშინ შიშით,
 ვაგლახით, ვიშით
 ენა ჩავარდეს, ჩაინყვიტოს ხმა
 და ვითომც ნებით,
 ძალდატანებით
 სამარადისოთ გახდეს ჩვენი ყმა.
 ეს რომ დაანყვეს,
 საქმე დაინყვეს;
 დიდ მოწინებით მიდგენ ციხის კარს
 და სიხარულით,
 ვით მართლის გულით,
 გამარჯვებასა ულოცავდენ ცხვარს.
 მოტყუვდა ცხვარი,
 გააღო კარი

და შეიყვანა ციხეში მელა.
 იმას თან მურა
 შეჰყვა შავყურა
 და გაიზმორა სიამით ნელა.
 ცხვარმა მაშინა
 გამოიჩინა,
 რაც კი შეეძლო მას მასპინძლობა.
 და მელა კუდამ,
 ეშმაკის გუდამ,
 ნაცვლათ შემდეგი უთხრა მადლობა:
 „გმადლობო, ცხვარო,
 შენ უწყინარო,
 თავს რათ ინუხებ მასპინძლობითო?!
 შენ ველარ შეძლებ,
 მე ვიმასპინძლებ,
 და შენც ქირაში ყოველ წლობითო
 მიხადე მადლი,
 მაძლიე მატყელი
 ერთი საჩოხე, საპაიჭეო
 და მით მშვიდობა
 და ჩემი ნდობა
 მონის საფერათ მიინიჭეო!
 ბევრს ნულა ფიქრობ!
 რაღას აპირებ?
 სიამტკბილობა, სჯობს იხმაროო,
 რომ ბოლოს ძალით
 ორივე თვალით
 არ იტირო და ცრემლი ღვაროო!“
 შეძრწუნდა ცხვარი,
 გულს ჰკრეს ლახვარი!..
 მაგრამ რაღა დროს? რაღას იზამდა?
 მელა კუდურა
 და მასთან მურა,
 რომლებიც ნელან მეგობრათ წამდა,
 მრისხანე ძალით,
 თვალის ბრიალით
 უღრენდენ და თან ილესდენ კბილებს!..
 და მაშინ ცხვარმა,

შიშით შემკრთალმა,
ცრემლით ურჩია საბრალო შვილებს:
„ან კი გვიმართებს,
ამ მინდვრებს და მთებს
გამოვეთხოვოთ – მონა ვართ მელის...
გვანავს ღვთის რისხვა,
სანამ ან ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გვიშველის...
ვმონოთ ჯერ შავ ბედს,
ნუ ვკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა,
რომელმაც ჩვენა
არ მოგვასვენა, –
ეგებ დაჰგლიჯოს მელაც იმ ძალმა
და ჩვენც მაშინა...
ჩუ! შემაშინა
რალაც ჩვენებამ, ამბობს: „ფრთხილადო!
ჯერ მსხვერპლი უნდა,
უმანკო, წმინდა
განსანმენდელი შვილის-შვილადო!“
ეს რა წარმოთქვა,
ყელს შეიბა ქვა
ნიშნათ მონობის... დადუმდა ცხვარი,
ძირს თავდახრილი!..
ინყო ტირილი...
დღესაც არ შრება იმას ცრემლთ ღვარი!..
იმ არე-მარეს,
ჩაგრულს, მწუხარეს
გულმოსაკლავათ რწყავს ის ცრემლთ ღვარი...
და რომ შეაშროს
ის ცრემლი ერთ დროს,
მისთანა გმირი ჯერ არსად არი...

[1869 წ.]; 1876 წ.

ბაგრატიონი დიდი

ისტორიული პოემა

I

მზე ჩაესვენა ბრწყინვალე ქართლის
და მან დაჩრდილა მით არე-მარე;
დაბნელდა... მაგრამ მაინც მის ბედზედ
ბოლოს გამოჩნდა შუქმფენი მთვარე.

ლაჟვარდ ცაზედა წყნარად მცურავი,
პირბადრი, ნაზი, პირმომცინარე,
და მას თან ახლდა მისი თანმსრბოლი
ერთი ვარსკვლავი მოსხივცისკარე.

მაგრამ ამ დროსაც მოულოდნელად
აღმოტყდა სუსხით რისხვის გრიგალი,
და აღმოსავლით გადმოიტანა
შავი ღრუბელი დიდი, დიდძალი.

ცა მონმენდილი, ლაჟვარდოვანი
დაიფარა და დაბნელდა არე!
ვით გველეშაპმა მზეთუნახავი,
ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე.

აი, სურათი ქართლის ბედისა,
როდესაც განქრა მისი თამარი,
სანამ ბაგრატი მის ძით გიორგით
არ გაუბრწყინდა შეუპოვარი!

მაგრამ სრულიად განკურნვა წყლულის
ქართლისა ბედმა აღარ აცალა,
როცა მოჰფინა, ვითა კალია,
მძვინვარე, მხეცქმნილ მონგოლთა ძალა!

ლენგ-თემურს თვისის კოჭლობისათვის
ჰსურს მთელის ქვეყნის შურისძიება,
რომ დააკოჭლოს ყოველი ტომი,
რომელზედაც კი ჰსმენია ქება.

და რადგანც მაშინ ქართველთა ტომი
განთქმულობითა იხსენებოდა,
კოჭლ-თემურსაცა მისის შურითა
სიამით აღარ ეძინებოდა!

იმას ეგონა, თუ ქართველ ხალხსაც
დაიმონებდა როგორც სხვა ტომებს,
და რომ ნახავდენ მის ურიცხვს ძალას,
ვერ გაბედავდენ ძლიერთან ომებს!

მაგრამ მოსტყუვდა!.. საქმემ უჩვენა,
რომ ქართველთ გულში არ ედოთ შიში!..
ბევრჯელ გაბალთეს მონგოლთა რაზმი,
კვნესით აძახეს „ვაი“ და „ვიში!“

უფრო და უფრო გამძვინვარებულს
გული უძგერდა თემურსა რისხვით
და რაკი სიმხნით ვერ გააწყო-რა
მან მოინდომა, რომ სძლიოს რიცხვით:

„ას-ასს მონგოლს ვცვლი თითო ქართველში,
ოღონდ კი ვსძლიო!“ დაიღრიალა,
და ბოლოს, მართლაც, როდესაც მოსწყდა
მეომარ მხედართ საქები ძალა,

გულადი ბაგრატი მცირისლა რაზმით
ლონემიხდილი ტყვედ წაიყვანა;
მაგრამ დაპყრობა სრულად ქართლისა
გიორგიმ მაინც დაუგვიანა.

მამისა კვალზედ მხურვალედ მსვლელი
მთებში შესულ ხალხს ის აღელვებდა
ხან იქ, და ხან აქ, მოულოდნელად,
მონგოლთა რაზმში გაიელვებდა.

მოსწყდა თანდათან ქრისტიანობა,
აოხრდა სრულად ნუხის მაზრები,
მაგრამ ჯერ მაინც კი არ დამცხრალან
მძვინვარე თემურ-ლენგის აზრები:

კიდევ სხვა მხარეს დაიბანაკა
მსხვერპლად აილო რა ზაქათალა!
აქაც ჰსურს, თვისი რისხვა მოჰფინოს,
გამოიჩინოს სასტიკი ძალა!..

გასცა ბრძანება მან მთელს ბანაკში,
რომ შეისვენონ დაღლილთა ძილით,
იმატონ ღონე და მეტ მკაცრობით
ხალხი მოსრისონ, რა ადგენ დილით!

ვინ გაჰბედავდა იმის ურჩობას,
ბრძანება უჩნდათ, როგორც ღვთის ნება!
დანვნენ მონგოლნი, მაგრამ ქართველებს
არ აძინებდა გულისა ვნება!

II

შუალამეა. ბნელი უკუნი
ზე დასწოლია ქართლისა არეს,
რომ ძილში მაინც მან შეუყენოს
ოხვრა და კვნესა წყლულსა, მწუხარეს.

ცა მშობლიური, ლაჟვარდოვანი,
ვარსკვლავებით და მთვარით შემკული,
ვით მგლოვიარე ძაძით მოსილი,
ნისლში იმარხვის ჩაშავებული.

ყვავილთა, თითქოს ნიშნად გლოვისა,
შეჰყენებიათ სუნნელთა ფშვენა,
და ბულბულნიცა ჩვეულებრივად
ალარა სტვენენ... დაჰბმიათ ენა!..

მათ ნაცვლად მხოლოდ ამ ბნელს წყვდიადში
გამდგარა ლეშის სუნი საზარი
და მასთანც ისმის მგლისა ზუილი:
ქართველის მძორს ეძებს გაუმადლარი.

ამ დროს მოისმა აქ ორი კაცის
ახირებული რამ საუბარი:
ერთი ჰყვედრიდა მეორეს, მაგრამ
გულმტკივნეულად, ვით მეგობარი;

და მეორე კი შეუპოვრობით
პასუხს აძლევდა ხმის კანკალითა
და მის პირისგან ყოველი სიტყვა
გამოდიოდა რალაც ძალითა:

პირველი ხმა

– „აოხრდა ქართლი, ქრისტიანობა
ჩვენის მონობით თანდათან სწყდება,
მაგრამ გამირული მისი სახელი
უკუნისამდე არ დავიწყდება!

„ცოცხალ მონაზედ უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!
იმისი საქმე შთამომავლობას
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი!

„დღემდის ყოველი მეფე ქართლისა
ამ აზრით იყო ხომ შემსჭვალული?
და შენ კი, გმირო, რად გვიღალატე?
რამ შეგიცვალა ფოლადის გული?

„გვითხარ, რათ დაჰგმე შენ ქრისტეს სჯული?
რათ შეარცხვინე მით საქართველო?
სკიპტრა, გვირგვინი და შენი ქება
შენვე დააჭენე, ვით მწვანე მდელი!..

„ქართველთა მეფე, დიდი ბაგრატი,
სახელგანთქმული, დღემდე სვიანი,
ისე დაეცა განა დღეს სულით,
რომ უნდა გახდეს მაჰმადიანი?

„ოჰ, რა მაგალითს აძლევს ქართველებს,
განთქმულთ, წინაპართ საკვირველ შვილებს,
განთქმული მეფე! მისის მიბაძვით
სულით დაცემას მათ უადვილებს!..

„თითქოს გიყვარდა შენი სამშობლო?!
მაგრამ არა, სჩანს, ჩვენ ვსტყუვდებოდით,
შენ ის გიყვარდა შენ სადიდებლად,
შენ საპირადოთ!.. რას მივხვდებოდით?!

„დღეს კი შემთხვევამ ცხადათ გვიჩვენა,
რაც გულში გქონდა შენ დაფარული;
შექმნილო კერძო ცხოვრებისათვის,
იყავ ამიერ შეჩვენებული!..“

მეორე ხმა

– „ხა! ხა! ხა! ხა! ხა! გხედავ მოხუცო
სიბერისაგან გამოყრუებულს!..
აზრს ველარ იკრებ სასწორმხედველოდ
და ვერ იმაგრებ აღელვებულ გულს.

„ნუ თუ გგონია, მაგ შეჩვენებით
ის შეაშფოთო და შეაშინო
და მაგ მწარისა საყვედურებით
სინანულისა ცრემლი აღინო, –

„ვინცა თავისი სამოთხე ტკბილი
მწარ-ჯოჯოხეთზედ მტკიცედ გასცვალა
და იმ ქვეყნადაც გულით ატარებს
იმავე ჯოჯოხეთს!.. სწავს მისი ძალა?“

„მაგრამ გაბოდებს გულის ტკივილი,
ტყვე ტყვეს მამხილებ საყვედურითა,
და გასურს, მოაღბო ეს ჩემი გული,
ვითა ყმანვილის, ცრემლების ღვრითა.“

რაც უნდა მითხრა, არ გაგცემ პასუხს!
რაც რომ ცხადია, რაღად დავფიცო?
მაგრამ ბაგრატის პირადობა კი,
არ შეგიძლია, რომ დაამტკიცო.“

„ორგვარი არის ჭეშმარიტება:
ნამდვილი და თანც მოჩვენებული;
მათი გარჩევა მეტად ძნელია,
ხშირად სტყუვდება საბრალო გული!“

„და რა იცი, რომ ჭეშმარიტია,
რომელიც შენ გაქვს, ის საფუძველი,
და, ვით აქამდე შენს თვალში, ანცა
ისევ დარჩება დაურღვეველი?
შენ სცდები!..“

პირველი ხმა

– „ვინა? განა მე ვსცდები?
შენ გასურს სინათლედ მიჩვენო ბნელი?
ნეტავი მართლა!.. ოჰ, რომ შეგეძლოს
და გამიქარგო ეს ცეცხლი მწველი!..“

„მაგრამ ამაოდ!.. ვერ მოვსტყუვდები,
ცხადად ვუყურებ შენს მოქმედებას:
თუ ვითა სწირავ შენს პირადობას
ჩვენი სამშობლოს მალალ-დიდებას.“

„სანამ გვირგვინი თავს გედგა ქართლის,
მისთვის იყავი თავგანწირული
და დღეს, როდესაც ყველა დაჰკარგე,
ტყვემან იცვალე დროს შეცვლით, გული.“

მხოლოდ პირადის სარგებლობისთვის,
რომ დაიმოყვრო ლენგ-თემურ მხეცი,
მის წინ მლიქვნელობ და მაჰმადის სჯულს
მონინებითა თავყანი ეცი!“

მეორე ხმა

– „მისთვის, რომ მიყვარს მე საქართველო!“

პირველი ხმა

– „არა, ეგ რა სთქვი! ვინ იტყვის უარს
თვის საყვარელზედ და აიღებს ხელს?
სჩანს, ადრეც გძულდა და არც ან გიყვარს.“

მეორე ხმა

„ეგ იმან მითხრას, ვინც სამშობლოსთვის
ჩემზედ უმეტეს ნამსახურია
და ჩემზედ მეტი იმის გულისთვის
ოფლი და სისხლი ერთად უღვრია!“

ჯერ დამიმტკიცე, აბა, მიჩვენე
ბრწყინვალე ღვანლი შენი წარსული
მამულისადმი, და ჩემს ღვანლსაცა
შენ შეუწონე ის დაფარული,

რომ მით დამტკიცდეს, თუ ამ ჩვენ ორში
ვის უფრო უყვარს თვისი მამული
და საპირადოდ, კერძობითა
ვის უფრო უცემს ამაყი გული?
აბა, მოჰყევი!“

პირველი ხმა

– „შენც კარგად იცი,
ვის არ ჰსმენია ჩემი სახელი?!
სადაც იოსებ კი შევარდნილა,
გამაგრებულა იქ ბრძოლის ველი.

სანამ სიბერემ არ დამასუსტა,
მტერზედ მახვილი არ გამცდენია
და თავგანწირულს, შეუპოვარსა
სისხლზედა სისხლი დამიდენია!

თეთრი აღარ მაქვს თავზედ იმდენი,
რამდენიც ტანზე მტრისგან ჭრილობა!
არ შემდრეკია აროდეს გული,
მით დავიმტკიცე ქართველის შვილობა.

„ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლ-კარი,
ამ ქვეყნიური მე ნეტარება,
ყველა შევსწირე ტკბილ სამშობლოსა,
მინდოდა მისი ბედნიერება!

„მაგრამ სიბერით რომ მოვუძღურდი
და არ შემეძლო ხელის ხმარება,
ბერად შევსდეგი, და საქართველოს
ღმერთსა ვავედრებ! მდის მდულარება.

„მეც შემომიჩნდა ლენგ-თემურ მხეცი,
რომ შემეცვალა ეს ჩემი სჯული,
მაგრამ შენსავით არ მოვხიბლულვარ,
არ გამყინვია მხურვალე გული!“

მეორე ხმა

– „კეთილი! მაგრამ ქართლისა ბედმა
სჯულის გამოცვლა რომ გთხოვოს მსხვერპლად,
ამა სოფელზედ ხელ აღებულის
დასთმობ იმ სოფელს შეუნანებლად?“

პირველი ხმა

– „სჯული ქრისტესი?!. ხომ არა ხუმრობ?
ეგ ჩემს განზრახვებს აღემატება:
ემშაკებისთვის სულის შეწირვის
მირონცხებულსა არა მაქვს ნება“.

მეორე ხმა

„მჯერა! ეგ არის შენი რწმუნება
შეუხებელი, შეურყეველი!
და მაშ ახლა მეც დამიგდე ყური,
და, რომ მომისმენ, პასუხს მოველი:

„ჭკუით სრულსა და გრძნობით აღვსილ კაცს
ვერ შეაშინებს უბედურება!..
რამდენიც უფრო ხელი ეშლება,
ის უფრო კერპად ემსახურება!

„მისგან არჩეულ ცხოვრების საგანს
და სიცოცხლესთან შეკავშირებულს
მაშინ გასწყვეტს ის, როცა კუბოში
ჩასდებს ცივსა და უგრძნობელსა გულს.

„ცოლის დამკარგვი სხვა ცოლს შეირთავს,
მკვდარ შვილს უქარვებს მეორე შვილი,
მაგრამ მაგიერს კი ველარ ჰპოვებს
კაცი, თუ არ ჰყავს მას დედა ტკბილი.

„რა გინდ ღირსებით შემკულიც იყოს,
ვერ იქმს დედობას დედინაცვალი!
თუ შვილზედ საშო თვით არ ასწვია,
განზედ უჭირავს ყოველთვის თვალი.

„მეფე, დამთმობი ერთხელ გვირგვინის,
ბევრჯელ მეორედ ისევ მიიღებს
და დაცემის დროს მიღებულსა წყლულს
ახალი ბედი სრულად ავიწყებს.

„მაგრამ, ვინც ერთხელ სრულად დაჰკარგავს,
გულით გასწირავს რა მისს სამშობლოს,
ის სანუგეშოდ უკუნისამდე
ნულა მოელის კეთილსა ბოლოს.

„არ ვგლოვ მე გვირგვინს და არც ჩემს სახელს,
ოდესმე განთქმულს და განბრწყინვებულს;
ვითლა მახსოვდეს ის მცირე რამე,
როს საქართველოს ვჭვრეტ აოხრებულს?

„თვალნინ მიდგია ახლაც სურათი,
ის საზარელი დასანახავი,
როცა კალოზედ, ვით ბზე, მოლენეს
ძუძუს მწოვრები, უწყლიტეს თავი!..

„მათი კვნესა და მათი ტირილი,
დედების მოთქმით შეზავებული,
დღესაც ყურებში მე მიწვიან,
ტვინი მენვის და მენამვლის გული.

„ხოვმ გახსოვს, ოდეს ქართველთ ჭაბუკნი
ხელფეხშეკრულნი, დატიტვლებულნი
ველზედ ეყარნენ... და ზედ მონგოლნი
დაჯირითობდნენ გამძვინვებულნი?..

„და ან ის ჟღეგა... მაგრამ, ეჰ, კმარა...
რომელი ერთი უნდა მოვსთვალო?!
უთვალავია დღეს ქართველის ტანჯვა!
გადმოიხედე ზეცით, უფალო!

„სამშობლოს ტანჯვის უძლურ მონამეს
არ შემრჩებოდა აქამდე სული,
თუ რაღაც დიდსა უცნაურს ძალას
არ განემტკიცა კერპად ეს გული.

„არც ეს ქვეყანა, არც ის ქვეყანა
მე აღარ მინდა, არც ერთი არ მსურს...
სანამ ლენგ-თემურს სამაგიეროს
არ გადვუხდი და არ მივაგებ შურს...

„მაგრამ რა გვარად? ტყვე ვარ უძლური,
მოსწყდა ქართველი მისი გმირობით!
და ძლიერ ხალხთან რაღას გავანყობთ
ჩვეულებრივის პირდაპირობით,

„თუ არ ხერხითა და ცბიერებით?
და განვიზრახე მე მოტყუება
ლენგ-თემურისა, სულის განირვით,
და ან, უფალო, შენია ნება!

„ლენგ-თემურ თუ არ მაჰმადიანსა
არ მიენდობა სრულისა გულით!..
და, მაშ, მოხუცო, აჰა მიზეზი,
თუ რად მიყურებ შეცვლილსა სჯულით.

„ჩემის სამშობლოს გამოსწინსათვის
უკანასკნელად ეს მოვიგონე
და საიქიოც რომ დავივინყე,
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე.

„ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე
არ მომეშლება, არ არს ადვილი!
მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
იმას არ ჰქვია მამულის-შვილი!..“

როცა შესწყვიტა ეს საუბარი,
მეორემ უთხრა: „მეც შენთან ვარო!“
და დაიყვირა: „უნდა უარ-გყო
და ნუ შემრისხავ შენ, მაცხოვარო!“

ამ დროს უეცრად ბნელი განათლდა,
ცა გაიხსნა რა, გაიღო კარი
და ორი კაცი გამოაჩინა:
ბაგრატ და ისაკ, მისი მოძღვარი.

მუხლმოყრით მალლა ხელაპყრობილნი
უხმო-უსიტყვოდ ცას შეჰყურებდნენ
და საქართველოს ჭირისგან დახსნას
უკანასკნელად მას ავედრებდნენ.

III

ძილი გაუტყდა ერთხელ ლენგ-თემურს,
შეიხმო თვისთან ბაგრატი გმირი,
დასხდენ კარავში მარტოკა ორნი
და მეგობრული იწყეს თათბირი:

ლენგ-თემური

– „სული სულს იცნობს, გულს უგრძნობს გული,
გმირსა მიჰბაძავს ქცევითა გმირი,
და რომ თემური ბაგრატს უყვარდეს,
ჩემთვის არ არის ეს გასაკვირი.

„კარგად თუ ავად, შემთხვევამ იცის,
მაგრამ მთლად შესცვლის კაცს სიყვარული,
რა ახალ აღთქმად ის გულში სჩნდება,
მყისვე ირღვევა აქ ძველი სჯული.

მაშინ წარსული თვისი ცხოვრება
კაცს მიაჩნია ბზეთა და ჩალად
და წამითს გრძნობას მხოლოდ ისახავს
ნეტარებისა სრულ იდეალად.

„მაგრამ ამასაც, როგორც, ყველაფერს,
დრო შეუბრალო ბოლოს მოუღებს
და, ერთხელ შმაგსა გულის ვნებითა,
სინანულითა მაშინ აწუხებს.

და ეგებ ბაგრატ შენც მეგობრობის
სიყვარულით ხარ დაბრმავებული,
და თუ ოდესმე გული შეგერყა,
სჯულზედაც დარჩე შენანებული?“

ბაგრატი

– „თუ არ რწმუნება შეურყეველი,
რა შეაცდუნებს, რომ გადაჰყვეს გულს,
გულსა შენახულს სოფლის ბრუნვისგან
და თავს ჭაღარით დაგვირგვინებულს?

„ვფიცავ მე ზეცით გულთამხილავსა
და მასთან ყოველთ წმინდათა ძალებს,
რომ დრო ვერ შემცვლის და ვერ გამიქრობს,
დღეს რომ გულში მწვავს, მე იმა ალებს!

„რასაც დღესა ვგრძნობ, მე ის რწმუნება
კუბოს კარამდე მიმყვება სჯულად!
არა, ძლიერო, მაგ ეჭვებითა,
გეტყობა, მსახავ გულში ორგულად!“

თემური

– „მე? არაოდეს!.. მაგას ნუ ჰფიქრობ!..
განა არ ვიცი, რაა ქართველი?
მის შესადარი არსად მინახავს,
თუმც აზიისა ვარ მე მომველელი!

„სულით მაღალი და გულით მტკიცე!..
მისი განზრახვა უზაკველია,
და სანამ პირში სული უდგია,
მის დამონებაც – უფიქრელია.

„რომ მითხრას, ბაგრატს ნუ ენდობო“,
თუ არ თვითონ შენ, ვინ გამიბედავს?
არა, ძმობილო, შენც კარგად იცი,
რომ თემურ-ლენგი ძლიერ შორს ჰხედავს.

„მაჰმადის სჯული რომ სჯობს ქრისტესას, ამას ჭკვიანი ბაგრატ თვით მიხვდა; მაგრამ ტყვედ ქმნილსა ამდენს ქართველსა თავისი სჯული რად დაავინყდა?“

ბაგრატი

„ქართველებისგან მაგვარი ქცევა სულაც არ არის გასაკვირვალი: საითაც მათი მეფე გაიწევს, მათაც იქითკენ უჭირავსთ თვალი.

„ქართველთ მეფეთა თავგანწირულთა მითი მიინდვეს ქვეშევრდომთ გული, რომ არაოდეს არა ყოფილა ხალხი იმათგან მოტყუებული“.

თემური

– „მაშ, თუ მაგრეა, მთლად საქართველოც შენს მაგალითსა მალე მიჰბაძავს?.. და მაშინ სჯულის ეგ შეთანხმება ჩვენ ორ ტომს შუაც ჩამოაგდებს ზავს?“

ბაგრატი

– „ეგ არ იქნება, ამით არ მოშლის ქართველთა ტომი ქრისტეს სამსახურს! ის ჰბაძავს მხოლოდ ძლიერს მეფესა და არა ტყვედ ქმნილს, უტახტოს, უძღურს.

ოჰ, რომ მქონოდა მაშინ ეს აზრი, როდესაც ვიყავ მეფე ძლიერი, დღეს მაჰმადის სჯულს აღიარებდა ერთად ჩემთანა ქართველისა ერი!

„მაგრამ რალა დროს! გვიანლა არის ამაზედ ფიქრი, მოთქმა, გოდება, სინანულითა თვის ნეკზედ კბენა და უნაყოფო ცეცხლთა მოდება!“

ყურსა უგდებდა ამ სიტყვებს თემურ, თითქოს ჰხვრეტავდა ბაგრატსა თვალით; ბოლოს მოსდო მას კისერზედ ხელი და მოჰყვა ისიც ხმისა კანკალით:

თემური

„ბაგრატ! შენ გიცნობ მხოლოდ მე კაცად და მისთვის მიყვარს შენთან თათბირი, რომ შენი სიტყვა სხვისას არა ჰგავს და არ გატყდება ეგ შენი პირი.

„შენც კარგად იცი, დედამინაზედ არავინა მყავს მე ჩემი ტოლი, მაგრამ ვერავის ვერ მივინდობივარ, გულით ურწმუნო, სულით ობოლი.

„ვის უნდა ვენდო? განა არ ვიცი, თუ რას ჰფიქრობენ ჩემი სარდლები? თუ მნახეს ერთი ნაფორხებული, დამესევინან როგორც რომ მგლები.

თუ არ შიშითა, სხვა ვერაფრითა მოიბირება იმათი გული! მათ ზნეობითი გრძნობა არა აქვთ, ქართველს არა ჰგავს, ვხედავ, მონგოლი.

მე მსურს ამისთვის, რომ საქართველო ხელში ჩავიგდო, ჩემსკენ მოვიმხრო და, სჯულით მათთან რა შევკავშირდე, სხვა ხალხი მოვსრა და სისხლი ვღვარო.

შენ მეყოლები მარჯვენა ხელად,
ქართველთა რაზმსა ჩემთვის დააწყობ
და შინ ვით მეფეს და ერთგულ ძმასა
დაპყრობილ ხმელეთს შუა გაგიყოფ.

„როცა ბაგრატი ზურგს გამიმავრებს
და თან მეხლება ქართველთა ჯარი,
მაშინ ხმელეთზედ ჩემს სამეფოსა
ალარ ექნება არსად საზღვარი.“

„ახლა ხომ იცი ჩემი ზრახვანი,
რაც ვსთქვი, შენ, ლომო, ხომ გაიგონე?
მაშ წაიყვანე ჩემი ჯარები
ხვალვე და ქართლი მთლად დაიმონე.“

IV

შეჰკრეს ამგვარად გმირთა პირობა,
გამომგზავრა ქართლისკენ ბაგრატი!..
და არ იცოდენ, რად მოდიოდა –
ქართლის სამოყვროდ, თუ მოსისხარ მტრად?

კახეთში მყოფსა მეფე გიორგის
შიკრიკი აძლევს ბაგრატის წერილს,
რომლითაც მამა გამოჩენილი
ამას მიუწერს შესანიშნავს შვილს:

„შვილო გიორგი! ჩემი სურვილი
ასრულდა, სცხრება გულისა ვნება:
ლენგ-თემურისა სასტიკ ხელიდამ
ჩემი გამოხსნა ღმერთმა ინება.“

„ამხედრდა ქართლის დასაპყრობელად
მონგოლთა ჯარი დიდი დიდძალი;
დღეს, გარეგნობით მაჰმადიანი,
მე ვარ იმათი დიდი სარდალი.“

„ბერდუჯის ახლოს ერთს ხეობაში
მე შემოვიყვან გზადაბნეულს ჯარს
და მაშინ, გმირო, აბა შენ იცი,
თუ მძვინვარეთა როგორ დასცემ ზარს“.

ვითა მალამო წყლულს, სამკურნალო
ისე ესწრაფათ ეს ცნობა ივერთ
და ერთხელ კიდევ თავგანწირვითა
ეკვეთნენ გმირნი მოუსვენარ მტერთ.

არ დაუგდიათ ალარც მთხრობელი,
ხევი აავსეს მონგოლთა ლეშით;
და სხვა მტრებისა ალარ მლოდენი,
დარჩნენ ქართველნი ტკბილის ნუგეშით.

კვალად მიიღო რა თვის სამეფო,
ბაგრატმა ქართველთ დაუდვა გული
და იმერ-ამერთ შეერთებითა
კვლავ განუკურნა სამშობლოს წყლული.

ასე იღვწოდა მამულისათვის
თავგანწირული ის წინაპარი
და, რომ მის ხსოვნას თაყვანი არ სცეს,
მისთანა ჩვენში აბა ვინ არი?!

[1875 წ.]

თბილისი ენისთავი

(ისტორიული პოემა)

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზედ ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზედ გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისის შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის, შვიდ ფერი
და გვიმღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“
ამ იმედით ფრთა შესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს
და ოცნებაც ლაჟვარდ ფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.
წარსულ-წერგზედ ახალ-წამყნის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო წალველს
და ვეძლევიტ აღტაცებას.

კარი პირველი

|

მეფე დავითს კურატ-პალატს,
 ჰქონდა ერთხელ წვეულება:
 – მშვიდობის დროს ჩვენ მეფეებს
 ჰქონიათ ეს ჩვეულება –
 საქართველოს ყოველ კუთხით
 მოეყარა თავი ერსა,
 ილხენდნენ და გაჰკიოდნენ
 ერთხმად „მრავალ-ჟამიერსა“.
 და, მართლაც, რომ შვენიდათ
 მაშინ იმათ ეს მოლხენა,
 რადგან იმ დროს გადმოსული
 იყო ქართლზედ მაღლი ზენა:
 გარე მტერი დათრგუნვილი
 შუღლს მათ ველარ უბედავდა
 და შინაგან მშვიდობასაც,
 ვინ იყო, რომ ვერ ჰხედავდა?..
 ამით გული უხაროდათ
 ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
 კაცსა კაცად აფასებდენ,
 ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად;
 საქმის დროზედ მუშაობდენ,
 უქმე დღეზედ მოილხენდენ,
 მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
 სიამესა გულს მოჰფენდენ.
 მთვრალობა და „სადღეგრძელო“
 სათვითოო არ იცოდენ;
 ჩვენი ღვინი რომ ენახათ,
 სირცხვილითაც დაინვოდენ.
 პირველ სმაზედ ახსენებდენ
 საქართველოს და უფალსა,
 დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ
 მეფესა და დედოფალსა.
 ბოლოს გამირებს იგონებდენ,

მამულისთვის ომებში მკვდარს,
 და მღვდელ-მთავრის კურთხევითა
 სვამდენ იმათ შესანდობარს...
 სულ ამითი თავდებოდა
 მაშინდელი სადღეგრძელო,
 თუმცა მათში მეტი იყო
 საქები და სასახელო.
 ამ გვარივე იყო იმ დღეს
 ზომიერი ჭამა და სმა;
 მოილხინეს, გაშაირდენ
 და ერთმანეთს სტყორცეს მათ ზმა.
 ორაზროვან სიტყვებისა
 გაიმართა გამოცანა...
 ყველას მეფის ხუმარა სჯობს,
 არვინ არის იმისთანა.
 მაგრამ ბოლოს ორბელიძე
 მოსწრებულად, გალექსულად,
 ცალფეხ ზმების საპასუხოდ
 ეუბნება ორლესულად:
 „–მაღლით წვიმა მოდიოდა,
 „ნაბადმა ვერ დამფარაო,
 „დამასველა მან, თავიდამ
 „ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო!“
 ხუმარამ სთქვა: „გიჯობნია,
 თითს მოგკაკვავ მორჩილადო,
 მაგრამ ერთს-კი მოგახსენებ
 მონინებით და ფრთხილადო:
 „–ხუმარათაც ვარგებულხარ,
 „ვაჟკაცობით პირველიო,
 „მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
 „თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო!“
 აქ თორნიკეს ხსენებაზედ
 მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
 „–სთქვი, ხუმარავ, თუ რას ჰნიშნავს
 ეგე შენი გამოცანა?
 რა არის, რომ დღეს ჩემ გვერდით
 დიდ-თორნიკეს ვერ ვხედავო.

მომიკვდა თუ დასნეულდა?..
 სთქვი! ტყუილს ნუ მიბედავო!”
 მოახსენა: „არ მომკვდარა,
 არც სენი რამ აწუხებსო,
 მაგრამ ქვეყნის სამსახურზედ
 დღეიდან კი ხელს იღებსო.
 თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
 მოციქულობს ვერცა სხვაო,
 რადგან უნდათ აიცილონ
 თქვენი წყრომა და რისხვაო.
 ან გავბედე მოხსენება
 ზმებითა და გადაკვრითო
 და ნუ მრისხავ კადნიერსა,
 გევედრები ცრემლის ღვრითო!..“
 მეფემ ბრძანა: „-არ გიწყრები,
 გმადლობთ, ვფიცავ ჩემსა მზესო,
 მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
 გამოვკითხავ მას მიზეზსო!“
 სახლთუხუცესს დაუძახა:
 „ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
 მომინახეთ, სადაც იყოს,
 შინ დაგიხვდესთ, თუ გარეთო!“
 ეს ბრძანა და ზე წამოდგა,
 ნადიმიცა მით გათავდა
 და ხვალისთვის დაიბარა
 სადარბაზოთ, ვინც იქ ჰყავდა.

||

გამართულია დარბაზი,
 ერიც სამსჯავროდ შეყრილი...
 წინ სდგას თორნიკე პირნათლად,
 წარბიც არა აქვს შეხრილი.
 თავი ჩაიგდო სამსჯავროდ,
 მიჰყვა საერო ნებასა,
 ჯერ ელის მისგან ბრალდებას
 და მერე განჩინებასა.
 აბრძანდა მეფე ბრალმდებლად,

ამას კანონი ითხოვდა,
 და თაყვანი სცა კრებულსაც,
 სანამდი სიტყვას იტყოდა.
 თვალამღვრეულად შეხედა
 თორნიკეს მრავალ-წლიანსა;
 სიტყვები ყელში ეჩრება,
 უმისოთ სიტყვანწყლიანსა.
 ბრძანებს და მისსა სიტყვასა
 ყურს უგდებს მთელი კრებული;
 კრძალვით მოისმენს თორნიკეც,
 სხვაგვარად ჩაფიქრებული.
 ამბობს: „- მბრუნავი ქვეყანა,
 ვიცით, რომ ცვალებადია;
 ვისაც მიინდობს, გასწირავს,
 მისთვის მახე და ბადია.
 მოყვარეს გადაამტერებს,
 მტერსა გაუხდის მოყვრადა,
 დღევანდელს ლხენა-სიცილსა
 ხვალ გადაუქცევს ოხვრადა.
 კაცობრიობის დიდება
 მას მიაჩნია ჩალადა
 და შეუქმნივართ ჩვენ მხოლოდ
 ამ სოფლის მაჩანჩალადა!..
 შემცდარი არის, ვინც ჰფიქრობს
 მედიდურ უეჭველობით!
 ან ერთი რა ვართ ამ სოფლად
 უსუსურ ჭიანჭველობით?
 თუმცა ესე სჭრის გონება,
 რომელიც უტყუარია,
 მაგრამ ადამის სისხლმა კი
 ჩვენი ცხოვრება არია.
 გული, მეურჩე თავისა,
 ცხოვრების წინამძღვარია
 და ამის გამო ჩვენ საქმეს
 და სიტყვას შუა ზღვარია!
 ხშირად მონურად ვასრულებთ
 დღეს, რაც რიგი და წესია,

და იმას ვიმკით კანონად,
 რაც ძველ დროს დაუთესია!..
 მეცა ადამის შვილი ვარ,
 თქვენსავით შვილი ქართლისა,
 თავდადებული ქვეყნისთვის,
 მაძიებელი მართლისა.
 მაგრამ მეფე ვარ დღეს თქვენი:
 ხელთა მაქვს მეთაურობა!
 საქმის დროს საქმე შემშვენიის
 და ხუმრობის დროს – ხუმრობა.
 გუშინ რომ გული მილხენდა,
 თქვენც ლხინად მყავდით ნვეული;
 და დღეს კი გინვევთ სამსჯავროდ,
 გულზედა სისხლმოთხეული.
 ერთ კაცის ნდობა ძნელია,
 გინდა გადიქცეს გონებად,
 და შეუმცდარი ამ ქვეყნად
 მეფეცა ნუ გეგონებათ!
 ჩვენის წინაპრის გონებას
 ადრევე გადუნყვეტია,
 რომ სამსჯავროში ისა სჯობს,
 მსაჯული რაც რომ მეტია!
 და, აჰა, მეცა შეგყარეთ
 სამსჯავროთ, როგორც წესია...
 თქვენ ჰსაჯეთ და მე ავირჩევ,
 რომელიც უკეთესია:
 თორნიკე მხედართ მთავარი,
 თითქოს ხახვს გვაჭრის ყურზედა,
 მოულოდნელად ხელს იღებს
 საერო სამსახურზედა.
 გვინუნებს გმირი სარდლობას,
 აპირებს მოსვენებასა;
 არც დასდევს მეფის სურვილსა,
 არც ითხოვს ხალხის ნებასა...
 დიდ მამულისშვილს ურჩობა
 ქვეყნის არ შეეფერება!
 ვერ მივხვდი... მეტად მაკვირვებს

ამგვარი კადნიერება!
 სწორედ აქვს რამე მიზეზი,
 შესაწყნარ-პატივ-სადები,
 თქვენგან არ დასაფარავი,
 საეროდ გასაცხადები.
 და უნდა გვითხრას სახალხოდ,
 მისთვის მყავს მონოდებული,
 რომ არვინ დარჩეს ჩვენგანი
 ხალხისგან ბრალდადებული.
 თორემ, ხომ იცით, ქვეყანა
 უბრალოდ დამძრახველია:
 განა გონებით გადასწყვეტს,
 რისიცა არ მნახველია!..
 ეს სთქვა და ტახტზე დაბრძანდა
 მეფურად მეფე სვიანი,
 გვერდით მოუსხდენ მსაჯულად
 მოხუცჭალარათმიანი.
 მერე სხვებიცა ჩამოჰყვეს,
 დასხდენ რიგ-რიგად ყველანი...
 მდივანს მზათა აქვს ქალაღი,
 სანერ-კალამი, მელანი.
 აქ ჩამოვარდა სიჩუმე,
 პასუხს ელიან სარდლისას,
 წრფელ სინიდისის მექონის
 და მასთან სიტყვამართლისას.

III

ახოვანი, მშვენიერი,
 თეთრწვერა და თეთრთმიანი,
 ნინ ნამოდგა სასაუბროდ
 მონინებით ტკბილხმიანი.
 თაყვანი სცა პირველ მეფეს,
 მერე კრებულს ორივე მხრითა,
 გულზედ ჯვარად ხელეებს იჭდობს,
 თავ-დახრილი, ცრემლის ღვრითა.
 წვერ-ულვაშზედ მარგალიტებრ
 ცრემლი ცრემლზედ ეკიდება,

მწარის ოხვრით ვერ იქარვებს,
 გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
 უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
 უმიზეზოდ ის ჩავარდა
 და რომ მასზედ გულს იყრიან
 ისინი, ვინც მას უყვარდა.
 გულნატკენად რომ უყურებს
 სხვებს, თვითონაც გული სწყდება,
 მაგრამ თავის პირადობა
 აღარ ახსოვს – ავიწყდება.
 და საერო ნება-სურვილს
 მორჩილებით აძლევს პასუხს
 და თანდათან მისი სიტყვა
 შეუპოვრად სჭექავს და ჰქუხს:
 „– ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,
 ყოველ მიზეზის მიზეზსო,
 ვიფიცავ საქართველოსა
 და მერე, მეფევ, თქვენს მზესო,
 რომ მართალი ვარ იმაში,
 რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო!
 დაბლა ეს გული მიმოწმებს
 და მაღლა – ღმერთი ზენაო:
 მართალი არის, დღეიდან
 რომ ვსტოვებ სამსახურსაო,
 თუმც გული ჩემი ერთგული
 ძველებურადვე ხურსაო.
 თქვენ რომ გშორდებით, მით ვკარგავ
 ხორციელ ნეტარებასო...
 ვერ ხედავთ გულ დაწყვეტილის
 მოხუცის მდულარებასო?
 მაგრამ მივჰყვები საგანსა
 ან უფრო უდიდესსაო;
 ის მარღვევინებს გაბედვით
 ჩვენს ჩვეულებრივ წესსაო.
 დრომ მოითხოვა ან ჩემგან
 სხვაგვარი სამსახურიო
 და, რომ უარვჰყო, დავრჩები

ძველზედაც უმადურიო...
 ეჰ, მეფევ! ბრალს რათ მადებდი
 მენს ერთგულს, ფეხთა მტვერსაო,
 რომ სამსჯავროში მაგდებდი,
 ვით ორგულს... ქვეყნის მტერსაო?
 იძულებით ვარ ან მთქმელი
 ყოვლისფრის უნაკულოდო,
 რაც გულმა გადამინწყვიტა
 მხოლოდ მე საიდუმლოდო!
 თქვენი ნებაა!.. მონა ვარ
 მე თქვენის სურვილისაო!
 სიტყვაა მხოლოდ წამალი
 გულისთქმის, ურვილისაო!“
 მოხუცმა ამ სიტყვების დროს
 ცრემლები ღვარა მრავალი
 და უნებურად დაიწყო
 თვისი თავგადასავალი:

IV

„მწარ წარსულის მოგონებით
 თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
 რომ მომსწრე ვარ საქართველოს
 შავი დღის და ვარამისა...
 ბევრს თქვენგანს ის არც კი ახსოვს,
 იქნებოდით მაშინ ბალღი,
 მაგრამ მე კი დღესაც გულზედ
 მაშინდელი მაზის დაღი!
 ცამან რისხვით მოგვიქუხა,
 საქართველოს ადგა ბუნდი,
 მონავრულად გვესევოდა
 ყოველის მხრით მტრისა გუნდი.
 მოგვანვენ და მოგვაზვირთდენ
 ერთიანად ჩასანთქელად...
 რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
 ძნელი არის ან სათქმელად.
 ეს პატარა საქართველო
 ჯარასავით დატრიალდა,

გადინერა რა პირჯვარი,
 გაფოლადდა და გასაღდა...
 მოხუცი, თუ ახალგაზდა,
 ერის კაცი, თუ სამღვდელო,
 ყველა ერთ მხრივ მიიწევდა,
 ერთი ჰქონდათ ყველას ლელო!
 სადღა იყო განსხვავება?
 რის ბატონი? ან ვისი ყმა?!
 ყველა ერთად შეკავშირდა,
 ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
 რომ გულწრფელად მოეხადათ
 ქართლის შვილებს მათი ვალი
 და სიკვდილით გამოეხსნათ
 ჩვენი ქვეყნის მომავალი!
 მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
 უმატებდა შვილი ფასსა
 იმითი, რომ ლომკაცურად
 შეებმოდა ერთი ასსა.
 „ჰკრა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
 მოისმოდა მტრის საზარი
 და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
 საორკეცოდ მთა და ბარი.
 სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
 შეიღება წითლად მდელი;
 აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
 ჭირნახული საქართველო!
 განახევრდა ქართველობა...
 მაგრამ მტერს კი სძლიეს მათ ღვთით
 და თამამად დაიძახეს:
 „საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“
 და მართლაც რომ გამოიხსნეს
 განწირული, სულთამბრძოლი
 და გადმოსცეს შვილიშვილთა,
 მარგალიტი, ვით ობოლი!..
 მხედართმთავარუხუცესად
 იყო მაშინ იოანე,
 შემდეგში რომ ბერათ შესდგა,

დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
 სანამ მტერი გარს გვეხვია,
 მძვინვარებდა, ვითა ლომი;
 გოლიათის შებმას ჰგავდა
 მისი ბრძოლა, მისი ომი.
 მტრისა ისრით გამხვრეტელი
 ხმაღს უღენდა, ფარს უხევდა;
 ხშირად მამა-პაპის სისხლზედ
 თავისასაც ზე ანთხევდა...
 ჯოჯოხეთის რისხვა იყო
 მისი რისხვა, მისი ვნება;
 სანამდი კი მტერს ჰხედავდა,
 არ იცოდა მოსვენება.
 მაგრამ, როცა საქართველო
 ნახა გმირმა დამშვიდებით,
 სხვა მაღალ მთას მიაშურა
 გალობით და ღვთის დიდებით.
 მან ფარ-ხმალი აიყარა,
 მოურიდლად თვისის ნებით
 და თავსაც ვერ იმართლებდა
 ის ჩემსავით მხცოვანებით.
 მხოლოდ უთხრა დარაზმულ ჯარს,
 „უქმია ან ფარ-ხმალიო!
 ან სხვა მმართველს სამსახური
 და მიმინევს სხვა ვალიო!“
 დაგვლოცა და მისი ხმალი
 გადამკიდა, მისგან რჩეულს;
 თაყვანი ვეც მორჩილებით,
 როგორც მამას, მეც კურთხეულს.
 მითხრა: „—თორნიკე! ჰა, შენ გქონდეს
 სარდლობა და ჩემი ხმალი;
 ვინძლო ღირსად აასრულო
 მომავალში შენი ვალი!..
 ამ სიტყვებმა მომიმატეს
 მე სიმხნე და ერთგულება,
 გულმა იწყო ფოლადობა
 და სულმაცა ამაღლება!

თუმცა ამგვარ დიდებისა
 უღირსად თავს ვიგულებდი,
 მაგრამ მაინც უნებურად
 დღემდე ჩემს ვალს ვასრულებდი.
 ავით იყო ის, თუ კარგად,
 თქვენს ხელთ არის დაფასება:
 მე არ მფერობს ჩემის თავის
 არც გინება და არც ქება!
 ვიტყვი მხოლოდ: ხმა ისმოდა
 თქვენგან ჩემის პირველობის
 და მე მხოლოდ ვთავკაცობდი,
 შემწირველი დიდ მადლობის.
 მეფისა და სამშობლოს წინ,
 მართალია, მიძღვის ღვაწლი,
 მაგრამ, მეფევ, სხვას დაუთმობ
 ან სამსახურს... სხვას დავაცლი!
 იმიტომ რომ აღარა ვარ,
 რაც ვიყავი ადრე... ძველად:
 ჩემს სისუსტეს გული გრძნობს და
 გონება სწყვეტს უეჭველად!
 მართალია, ეს ჭაღარა
 სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
 მაგრამ ღონის წახმარება
 აღარ ძალუძს მუხლსა და მკლავს!
 ადრინდულად მუხლს არ მერჩის,
 აღარ მიჭრის არცა თვალი...
 და ვით შევსძლო, მაშ, სარდლობა,
 როცა ასტყდეს ბრძოლის ალი?
 ვისაც ჰხედავ აქ – სუყველა
 არის ჩემგან გამოზდილი,
 ათასჯერ და ათასგვარად
 ბრძოლის ველზედ გამოცდილი.
 რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
 და სამხედრო წესი სრული,
 მაგათაც აქვსთ ჩემგანავე
 ახსნილი და განსწავლული.
 ჩემზედ მეტიც შეუძლიათ,

უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი,
 და ჩემსავით სიბერიტა
 არ უმტყუნებსთ ომში თვალი.
 ბევრია, რომ ჩემზე უფრო
 დღეს შეშვენის მას სარდლობა,
 და რათ დახვდეს ღობე ყორედ
 იმათ ჩემი პირველობა?..
 რომ ამხადო პირველობა,
 მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის!
 უმადურად ჩაითვლება.
 გქონდეს რიდი ქვეყნის ენის!
 და, რომ ჩემი წარსულითა
 დღესაც კიდევ ვისარგებლო,
 მოლაღატე შევიქმნები...
 მეძულება მე სამშობლო!..
 აი, მეფევ, თუ რათ ვბედავ
 თქვენს წინაშე დღეს ურჩობას
 და სულ სხვა გზით მიმავალი
 გილოცავ თქვენ გამარჯობას!..
 იოანეს მივამურებ...
 შეუდგები მეც მის კვალსა
 და, თქვენისვე ნება-დართვით,
 სხვას გადავცემ ამ ჩემს ხმალსა!“
 ესა სთქვა და მისი ხმალი
 ორბელიძეს გაუშვირა
 და ამგვარმა მისმა სიტყვამ
 გულში ბევრი აატირა...

V

ხმალზედ უფრო ძლიერად სჭრის
 პატარა და რბილი ენა,
 გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების...
 მისი ტყვეა ხშირად სმენა.
 ხან გონება გამოცდილი
 მას მოიქნევს მრავალ-გვარად,
 ხან, მფარავი ხვაშიადის,
 გული აგებს გრძნობის ფარად.

დროზე უნდა მოხმარება...
 მხმარებელიც გონიერი,
 რომ ხან ნაღვლით გაილესოს,
 ხან ძირტკბილით ენის წვერი...
 თორნიკეც ნაღველ-თაფლად
 გრძნობა გულში ჩაიყენა
 და სიმართლის ხელით მასში
 ამოუნო მისი ენა.
 მით მოხიბლა, როგორც მეფე,
 ისე ყველა მსაჯულიცა
 და იმათის თანხმობითა
 სურვილი მან გაიმტკიცა...
 ჩამობრძანდა მეფე ტახტით,
 ველარაფრის ვერა მთქმელი,
 მივიდა და მოხუცებულს
 გადახვია ძმურად ხელი.
 უთხრა: „თორნიკ! როგორც მეფემ,
 მოგისმინე საუბარი.
 თანახმა ვარ, და ან გეტყვი...
 როგორც ძმა და მეგობარი,
 რომ ჯერ კიდევ ქვეყნისათვის
 საჭირო ხარ... დიდი მარგი, –
 და უდროვოდ აგიღია
 საიმქვეყნო საგზალ-ბარგი.
 უცხო მხარეს გადაკარგვა,
 ვფიცავ, შენი მიმძიმდება!
 ნუ თუ ჩვენი ქვეყნის ტაძრებს
 არ აქვს იგივე ძალ-დიდება?“
 მოახსენა: „-ვიცი, მაგრამ,
 ქართლშივე რომ მიგულებენ,
 ჩემი გაზრდილ-ერთგულები,
 რომ არ მნახონ, ვერ გასძლებენ,
 მეცა გული არ გამიძლებს,
მაგრამ მე სულ სხვაგვარად
დავიმონებ ერსაო,
დაუდებ გამოცანას
მის ქკუის საფერსაო.

გაზდილი მყავს, თქვენც იცით,
საოცარი გველიო,
არვინ არის გარეშე
იმისი მნახველიო.

შემოვახვევ სამსხვერპლოს
ცხოველთ მყლაპავ ბუასო
და ურჩს ჩვენის ნებისას
ის ასწავლის ქკუასო.

მის უცნაურ გაჩენას
ღმერთებს დავაბრალებო
შვილებს მსხვერპლად მოვითხოვ,
მშობლებს გავამწარებო.

და როცა სინანულში
ჩავარდება ერიო,
მხოლოდ მაშინ გაქრება
გველიც მათი მტერიო“.

ის სიტყვები მალამოთ
გულში მოხვდათ ცბიერებს,
შვებით აცმაცურებდენ
ულვაშებსა და წვერებს.

მადლს და ქებას უძღვნიდენ
მოხერხებულ უფროს ძმას
და ეძლეოდენ ისევ
უზომო ჭამას და სმას.

II

ახალგაზდა მზეჭაბუკი
შვენებაა ამ სოფლისა,
უფლის წული, დედის ერთა
ჩვენი სამცხის დედოფლისა.

დედის ძუძუთ გაზდილია;
ნანატრივით ბედნიერი!..
თავს ევლება დედოფალი
და შეხარის მთელი ერი.

მათ სამთავროს სვე და ბედი
იმის კალთა უბეშია!
დიდისა და პატარასთვის
თანასწორი ნუგეშია!..

ყველა უყვარს!.. ყველას უყვარს,
საზოგადო მოსიამე,
ლხინი არის სასახლეში
გაუსხლეტლათ დღე და ღამე.

მაგრამ დღეს კი უჩვეულო
სხვა რაღაცა ანბავია:
აღარც როკვა, არც ღრეობა,
აღარც ტკბილ-ხმა საკრავია.

იმათ ნაცვლად გამოისმის
გოდება და მოთქმა ზარი!
ოდას მეხი დასცემია,
დამქცევი და შემეზარი.

სასახლის წინ დედა წულით
მოუყრია თავი ერსა;
ჩამონყვეტილ გულსაკინძით
იგლეჯს თმას და უღვაშ-წვერსა.

გლოვის ნიშნად გულსაზაროთ
აძახებენ საყვირ-ბუკსა
და ტირილით უკივიან,
ეძახიან მზეჭაბუკსა.

მაგრამ მათი ეს გოდება
აღარ ესმის უფლის წულსა,
უძრავად და უსულდგმულოდ,
შავ კუბოში ჩადებულსა.

თავს ადგია დედა მისი,
გულღია და თმაგაშლილი;
ჯერ კიდევ არ ემეტება
სასიკვდილოდ მისი შვილი.

ხან ეხვევა, ხან აკოცებს,
სათუთ სიტყვებს ეუბნება,
თვითქოს უნდა ხელმეორედ
მისი სულის ჩაბრუნება.

ეუბნება: „შვილო! შვილო!
ნუ ეძლევი ხანგრძლივ ძილსო!
შენებურათ გაუცინე
დედას შენზედ დაღრეჯილსო!

შენს ერთგულებს ხმა გაეცი,
უაღერსე ჩვეულადო!..
გმართებს მათი მასპინძლობა!..
თავს გადგინ წვეულადო!..

მზეჭაბუკის გახარებამ,
არ შეგშვენივს ეგ ყოფაო!
რაც იხუმრე, კმარა, შვილო,
დედას ისიც ეყოფაო!“

ნაღვლიანი დედის სიტყვა
გულსაკლავად ესმის კრებულს,
მაგრამ რა ქნან, ვერ შველიან
ჭირისუფალს გამწარებულს.

მაშინ წარსდგა დედოფლის წინ
ქვრივი ვინმე კადნიერი
და უანბო ისეთი რამ,
რომ გაკვირდა მთელი ერი:

დედოფალო! ჩემს სახლში სდგას
ერთი ვინმე უცხო ტომი,
კაცის შვილის მოყვარული,
ყველასათვის კარგის მდომი.

ღმერთად ანბობს ვიღაც ქრისტეს.
აღიარებს მხოლოდ ერთსა
და იმის მეტს სულ არად ხდის
ქვეყნიერად არც ერთ ღმერთსა.

თანვე დააქვს ფიცარი რამ,
ქალია ზედ დახატული.
თვით ყოფილა მისი შვილი
მონაფე და მოციქული.

ანბობს: „მის ღმერთს ვინც იწამებს,
მალლით ნათელს მოაფენსო;
საუკუნო უკვდავებას
მისცემს, მკვდრეთით აღადგენსო!“

გაცოცხლება მკვდრების ეგებ
მონაფემაც კი იცოდეს.
მიბრძანეთ და მე მოვიყვან,
თუ გასურსთ, რომ ის აქ მოვიდეს“.

კაცის თავზედ თუ სტრიალებს
უკუღმართი ბედის წერა,
გინდ საეჭვოც რამე უთხრან,
სანუგეშოთ მაინც სჯერა.

ქვრივის სიტყვა იმ კრებაში
არავინ არ დაიჯერა,
მაგრამ დედას კი იმედმა
გული ტკბილათ აუძგერა,

და მკურნალის მოსაყვანად
მოციქულებს ატანს თან ქვრივს,
აბარებს რა მასთან სიტყვებს
შესაბრაღსა და დედობრივს.

III

სდგას დედოფალი სარკმელთან მუნჯად
და სულს უგუბებს მას ჭმუნვის ალი,
რეტდასხმულივით გამოშტერებულს,
გზისკენ უჭირავს მღელვარეს თვალი.

დარბაისელიც, მის შემხედავი,
თანგრძნობის ნიშნად სდგანან მდუმარე
და მოხუც დედებს, გულმობიერებს
ცრემლები სცვივათ ღვარად მდულარე.

კეკლუც-ქალებიც მკურნალს უცდიან,
თუმც არ ელიან მის სასწაულებს,
და მარტო მხოლოდ უცხო ტომობა,
ცნობისმოყვარეთ უღელავს გულებს.

გარედამ რაღაც უჩვეულო ხმის
ხრიალი ისმის, იღება კარი
და ულოდნელად მისის დამქაშით
სახლში შემოდის ქურუმთ-მთავარი,

ოქრო ქსოვილით ტანშებურვილი
ეუვნებს სხვადასხვა ხმით აჟღერიალებს
და უეცრობით შემკრთალსა კრებულს
ის უბრიალებს მრისხანედ თვალებს.

ანბობს: „უგნურნო და უმეცარნო!
როგორ ივინყებთ დიდებულ ღმერთებს?
განა არ იცით, რომ მათი რისხვა,
მაგ კერძო სასჯელს თქვენც გაგიერთებს?“

ჩვენს მარხვა-ლოცვას უნდა მადლობდეთ,
რომ გიგზავნიან მხოლოდ იმ ერთ გველს
და არა მრავალს, რომ შემოარტყან
თქვენ ჩასანთქელად, ირგვლივ მთელ სოფელს.

როგორ გაივლეთ ან გუნებაში,
რომ ჩვენს ღმერთებზედ აილოთ ხელი
და მათ სანაცვლოდ ღმერთად იწამოთ,
ტანჯული, ვიღაც ნაზარეველი?

თვით სხვებისგან მკვდარს და მის მონაფეს
სხვისი საშველი ვინ მისცათ ძალა?
აბა მოვიდეს და გამოცხადდეს
ვიღაცა არის ის მანანწალა!...”

თვითქოს უსულოდ რაღაცა ძალამ
ამ დროს კარები შემომამგვრია
და გამოცხადდა საყოველთაოდ
იქ მოციქული წმინდა ანდრია.

ღარიბ სამოსლით მგზავრად ჩაცმული,
არ ბრწყინავს ძვირფას სამკაულებით:
ხელში უპყრია ხატი ღვთის მშობლის,
თავქუდმოხდილსა, ფეხზედ ქალმებით.

მშვენიერისა სახის სიმშვიდე,
ციურის ძალის გამომეტყველი
და მის თვალების სიბრძნისა სიღრმე,
სარწმუნებელი და უეჭველი.

მჭვრეტელს ხიბლავენ უნებლიეთად
უცნაურისა რაღაც ძალითა
და სოფლის ღელვით, ურვილსა სულსა
ანუგეშებენ მომავალითა,

შეერთა ქურუმი და ახალ მოსულს
ვერ გაუმართა კრებულმა თვალი;
გაკვირდა ერი და იმავე დროს
მის წინ დაემხო თვით დედოფალი.

და შეევედრა: „გეტყობა რომ ხარ
ამ ქვეყნიურად დიდი მკურნალი
და გამიცოცხლე ეს მკვდარი! მაზე
გამოიჩინე ეგ შენი ძალი.“

და სასყიდელსა რასაც კი მომთხოვ,
შესაძლებელსა ამა სოფლიურს
მეც აგისრულებ სიამოვნებით,
ამაზედ სიტყვას გაძლევე დედოფლურს!“

„საბრალო დედავ! სთქვა მოციქულმა –
მე, ჩემდა თავად, არა მაქვს ძალი
და ქვეყნიურად იმას ვასრულებ,
რასაც მიბრძანებს მაღლით უფალი.“

ის, რომელმაც სთქვა: „თუ უეჭველი
კაცსა გულში აქვს სასოებაო,
მაშინ იმისის სიტყვა სურვილით
მაღალი მთებიც აიძრებაო!“

აი ეს არის იმისი დედა,
წმინდა მარიამ ქალწულ-მშობელი
და ვინც იწამებს იმის ძეს ღმერთად,
მისი ძლიერი შუამდგომელი“.

გადიხარხარა ქურუმთავარმა
და დაიძახა: „თქვენი მკურნალი,
როგორც ეტყობა ლაპარაკიდან,
ან გიჟი არის და ანუ მთვრალი:

თვარა ამ სიტყვებს განა იტყოდა
ადამიანი გონება მრთელი?
ყურს როგორ უგდებთ? არ გეკადრებათ!...
გააგდეთ კარში ვიღაც სულელი!...“

ესთქვათ, რომ დედოფალს უბედურებამ
ნალვლით და შხამით მოურწყო ვნება
და შეურყია მცირე რამ ხნობით
საქვემდებარო ჭკუა-გონება,

მაგრამ თქვენ მაინც დარბაისლებო,
როგორ იწამეთ გლახის სიტყვები
და საორგულო ჩვენის ღმერთების
ასმინეთ ყურთა საზარი ხმები,

მისი ვინც ისე შეუპოვრობით
არაფრად აგდებს ჩვენს ძლიერ ღმერთებს
და მათ სანაცვლოდ გვპირდება იმ ღმერთს
რომელიც ვითომ, მთებს ათამაშებს.

ხა! ხა! ხა! ხა! ხა!.. თუ სხვებს აცოცხლებს,
თვითონ რად მოკვდა სხვისგან ტანჯული?
და ან ღარიბად ასე რად დადის
მისი მოწაფე და მოციქული?“

სთქვა მოციქულმა: „ვინცა შენსავით
გადაყოლია უკუღმართ ვნებას,
ის ვერცა გრძნობით და ვერც გონებით
ველარ მისწვდება ღვთიურ გონებას,

ძე ღმრთისა, ქვეყნად მოვლინებული,
ჩემი მოძღვარი, ნაზარეველი
სამსხვერპლოდ მთელის კაცობრიობის,
თვისის უმანკო სისხლის მთხეველი,

წმინდა საკურთხად წინა განძრახვით
მისათვის იყო ის მოვლენილი,
რომთვის სიკვდილით მას დაეთრგუნვა
სამარადისოდ ჩვენი სიკვდილი!

ამაღლდა ზეცად და მოწაფეთა
სამოციქულო გადმოგვცა მცნება,
რომლის ძალითაც კერპთმსახურება
ისე გაქრება, ვითა ოცნება“.

საღმრთო გაბრძნობით მოსაუბრესა,
შესჩერებიან გაკვირვებული:
თუმცა გონება მათი ვერა სჭრის
მაგრამ სიმართლეს გრძნობს მაინც გული.

და დედოფალიც წმინდა მოციქულს
შეჰვედრის მაღლა ხელაპყრობილი
და ეუბნება: „ვინამებ შენ ღმერთს
თუ გაცოცხლდება ეს ჩემი შვილი!“

„ჩვენც თანახმა ვართ! კარგი სიტყვაა!
– დაცინვით ანბობს ქურუმთ-მთავარი –

„აჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!...
ჰე მაგის ძალა და აჰა მკვდარი!

თუ გაცოცხლებს, მაშინ ვინამებთ
და აღვიარებთ იმ ნაზარეველს,
და თუ ვერა და, მაშინ ეგ თვითონ
უნდა მიეცეს მსხვერპლად ბუა-გველს!“

„– მამ გამეცალეთ! სთქვა მოციქულმა –
ნულა დარჩებით აქ ნურცა ერთი!..
დედაც გავიდეს!... მარტო დაფრჩები
და მომიმართავს ხელს ჩემი ღმერთი!“

გადის კრებული და მკვდართან მარტო
რჩება ანდრია, აღელვებული;
რალაც უცნაურ და უჩვეულო
სასოებითა ევსება გული.

იმჭვალვის მისი მთელი არსება
ციურის ძალით, სახე მღელვარებს
და თვალებს რალაც ღვთიურის ცეცხლით
შთაგონებულად ის აელვარებს.

ასვენებს ხატს და მის წინ მუხლმოყრით,
გულში მძრახველი, სდგას ის მღუმარე.
და სპეტაკ წვერებს ვით აიაზმა,
ზე ესხურება ცრემლი მღულარე.

თვალწინ ეხატვის დიდი მოძღვარი,
სოფლიდან სოფლად სიმდაბლით მსვლელი
და ხშირად წიაღ იორდანისა
უკვდავებისა მქადაგებელი.

იგონებს: ქვეყნად მის მოვლინებას
ხორციელ ვნებას, ზე ამაღლებას
და შემდეგ მისთა მოციქულთადმი
მინიჭებულსა მაღალ უფლებას.

მით ალი საღმრთო ძლიერებისა
სრულად უკარგავს ხორციელ ეჭვებს;
შუამდგომლობას სთხოვს ყოვლად წმინდას
და სასწაულსაც მისგან სასოებს.

მიდის ცხედართან და ღვთის მშობლის ხატს
ათრთოლებული ადებს სახეზე;
ხელს ჰკიდებს მკვდარს და თანავე სცდილობს,
წამოაყენოს როგორმე ზეზე.

და აჰა!... ჰოი, საკვირველებავ!
მკვდარი ინძრევა, თვალებსაც ახელს
და ჯერ – უფერულ შემკრთალ სახეზედ
გამოსარკვევად ნელა ისვამს ხელს.

ერთი შეკრთომა შეკრთა ანდრია,
მაგრამ მოეგო ისევ გონებას
და მადლს სწირავდა მისის მაცხოვრის
მიუწთომელსა მაღალსა ნებას.

წამოჯდა მკვდარი, მიმოიხედა
და სთქვა: „რა ტკბილი იყო ეს ძილი,
შენ ვინ ხარ, რომ აქ თავზედ მადგეხარ?
არ უნდა იყო ამ ქვეყნის შვილი?“

„დიახ, მგზავრად ვარ თქვენში მოსული
უცხო ტომის და უცხო ქვეყნელი;
იქედამა ვარ, სადაც ჯვარს აცვეს
ღმერთი იესო ნაზარეველი.“

ის იყო ჩემი დიდი მოძღვარი
მე მის მოწაფე და მოციქული
და აღდგინება შენებრივ მკვდართა
მისგან მაღლით მაქვს მონიჭებული“.

„როგორ თუ „მკვდართა“, განა მე ვიყავ
მკვდარი და შენ კი მე აღმადგინე!...“

არა, მე მახსოვს, რომ ერთხელ უცბად
გრძნობა დავჰკარგე და დავიძინე“.

„კიდევ ეგ არის კაცის სიკვდილი,
მაგით თავდება ჩვენი სოფელი
და თუ შენ ღმერთი არ შეგნეოდა
დღეს მოგელოდა საფლავი ბნელი.“

აი ეს არის დღეს შენი მხსნელი
მის ძის წინაშე შუამდგომელი.
დედაა ღვთისა და ამის ძეა
ძე ღვთისა ქრისტე ნაზარეველი.

თვით დედოფალმა ის აღიარა;
სამარადისოდ იწამა ღმერთად
და მანაც მკვდრეთით შენ აღგადგინა
მის ძლიერების ერთ მაგალითად.

ინამე შენცა და მოგენიჭოს
ამიერიდამ მადლი უფლისა:
იქ ნეტარება სამარადისო
და სიხარული ამა სოფლისა“.

ესმის სიტყვები, თუმცა ჯერ კიდევ
ვერ არკვევს აზრებს უფლისა ნული,
მაგრამ რალაცა მას უჩვეულო
სიტყვობებითა ევსება გული.

და ნიშნად მეტის ნეტარებისა
ცრემლებს ღვრის გრძნობით, ველარ იღებს ხმას
და მოციქულსა ასე შეყურებს,
როგორც დამხსნელს და საკუთარ მამას.

ხმაურობაა, გარეთ ჰყვირიან:
„რალას გვიანობს მოციქულიო!
დრო არის ახლა, რომ დაგვანახვოს
თუ შეუძლია სასწაულიო“.

მაშინ გავიდა მათთან ანდრია
და გაიყვანა თან უფლის წული:
შეშინდა ერი, და ძირს დაემხო
თაყვანის ცემით, ზარდაცემული.

შეჰკივლა დედამ და მიაშურა,
გულში ჩაიკრა გიჟურად შვილი
და მომეტებულ სიხარულითა
გულმოსაოხი იწყო ტირილი.

ქურუმთ-მთავრმა, რა დაინახა
ძირს დამხობილი შემკრთალი ერი,
რომ თავის თავი გადაერჩინა,
ძირს ემხობოდა თვითონც, ცბიერი.

დედებმაც ერთხმად დასძახეს გრძნობით:
„კურთხეულ იყოს წმინდა ანდრია!..
და ის ძლიერი მისი მოძღვარი,
რომელსაც სისხლი ჩვენთვის უღვრია!

ღმერთი ის არის, რომელიც ქვეყნად
ამგვარად აჩენს დიდ სასწაულებს
და არა ისა, რომელიც ჩვენგან
მსხვერპლად თხოვილობს უმანკო შვილებს!..“

დედაკაცების ამგვარ სიტყვებმა
მამაკაცებიც მოიყვანეს გონს;
დაიგრიალა ერთ პირად ერმა
და მიაშურა კერპების ზომონს.

უარჰყო მან ის, რაც წინათ სწამდა,
უშიშრად, მედგრად შელენა კარი
და სადაც ძველი კერპები იდგენ,
იქვე ამართა მან წმინდა ჯვარი.

[1883 წ.]

კულა გლდანელი
და ნესტოზი ესებუა

მესტვირული

ამბობენ: კულა გლდანელი
გათქმული ფალავანია,
მან საჭიდაო გამართა,
მოავლო გალავანია.
რკინის კარები აუბა
ზედ მიაგორა ქვანია,
მუქთათ არავის შეუშვებს
არცა ვინ შეუყვანია.

იძახის: მოჭიდავე ვარ,
საქვეყნოდ გამოსულიო,
მოვიდეს შესამონმებლად
ვისაც კი ერჩის გულიო,
მაცურებლებიც მობძანდენ,
წარმომიდგინონ ფულიო,
თუ არა მუქთს და ნისიას
არ მიწერს ჩემი რჯულიო;

ეს სოფლელებმა შეიტყეს
სთქვეს: როგორ შეიძლებაო,
მამაპაპური გასტეხა
ნესი და ჩვეულებაო,
დუქანზედ რომ ცვლის მოედანს,
ვინ მისცა ამის ნებაო,
წვერ-ულვაშს ჰყიდის ვაჟკაცი
და არც კი ერცხვინებაო.

მაგრამ გდანელი რას დასდევს
იღებს და იღებს ქირასა,

საჭიდავოზედ ნავარდობს,
ვეფხვივით ყოველ კვირასა,
ზოგს სალმით აკოტრიალებს
ზოგიც გადაყავს ყირასა,
ვერ მოინახა თანსწორი
ამ ქართლ-კახეთის პირასა.

ეს იმერლებმა შეიტყვეს,
შუბლში იტკვლიცეს ხელია,
ნუთუ ქართლსა და კახეთსა
ვაჟკაცი შემოელია,
აქ რალაც ცბიერობაა
უთუოდ საეჭველია,
უნდა უშველოთ როგორმე
თუ სადმე მისაშველია.

როგორ თუ მთელი ქვეყანა;
მან ასე აიბუაო?
მოდო გავგზავნოთ აქედან
მეგრელი ესებუაო,
ასე დაბლაგვოს ღვთის მადლმა
როგორც რომ დანის ყუაო,
მაშინ იტლინკოს გლდანელმა
მერე ისწავლოს ჭკუაო.

მიიხმეს უთხრეს მეგრელსა
ვაჟკაცობის გაქვს ნიჭიო,
ნუ გეშორება კორტოხი
წადი გადადგი ბიჯიო.
სირცხვილს ნუ გვაჭმევ, გალახე
ი თავგასული ბიჭიო,
იმის მომხრეს და დამქაშებს
აუკარ კბილის კრიჭიო.

მაშინ წამოდგა ნესტორა,
სიმდაბლით მოუბარია,

უფროსები ხართ და ჩემგან
არ გეკადრებათ ვარია;
თუ გავიმარჯვე აქავე
ჩამოვალ მომცინარია
თუ ვერა, კომბალს ავიღებ
და წავალ, სადაც ცხვარია.

გზა დაულოცეს წავიდა
მიდის და მიუხარია
ნავარდით გადაიარა
მინდვრები მთა და ბარია,
კორტოხი გადაირბინა,
თითქო გრიგალი ქარია,
ქალაქს ჩავიდა, უცხოობს,
იქ არ ჰყავს მეგობარია.

მზე შუბის ტარზე დასულა,
დასავლეთს მიენურება,
ამდენი ჯარი სად მიდის
ნეტა რას მიეშურება.
საჭიდაოზე მიდიან,
სეირის უნდათ ყურება
ვინც ვერ მოასწრებს, იცოდეთ,
რომ მის ბედს დაემდურება.

გლდანელის საპირდაპიროდ
აქ ვილაც გამოსულაო,
მაგრამ ყურებსაც არ იბერტყს
ჩვენი ნაქები კულაო.
ამბობს: ამისი ტოლები
აქ ბევრი გალახულაო,
და ესეც ისე გავპენტო
როგორც რომ ბამბის ქულაო.

მეგრელსაც უთქვამს: მობრძანდი,
ჰა, ესეც მოედანიო,

ვაჟკაცს არ შვენის ტრაბახი
და მეტი სიტყვის თქმანიო,
ეგ დიაცების საქმეა
სუსტ გულის მოსაფხანო,
ან ჩემიც ნახე ბიჭობა
დაგეძებ დიდი ხანიო.

გამოდის კულა გლდანელი
მხარბეჭა, ტანშიშველია,
ჯეირანივით ნავარდობს
მალლა ხტის, როგორც შველია
ტანზედაც ერბო ნაუსვამს,
რომ ვერ მოავლონ ხელია,
გარს ახვევია ამქრები
სუყველა მისი მშველია.

მეორე მხრიდან მეგრელი
გამოძვრა როგორც ტურაო,
რომ დაინახა გლდანელი
ლომივით მიაშურაო,
მკლავებში ხელი მოავლო
და ერბომ აიცურაო,
კინალამ უცბად გაფუჭდა
და ბედი მოიმდურაო.

განზედ გაუხტა მატყუარს
სისწრაფით მოიშორაო,
ანბობს: ხელს ველარსად ვკიდებ,
რა ცუდათ მომალორაო,
მივარდა გულში ხელი ჰკრა
ბურთივით გააგორაო,
ვეფხვივით ზურგზედ დაახტა,
დათვივით მოიტორაო.

ქვემ დევს, ფართხალობს გლდანელი
სცდილობს ზე ნამოდგომასა,
ზეიდან მტკავლავს ნესტორა
თითქოს იღებდეს ზომასა,
თან ეუბნება დაცინვით:
კულა ნულარ სწევ შრომასა
უფთხილდი, თან არ გადაჰყვე
შიშსა და გულის წყრომასა.

ფეხებში ხელი მოჰკიდა,
თავდაღმა დააყირო,
საცეცხურივით დაკმევა
ოთხკუთხივ დაუპირო,
იმისი მაყურებლები
სუყველა გააკვირო,
კულა გლდანელის მომხრებიც
უნყალოდ აატირო.

ისე გაფუჭდა გლდანელი,
განთქმული მოჭიდავეო,
თურმე იძახის ტირილით:
გავბრიყვდი დავაშავეო,
რომ ჩემი დიდი სახელი,
უბრალოთ გავათავეო,
მაგრამ ნუგეშათ ეს მრჩება,
რომ ხალხი გავატყავეო.

[1888 წ.]

კუკლას ნაამბობი

ასის წლის მეტის ვიქნები, –
ასე დაიწყო კიკოლამ, –
გამომწვა, გამომაბრძმედა
ამ წუთისოფლის მიყოლამ.

მადლი ჩემს გამჩენს, ჯერ კიდევ
არ დამკლებია ძალ-ლონე.
ვარ ბევრი რამის მნახველი
და უფრო მეტის გამგონე.

ხსოვნა ისევე სრული მაქვს,
არ დამკლებია გონია:
თვალ წინ მიდგია, რაც ვნახე
და ან რაც გამიგონია.

ძველი და ახლის მოწამე
სხვა ჩემისთანა ძვირია! –
მე გეტყვი და შენ დამღერე...
შუამავალი სტვირია!...

ბევრი მინახავს დიდკაცი
მაგრამ ზურაბი¹ სხვა იყო!
იმისი ყოფა ცხოვრება
დაუღეველი ზღვა იყო!

იმისი ციხე დარბაზი
ცას თავით ებჯინებოდა;
მისი მტერი და ორგული
შიშით ცოცხლადვე დნებოდა.

¹ ზურაბ წერეთელი.

შორს გამჭვრეტელი, ჭკვიანი,
ცხრა მთას გადაღმა ხედავდა;
ხელში ეჭირა თვით მეფე –
უმისოდ ვერას ბედავდა.

ასე ბრძანებდა: „ხომ ხედავთ
ამ ჩემს მარჯვენა ხელსაო?
მთელს იმერეთში არ გავცვლი
სახლთხუცესს – წერეთელსაო!!“

ამის მტერი და ორგული
მოლაღატეა ჩემიო!..
უსიტყვოდ დაემორჩილოს
ამ ჩვენი ქვეყნის თემიო!“

სუყველა ამას ფიქრობდა:
„მოგვიჯადოვა მეფეო...
ვაითუ ბოლოს გასწიროს
სიკეთე მოიფეო!“

ფიქრობდენ, მაგრამ ხმამაღლა
ვინ გაბედავდა ძრახვასა?
უხმოდ იკლავდენ გულის თქმას,
შიშობდენ რისხვის ნახვასა!

მე და ჩემი ძმა – ორივე,
შინა ყმად ვახლდით ძლიერსა;
ვერვინ გვნახავდა მის ხელში
შიშველს, მწყურვალს და მშიერსა.

მრისხანე იყო – ხანდახან
სულ უბრალოზე სწყრებოდა,
მაგრამ სხვებს მაინც ის ჩვენი
შავბედი ენატრებოდა,

რადგან მის საყმოს ვაგლახად
ვერავინ რასმე ჰკადრებდა:

ზვიადი იყო ბატონი –
სხვებს თავს არ გაუყადრებდა!

მთელს მის საყმოში ჩვენ ვყავდით,
ორივე ძმები, რჩეულად,
არ გვიშორებდა არც ერთ წამს,
ყველგან თან ვახლდით ჩვეულად.

ჰბრძანებდა: „ბერიკს, მამა თქვენს,
მიუძღვის სამსახურიო...
იმას მიჰბაძეთ! გეჭიროსთ
ფრთხილად თვალი და ყურიო!“

ხომ იცით, ერთგულს არ ვერჩი,
არ გავახარებ ორგულსო!..
მონა ურჩი და მზაკვარი
თვით მეუფესაც კი სძულსო!“

ჩვენ რა გვეთქმოდა? და მხოლოდ
თაყვანსა ვცემდით მონებით,
თავდადებული იმისთვის
სიცოცხლით, გრძნობით, გონებით.

II

ერთხელ დავარდა ჩვენში ხმა:
ქართლს მოსდგომია ჭირო,
ასაკლებ-ასაოხრებლად
შეუკრავთ თათრებს პირო;

ალა-მაჰმად-ხან მოუძღვისთ,
თეჰერნით წამოსულიო,
ქალაქს უპირებს აღებას
ის ხოჯა გულმოსულიო!

განრისხდა მეფე ირაკლი –
გალომებული, ხელია...
სთქვა: „ვაი, რა დროს მომასწრეს,
ლონე რომ შემომეღია!!“

სიბერემ დამაუძღურა,
დამიუძღურდა ერიო,
თორემ ამ თავის აგდებას
ვერ გაბედავდა მტერიო.

ათ-ათი მოჰყავს თითოზე,
სჩანს, იმედი აქვს რიცხვისო,
მაგრამ ქართველი ვაგლახად
არვისგან გაიკიცხვისო:

ან მოჰკლავს, ან შეაკვდება,
სირცხვილს კი არ სჭამს გმირიო,
მაგრამ განყდება ქვეყანა
და ამას უფრო ვსტირიო!..“

წადგა სოლომონ¹ მდივანი,
სთქვა: „სიტყვას გკადრებთ ერთსაო:
გარდუვალთ ჩვენს თავზედ
ის, რაც სურს მალალ ღმერთსაო!

წინ ნუ შევხვდებით მომსვლელ მტერს,
აქ შევაგროვოთ ჯარიო;
ტფილისს ქალაქში გავმაგრდეთ,
დავჰკეტოთ ციხის კარიო.

შევატყობინოთ სოლომონს,²
რომ მოგვაშველოს ჯარიო,
და მაშინ ამოვიყაროთ
ყიზილბაშების ჯავრიო!“

დაუჯდა რჩევა ირაკლის
და მდივანს მადლი უბრძანა.
საჩქაროდ წიგნი დასწერა,
შვილიშვილს გამოუგზავნა.

III

მოეწერა: „მეფობით ძმავე,
სისხლით ჩემო შვილის-შვილო,
მაგრამ შვილის თანასწორო,
საიმედოვ, ნუგეშ-ტკბილო!

ღმერთმა ის დღე შენს მტერს მისცეს,
რაც დღე ადგეს პაპა-შენსა:
აოხრებას უპირებენ
მის ნაღვანს და მის ნაშენსა!

თეირანით წამოსულა
ხოჯა ხანი, ის ღვთის მტერი,
და უნდა რომ ჩვენს ქვეყანას
აადინოს რისხვით მტვერი;

ჯარი მოჰყავს უთვალავი,
მე არ მყავს არც მეთათედი! –
სიბერის დროს ღმერთს შევძულდი
და მლალატობს, ვხედავ, ბედი.

ვფიცავ ზენას, უბრალო ვარ!..
შინ საქმე მაქვს არეული!..
ყველა ერთად ამტეხია –
შინ მყოფი და გარეული.

ოხვრით ვხედავ უფლის ნულებს,
რომ ერთმანეთს ჰგლეჯენ კალთას;
სხვადასხვა მხრით მიიწევენ,
ზოგი „აღლთას“, ზოგი „ბაღლთას!..“

ანდერძი და ჩემი აღთქმა
გამიცუდდა, გამიქარწყლდა:
დაბალ ღობედ მივანწივართ –
უძღურიც კი გამიძალდა!..

¹ სოლომონ ლეონიძე.

² იმერეთის მეფეს

შინ ბევრი მყავს მოლაღატე,
გარეთ – მტერი უთვალავი!..
რას გაანყობს მარტო ჩემი
ფარ-ხმალი და გულ-მკერდ-მკლავი?!

მას შემდეგ, რაც საქართველო
ორ ნაწილად გაყოფილა,
მშვიდობა და მოსვენება
ალარც ერთში არ ყოფილა.

გვაგინყდება, რომ ძმები ვართ,
ერთმანეთის განაყარი;
ერთის სისხლით მორწყული გვაქვს
მინდორი, ტყე, მთა და ბარი.

ერთის დედის ძუძუები
არის ამერ-იმერეთი!..
ჩვენ ძმები ვართ, ტყუპის ცალი,
საქართველო – დედა ერთი!..

ცალი ძუძუ რომ ჩამოსჭრან
და შიმშილმა მოჰკლას ერთი,
ცალ ძუძუს და მეორე ძმას
რალა შვებას მისცემს ღმერთი?

მოდი, შვილო, მომესწრაფე.
იმერლები მომახმარე!!
ერობა და ქრისტეს სჯული
ორივ მხარეს გაამყარე!“

IV

რომ წაიკითხა მეფემ ეს წიგნი,
ელდა ეცა და ჩავარდა ენა;
სიმწრით თვალეზე ცრემლი მოადგა
და სახეზედაც დაეტყო წყენა.

გონს რომ მოეგო, გააგდო წიგნი
და კარისკაცებს ასე უბძანა:
„ნეტავი ეს-კი არ გამეგონა
და დამცემოდა ზედ გულზე დანა!..“

ეს რა მოსვლია მეფე ირაკლის!
ამ სიბერის დროს რისხვა სწვევია:
ალა-მაჰმად-ხან ყიზილბაშებით
ასაოხრებლად შემოსევია!..

ის წყეულები მოულოდნელად
თავს დასცემიან, როგორც კალია...
დახმარებას გვთხოვს მეფე ირაკლი
და შემწეობაც ჩვენი ვალია.

უნდა შეჰყვაროთ საჩქაროთ ჯარი,
რომ მივაშველოთ!.. თქმა აღარ უნდა!..
და ჩვენებურად, მამაპაპურად,
მტერს მივაყაროთ ჩვენც ქვა და გუნდა!

ყველა დასთანხმდა... სახლთხუცესი კი
წამოდგა ზეზე და მოახსენა:
„ბატონო მეფე! ერთ სიტყვას გკადრებთ
და მერმე გინდა მომჭერთ ენა:

„გული მეფეთა – ხელთა უფლისა“, –
საყოველთაო არს აღსარება, –
მაგრამ ხელმწიფეს მაინც არ ჰმართებს
გულის აყოლა და აჩქარება.

სიფრთხილე ჰმართებს მომეტებული,
რადგანაც სხვების ბედსაც განაგებს;
მის ხელში არის მთელი სამეფო
და მის მაგიერ პასუხსაც აგებს.

ნუ მოუშალოს ღმერთმა ირაკლის
თქვენი ნუგეში და ეგ იმედი!..
მაგრამ, ვაითუ მაგ კეთილობით
აქ გაუმრუდოთ იმერეთს ბედი:

ეს ყველამ ვიცით, თათრის ყენი,
ძლევა-მოსილი, თავმომწონია,
მაგრამ ჯერ თვალით კი არ გვინახავს
და მხოლოდ ამბათ გაგვიგონია.

სპარსელებისგან ქართლსა და კახეთს
ბევრჯელ დაეცა ზარი და მეხი,
მაგრამ, მადლი ღმერთს, იმერეთისკენ
არ გადმოუდგავთ ჯერ იმათ ფეხი.

შაჰ-აბაზის დროს კახეთის მეფე
ჩვენში ეძებდა თავის შესაფარს...
ყენი მხოლოდ მუქარას სთვლიდა
და ვერ ჰგზავნიდა ჩვენსკენ თავის ჯარს,

რადგანც ერთხელვე გამოუხატავთ
ჩვენი ქვეყანა საშიშარ მხარედ,
მაგრამ დაზოგვით კი არ დაგვზოგვენ,
თუ დაგვიხელთეს მათ სადმე გარედ.

ჯარი ცოტა ჰყავს მეფე ირაკლის...
დაამარცხებენ, უეჭველია.
და იმერლებიც რომ იქ გასწყვიტონ...
ეს რა ჭკუა და საქციელია!

რომ წამოვიდენ მერე ჩვენსკენაც
და მოინდომონ ჩვენი დაპყრობა,
ვინლა დახვდება მოპირდაპირედ
და რაღას გვარგებს სხვისი მოყვრობა?

არა, მეფეო! ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ,
ისინი მათთვის, ასე სჯობია!..
რათ დავინწყლოთ სხვისათვის გული,
როცა ისარი ჩვენ არ გვსობია!“

დაფიქრდა მეფე... დაღონებულმა
აღარ იცოდა, რა უნდა ეთქვა!..
ზურაბ წერეთლის სიტყვა-პასუხი
გულზე დაანვა, როგორც სიპი ქვა.

მაგრამ მაშინვე ადგა სარდალი
ქაიხოსრო¹ და ასე დაიწყო:
„ბატონო მეფე! თქვენც იცით, რომ მე
სამხედრო საქმის არა ვარ უცხო

და ამისათვის ვკადნიერდები,
რომ მოგახსენოთ მეც ერთი სიტყვა:
– სწორედ არა ვარ მისი თანახმა,
რაც სახლთხუცესმა თქვენ წინ წარმოსთქვა!

შინაგან საქმის ანონ-გაზომას
სახლთხუცესობის მოითხოვს ვალი,
მაგრამ სამხედრო საქმის შესახებ
მე უკეთ გავსჯი, როგორც სარდალი:

ჩვენა გვყავს ჯარი – ოთხი სასარდლო,
და რომელზედაც მიდგება ჯერი,
თითო და თითო საკმაო არის,
რომ შეაყენოს მომსვლელი მტერი!

ხომ შეგვიძლია, რომ შუა გავჰყოთ:
ორი აქ დარჩეს – ორი გავგზავნოთ;
სანამდი მტერი წამოვიდოდეს,
საზღვარს გადაღმა დავაზიანოთ?

¹ წერეთელი სარდალი.

და თუ მაშინაც არ დაიშალონ,
ორი სასარდლო წინ მივაგებოთ!
არა მგონია, ამ სიმაგრეში,
რომ ვინმემ გვძლიოს ჩვენ უგანგებოთ.

და, თუ განგება გაგვირისხდება,
გადაიხრება მათკენ სასწორი,
მაშინ რიცხვითაც ვერას გავაწყობთ:
ერთი იქნება, ოთხი თუ ორი!..“

რომ გაათავა სარდალმა სიტყვა,
წინ წადგენ ერთად დარბაისლები,
ნიშნად თანხმობის და ერთგულების
მათ მოიყარეს ერთად მუხლები

და მოახსენეს: „ბატონო მეფევე,
სუყველა ამას გევედრებითო,
რომ ქართლელთ ლხინი ჩვენი ლხინია
და მათ ჭირშიაც დავესწრებითო!“

იამა მეფეს და ასე ბრძანა:
„სწორედ მაგ სიტყვას მოველოდიო!“
„ძმა – ძმისათვისო, შავ დღისათვისო“,
ან აღარ მანევს გულზე ლოდიო.

მერე შეჰკითხა ზურაბ წერეთელს:
„ხომ გესმის ქვეყნის სურვილ-ნებაო?
ვფიცავ ჩემს მზესა, მეც თანახმა ვარ,
უამისობა არ იქნებაო!“

სთქვა და წამოდგა, სარდალ წერეთელს
ჯარის შეკრება უბრძანა ჩქარა.
ენყინა ზურაბს სიტყვის გატეხა,
მაგრამ გაჩუმდა, ველარა სთქვა-რა.

მხოლოდ ეძებდა უფრო მარჯვე დროს,
რომ მეფე მარტოდმარტო ენახა
და წაეყვანა მაინც იმავ გზით,
რომელიც ადრევე მან განიზრახა.

და მართლაც, მარტო რომ დაიხელა,
დაუწყო მეფეს ტკბილსაუბარი,
გველი რომ ადამს ეუბნებოდა,
სწორედ მისთანა და მისი გვარი:

„ბატონო ჩემო, თქვენი განზრახვა
ზეგარდმო არის შთაგონებული.
მეც ქართლის ცოდვით და სიბრალულით,
ლმერთმა ხომ იცის, მიკვნესის გული.

მაგრამ ხანდახან გულის აყოლა
საზარალოა და სახიფათო,
ვაი, თუ ჩვენი საქმეც გაფუჭდეს
და ბევრი ვერც რამ ვარგოთ იმათო!

აჩქარებითა და ფაცი-ფუცით
განა ამ გვარი საქმე იქნება?!
შეტყობა უნდა ხომ ყოველიფერს:
ჯერ გამოკვლევა... მერე შეგნება.

რომ მივალთ – ვისთან და რაზედ მივალთ?
უნდა შევიტყოთ ჯერ დანვრილებით;
და რომ გავიგებთ ავსაც და კარგსაც,
ჩვენ მხოლოდ მაშინ მივეშველებით.

ის დალოცვილი ყრუდ იწერება,
გიბარებსთ, თითქოს უბრალო სარდალს.
ეს თქვენს მეფობას არ ეკადრება,
ენაც რომ მომჭრათ, ვიტყვი მე მართალს.

მდევარი არ ხართ, მეფე ბრძანდებით,
უნდა ნაბძანდეთ დიად მეფურად:
დიდ ძალის ჯარით, ზავით და საგზლით,
რომ არვინ მოკვდეს იქ უმადურად.

სანამ სარდლები აქ ჯარს შეჰყრიდნენ,
მე რომ გიახლოთ, ის არ აჯობებს?
ადგილობრივე ვნახავ ყველაფერს
და გამოვიკვლევ იქაურ ამბებს.

მანამდე თქვენც აქ ჯარს მოაგვარებთ,
წამობძანდებით მომზადებულად,
ისე, როგორაც შეშენის მეფეს,
წინდახედულად და დიდებულად“.

დასთანხმა მეფე და სახლთხუცესი
მეორე დღესვე ქართლში გაგზავნა,
მაგრამ იმ დროსვე ჯარის განვევა
დაუყოვნებლივ სარდლებს უბრძანა.

V

მეორე დღესვე ზურაბმა
კორტონი გადაიარა,
თავისი გულის პასუხი
არავის გაუზიარა.

ათას ხუთასი მხედარი
თან მოჰყვებოდა ჯარადა,
მაგრამ არავინ იცოდა,
სად მიდიოდა და რადა?

ქალაქს რომ მიუახლოვდენ,
მაშინ კი ბრძანა: „კმარაო,
ამის მეტს ბიჯსაც ნუ წარსდგამთ,
ჩამოხტით აქვე ჩქარაო.“

ერთს უფროსთაგანს უბრძანა:
„აქ დაასვენე ყველაო,
დაკვესაც არვინ გაბედოს,
სანამდის ასე ბნელაო!“

რომ ხმაურობა არ ასტყდეს,
ბევრს ნუ დაღევენ ღვინოსო,
ყველამ ცხენს თოფრა მიეცით,
რომ აღარ იჭიხვინოსო.

ვინც გაგიბედავს ურჩობას,
მოვეკიდები ავადო,
და მე კი თვითონ მივდივარ
ირაკლის სანახავად“.

იახლა მეფეს, – რა უთხრა,
არვისთვის გაუმხელია,
მაგრამ რომ დააღალატა –
ცხადი და უეჭველია.

ამბობენ, მეფე არწმუნა:
„სარდლათ მე გამომგზავნაო,
ოციათასი მხედარიც
გამომატანა თანაო.“

საომრად დამზადებულნი
აგერ მახლობლად დგანანო,
და დრო გაქვს, მეფევ რომ შენს მტერს
მისი სიბრიყვე ანანო!

ბრძოლას დაიწყებთ თუ არა,
თავს გადავუვლით თათრებსო,
მოულოდნელად დავესხმით,
დავაკარგვინებთ დავთრებსო.

დროს ნულარ ჰკარგავთ, ძვირად ღირს,
ახლავ ავსტეხთ ომიო,
რომ უეჭველად დამარცხდეს
თქვენი წახდენის მდომიო!“

დააიმედა მეფე და
თავად კი ჩვენთან მობრძანდა.
არ გვითხრა, რისთვის წავიდა
და ან რად დაავიანდა.

მაგრამ ჩვენ ეჭვი ავიღეთ...
ვუცდიდით გათენებას;
ბატონის სიტყვას ველოდით
და მის ბძანება-ნებასა.

VI

განთიადისას შორით, სადღაცა
ზურნამ საზარლად დაიჭიჭყინა;
ასტყდა თოფის ხმა და მას თან მოჰყვა
ხრიალ-გრიალი!.. დასცეს ყიჟინა.

ზე წამოვცვივდით, ცხენებს მივმართეთ
და გამოვეწყვეთ ჩვენცა საომრად.
გათენებული ჯერ კიდევ სრულად
არ იყო, მხოლოდ სცემდა მტრედის ფრად.

ხმა საოცარი, ხმა საომარი
უფრო და უფრო ძლიერდებოდა,
მაგრამ თვალით კი, თუ არ ახლოსვე,
შორს არაფერი იხედებოდა.

ვიცდიდით, სანამ დილის ნათელმა
სულ არ გაჰფანტა წყვდიადი ბნელი,
მაშინ კი შორით გადავიხედეთ
და დავინახეთ კრწანისის ველი.

როგორც კალია მოზღვავებული,
ერთის მხრით იდგა ურიცხვი მტერი,
მზე აღარ სჩანდა, შავ ღრუბელივით
ამდგარი იყო ბღღვირი და მტვერი.

წინ ქართველები გუნდად და გუნდად
სალ კლდეებივით ელობებოდენ:
ენა ვერ იტყვის, თუ რა საოცრად
და შეუპოვრად ეომებოდენ.

მაგრამ იმავ დროს კი ეტყობოდა,
გუნდი თანდათან რომ მცირდებოდა
მაშინ, როდესაც მოსისხარ მტრის ჯარს,
ახალ-ახალი ემატებოდა.

ძნელია, როცა ათი და ოცი
მარტოს იბრიყვებს და ერთზე მიდის,
და იმ საბრალოს ერთს ვაჟკაცობა
მარტოხელობით აღარ გაუდის.

„ჩვენც აგვიტაცა ბრძოლის სურვილმა,
ცეცხლი მოგველო იმათი ცოდვით!
შევჩერებოდით ბატონ სახლთხუცესს...
რა უნდა გვექნა, აღარ ვიცოდით...“

ათას-ხუთასი მაშინ მომხმარე
ოციათასად დაფასდებოდა,
თუ მივეყვანეთ ჩვენცა იქ, საცა
თავგანწირული მოძმე კვდებოდა.

მაგრამ ზურაბმა ჩვენი სურვილი
როგორც შეიტყო, წარბი შეიკრა,
ჯერ მიგვითითა მეომრებისკენ
თავის ქნევითა და მერე გვითხრა:

„ვაი, შენ ჩემო თფილის ქალაქო!
რა ამბავია, ჰხედავთ თუ არა?
ვეფხ-ლომებადაც რომ გადაიქცენ
დღეს ქართველები, მაინც არ კმარა.

დამარცხდებიან, უეჭველია...
ველარას არგებს ვერც ჩვენი შველა!
და ისევ ის სჯობს, იმერეთისკენ
ჩვენს გზას გაუდგეთ მშვიდობით ყველა!“

„მაგას ნუ ბრძანებთ, თქვენი ჭირიმეთ,
ეგ მეტად ძნელი გასაგონია!..
ვინ წერეთელი და ვინ ეგ სიტყვა?
გამოსაცდელად ბრძანებთ, გვგონია!..

როგორ? ჩვენ განა მიტომ მოვსულვართ,
რომ აქ გვენახა თვალის სეირი?
და, სასაცილოდ ღვთისა და კაცის,
გაგვიშავდეს და შეგვირცხვეს პირი?..

ჩვენი ცოლების ლეჩაქებს თავზე
ვერ დავიხურავთ! არ შეიძლება!..
გვიჯობს, აქ მოვკვდეთ ჩვენ მოძმეებთან...
ნუ გაგვანბილებთ! გვიბოძეთ ნება!..“

ასე შესძახეს სუყველამ ერთ-ხმად,
მომზადებულმა მტერთან საომრად.
შეერთა ზურაბი, აღარა სთქვა რა,
სახე გაუხდა მხოლოდ ნაცრისფრად.

და გულმოსულმა თავისი ცხენი
იმერეთისკენ გაატრიალა.
მაგრამ რომ ნახა, არვინ მისდევდა,
მობრუნდა და ეს დაიღრიალა:

„ახა, ვაგლახ მე! ამას რას ვხედავ?
როგორ თუ ყველა მეურჩებითო!
მეფე სოლომნის ვფიცავ მე მზესა,
ცოცხალი ვერვინ გადმირჩებითო!

მე ნავალ მარტო, მაგრამ გაიგებთ,
თუ რა მოუვათ თქვენ ცოლ-შვილებსო!..
განა არ იცით, რომ ჩემს სურვილსა
თვითონ მეფეც ვერ გაანბილებსო?“

სთქვა და ნავიდა, პირი იბრუნა
იმერეთისკენ, გასწია ჩქარა...
ყველას გვესმოდა, თუ რას ჰნიშნავდა
მისი რისხვა და მისი მუქარა!..

ვინ არ იცოდა, რომ ცოლსა და შვილს
მისი ურჩობით გამოსჭრიდა ყელს.
შეშინდა მაშინ უმეტესობა
და გამოუდგა უკან წერეთელს.

მაგრამ ხუთასი კაცი კი დარჩა,
წერეთლის რჩევა არ დაიჯერეს...
შორს გაიხედეს, იმერეთისკენ,
ცრემლით პირფვარი გადაინერეს.

და სთქვეს: „უფალო, ყოვლად ძლიერო!
ჩვენცა აქ მსხვერპლად შეგვიწირეო
და სატანჯველი, მათზე მიმდგარი,
იქ ჩვენს მახლობლებს შეუმცირეო!“

იმიშვლეს ხმლები და გაექანნენ
იქითკენ, სადაც მტერი იბრძოდა...
მაგრამ უთვალავ და ურიცხვ მტერთან
რას გახდებოდა გუნდი ის ცოტა?

მათ მხოლოდ ძმურად გაიზიარეს
ამერ-ქართველის სასტიკი ბედი
და მტრის სივრცეში ისე ჩაინთქენ,
ვით ზღვის უფსკრულში წვეთი მცირედი¹...

მეც მათთან ვიყავ... აღარ მახსოვდა
აღარც ბატონი და არც დედ-მამა,
სხვების გმირულმა სანახაობამ,
მეც სასიკვდილოდ წამათამამა.

მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენს ქვეყანას
მოჰნიჭებია მალლით გმრობა
და ძალით ვერ ვინ დაიმორჩილებს,
თუ არ ღალატი და ორპირობა.

თუ ის ათასი სხვა იმერლებიც,
წერეთლისაგან გაბრუნებული,
ჩვენთან ამ ომში ჩამოსულიყვნენ,
ჩვენსავით მტერზე განრისხებული –

ვფიცავ გამჩენსა, რომ გამარჯვება
ჩვენ დავგვრჩებოდა და არა თათრებს,
და უპატრონოდ არ ჩავუყრიდით
ხელში იმ ჩვენს მტრებს დაჭრილებს და მკვდრებს!

ჯერ კიდევ შუა ომში ვიყავით,
მოულოდნელად რომ მეცა ელდა,
ხმალი გამვარდა... წავიბარბაცე,
და არე-მარე უცბად დაბნელდა.

ამენვა მკერდი... ხელი მოვისვი,
სისხლი მოსჩქეფდა თბილი, ანკარა...
ჯერ ჩავიჩოქე... მერე დავეცი
და იქვე გულსაც შემომეყარა...

რამდენ ხანს ვიყავ გრძნობამიხილი,
არ მახსოვს, მხოლოდ, გონს რომ მოვედი,
მე მეუცხოვა მდგომარეობა,
მოულოდნელად შევჰკრთი, შევშინდი:

პატარა ქოხში, მყუდრო ადგილას,
ლოგინზე ვინექ მე, ცოცხალ-მკვდარი,
და ჭირისუფლად ჩემს სიახლოვეს
ვიღაც მოხუცი იჯდა თათარი.

მანიშნა ხელით: „ჩუმად იყავო!“
გამიხსნა მკერდი, ჭრილობა ნახა,
მალამო წამცხო, ისევ შემიკრა
და თან პირჯვარი გამოისახა.

გულში გავივლე, ეგებო მიძინავს
და, რასაც ვხედავ, არის სიზმარი?!...
თორემ სადა ვარ? და ვისთანა ვარ?
ვინ პირჯვრის წერა და ვინ თათარი?!

შემატყო, მითხრა ღიმილით: „ძმაო,
წურა გიკვირს რა! ვარ თქვენებური,
გარეგნობით ვარ მაჰმადიანი
და ნამდვილად კი – ქრისტეს მსახური.“

ახლა ამის მეტს აღარას გეტყვი,
ყველას გაამბობ, როცა მორჩები!
და მანამდე კი დამშვიდდი, გირჩევ,
ნუ აშოთდები, ნუ მეურჩები!!“

¹ აქ იმ პირველი დღის ბრძოლაზე ამბობს, რომელსაც იმერეთის მეფე სოლომონი არ დასწრებია.

მითხრა და რალაც მწარე სასმელი
 ძალდატანებით დამალევიანა...
 შევსვი თუ არა, ძილი მომიინდა,
 დავხუჭე თვალი და დამეძინა.

რა გავაგრძელო: თვე ნახევარი
 თავს მევლებოდა მამაშვილურად.
 თანდათან ვგრძნობდი მეც უკეთობას,
 თუმცა კი ვიყავ ცოტა უძლურად.

როცა სრულიად განვთავისუფლდი
 და შემიხორცდა ნაკოდი ძვალი,
 მაშინ დამისვა გვერდით და მითხრა,
 თავისი მან თავგადასავალი:

VII

„იმერელი ვარ ნამდვილი
 იმერეთს დაბადებული,
 გვარადაც თურმანიძე ვარ,
 ჯანიოზობით ქებული.

თვით უკვდავების წყაროში
 მოზელილი გვაქვს მალამო,
 მაგრამ ამ საიდუმლოებას
 დიდი სიფრთხილით ვმალამო.

ანდერძი საგვარეულო
 გვინერს, რომ უნდა დავფაროთ,
 და მოსწავლედაც სხვა გვარის
 ვერავინ ვერ მივიბაროთ.

ქალებსაც კი ვერ ვასწავლით,
 წესი ამასაც გვაფრთხილებს,
 რომ მერე მათ არ გადასცენ
 ეს ცოდნა ქმარსა და შვილებს.

მხოლოდ იმ ჩვენს გვარს ეკუთვნის
 ეს სამკურნალო ხელობა
 და უხსოვარი დროც არის
 ამისი ძველის-ძველობა.

სწავლა სტუმარს ჰგავს მომსვლელსა,
 ჭკუა კი მასპინძელია...
 თუ სტუმარს მწყრალად დაუხვდა,
 მათი თანხმობა ძნელია!

და ჩვენს გვარშიაც ასეა:
 ზოგს ნიჭი უჭრის, ზოგს არა,
 ზოგი ნამდვილად მკურნალობს
 და ზოგი არის მასხარა.

არავის მოუხვეჭია
 გვარში ჩემდენი სახელი!
 მლოცველი ბევრი მყოლია
 და არცა ერთი – მძრახველი.

მეფე სოლომონ პირველი
 წყალობის თვალით მიმზერდა:
 არავის ვეპუეებოდი,
 გული, სალხინოდ მიმღერდა.

ეს არ მოსწონდა სახლთხუცესს,
 უბრალოდ მირისხდებოდა;
 მიზეზს ეძებდა... დალუპვა
 ჩემი არ ავიწყდებოდა.

რუსეთიდანა სახლთხუცესს
 თან მოჰყვა ერთი მკურნალი,
 ანაწერებით იცოდა
 ყოველი გვარი წამალი.

მაგრამ ქრილობის მალამო
ჯერ გაგონილიც არ ჰქონდა,
რომ ნახა ჩვენი ხელობა,
მეტის სიხარბით დაღონდა.

და შეჰხვეწოდა სახლთხუცესს,
რომ მისთვის მესწავლებია
ის, რაც მის სწავლას და ცოდნას
სათვალდათვალოდ ჰკლებია.

მაგრამ მე როგორ შემეძლო
გატეხა გვარის ანდერძის?
უარი ვსთქვი და მსახური
კარზე მომადგა სახლთხუცის.

ებრძანებია: ხუნდები
ფეხებში შეუყარეთო
და მოდინახის ციხეში
შეკრული ამომგვარეთო.

ეს რომ გავიგე – მენყინა,
მსახურს დავუწყე ფრთხილება:
„რომ წამიყვანოთ ცოცხალი,
იცოდეთ არ შეიძლება!“

შევფიცე, მაგრამ მან მაინც
ხელი წამავლო სიბრიყვით
და თანაც მიხსენიებდა
აგდებითა და ავ-სიტყვით.

ბრაზმორეული ავენთე,
ხელი გავიკარ სატევარს,
სახლთხუცის შინა-ყმის სისხლი
ზე მივაჩქევე სახლის კარს.

და... თავს ვუშველე, გავვარდი,
გავიქერ როგორც ნადირი,
შინ დასარჩენი რადგანაც
ალარა მქონდა მე პირი.

გადავიხვეწე თათრებში
და, რომ მომეგო მტრის გული,
გარეგან დასანახავად,
გამოვიცვალე მე რჯული.

იმ დღიდან ყენის კარზე
ექიმბაში ვარ ქებული,
მაგრამ კი, ჩვენი ქვეყანა
არა მაქვს დავინყებული.

აქ დაჭრილებში რომ გნახე
ობლად ოხერი, ტიალი,
და იმერლადაც გიცანი, –
გულმა დამინყო ფრიალი.

ამ ქოხში გადმოგიყვანე,
აქ გპატრონობდი ფარულად,
და მადლი ყოვლის შემძლებელს,
რომ გაიკურნე ან სრულად!

ეს არის, შვილო, რაც გასურდა
შეგეტყო პირველ დღესავე!..
ჩემის ქვეყნის შვილს რომ გხედავ,
გემე და გენათესავე.

ახლა შენც მითხარ: ვინა ხარ?
სადაური ხარ? რა გვარი?
ან რისთვის გადმოგივლია
შენი სამშობლოს საზღვარი“?..

ზოგი ეს მკითხა, ზოგი ის,
სხვა და სხვა რამე მრავალი.
ბოლოს მე წვრილად ვუამბე
ჩემი თავგადასავალი –

ხუთასი კაცის ურჩობა
როცა ვუთხარი წერეთლის,
და ან მათ ცოლ-შვილს, დედ-მამას,
იმერეთს რა დღე მოეღის,

მოხუცი გამხიარულდა
და სთქვა: „მადლობა ღმერთსაო!
ჩირქი სახლთხუცესს ედება
და არა იმერეთსაო!“

მერე მოჰყვა და მიაბზო,
ჩემ შემდეგ რაც მომხდარიყო:
ვინც ჩემთან ჩხუბში დაესწრო,
სუყველა იქ მომკვდარიყო.

მაგრამ იმათი გმირობა
აღარ დაფასდა არაფრად,
რადგანც სხვა გუნდმა იმერლის
თავი იჩინა იმ დღეს მტრად:

რომ ნახეს, ქალაქს იკლებდნენ,
თვითონაც გამოერიენ, –
და დავლაც ისე იშოვნეს,
რომ თითქმის ვერ მოერიენ...

არ ზოგავდნენ ობოლ-ქვრივებს,
აღარც მკვდარს, აღარც ცოცხალსა,
დათარეშობდნენ, ასხავდნენ
დამწვარს ზე მდულარე წყალსა.

არ იგონებდენ აღარც ღმერთს,
აღარც რჯულს ცოდვის შვილები!
ამათში იყვენ სახლთხუცის
შინა ყმად გამოზდილები...

იმ ათასს კაცში ერიენ,
უკან რომ გაჰყვენ წერეთელს,
უფროსად ჰყავდათ ჩემი ძმა, –
ღმერთმა მოჰკითხოს იმ სოფელს!

თურმე წინათვე ყოფილან
ბატონის განაძრახები
და ასრულებდენ მის ნებას,
შერცხვენილი და გლახები!

ღვთისაგან რჩეულ თორმეტში
იუდა გამოერია!
ათი და ოცი მთელ ჯარშიც
რომ იყოს, განა ბევრია?

მაგრამ თქმულია ძველთაგან:
ერთი შეარცხვენს ასსაო
და ასი ათასს ღირსეულს
დააკარგვინებს ფასსაო.

არვინ იხსენებს იმ საწყლებს
თავი რომ მსხვერპლად შესწირეს!..
და ყველა თითით უჩვენებს
იმ შეჩვენებულს გუნდს მცირეს.

ეს რომ მიაბზო, მეწყინა,
სირცხვილით ჩამვარდა ენა,
და გულში ბევრიც ვუთხარი
ზურაბ წერეთელს შერცხვენა.

ვფიქრობდი: რად ლალატობდა
ან იმერეთს და ან ქართლსა?
რად ვარდებოდა ცოდვაში,
რად უარჰყოფდა ღვთის მადლსა?

მაშინ ვერ მივხვდი მე, მაგრამ
ბოლოს კი ყველამ გაიგო,
რომ მაშინდელი ლალატი
მან სხვისი გული მოიგო...

სამ თვემდე დავრჩი მოხუცთან,
ვჰფარავდით ვინაობასა;
ვერ ტყობილობდა ვერავინ
ჩემს იქ ყარიბათ ყოფასა.

ისე შევეტკბეთ ერთმანეთს,
როგორც მამა და შვილია,
მაგრამ სამშობლო ქვეყანა
სუყველაფერზე ტკბილია.

ლიხ-იმერეთის ღრუბელი,
ყოველ წამს მელანდებოდა...
მაგონდებოდა დედ-მამაც
და გული მიღონდებოდა.

ვჰფიქრობდი: ჩემი ბრალობით
ვაი თუ რამე აუტყდათ
და მათთვის ტკბილი სახელი
ჩემი სანყევრად გაუხდათ!

ეს ჩემი გულის ტკივილი
მოხუცმაც გაიზიარა,
გზა დამილოცა და ღამით
თფილისით გამომაპარა...

ღმერთმა აცხონოს! მას შემდეგ
აღარ ვარ მისი მნახველი!
დღესაც-კი მისთვის ვლოცულობ
და მახსოვს მისი სახელი:

ჩვენში ოთარი რქმეოდა,
იქ ეძახოდენ ომარსა. –
ღვინოს არა ვსვამ მე ისე,
თუ არ მის შესანდობარსა.

VIII

ქურდულად მიველ იმერეთს,
როგორც ბატონის ორგული.
გულმა დამიწყო ფრიალი,
რომ დავინახე ორღული¹.

იქ იყო ჩვენი სოფელი,
სამოსახლო და სახლ-კარი!
მუხლმოყრით ვეცი თაყვანი,
თავი მიწაზედ დავჰკარი.

სახლის კარებზე მივდექი...
ხმა გავიგონე დედისა...
შევხედე – შავად მოსილი
იჯდა, მგმობელი ბედისა.

მამასაც შავი ჩაეცვა...
წვერიც მოეშვა, ვხედავდი...
მინდოდა, კარი შემეღო
და შესვლას კი ვერ ვბედავდი.

როდესაც გონზე მოვედი
და გავიმაგრე გლახ გული,
კარი შევალე სიფრთხილით
და შეველ დამშვიდებული.

¹ სოფელი სანერეთლოში.

დედამ შემხედა, იკივლა,
ზე ნამოვარდა გიჟივით:
„რას ხედავს ჩემი თვალები,
შვილო, შენ გნახე ისევ, ღვთით?“

იმ სოფლად მეგულებოდი
და კიდევ გხედავ ამ სოფელს?“
ეს სთქვა და გულში მიმიკრა,
ზე გადამაქლო ყელი-ყელს....

მამაც ნამოდგა, სთქვა: „იმე!
სასწაულია, თუ რაო?
უბრალოდ ნუთისოფელსა
ბედმა რად დამამდურაო?“

შვილიც ცოცხალი მყოლია,
მე ვიჯექ მგლოვიარეო!..
ახლა კი, მადლი ჩემს გამჩენს,
ვნახე და გავიხარეო!“

დაჯდა და გვერდში მომისვა...
დედაც არ მოგვეშორებია...
ისე გათენდა, რომ არც ერთს
ძილი არ მოგვეკარებია.

ვუამბე წვრილად ყოველი,
რაც ვიცოდი და რაც ვნახე,
საქები ყველა ვაქე და
დასაძრახავი დავძრახე...

სულგანაბული მიგდებდა
ყურს მამაჩემი მწუხარე
და თეთრ წვერებზე წვეთ-წვეთად
ცრემლი სდიოდა მდულარე.

სთქვა: „შვილო, დღემდე გიგლოვდი,
შენზედ ვიცვამდი შავსაო,
დღეიდან ვიგლოვ იმ შენს ძმას,
მოლაღატეს და ავსაო.

ვმადლობ ღმერთს, რომ შენც ძმასავით
პირი არ შეგირცხვენია
და მთელი ქვეყნის საწყენი
შენც, როგორც ქართველს, გწყენია.

ძმებს ძმურად მოჰხმარებხარ,
არ გაჰქცევხარ სიკვდილსა...
ეგ შეჰშვენოდა იმერელს,
ეკადრებოდა ჩემს შვილსა.

შენს უფროსს ძმაზე რაღა ვსთქვა?
გარყვნილა სასახლეშია!..
ეტყობა, სული არა აქვს,
მარტო უგულო ლეშია!..

ვხედავ, დღეიდან შენ სახლში
რომ აღარა გაქვს ან ბინა!
თუ ვინმემ შენი აქ ყოფნა
სახლთხუცესს შეატყობინა,

შენც მოგკლავს, ჩვენც ამოგვადებს,
მთლად გადაგვინვავეს სახლ-კარსა,
ჩვენ სისხლს დაღვეს და ხორცს შესჭამს,
როგორც თაფლსა და შაქარსა.

უნდა გაჰშორდე იმერეთს, –
სოფელი ღონიერია,
კაცი ყოველგან დარჩება,
თუ თვითონ გონიერია!..“

ამას ამბობდა ტირილით,
დედაც ბანს ეუბნებოდა,
გულს იმაგრებდენ, ვხედავდი,
მაგრამ ორივე ბნდებოდა.

ორი დღე დავრჩი ჩემს სახლში,
ვერიდებოდი ყველასა,
რადგანც არვისგან ველოდი
დახმარებას და შველასა.

მესამე ღამეს ავტირდი,
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა,
გამოვეთხოვე დედ-მამას
და ჩემს სამშობლო მხარესა.

კაკას ხიდს გავეღ, დავაგდე
იმერეთისა საზღვარი;
ახალციხეში ჩავედი,
იქ მომცეს თავშესაფარი.

IX

დიდხანს დავრჩი უცხო მხარეს,
მარტოობა გულზე მკბენდა,
იმერეთის დანატრულსა,
მე სიხარულს რა მომფენდა?

ერთხელ გზაში ულოდნელად
შემხვდა ჩემი ნათესავი,
გამიკვირდა!.. ვჰკითხე, ძმაო,
სად მოსულხარ? სად იყავი?

მიპასუხა: „გადმოვარდა
აქეთ ჩვენი სოლომონი¹,
წერეთლებიც თან ახლავან –
ქაიხოსრო და სვიმონი.

სტამბოლს უნდათ, რომ მივიდენ
და ხვანთქარსა სთხოვონ შველა...
ჩვენც იმათთან ვიკარგებით,
თან მოვყვებით ერთად ყველა.

ღმერთმა ჰკითხოს ჩვენი ცოდვა,
მოლაღატეს, ავის მქნელსა,
ნურც იმ სოფელს გაახაროს,
ნურც ამრავლოს ამ სოფელსა!..

ესა სთქვა და მოიხადა
ქუდი, მინას დაახალა,
დაიძახა მანვე „ამინ“!
მეკი აღარ დამაცალა!

როცა მისმა მწარე სიტყვამ
გული სრულად დამიშხამა,
მერე ვჰკითხე: „როგორ არის
ჩემი დედა და ან მამა!“

გაიკვირვა. – რასა მკითხავ?
განა ჯერ არ შეგიტყვია?
რომ სახლთხუცის ბრძანებითა
მამაშენს ჰკრეს გულში ტყვია?

მის ჯავრსა და მწუხარებას
თან გადაჰყვა დედა შენი,
და სრულიად გადაგიწვეს
სახლი, კარი და ნაშენი...

იმიტომ რომ ბატონისთვის
მიეტანათ შენ მტრებს ენა,
ეთქვათ შენი სახლში მოსვლა
და სიცოცხლე... გადარჩენა...

¹ იმერეთის მეფე.

ეს რომ მითხრა, გულზე ცეცხლი
მომედო და მომეკიდა!.....
მზად ვიყავი, ჩემი სული
ემშაკისთვის მიმეყიდა,

ოლონდა კი ეს ამბავი
დანვრილებით მე გამეგო
და იმ დროსვე ქვეყნის სისხლი
ჩემი მტრისგან ამომეგო.

დავკარ ფეხი მაშინათვე,
იმერეთში გადავედი...
დრო მინდოდა შემერჩია
და მომესპო მისი ბედი.

ბატონისას რომ მივედი,
ლხინი ჰქონდა ჩემსა მტერსა, –
ნურავინ ნუ დაიჩემებს
მასპინძლობას უკეთესსა:

კაცის თვალი ვერ სწვდებოდა
გაგრძელებულ ფანჩატურსა,
შინაყმები ვერ ასწრებდენ
იქ სტუმრების სამსახურსა.

სავსე სუფრა, მხიარული
უცინოდა მასპინძელსა!
ახალს არვინ კადრულობდა
ღვინოს, სვამდენ ძველის-ძველსა.

მოსწრებული ზმა და მღერა
დაატკობდენ საამოდ ყურს
აქ იმღერდენ სუფრულ-მაყრულს,
იქ გალობდენ კანდელაკურს...

თავში იჯდა თვით ბატონი,
მოკაზმული სულ სხვა ფერად:
მხრებზე ედვა ჯინჯილები,
მოყვითელო მჭადის ფერად.

რომ შევხედე გამიკვირდა!
ვთქვი: ეტყობა ძველსა სწუნობს,
უნდა ახალს სტაცოს ხელი
კუდში, მაგრამ – მაიმუნობს!..

გამახსენდა ხოჯა-ხანი
და თბილისი დალუპული;
მომაგონდა სოლომონიც
სამშობლოდგან გაგდებული.

წარმომიდგა თან დედ-მამა
და სახლ-კარი გადამწვარი.
გულზე სისხლი ამომენტხა.
„დრო ახლა გაქვს“, – თავს ვუთხარი.

იქვე ახლოს ხეს ვეფარე,
ჩემ წინ იჯდენ სუფრად ყველა.
ბატონს თოფი დაუმიზნე,
გადმოვიღე მაჭახელა.

მაგრამ იმ დროს მერიქიფემ
თვალი მომკრა... აეფარა...
იმას მოხვდა სხვისი ტყვია,
სისხლიც ტყვილა დაიღვარა...

ჰეი, ჰეი! – დაიძახეს,
წამოცვივდნენ, მტაცეს ხელი...
„ჯერ ნუ მოჰკლავთ! აქ მომგვარეთ
ღრიალებდა მასპინძელი.

მიცნო, შეკრთა, შემომძახა:
„სად მოსულხარ შენ, კაენო!
კაცის მოკვლა როგორც უნდა,
თავმან ჩემმან, მე გაჩვენო.

არც მოგკლავ და არც დაგარჩენ,
აქ ნუ ელი შენ სამარეს!
ძალთაპირებს ჩაგაბარებ,
გაჩვენებენ შენ სიმწარეს“.

და მართლაც რომ ჩამაბარეს
სატანჯავად სისხლის მსმელებს
არ უშვებდენ არც მნახველებს
ვინ მოსთვლის ჩემ გასაჭირებს?

მაგრამ ბოლოს გავიპარე,
გავიჭერი ვით ნადირი,
და დღეს სრულად მოვლილი მაქვს
ხმელეთი და ზღვისა პირი.

დღეს აქა ვარ, ხვალ იქა ვარ,
არც სახლი მაქვს და არც კარი.
ალარც მტერი შემრჩა ვინმე
და ალარც მყავს მეგობარი.

სიკვდილს ვუცდი, – არც ის მოდის,
დავაინწყდი, ვგონებ უფალს!..
მაგრამ მადლი და დიდება
მისს ნებას და მისს სამართალს!..

[1889 წ.]

წმინდა გიორგი და
წმინდა ილია

იმერეთში გაგონილი აპოკრიფული არაკი

I

ახალ-გაყრილი ორი ძმა
ერთმანეთს ეჯიბრებიან:
თუ რა დააკლონ ძმობაში,
კოჭებში შესჩერებიან!

მათ აღარ უნდათ საერთო
აღარც ცა, აღარც ქვეყანა!
რძლებმა ასტეხეს ეს შფოთი...
ემშაკმა ააყაყანა!..

ვერც მკიან, ველარც თოხნიან...
ვერც მუშაობენ ვერასა,
ლარიბდებიან თანდათან,
სწყევლიან ბედისწერასა.

ორივე ამას ამბობენ:
„ჩემი ძმა მიშლის ხელსაო,
თვარა ამ ცულით და თოხით
გავიტან ტყე და ველსაო!“

ცოლებიც ასე ურჩევენ:
„ტკბილი დღე გავითენოთო:
ბარემ მოჰკალი შენი ძმა,
მოვრჩეთ და მოვისვენოთო!“

მაგრამ კაცები ამბობენ:
„ჩუ! ნუ მოჰყვებით ბოდვასო!
აგრე ადვილად ვერ ვიზამთ
კაენის პირველ ცოდვასო.

სჯობს, ისევ ღმერთი ვილოცოთ!
საღმრთოდ შევწირავთ ერთ ცხვარსო,
და რჩევას ვკითხავთ ორივე
ამ ჩვენის სოფლის მოძღვარსო“.

სთქვეს და ხუცესთან წავიდნენ,
ცხვარიც თან მიჰყავთ ბლავილით;
ცოლები სახლში დასტოვეს,
გულ-მკვდრები ენის ქავილით.

მოძღვარმა უთხრა: „შვილებო,
ნუ დაინანებთ ცხვარსაო!
და შეევედრეთ ერთგულად
ქრისტე ღმერთს მაცხოვარსაო!

რომ ერთმანეთი გიყვარდეთ,
სჯობს, გაიწმინდოთ გულიო,
და აიყვანოთ პატრონად
წმინდა... ან მოციქულიო.“

გამოეთხოვენ მაღლობით,
დაჰგმეს მაცდური წყეული
და წამოვიდნენ სახლისკენ
ხელი-ხელს გადახვეული.

უმცროსი წმინდა გიორგის
მიენდო... მის მლოცველია;
უფროსმა მფარველ-პატრონად
ირჩია წმინდა ელია.

ნათლისმამებად გაუხდენ,
მოანათვლინეს შვილები
და მერე ძმურად სცხოვრობდენ,
ორივე კმაყოფილები.

II

ერთხელ რძლებმა ჩამოაგდეს
ნათლიებზედ საუბარი:
გიორგი სჯობს, თუ ელია,
დიდი ღრუბელთ წინამძღვარი?

ერთმა სთქვა, რომ „ჩემს ნათლიას
ხელში შუბი უპყრიაო;
ვისაც კი ჰკრავს, არ მოარჩენს,
ბევრი სისხლი უღვრიაო!..

ვეშაპები რომ დაჰფრენდენ
და იდენდენ პირით ალსო,
ისინი სულ მან გასწყვიტა...
ვენაცვალე იმის ძალსო!“

მეორემ სთქვა: „ჩემი ქვეყნად
არ ჩამოდის, სისხლს არ ღვრისო,
მაგრამ ერთი თუ დასძახა,
დედამინა შეიძვრისო!

ვენაცვალე!.. ეტლით დადის...
ძვირად ადგამს დაბლა ფეხსო;
და, თუ უნდა, მაღლიდგანაც
ძირს დაახლის ჭექით მესსო!“

ამან ეს სთქვა... იმან ის სთქვა...
აჰყვენ... აიშალნენ რძლები
და ერთმანეთს შეუპოვრად
დაულანძლეს ნათლიები.

იმ საღამოს უფროს რძალსა
შეეყარა წინ ნათლია
და შენიშნა ნათლიდედას,
რომ ცოტათი გულს აკლია.

უთხრა: „ჩემო ნათლი-დედავ!
ვინ განყინა და რა გჭირსო?
მითხარი და მე გიჩვენებ
მის თამაშას და სეირსო!“

ნათლიდედა ანუწუნდა:
„რად მომასწარ მე ამ დღესო,
რომ მე შენი კარგი თავი
გამილანძქეს?! გამკიცხესო!..“

ჩემმა რძალმა ასე მითხრა,
რომ ის შენი ნათლიაო
დიდი რამე ნუ გგონია,
ბევრიც არ შეუძლიაო!

ჩემ ნათლია გიორგისთან
რა სახსენებელიაო
ან მადლით, ან სასწაულით
შენი ვილაც ელიაო?!“

ელიამ სთქვა: „ნათლი-დედავ,
ნუ იხეთქავ მაგით გულსო!
იმას მისის სიბრძნისთვის
მე ვუჩვენებ სასწაულსო:

ერთი ყანა პური რომ აქვს,
დავაცხუნებ ზედ ხვალ მზესო
და სულ ისე დავუხრუკავ,
არ შევარჩენ აღარც ბზესო!..“

მოვანატრებ საგაისოდ
იმ უბედურს ლუკმა პურსო!..
მაგრამ შენ კი ნურვის ეტყვი,
ნურც ქმარს, ნურც სხვა შინაურსო!“

გამობრუნდა სახლისაკენ
ნათლიდედა მხიარული;
ველარ ითმენს საიდუმლოს,
გაუსქდება აგერ გული!

დაბრუნებულს შეეყარა
ერთი მგზავრი, ვილაც უცხო;
მიესალმა და შორიდგან
საუბარი მას დაუწყო.

სხვათა შორის უთხრა: „დედავ,
თუ რომ ღმერთმა ინებაო,
როგორც ვატყობ, სახვალიოდ
დიდი წვიმა იქნებაო!“

ქალმა უთხრა: „რასა ბრძანებ,
ამ ღრუბელს დღეს გადაჰყრისო!“
ხვალ მისთანა მზე იქნება,
რომ ქვეყანა ოფლს დაღვრისო!

როგორც ვატყობ, თქვენ არ გჯერათ,
მაგრამ მეც სხვებზე შევიტყეო...
საიდუმლო საქმე არის...
ხომ არ გნებავთ, მოგიყვეო?“

და მოუყვა დანვრილებით,
რაც იცოდა დაფარული!..
ქმარს ვერ ეტყვის და უცხოსთან
მოიფხანა მაინც გული!

III

სალამოს წმინდა გიორგი
უმცროსის ძმისას მივიდა
და მისის რჩევით ის ყანა
ძმამ მის უფროსს ძმას მიჰყიდა.

მზემ მეორე დღეს ის ყანა
მართლა დასწვა და დასდაგა
და მწუხარება უფროს ძმას
გულს ისარივით ატაკა.

ატირდა და ცოლს შესჩივლა:
„ვეჭ, შენს მტერს ამისთანაო:
აკი წუხელის ვიყიდე
ძმისაგან მე ის ყანაო!“

ცოლს ეუცხოვა!.. წამოხტა,
გავარდა კარში მტირალი,
თავის შავ-ბედის მგომბელი
და სულელს ქმარზე გამწყრალი.

წინ შეჰხვდა ისევ ნათლია
და უთხრა: „ნათლი-დედაო,
ვინ განწყენია, მითხარი,
და ვინ რა გაგიბედაო?“

ქალმა უამბო, რაც სჭირდა,
ცრემლები ჰღვარა უბეში...
მაგრამ ნათლიამ ისევე
უბრძანა დიდი ნუგეში:

ხვალ ისეთს წვიმას მოვიყვან,
რომ გავაახლებ ყანასო!
და შენი რძალი სიხარბით
ყელში გაიყრის დანასო!“

მადლობა უთხრა ნათლიას,
შინ მირბის, მიუხარია;
რაც რომ შეიტყო, იმდერის...
ხმამალლა მოუბარია!

წინ შეჰხვდა დაბრუნებული
ისევ ის, გუშინ რომ ნახა,
მაგრამ არ გასცა ქალმა ხმა,
კაცადაც აღარ დასახა!

თავისთვის მიიმღეროდა,
იმით სურვილებს იქრობდა,
და სხვაც თუ გაიგონებდა,
იმას კი აღარ ჰფიქრობდა!..

მობრძანდა წმინდა გიორგი
მაშინვე უმცროს ძმასთანა
და უთხრა გამოეყიდა
ძმისაგან ისევ ის ყანა!

ისიც წავიდა ძმას უთხრა:
„ძმაო, ნუ გტკივა გულიო!
მე ჩემი ყანა მომეცი,
ნაილე შენი ფულიო!“

ძმას გაეხარდა, სათავი
მისცა და ისე მოშორდა:
რას იფიქრებდა საწყალი,
თუ მეორედაც მოლორდა!

გათენდა დილა, დაიწყო
ლამაზი წვიმა შხაპუნა;
ააბიბინა ის ყანა,
ისევე გამოაბრუნა.

მაშინ შეჰხვდა ცოლმა ქმარს
და უთხრა: „ცრემლებს ნუ ღვრიო!
ვერ ჰხედავ, ჩვენმა სიმართლემ
გამოგვიბრუნა პურიო!“

ქმარმა მიუგო: „რას ამბობ,
ქალო, შენ გენაცვალეო?
წუხელი მიველ ჩემ ძმასთან
და ისევ შევეშალეო!“

ქალი ავარდა... დავარდა...
სახე გაუხდა ნაცრისფრად!..
თავგადაგლეჯილს ნათლია
გაუხდა ისევ საძებრად.

მესამედ შეხვდა ნათლია
და უთხრა: „ნათლი-დედაო!
ნეტავ რა ღმერთი გინყრება
შენ ასე ზედი-ზედაო?“

ნუ თუ ვერც ახლა გააძღე
ხარბი გული და თვალიო?!
ახლა ხომ მაინც ყელს იჭრის
შენი უმცროსი რძალიო?“

ატირდა ქალი და უთხრა:
„ეგრე უთხარი ჩემს ქმარსო!..
დავგლეჯ ამ ჩემის კბილებით...
ცხვირში წავადენ მას ძმარსო!“

მისულა ძმასთან წუხელის,
ისევ შეშლია ყანასო!
მოდი და ჭკუა უკითხე
იმ გლახას, სალახანასო!..“

ელიამ ბრძანა: „ნუ ამბობ
ქმარზე უკადრის სიტყვასო,
მაგ საქმეს გამოვაბრუნებ:
მოვიყვან ისეთს სეტყვასო,

რომ იმათ ყანას ერთ-პირად
ამოუვარდეს ძირიო,
და შენს მაზლს ერთად შენს რძალთან
კარზე მიადგეს ჭირიო!

მაგრამ იცოდე: ეს არის
უკანასკნელი ღონეო,
და არავისთან არ წაგცეს,
რაც ეხლა გაიგონეო!“

სთქვა დედა-კაცმა: „არ ვიტყვი,
მტერს აღარ გავაცინებო!
რომ აღარ წამცდეს, ეხლავე
დავწვები, დავიძინებო!“

სთქვა და წავიდა, რომ გავლო
რამოდენიმე მანძილი,
მივიდა, ხეს ქვეშ წამოწვა,
მართლა მოუწდა მას ძილი.

რომ დაეძინა, მაშინვე
დაიწყო ბოდვა ხმამალლა
და, რაც ელიამ უბრძანა,
გაიმეორა ხელახლა.

თავს წამოადგა მძინარსა,
წინ რომ ხვდებოდა, ის მგზავრი;
ყური დაუგდო და მიხვდა,
რაც გულში ჰქონდა ქალს ჯავრი.

ის თურმე წმინდა გიორგი
იყო, სამგზავროდ ჩაცმული,
და ნათლიასთან წავიდა
ნათლითა გაბრწყინებული,

ურჩია: „ისევ ის ყანა
უნდა გადასცე ძმასაო!
და შენთვის ჩუმად იყავი,
ნურავის გასცემ ხმასაო“.

ძმა უფროს ძმასთან მივიდა
და უთხრა: „რასა სწუხარო?
ის ყანა ისევ შენ გქონდეს,
ჩემზედ გულნაკლად ნუ ხარო!“

ძმა დაეთანხმა, სათავიც
დაუდვა სიხარულითა
და დაიძინა იმ ღამეს
დამშვიდებულის გულითა.

გათენდა დილა. ცამ სეტყვით
მთლად ამოუგდო ის ყანა!..
ცოლმა მოჰკიდა ქმარს ხელი
და გარეთ გამოიყვანა.

უთხრა: „ხომ ჰხედავ ამ სეტყვას?
საარაკოა, განაო?
არც ახლა ამოვარდება
ჩვენის მოქიშპის ყანაო?!“

ატირდა ქმარი და უთხრა:
„ღმერთი გამიწყრა კიდევ;
ჩემი ძმისაგან ის ყანა
ისევე შევისყიდევ!“

მაშინ ატირდენ ორივე...
არ გაუვიდათ ვედრება!..
და თვის ნათლია ელიას
დაუწყეს ცრემლით ყვედრება.

როცა მივიდა ელია
და დახვდენ ატირებული,
აღარ იცოდა, რა ექნა,
გაბრუნდა გაკვირვებული!

სთქვა: „იმ კაცს სწყალობს ვილაცა
და ის აფარებს სწორედ ხელს!..
მაგრამ ჩემს ფარულს განზრახვებს
ვინ ტყობილობს და ვინ ამხელს?“

მაშინ წინ შეხვდა გიორგი
და უთხრა: „ჩემო ილია!
საქმეს ის უკეთ წაიყვანს,
ვინც დედაკაცთან ფრთხილია!

რადგან წასული საქმეა,
გამოგიტყდები ამასო,
რომ ვერვის დავაჩაგვრინებ
მე ამ ჩემ ნათლიმამასო!“

[1889 წ.]

თბილისი ქაღალდი

ოთია მესხი და ადამ ბეზურიშვილი

I

დაბერდა ჩვენი გოგია,
ძველი ქართველი რაინდი:
სიცოცხლის დილას მოშორდა,
მოუახლოვდა მას ბინდი;

სიბერემ თავზე დასთოვა,
გაუქრო გულისა ალი;
ძარღვებმაც ერთად უსუსტეს,
მუხლებმა უწყეს კანკალი.

და გულდანყვევით იძახის:
„სად არის ძველი ჯანიო?
ხმალს რომ იქნევდა, დღეს იმ ხელს
მიმძიმებს ყავარჯანიო!“...

ჩიფჩიფით ამბობს ამ სიტყვებს,
ჩაცვივნიული აქვს კბილები,
და პირში სიცოცხლს აყრიან
პატარა შვილისშვილები:

– „პაპია, რაზედა ჯავრობ?
ვის ემუქრები და რასო,
რომ ძლივს აბრუნებ მაგ ენას,
როგორც ბებია ჯარასო?..“

იკმარე, რაც მოგივლია
შენ დღეში მთა და ბარიო!
ახლა დაჯექი და გვითხარ
შაირი, ან ზღაპარიო!“

– „ჰაი, თქვე კუდიანებო...
თქვენ ეშმაკებო... თქვენაო!
შაირსაც გეტყვით, ზღაპრებსაც, –
თქვენთვის არა მშურს ენაო;

მაგრამ ცელქობას არ მოჰყვით!
არ შემიშალოთ ხელიო,
თორემ იმ ტყიდან გამოვა
და ყველას შეგჭამსთ მგელიო!“

ჩეროში დაჯდა მოხუცი,
გარს შემოუსხდენ ბავშვები;
ეუბნებიან: „პაპია!
მოჰყევი ჩქარა!.. რას შვრები?“

ხმის გასანმენდათ პაპია
მოჰყვა ძალდაძალ ხველასა;
მერე ახსენა უფალი
და ეს უამბო ყველასა:

– „მსოფლიო ცხოვრებაშია
ქართველსაც უძევს კვალიო:
შიგნივ – ოფლი და გუთანი,
გარეთ – სისხლი და ხმალიო!

დედა-ენა და ერობა
ქრისტეს სჯულს უკავშირაო,
მათ დასაცველად ოთხ კუთხივ
ომები გაახშირაო!

არ შეუშინდა მონგოლებს,
სპარსელებს და არც თათრებსო;
ამბობდა: „ჩემი სამშობლო
მონებას არ იკადრებსო,

სანამდის შვილი შერჩება
უკანასკნელად ერთიო,
რომელიც ეტყვის ურჯულოს:
„მრწამს ჩემი ქრისტე ღმერთიო!“

ახსენებს წმინდა გიორგის,
უშიშვლებს ქართულ ხმალსაო,
და დაჰკვეთს ბასრი მახვილი
ერთად რბილსა და ძვალსაო.

და მართლაც არნივ-ლომობდა
ქართველი მაშინდელიო!..
დედაც სხვა იყო იმ დროში,
სხვა გვარი შვილის მზრდელიო!

მათი „ნანინაც“ სხვა იყო,
არ ჰგავდა ახლანდელსაო,
მონურსა, გასაკიცხავსა,
სიყრმითვე გასარყვნელსაო.

მჯობნისა მჯობნე ამ ქვეყნად
აროდეს გამოლეულა...
ბევრი ჩვენს რაინდებშიაც
გმირი რამ გამორეულა;

საშვილიშვილოდ გამხდარა
მათი ქება და ხსენება!..
მამულისშვილის ხსენება
ამ ქვეყნად ღმერთმაც ინება!

ახლა ის არის ქებაში,
ვინც პლუტი, ანუ ლოთია;
მაშინ კი ბებურიშვილი
აღამი, ანუ ოთია!

II

ახალციხის სიახლოვეს
ერთი დიდი მინდორია,
მაღალ მთის ძირს გადაშლილი
სუფრასავით... სულ სწორია;

გარს არტყია უტეხი ტყე
ამ ბუნებითს მოედანსა;
ერთს მუხლზედ ვერ გადაირბენ
ვერც მის სიგრძეს და ვერც განსა.

მზის ჩასვლის დროს ამ მინდორზედ
გამოგოგდა თეთრი ცხენი;
ზედ ჭაბუკი ვინმე იჯდა –
ცხენ-უნაგრის დამამშვენი.

სამამაცო იარაღით
ტურფად იყო შეკაზმული;
ეტყობოდა მხარბეჭიანს,
მკერდში ედვა რკინის გული.

ამაყურად მოიმზერდა,
აგელვებდა მის ტაიჭსა,
ხან დეზს ჰკრავდა, ახტუნებდა,
ხან აძლევდა ნელსა ბიჯსა.

და ვინ იცის, იმ დროს მხედარს
რა ოცნება სად აფრენდა?!
აგონებდა სატრფოს კოცნას,
თუ მტრებზედა გულს უღრენდა?

ფიქრებისგან გამსჭვალული,
შუა გზამდი რომ მივიდა,
უცბად ცხენი შეუჩერდა...
ყრმაცა შეკრთა... გაუკვირდა.

გულში ეს სთქვა: „ნათქვამია
ცხენი გულთმისანიო:
ამის ასე შეჩერება
ცუდი რამ ნიშანიო!“

გავაზივით გაიბერტყა,
იარალსა ხელი მიჰყო,
მათრახიცა ნელში ირჭო,
თოფი ბუდით გამოილო.

და მიიხედ-მოიხედა,
ოთხსავე-კუთხეს ავლო თვალი,
მაგრამ ვერსად ვერ შენიშნა
ვერც მტერი, ვერც მისი კვალი!..

თეთრას დეზი გაუქანა,
გუნებაში ჩაიციანა...
– „აჩუ!“ ცხენი არ ინძრევა...
აიმართა, იჭიხვინა!

მის ჭიხვინზე მარცხნივ ტყეში,
სხვა ცხენმაცა იჭიხვინა...
მხედარმა სთქვა: – „იქ ვისია?
მოყვრისაა, თუ მტრის ბინა?“

– მტერი ხარ, თუ მოყვარე ხარ,
ნუ იმაღვი! – მიაძახა –
ვაჟკაცია პირდაპირი,
იმალება მხოლოდ გლახა!“...

ამ სიტყვებზედ ფინთიხვით
გამოვარდა ტყიდან კაცი!
შავმოსილი, შავის ცხენით,
ჰგვანდა, იყო ის მამაცი.

ჯერ ლეკურათ იჟღერტულა,
ქართულიცა გაურია:
– „შეგანანებ მუქარასა!
შენი სისხლი მეც მწყურია!

არ იცი, ვის ემუქრები
და ვისთან ხარ გულადიო?
შენს წინა სდგას დალისტენელი
ლეკი, ალლი-ფოლადიო!“

ჭაბუკმა უთხრა ღიმილით:
– „კარგ ბიჭსა გხედავ თვალადსა
და ვმადლობ ღმერთსა, თუ მართლა
შემყარა ალლი-ფოლადსა!

მე მის ძებნაში დალისტენის
მთა და ტყე გამიღვივა!
ვნუხდი: ვერ შევხვდი და მისი
სისხლი არ დამიღვივა!..

ლეკო, შენც ჩემი სახელი
უთუოდ გაგეგონება,
გეტყვი თუ არა, ვინა ვარ,
მთლად დაგებნევა გონება.

„ეგებ მრავალჯერ ჩემს სახელს
შენთვის დაეფრთხოს ტკბილ ძილი...
ადამ რომ გაგიგონია,
მე ვარ ის ბებურიშვილი!

შენმა შეყრამან, ბელადო,
მე გული გამიხარაო,
მაგრამ შენთვის კი ის სჯობდა,
რომ მინა გაგეთხარაო.“

ეს რომ უთხრეს ალლი-ფოლადს,
თორნესავით ის აენტო...
– „ჰა ბურთი და მოედანი!
მობრძანდი და გავსწორდეთო!“

გამოვიდენ შუა ველზედ,
აღელვებდათ გულის ვნება;
ძნელი არის ორ ვაჟკაცის
ერთმანეთის შეტაკება.

თოფ-დამბაჩა აიცილეს
ორთავ, თავი დაიფარეს;
მაგრამ ერთმანეთზედ მისვლა
ხმალდახმალ არ დაიზარეს.

გამეტებით ხმალს იქნევენ,
ორთავ შეველისთ მათი ფარი,
ჯერ არც იქით და არც აქეთ
გამარჯვება არსით არი!

შეკრთა თეთრა ჭრილობისგან,
შეაჩერა პატრონი წამს,
ამით ლეკმა ისარგებლა,
მოუქნია ხმალი ადამს...

მაგრამ ტყვილა არ უქებდენ
ადამს ომში მარჯვე თვალსა:
ხმალსა ხმალი მიაგება,
არ ჰზოგავდა თვისსა ძალსა.

მარილივით გადაემტვრა
ალლი-ფოლადს მისი ხმალი;
მაშინ კი სთქვა: – „გაქცევაა
ჩემი მხოლოდ ან წამალი!“

დეზი ჰკრა და გამობრუნდა,
გააჭენა ბედაური;
ადამ აყრის კიჟინასა:
– „დამრჩი! შენ ხარ ჩემი ჰური!“

წინ ალლი და უკან ადამ
დადგომილან ტრიალ მინდორს,
და, ჰა, შავმა ბედაურმა
მოიტოვა თეთრა ის შორს!

ადამ მწარედ დეზებს იქნევს,
მტერი მიდის... გულს ასკდება,
მაგრამ ბევრიც რომ იჯავროს,
აბა იმით რას გახდება?

ამ დროს უცბად წინ შემოხვდათ
იმათ ერთი ვილაც მგზავრი:
ჯორზედ იჯდა, ლილინობდა,
არაფრის არ ჰქონდა ჯავრი!

გაქცეულს ლეკს რომ შეჰხედა,
როგორც კურდღელს, უცაცხანა:
– „ჰოი! ჰოი! ველარ წახვალ!
ბევრი დამრჩა შენისთანა!“

წყნარად თავი დაუარა,
სვეტივითა წინ დაუხვდა
და ისეთი მიაყვირა,
რომ ლეკს გული შეუნუხდა.

მოუქნია ხმალი, თავი
წააცალა, როგორც წინილს;
მერე მიუბრუნდა, უთხრა
ეს სიტყვები ბებურიშვილს:

– „მე გაქცეულს არ მოვკლავდი,
მაგრამ იყო ხათრი შენი:
შეგატყვე, რომ შენ გინდოდა
დაგერჩინა მისი ცხენი.“

და ჰა, ღმერთმა მოგახმაროს
იარალი და ეს ცხენი!
შენ შეგმატოს, რაც დღეს ამას
უდროოდა აკლდეს დღენი!“

ეს უთხრა და მიატოვა,
სიტყვა აღარ გაუგრძელა!
ჯორს დეზი ჰკრა „ჩიშო!“ უთხრა,
გზას გაუდგა ნელა-ნელა...

თავბრუ დაესხა ადამსა,
აღარ ეხსნება მას კრიჭი;
სირცხვილით ველარ გადადგა,
ველარც გადმოდგა წინ ბიჯი.

თითქოს გაქვავდა, ვერ უთხრა
ვერც მადლი, ვერც საყვედური!
სთქვა: „ღმერთო, რა განყენინე,
რად მრისხე მე უბედური?“

მერჩია, იმ ლეკს მოვეკალ,
ენებებია მაცხოვარს!
სირცხვილი კი არ ეჭმია
ჩემთვის ამ ვილაც მათხოვარს!

ჯორის პატრონი ცხენს სწუნობს,
ოქროთ მოჭედელ ფარ-ხმალსა!
ყველას მე მაძლევს საჩუქრად,
როგორც მდიდარი საწყალსა!..

„ან არის სწორედ სალოსი,
ანუ ვილაცა ლოთია“.
და მიაძახა: – „ვინ ხარო?“
პასუხი ესმის: – „ოთია!“

ამ სიტყვამ გამოაფხიზლა
ადამი დაღონებული
და ჯოროსნისკენ გაიქცა
სიამით აღელვებული.

– „მომიცადეო! – უძახის, –
ადამი გევედრებაო!
ჰსურს, მიესაღმოს ოთიას,
როგორც მას ეკადრებაო!

შენმა ქებამ და სახელმა
კახეთი შეაჯერაო!
შენის შეყრისთვის იკურთხოს
დღეს ჩემი ბედისწერაო“.

ძირს ჩამოვიდა ოთიაც,
წინ მიეგება ადამსა;
ერთმანეთს მეტის ზრდილობით
ველარ უბედვენ სალამსა.

ადამი ამბობს: – „ოთიავ!
ბრძანე სალამი, შენია!
მე რომ გავბედო პირველად,
ჯერ ყმანვილი ვარ, მრცხვენია!

მასთანაც შენი მეტია
ვაჟკაცობისა სახელი!
არა, ნუ გინდა იმერელს,
რომ გამაბრიყვო კახელი!..“

– „ბატონო, რისთვის მიწყრებით?
როგორ მიბრძანებთ მაგასო?!
ეგ რომ ვიფიქრო, ღირსი ვარ,
დამაბან ვირის ბაგასო!

ვინ გაასწორა, ბატონო,
ნეტავი მთა და ბარიო!
მესხი ვარ აზნაურშვილი,
თქვენ დიდ – თავადის გვარიო!..

უნდა მიბოძოთ სალამი,
როგორც თქვენს ერთგულ მონასა,
და მე მაღლს ვიხდი გულითადს
ამ ჩემი თავის წონასა!“

მაგრამ ადამ მაინც ამბობს:
– „მოდ, აბა, ასე ვქნათო,
რომ არ დაგვრჩეს ერთმანეთზედ
საწყენი და სამუნათო:

ძმებსავითა გადვეჭდიოთ,
გადავკოცნოთ ერთმანეთი:
და იქ მტკიცე მეგობრობას
გამტკიცებს მაღლა ღმერთი!“

ესა სთქვეს და ერთმანეთსა
გადააჭდეს ყელი ყელსა;
მერე დასხდენ სასაუბროდ
იქვე რბილს და მწვანე ველსა.

ოთიამ იწყო: – „კი გატყობ,
გშვენის ბებურიშვილობა,
თვალტანადობა, იერი,
დარბაისლობა, ზრდილობა!

წელან კი ველარ შეგნიშნე
ვერც ერთი ეგე დიდება;
ვაჟკაცს არ შეენის, თქვენც იცით,
მტრის უკან გამოკიდება.“

ადამმა უთხრა: – „მართალ ხარ
არ ვიცი, ისე რად გავხდი!
გადმიყოლია სურვილმა,
ვაჟკაცის წესსა გადავხდი.

მაგრამ მას სისხლი ემართა
ბევრ ქრისტიან კახელისა;
სხვა ლეკი იყო ის ლეკი,
სხვა ხმლისა და სხვა ხელისა!

ალლი-ფოლადსა ეძახდენ,
შენც გაგეგონოს ეგება.
მისთანა მტერი, ხომ იცი,
მტრის მახვილს ძნელად ეგება!“

ოთიამ დასტური მისცა:
– „გამიგონია მეცაო!
ჩვენშიაც ჩამოდიოდა
ეგ წუპაკი და ქეცაო!

ქურდულად იპარებოდა
ეგ საძაგელი მყრალიო;
შევყროდი – არ გავჰკოცნიდი,
ცუდად ვიყავი მწყრალიო!“

ადამ ამბობს: – „ბედი ჰქონდა,
ტოლ ვაჟკაცსა არ შეჰყრია;
თორემ მაგის ძებნაშია
ბევრი ოფლი დამიღვრია.

დალისტანში გადავსულვარ,
მთები სრულად მოვიარე,
მაგრამ გული მიღრინავდა,
რომ ვერსად ვერ შევეყარე.

დღეს ნავანყდი ულოდნელად,
ტყეში იყო ჩასაფრული,
მისმა ნახვამ ამაჟრჟოლა,
ამიჩქარა მეტად გული.

შევუტიე... მომაშურა...
შევეტაკეთ ორთავ მტკიცედ...
უსიკვდილოდ არ გაშვება
ერთმანეთის დავიფიცეთ!..

ხმალსა ხმალი შემოვუკარ,
შუა გატყდა მისი ხმალი,
მაგრამ ცხენმა იპატივა:
სწრაფი იყო და ფეხმალი.

არ დამნებდა და გამექცა,
მარდად ცხენი გააჭენა
და უთუოდ წავიდოდა,
შევრცხვებოდი, თუ არ შენა!

მე კი შენი სიმარჯვითა
პირველ მითი დამალონე,
რომ სხვად ვინმედ მომეჩვენე
და ოთია არ მეგონე.

და ან როგორ ვიფიქრებდი?
ჯორზედ ზიხარ, თითქოს მღვდელი,
და მტერს ისე მივარდები,
როგორც ცოფიანი მგელი!

ვინ ჯორი და ვინ მხედარი!
ამის მეტი ვის უნახავს?!
იარალიც ისეთი გაქვს,
დედაკაციც კი დაგძრახავს.

ნუთუ ვერსად გიშოვნია
ბედაური შესაფერი,
იარალი მოჭედილი
ვერცხლით, ოქროთ განაფერი?!“

მესხმა უთხრა: – „ბედაური
ვაჟკაცს, ნეტავ, რად უნდაო!..
თვითონ მტერს არ გაექცევა,
არც გასდევს, თუ გაბრუნდაო!..“

ფეხლაგობ შესაბმელად
ჯორი აბა რას უშლისო?
საქმე მკლავით გადასწყდება,
თუ ხმაღს მარჯვედ გაუშლისო!

მოჭედილი იარალი
მოატყუებს მხოლოდ თვალსა,
სააშიყოდ როცა წახვალ,
ააჩქარებ კეკლუც ქალსა.

თორემ ვერცხლით თავს ვერ იხსნის
ვისაც ადგას გასაჭირი,
ხმლის ქარქაში არაფრად ღირს,
უნდა სჭრიდეს მხოლოდ პირი.

და ეს ხმალიც ისეთია,
დიდი დავით წერეთლისა:
რკინეულებს, როგორც ყველსა,
ისე სჭრის და ისე სთლისა.

როცა დავით ჰპატრონობდა,
ხუთჯერ იყო დამარხული
ას-ერთ კაცის მოკვლისათვის,
როგორც დიდი ჭირნახული.

საუნჯეა მამაცისთვის,
მეც კი ბევრჯერ დამიმარხავს;
და იცოდე, შემცდარია,
ვინც მე ამ ხმაღს დამიდრახავს!“..

გაუკვირდა ადამს მისი
მსჯელობა და ხასიათი,
და გაგრძელდა საუბარი
სულ ამგვარი მაშინ მათი.

გულგახსნილად ისაუბრეს,
ვით წესია მეგობრისა;
ზოგი ეს სთქვეს, ზოგი ის სთქვეს,
ამ მთისა და იმ ბარისა.

როცა გაყრა დააპირეს,
სიტყვა მისცეს ერთმანეთსა:
ვინც გასტეხდა მათში სიტყვას,
შესცოდებდა მაღლა ღმერთსა.

უნდა ორნივ იმავ ალაგს,
სადაც შეხვდენ მტერსა ავად,
ყოველ წლობით მოსულიყვნენ
ერთმანეთის სანახავად.

მაგრამ დასდევს ძმობილობაც,
ბეგარა და სამსახური,
რომ მიუძღვნან ერთმანეთსა
მათგან მოკლულ მტრისა ყური.

და ყოველ წლივ ასრულებდენ
მეგობრები ამ პირობას,
ას-ასობით სძღვნიდენ ყურებს,
იმტკიცებდენ მით გმირობას.

როცა მოკვდენ ეს გმირები,
გაეხარდათ მემკვიდრეებს...
უყურებდენ დიდ სკივრებსა
და ამბობდენ: „გაგვამდიდრებს!“

მაგრამ კლიტე რომ გატეხეს,
გააქნიეს სიმწრით თავი,
ოქრო-ვერცხლის ნაცვლად ნახეს
საარაკო სანახავი:

დაშაშხულის ყურებითა
ზანდუკები სავსე დახვდათ!
და, რომ გაჰყვეს ის საუნჯე,
თითო-თითო ყველას გახვდათ!..

[1893 წ.]

ნაცვალქია

ზღაპარი

I

შეურცხვეს წვერ-ულვაში!..
ნულა შერჩეს თავზე თმა!!
რისხოს წმინდა გიორგიმ
სამას სამოცდა ხუთმა.

„ვინც დაივინყოს ქვეყნად
განთქმული წინაპარი
და იმის ღირსს სახსოვარს
არ აუნთოს ლამპარი!..

ვისაც მამა-პაპებში
გმირი არა ჰყოლია,
რა კაცია ის კაცი?
და რა ჩემი ტოლია?!

ჩემი, რომლისაც ძველი
გმირთა გმირი ყოფილა
და ვისიც სწორი იმ დროს
სხვა აღარ ვინ შობილა.

ვენაცვალე მის სახელს!..
თვითონ წმინდა გიორგის,
ქრისტე ღმერთის ბრძანებით,
მოუნათლავს თურმე ის!..

მოუნათლავს და ერთი
ხმალიც უჩუქებია;
მისი მსგავსი მახვილი
სხვას აღარვის რგებია!..

რკინეულს და ფოლადსა
სჭრიდა, როგორც ჩალასა,
და მკლავს მისი მომქნევი
არ ატანდა ძალასა.

ხომ უყურებთ იმ გრძელ ხმალს,
კედელზე რომ ჰკიდია?
შინ არ გამიჭედია!..
არც სხვისგან მიყიდია!!.

მერგო ჩამომავლობით,
ისე ვით ნატვრის თვალი!..
ეგ მახვილი „ის არის“,“
წმინდა გიორგის ხმალი!!

დიდებაა ოჯახის,
არა თუ სამკაული!..
არ შეველევი მაინც,
გინდ მომცენ წონა ფული!!

მაგრამ დღეს სხვა დრო დადგა:
გაჰქრა ძველი დროება,
ჩამოვარდა ამ ქვეყნად
მშვიდობა-მყუდროება!..

კაცობრიობა სულ სხვას
დაადგა გზა და კვალსა:
პატივი აეყარა
ძველებურ ფარს და ხმალსა.

დღეს იმათი ადგილი
უჭირავს თოხსა და ბარს!..
იმონებენ ხმელეთს... ზღვას.
ასწორებენ მთა და ბარს!..

მეც მირჩევენ: „თუ გინდა
გაახილო თვალიო,
გადაკეთდეს სახნისად
შენი უქმი ხმალიო!..

არა, მე არა მნამს რა
ახლანდელ ოცნებისა!..
და არცა ვარ გამტეხი
მამა-პაპის მცნებისა!“.

აი რაებს ამბობდა
ერთი ნაცარქექია,
ერთ დროს მართლა გაჟუკაცი,
მაგრამ დღეს კი ბექია!..

მოსწოლოდა კერასა,
ის იყო მისი ბინა!..
უსაქმურად ჰგორავდა,
სვამდა, სჭამდა, ეძინა!.

იხატავდა ნასულ დროს,
იგონებდა წინაპრებს
და მით გულს აყოლებდა
გადასულ სიზმარ-ზღაპრებს!..

II

ცოლი ჰყავდა ჭკვიანი,
მეოჯახე, ერთგული...
ქმრის უსაქციელობით
უსქდებოდა მას გული.

ეუბნებოდა: „კაცო,
რას უზიხარ კერასო?
ჩვენი ყოფა-ცხოვრება
გააქვს ჩხიკვ-ყვავ-ძერასო!..

ოცნების დრო ნავიდა,
ადე, გაინძერიო!
მოყვარე გაახარე!..
დაალონე მტერიო!..

ერთი საყანელაა
ან ჩვენი დიდებაო!..
იმასაც ნაგვართმევენ!..
ვინ მოგვერიდებაო?!

ალო დადგა ხენა-თესვის,
ნადი, უგდე ყურიო,
თუ არ გინდა გაგვიწყდეს
საზრდო, ლუკმა-პურიო!“

ქმარმა უთხრა: „ნუ ჯავრობ
და ტყვილა ნუ სწყრებიო!..
ჯერ ადრეა!.. ჩემ საქმეს
კიდევ მოვესწრებიო.

ვინ გაბედავს, შეეხოს
იმ ჩვენ საკუთრებასო?
მე ვიცი და ამ ხმალმა!..
ვაი, მის მოსწრებასო!!

ბევრი რამ სთქვა ამ გვარი,
რაები არ მოჭორა!
ამთქნარებდა ზარმაცად
და ერთიც გაიზმორა.

უნდოდა შინ დარჩენა!
ცოლმა აღარ აცალა;
სამუშაოდ გააგდო,
დაატანა მას ძალა!..

სალამოს შინ დაბრუნდა
მხიარული!.. სიცილით...

ამბობს: ჩვენი საყანე
აკი დაუნხავსთ დილით!..

კიდევ დაუთესიათ!..
აი, ღმერთმა უშველოს,
ი ვილაც მოკეთა –
აცოცხლოს!.. ადღეგრძელოს!“...

„– რაო? რაო? რას ამბობ?
– ცოლმა შემოუძახა –
განა შენთვის შრომობენ?!
ნაგართმევენ, შე გლახა!!“

„– როგორ თუ ნამართმევენ?!
ვისა აქვს ეგ უფლება?..
მამაპაპისეულის
დაკარგვა შეიძლება?!“

ვინ სთხოვდა, რომ დათესა?..
ვინ სთქვა დამიხანო?..
იმან გინდ სთქვას, გინდ არა:
„მე ვფლობ დიდიხანო.“

„მე რომ სახლში სტუმარი
შემოუშვა დროებით,
მაშ კარში გამომაგდებს...
იცხოვრებს მყუდროებით?!

აი, მაშინ რა ვუთხრა
იმ ჩემ მამა-პაპის ხმალს!..
ისე დაგვეპ პირწმინდათ,
გავუერთებ რბილს და ძვალს!!

კანონიც ვერას მეტყვის!..
ხმასაც ვერ გამცემს ტყვილა!!
სისწორ-სიმართლე ქვეყნად
სუყოველთვის ყოფილა“.

ეს სთქვა ნაცარქექიამ
და გულში გაიცინა...
მოსძებნა ისევ კერა,
დანვა და დაიძინა.

III

მოახლოვდა მკათათვე;
აუჩივლდა ცოლი ქმარს;
„ადე, თვარა, ღმერთმანი,
სიმწრით გადენ ცხვირში ძმარს!

„დაგასწრებენ, მომკიან
იმ შავი დღის ყანასო!..
მაშინ მეც თავს მოვიკლავ,
შენც გაგიყრი დანასო!“

იმდენი ეჩიჩინა,
გაახელია თვალი;
გააგდო, როგორც იქმნა!..
გაატანა ნამგალი.

„ღმერთო, შენს მადლს!.. – იძახის,
ძლივს არ შევაგონეო!..
ასე არ მოვქცეოდი,
აღარ იყო ღონეო.“

დატრიალდა ოჯახში,
მიაღაგა, მოაწყო;
მოამზადა სადილი...
ხმიადი გამოაცხო.

ჰფიქრობს: „ქმარი მშიერი
დაბრუნდება მალეო,
მოვუმზადებ ყოლიფერს,
იმას ვენაცვალეო!..“

დაუბრუნდა ქმარი შინ
მოთქმითა და ტირილით:
„ვაი!.. ის ჩვენი ყანა
გადუმკიათ ამ დილით...“

პური შინ წაულიათ...
დაგვდგომია თვალიო!..
ველარა გავიგე რა
მისი გზა და კვალიო!..

გადუმკიათ პირწმინდად...
წაულიათ სულ მთლადო!..
მხოლოდ ერთი თაველი
დარჩენიათ ობლათო!!“

ვაი, ამის გამგონეს!..
შეუნუხდა ცოლს გული;
ლეჩაქს იხდის, თმას იშლის,
მოსთქვამს გამწარებული:

„ჩემი ქმრის გადამკიდე,
ამას მოველოდიო!..
დამიტირეთ!.. დამქოლეთ!..
დამადევით ლოდიო!..“

„დავრჩენილვართ გლახაკად
ქვეყნის სამონყალოთო!
ვის რა უნდა შევჩივლოთ?
ჩვენს თავს დავაბრალოთო!!“

„არ იქმნა! ჩემს ქმარს დროზე
ვერ რა შევაგონეო!..
ან შევიბამ ქვას ყელზე,
სხვა აღარ მაქვს ღონეო“.

დიდხანს მოთქმით ტიროდა,
გული როცა იჯერა,
მოიწმინდა ცრემლები
და ისევ ქმარს ეძგერა!..

უთხრა: „აბა, ახლა კი
ჩამოიღე ეგ ხმალი!..
სხვა გზა არ გაქვს! ეგ არის
ერთადერთი წამალი!..

„ვინც ის ყანა მოგვიმოკო,
არ დასტოვებს არც თაველს...
მოვა მის წასაღებად
და შენც იმ ჩვენ დამლუპველს

ჩაესაფრე როგორმე,
მტერია თუ მოყვარე,
დაიჭირე, იცოდე,
და შეკრული მომგვარე!

თვარა, ვფიცავ ქალობას,
მეც ავიღებ შენზე ხელს!
გაგიმწარებ სიცოცხლეს
და განანებ ამ სოფელს!!“

გადისვა უღვაშებზე
ნაცარქექიამ ხელი
და სთქვა: „ალარ დავრჩები
ანკი ხელცარიელი!..

რალაი ჩვენი საქმე
ისევ ხმალზე მივარდა,
მე ვუჩვენებ მტერს სიცხეს,
რომ ვშვლუპავ არდი-გარდა.

„კისრიდან ფეხებამდი
პრენას გავადენიებ!..
იმას სისხლსა და ცოლ-შვილს
ცრემლებს დავადენიებ!“

გადაიკიდა ხმალი,
ყანისკენ გაეშურა...
ჩაესაფრა... მზათ არის!..
სალამომდე უყურა,

მაგრამ არავინ მოდის!..
არსად სჩანს ჭაჭანება!..
ადგა... წასვლას აპირებს...
პურს თავი დაანება.

ამ დროს მოფრინდა ჩიტი
საარაკო და უცხო!..
დაასკუპდა თაველზე...
მარცვლებს კენკა დაუნყო.

გაუკვირდა კაცს და სთქვა:
„ღმერთო, რასა ვხედავო?!.
ესეც მე მომდგომია!
ჩემზე ითავხედაო?..

ამისთანა მტერზე – კი
ჩემ ხმალს როგორ გავრჯიო!..
მივალ ხელათ დავიჭერ...
ღირსეულად დავსჯიო!..

ფეხაკრეფით მივიდა,
ნელ-ნელა მიეპარა,
ქუდი სტყორცა... ნასროლი
თავზე გადაეფარა.

დაიჭირა და უთხრა:
ახლა ნახავ შენ სეირს!..
გაგფცქვნი, შეგწვავ, შეგბრანავ,
ჩავეგემრიელებ პირს“.

ჩიტმა უთხრა: „ეგ არის
შენი მამაცობაო?
გამოიჩინო გინდა
ჩემზე ვაჟკაცობაო?“

„მაგრე არ ირჯებოდენ
შენი წინაპრებო!..
ჩიტებს კი არ დასდევდენ,
სხვები ჰყავდათ მტრებო.

„შენ კი ჩემზედ მოცლილხარ...
ტყვილათ მიხირდებო!..
თვითქო დიდი რამ ვიყო...
შექმასაც მპირდებო.

თუ შემჭამე, შენმა მზემ,
კუჭი გაგიძღებო!..
ერთ ლუკმათ რომ ჩამყლაპავ,
შენ ცოლს რა ერგებო?“

გიჯობს მადლი მოისხა,
დამანებო თავიო...
სხვის ჯავრს ჩემზე რომ იყრი,
რა მიქნია ავიო?“

კაცმა სთქვა: „მართალს ამბობს,
მე და ჩემმა ღმერთმაო!..
აბა, რა უნდა მიყოს
ამან, ერთად ერთმაო?“

შემოივლო თავზე და
უთხრა: შენთვის წადიო!
კუჭს მაინც ვერ გამოძღებს
მარტო შენი მწვადიო!..

ჩიტმა უთხრა: მამ კარგი,
რადგან არ მომკალიო,
მე ვიცი!.. და მემართოს
შენი დიდი ვალიო!..

ჩიტი კი ნუ გგონივარ!..
ვარ გრძნეული ქალიო...
მუდამ ჩემსკენ გეჭიროს
გასაჭირში თვალიო:

სამ ბედსა გწევ ზედი-ზედ,
მომიცია ფიცო!..
თუ მოიხმარ, ხომ კარგი,
თვარა და შენ იციო!!

ცხრა მთას იქით, წალკოტში
მიდგას სარაიაო.
როცა მოხვალ, დაგხვდება
სახლის კარი ღიაო.

ეს უთხრა და გაფრინდა
მონავარდე ჭიკჭიკით!..
კაციც სახლში დაბრუნდა,
მოიჩქარის ჩიქჩიქით.

აეტაცნა შიშის ქარს...
მოჩვენება ეგონა,
გულგახეთქით უამბო
მის ცოლს, რაც გაეგონა.

მოისმინა ცოლმა, სთქვა:
ჩვენ ღმერთს ვენაცვალეო!
გაჭირვებულის არის
მხსნელი და მოწყალეო!..

ჩვენი ალალმართლობა
შესმენია მალლითო!
ჩვენსკენ გადმოუხედავს
მოწყალების თვალითო.

ნუ ზარმაცობ!.. ან შრომის
ოფლი მოიწერეო!..
ხვალვე ღმერთი ახსენე,
და ბედს მიაშურეო!..

V

მიდის დღე, მიდის ღამე!..
მისთვის არც ჭამა!.. არც სმა!..
მთიდან მთაზე გადადის,
ხან აღმა და ხან ჩაღმა...

ცხრა დღესა და ცხრა ღამეს
მოუნდა სულ სიარულს,
ცხრა მთა გადაიარა
და არა ჰგავს დაღალულს!..

ერთ უდაბურ შავ ტყეში
გამოჩნდა სარაია.
მიადგა ზედ პირდაპირ,
კარი დაუხვდა ღია.

შიგ შედის და რას ჰხედავს,
ნეტავი, მისი თვალი?!
ოქროს ტახტზე დამჯდარა
მზეთუნახავი ქალი!..

ეგებება სიცილით:
„გამარჯობა, სტუმარო!
შენ რომ ჩიტი გაუშვი,
ის ჩიტუნა მე ვარო!

აგისრულებ უთუოდ
იმ ჩემ დანაპირებსო,
მხოლოდ მითხარი: რა გჭირს?
და ან რა გატირებსო?“

„– რაო და სიღარიბე!..
იმან დამაღონაო!!
რაც რომ მქონდა, წამართვეს...
გავხდი სხვების მონაო.

ლუკმა პური გამიწყდა
და კუჭი მიხმებაო!..
ცოლიც აღარ მასვენებს!..
აღარ მეთანხმებაო!..

თუ მიშველი, ხომ კარგი,
ღმერთი გადღეგრძელებსო!..
თვარა მახვილს ჩავიცემ,
აქვე დავყრი წელებსო!..“

ქალმა უთხრა სიცილით:
„რისთვის იკლავ თავსაო?
მე გიჩვენებ ერთ რამეს,
უცხო სანახავსაო“.

გაუშალა წინ სუფრა,
უთხრა: აბა, ნახეო!..
რაც გსურს სასმელ-საჭმელი,
გულში გაიძრახეო!..

გაიძრახა სტუმარმა,
და მართლა, რასა ხედავს?!
თითქო სიზმარიო,
დაჯერებას ვერ ბედავს:

რაც კი გულში ჩაითქვა
და ან რაც მოინება,
მოზრიალობს ჰაერში
და მის წინ ეფინება.

გაუსვა ჭამას ხელი,
გაძლა... გამოიბერა!..
და ნახულის სიცხადე
მაშინ კი დაიჯერა.

ქალმა უთხრა: „ეს სუფრა
არის ნატვრის სუფრაო!
ნაილე და შენ გქონდეს,
სხვას არავის უთხრაო!..

როცა გაშლი, მოგივა,
რაც მოგენატრებაო!
რომ დაკეცავ, მაშინ კი
ისევე გაქრებაო“.

მადლი უთხრა მასპინძელს...
ნავიდა შინ სტუმარი.
ნავიდა და ნაილო
ძვირფასი საჩუქარი.

VI

ტკბილად ცხოვრობს ცოლ-ქმარი!
შესრულდა წელიწადი!..
არ აკლიათ ჩიტის რძე
და სირაქლემის მწვადი.

იმათ ბედნიერებას
აღარა აქვს საზღვარი!..
მაგრამ კაცის გუნება
არის გაუმაძღარი!..

დახეთ ნაცარქექიას!..
ყოლიფერი მოსწყინდა.
ამბობს: „სხვა რამეს ვეძებ!
რაცა მაქვს, – აღარ მინდა!..

კარგს რომ ვსვამ და კარგსა ვსჭამ, –
განა საკმარისია?
ლორმუცლობა ამგვარი,
ვისი საკადრისია?..

არსად გაეცდებოდათ
ჩემ წინაპრებს მშიერი!
განა მე კი არა ვარ
იმათი ნაშიერი,

რომ მარტო ვსვამ, მარტო ვჭამ;
არ მომიდის სტუმარი?..
გამვლელ-გამომვლელისთვის
დაკეტილი მაქვს კარი?

„არა!.. ამგვარ ცხოვრებას
არა ჰქვია ცხოვრება!..
სტუმართმოყვარეობას
ქვეყნად რა შეედრება?!“

„არა!.. სხვაგვარ ცხოვრებას
დღეიდანვე მივჰყოფ ხელს:
ქუდს მაღლა ვასროლინებ
გამვლელსა და გამომვლელს“.

სთქვა... კიდეც აასრულა:
გამართა წვეულება;
ინვეს მტერს და მოყვარეს,
სადაც კი ეგულება.

გაუვარდა სახელი,
სახელმწიფო შეიძრა!..
მთელ ქვეყანას უკვირდა
იმისი ნატვრის სუფრა.

VII

ხმა მივიდა მეფემდის.
ბრძანა: შეკრბეს ჯარიო!..
თვით ვენვევი და ვნახავ,
თუ მართალი არიო.

მთელი მისის ამალით
კარზე მიადგა სანყალს...
უკვირთ: ცეცხლს ვერსად ჰხედვენ!..
ვერც ქვაბებში სადმე წყალს!!

რას შესწვენ, რას მოხარშავენ,
ჯერ რომ არრა მზადდება?!
თავის თავად ხორაგი
ხომ არ დაიბადება?

სადილობის დროს მხოლოდ
გაშალეს მარტო სუფრა!..
რაც სულსა და გულს უნდა,
ვინც კი რა მოინატრა,

გაჩნდა ჰაერში!.. მოდის,
ყველას წინ ელაგება...
გაუკვირდათ!.. შეიქმნა
აღტაცება და ქება.

გაუკვირდა მეფესაც
მისი ყმის მასპინძლობა!.. –
მოილხინა... წამოდგა
და უბრძანა მადლობა.

მასპინძელს სიხარულით
გულმა დაუნყო ძგერა.
ხელაპყრობით დალოცა
თავისი ბედის წერა:

„მენ ვინ ვარ?!. უსახლკარო!..
ტანზე ძველი მაცვია.
მაგრამ, ხედავთ იმ ჩემ ბედს?
ხელმწიფეც კი მანვია!..

ამისთანა ბედს განა
ბევრი გადაეყრება?
ვიცი, ჩემგან ამ სტუმარს
რა ძღვენი ეკადრება;

მაგრამ რა მაქვს მე სანყალს
მისთანა, რომ შევკადრო,
მამა-პაპებს მივბაძო,
არ დავაგდო ძველი დრო?“

დახედა ნატვრის სუფრას,
სთქვა: „რალა სჯობს ამასო?
მივართმევ, ჩვეულია
ტკბილად სმას და ჭამასო.

„ამას უფრო შეჰფერის,
მე ვიკმარებ ცოტასო;
მეფეც არ დამივიწყებს,
არ დაიდებს ცოდვასო!..

დაუწოქა, მოართვა,
გზას ულოცავს გულითა;
მეფემ მაღლი უბრძანა,
მიდის სიხარულითა!..

VIII

რომ წავიდნენ სტუმრები,
გამოფხიზლდენ ცოლ-ქმარი:
წვეულება ხელმწიფის
თვითქო იყო სიზმარი!..

ცოლმა უთხრა ქმარს: „კაცო!
ეს რა მოგვივიდაო?
ხომ დავკარგეთ, რაც გვერგო
დაგვითა და წვითაო?“

ხელმწიფეს საზრუნველი
სხვა არრა აქვს განაო?..
რალად მოაგონდება
გლახა ჩვენისთანაო?!“

ასრულდა ცოლის სიტყვა
ალარვის აგონდება;
შიმშილი კარზე მოდგა!..
ჩვენი გმირი ღონდება!..

ე რა თავი ავიგდე?!.
ეს რა დამემართაო?
რა მრჯიდა მე საჩუქრებს!..
ვისი რა მემართაო?!

გავიწყრომე ღმერთი და
გავირისხე ბედიო!..
თავს მოვიკლავ, რომ ჩიტის
არ მქონდეს იმედიო.

წავიდა, მიაშურა,
უთხრა: „შემიბრალო!
სუფრა, შენი წყალობა,
დამეკარგა მალეო!“

მეფეს ვუძღვენ, ველოდი
მისგან გაკეთებასო,
ოჯახის აშენებას...
შიგ ცეცხლის დანთებასო.

მოვტყუვდი, დავიღუპე,
დავრჩი საწყლად მშრალზეო,
იმ დღიდან არ მაშრება
ცრემლი არც ერთ თვალზეო!..“

მზეთუნახავმა უთხრა:
„აკი გაფრთხილებდიო?
რა გინდოდა შენს ქურქში
რატომ არა სძლებდიო?“

რათ ედები უბრალოდ
რალაც ღობე-ყორესო?
ეგ ერთი დაგიკარგავს,
უფრთხილდი მეორესო!“

გამოჰგვარა ჯორი და
სთქვა: „ხელი წაავლეო!..
ხაზინაა ეს ჯორი!..
კარგა დაისწავლეო!..“

ყურს არ გააპანტურებს...
ძირს თავსაც არ დახრისო!..
რამდენ მუჭა ქერს აჭმევ,
ოქრო-ვერცხლად დაჰყრისო“.

უკვირს ნაცარქექიას!..
 ამასაც ხომ ეს უნდა?!.
 მაღლი უთხრა და ჯორით
 შინისაკენ დაბრუნდა.

IX

გადაბრინჯულა ჯორზე
 და მოჩინდრიკობს ჩქარა.
 მეზობელი ვაჭარი
 გზაში შემოეყარა.

უსახლკარო, უმიწო,
 მტრისგან აოხრებული,
 ერთ დროს მოსახლე და დღეს
 ყოლიფერს მოკლებული.

მიაძახა: „ძმობილო,
 გამარჯობა შენო!
 ქვეითად რომ მოთოთხავ,
 რა უყავი ცხენო?“

– „დამცინი, თუ რა არის? –
 ქვეითი უპასუხებს –
 არ იცი, რაც გადამხდა?
 რა მკლავს და რა მანუხებს?“

მტერმა მძლია, ამიკლო,
 დამაგდო უსახლკარო!..
 და დღეიდან ღარიბად
 ქვეყნად უნდა ვეტარო!“

„– ვიცი! მაგრამ ახია
 შენზე ეგ ყველაფერი!
 შენც არავის ჰზოგავდი,
 იყავი ქვეყნის მტერი!..“

სულ ნაარმით სცხოვრობდი,
 ალალს ერიდებოდი,
 თან შეგქონდა ღალატი,
 სადაც-კი გაჩნდებოდი!

ღმერთმა გკითხა და რისხვა
 შენც მოგაგო ნაცვალი!..
 აქავე გადახდება
 ყველას სესხი და ვალი.

აი, მე სიმართლისთვის
 რა ბედი მენიაო!..
 ერთი ასად მოვმკეო,
 რაც კი გამიციაო“.

უამბო ჯორის საქმე...
 ხაზინაა დიდო...
 „ქვეყნის ფასიც რომ მომცენ,
 ამას არ გავყიდო!..“

გაუკვირდა ვაჭარს და
 გააჭყიტა თვალები!..
 უთხრა: „შენი ჭირიმე!
 შენს თავს ვენაცვალე!..“

რადგან შენზე ქრისტე ღმერთს
 მოუღია წყალობა
 და ჩვენც ორთავ ერთი გვაქვს
 ძველი ჩამომავლობა,

შემინყალე ცოდვილი,
 ჩამაცვი და დამხურე!..
 ნუ დამაგდებ აქ სანწყლად,
 მიყმე და მიმსახურე!..“

შევიწინე ცოდვები,
გავიწმინდე გულიო!
მიახლე და მიგულე
ძალღვივით ერთგულიო“.

შეებრალა ჯოროსანს,
უთხრა: „კარგი, მჯერაო!
უკან შემომიფექი,
შინ მიგიყვან ჯერაო...“

გიპატრონებ, მოგივლი,
როგორც კაცს, კაცურადო!..
შენი ყმობა რათ მინდა?
სჯობს, ვიცხოვროთ ძმურადო!“

უთხრა და უკან ჯორზე,
შემოისვა გულწრფელად;
მიჰყავს და მისი ძმობაც
აღარ აქვს საექველად.

X

მაგრათ ხელი მოჰხვია
იმ ვაჭარმა ჯოროსანს;
რიდით და მოწინებით
ხმას არ იღებდა ერთ ხანს.

ბოლოს კი შეევედრა:
ლამის, გადავვარდეო!..
ვერ ვეტევი... წინ წაჯექ
ცოტა, თუ გიყვარდეო!..

გაეცინა ჯოროსანს,
უთხრა: „ნუ ხარ ფრთხალიო!..
არ ვარგებარ ცხენოსნათ
და წაგიხდა თვალიო.“

„ეგ ღიპი რომ გაგზდია,
მიტომ ველარ ჯდებო!..
აბა, მოინი რალა!..
მე წინ წაგჩორდებო.“

წინ წაჯდა და ვაჭარს კი
დაუტოვა ადგილი,
მაგრამ ის არც ამითი
დაურჩა კმაყოფილი:

– რა ვქნა, რომ ვერ ვახერხებ
მანც მაგრად ჯდომასო!..
მეტი უნდა ადგილი
ჩემი მუცლის ზომასო.

ამ ნაირად, მხედარი
კისრამდი მიაჩოჩა
და ზედ წკიპზე რომ ნახა,
მაშინვე აიყოჩა,

ჰკრა ხელი, გადააგდო!..
იხმარა სრული ძალა...
გააჭენა ჯორი და
უეცრად მიიმალა!..

ადგა ნაცარქექია,
ველარ ნახა ვაჭარი!
მიიხედ-მოიხედა...
და დაეცა თავზარი!..

სთქვა ეს რა მომივიდა?
აკი შემაცდინაო!..
ახლა ხელცარიელი
საღლა წავალ შინაო?!

დაბრუნდა და ისევ
 მიაშურა თავის ბედს;
 მესამე ჯილდოს ელის,
 არ ჰკარგავს ჯერ სულ იმედს!..

„დავიღუპე! მიშველე!..
 კიდევ გამაბრწყვესო!!
 მეგობრობა-ძმობისთვის
 მე მტერობა მიყვესო!..

ჯორ-ხაზინა მომტაცეს,
 გაუყენეს გზასაო...
 სიკვდილი სჯობს სიცოცხლეს
 და ამ ჩემ ყოფასაო!“..

ქალმა უთხრა: „რა გიყო,
 რომ ვერ ხმარობ ბედსაო?!
 ერთხელ კიდევ გაჩუქებ
 საჩხუბარ ხელკეტსაო:

– თუ მასაც ვერ მოიხმარ,
 აღარ გეშველებო!!.
 მაგრამ ჯერ მოგიხდება
 შენც ჭკუის სწავლებო...“

გამოიტანა ჯოხი,
 უთხრა: „დატრიალდიო!..
 გინდ ხმელეთიც მოგადგეს,
 ყველას გაუძაღდიო!“

გაექანა ხელკეტი
 და პირდაპირ ეძგერა!
 გაუდის ბრაგა-ბრუგი...
 ხმლითაც ვერ მოიგერა!!.

შეევედრა... „მიშველე
 ამისგან მიხსენიო!.
 არასა გთხოვ, გამიშვი!..
 არ მინდა-რა შენიო!..“

ქალი ამბობს: „ხომ კარგათ
 შეგიხურდა გვერდიო?
 ეგ გასწავლის შენ ჭკუას...
 ჯოხო! ან შეჩერდიო!!!

მერე ჰკითხავს: ხომ ნახე
 მაგ ხელკეტის ძალაო,
 რომ შენი ხმლის მოქნევა
 აღარც კი გაცაღაო!

აგრე იცის მაგ ჯოხმა,
 არ უნდა ჩიჩინიო!..
 ვერ გაუძლებს ჩხუბში, გინდ
 მოსდგეს ჩინმაჩინიო.

ნაილე და შენ გქონდეს,
 საჩუქრად იკმარეო,
 მაგრამ მხოლოდ კი ფარად
 მტრებზე მოიხმარეო!“

შეხტა ნაცარქექია!..
 „ვიცი ამის ხელიო.
 ამით ბევრს შევეწვევი
 და თავსაც ვუშველიო“.

მადლი უთხრა, ნაილო,
 მიდის, მიუხარია...
 ხელკეტს გულში იხუტებს,
 ძველი მეგობარია!..

XI

სახლს რომ მიუახლოვდა,
ცოლი დახვდა მტირალი!..
თმა გაშლილი მოსთქვამდა:
„ვაიმე ჩვენი ბრალი!..“

ჯოროსანი ვაჭარი
შინ ჩაგვესახლაო
და ჩვენს ავლა-დიდებას
ის ჰპატრონობს ახლაო!...

ასე ამბობს: თქვენ ვინ ხართ?
მაღე აიბარგეთო!..
თქვენ სახლ-კარი ვინ მოგცათ?
ჩქარა დაიკარგეთო!“

ქმარმა უთხრა: „ნუ ტირი!
ვნახოთ, რა იქმნებაო!
ყოველივე ამ ქვეყნად
არის უფლის ნებაო!..“

მოვიდა უთხრა ვაჭარს:
აქ ვინ მოგიყვანაო?
ჩემი ჯორის წამყვანი
შენ არა ხარ განაო?!.

ამ ჩემ სახლ-კარსაც ახლა
შენ ეპატრონებიო?
რათა? შენი რა მმართველს,
ღმერთს რას ეუბნებიო?

მე ძმასავით მიგიღე,
ტკბილად, მეგობრულათო,
შენ კი, გაუტანელო,
შინ მიხტები მტრულათო?!.

ჯორი შენ გყავს!.. სახლ-კარსაც
მართმევ?... არ იქნებაო!..
ან კი კმარა! ამდენი
მეყო მოთმინებაო!!.

ნადი, რომ არ აგვიტყდეს
ერთი ხათაბალო!..
თვარა ცუდათ შეგაქცევ,
თუ ვიხმარე ძალო“.

გაცინა ვაჭარმა,
უთხრა: „რას მიჰქარავო?!.
ვინ ხარ! და სად მოსულხარ!..
ხომ არაფერს მპარავო?!“

მე ეს სახლი და კარი
ჭკუით შევიძინეო!..
შენ რად გინდა, ბრიყვი ხარ,
დანექ და იძინეო“.

შეხტა ნაცარქექია!
სთქვა: მაშ კარგი, ვნახოთო,
«ვაი, დედავ მიშველე!»
ვინ ვის დავაძახოთო?!“

დაიყვირა: „ხელკეტო!
ეცი მაგას ერთიო,
რომ მოაგონდეს ისევ
ჩვენი ქრისტე ღმერთიო!“

დაბზრიალდა ხელკეტი,
გაქვანა, ეძგერა,
აუცხუნა გვერდები!..
ვაჭარმა დაიჯერა

აღრიალდა, შეშინდა:
„ვაი! ვაი! ვკვდებიო!..
გამიშვი და ღმერთმანი,
ძმურად მოვრიგდებიო!..“

„შემოდი, შენც იცხოვრე,
აღარ დავკეტ კარებსო!..
რა დროს ჩვენი ჩხუბია,
მტერი გაიხარებსო?!“

ნაცარქექიამ უთხრა:
„არა!.. რათ ირჯებიო?
ახლა ჭკუა ვისწავლე
აღარ მოვტყუვდებიო!“

„მოლაღატეს ბუნებით,
არ გქონია პიროო!..
შენთან ლხინი არ მინდა
და არც შენი ჭიროო!“

საიდანაც მოსულხარ,
იქითვე მიბძანდიო!
თან წაიღე ხრიკები,
ემშაკური ფანდიო!..“

რომ მოვსტყუვდე ხელახლა,
ამას ნულა ელიო!..
არ გაჩერდე, ხელკეტო!
არ შეუშვა ხელიო!..“

ჯოხს გააქვს და გამოაქვს!..
ვაჭრის ზურგზე ტრიალობს,
ზურგის კანი აუნვა
ვაჭარს... ყვირის, ღრიალობს:

– „დღეიდან აღარ ვიზამ
არაფერს თქვენ სანყენსო!
არ დავდგები... გამიშვიო...
გეფიცებით გამჩენსო!“ ..“

მირბის თავის ქვეყნისკენ
ტირილით და ღრიალით,
ჯოხი მისდევს კვალდაკვალ
სულ ჰაერში ტრიალით.

მისდევს ნაცარქექიაც,
ჯოხს უყვირის: „ჰბრიგეო!!
მე მაგასთან უშენოთ
ვერა გავარიგეო!!“

რომ გადენა, მერე სთქვა:
„ეყოფა ან, კმარაო!..
მაღლი გამჩენს, მაგისგან
რომ მე დამიფარაო!..“

უთხრა: „ჩემო ხელკეტო,
გაჭირვების ტალ-კვესო!
შელოცვილო გრძნეულის,
ხმაღზე უძლიერესო!!“

ზოგჯერ კარგი მკურნალი
წამლად ჰხმარობს სანამლავს...
რომ გაჰკურნოს სნეული,
თვით სატკივარს უმაღ ჰკლავს.

და შენც სწორეთ ამ გვარათ
დღეს გამიხდი საჭირო!..
დღეიდან კი სხვა წამალს
ითხოვს მომავალი დრო.

ნაგილებ, შენც ჩემ ხმალთან
ჩამოგვიდებ ამიერ,
როგორც ძეგლს გადასულის!..
დარჩით მრავალ ჟამიერ!..

გადიწერა პირფვარი,
შესწირა მადლი უფალს,
დაუბრუნდა მის ოჯახს,
ჩაუკვირდა მომავალს!..

მოყვრებს ეძებს სიფრთხილით,
მტრებს ყველგან ერიდება,
„ვაშა!.. ვაშა!“.. იმის ბედს!
და მის გამჩენს დიდება!..

[1897 წ.]

ნათელა

ძველებური ამბავი

შესავალი

ამაღლდით, გრძნობავ, გონებავ!..
ასცილდით მზე და მთვარესა!..
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,
მოციმციმ-მოელვარესა!

შეიტყვეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა!

მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,
ხელი შევახო ჩანგურსა
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა,

რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე, როგორც ლამპარი...

დიახ, მსურს დავდნე და გავქრე,
რომ მას მოვფინო ნათელი!..
ნათელა არის იმისი,
ვისაც მე ვამკობ, სახელი.

ნაწილი პირველი

თავი I

ერთხელ თურმე მზეს და მთვარეს
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:
გამორდნენ და, შემაერთი,
ჩაინგრიეს გზა და ხიდად.

შუა ჩადგა გველეშაპი,
დრო იხელთა, ჩაეპარა...
აღარც მზე სჩანს, აღარც მთვარე...
ორივ ერთად მიეფარა.

დადგა ბნელი, საზარელი
დრო, მხეცების სანავარდი!..
მზის სხივების ველარ მჭვრეტი,
გახმა ია, დასჭკნა ვარდი!..

სწორედ ამ დროს, სიბნელის დროს,
მოევიდნა ქართველს ჭირი!..
აღარც ძმობა, აღარც ყმობა,
აღარც სიტყვა, აღარც პირი!!..

ერთი ძუძუთ გამოზრდილი,
ერთი დედის ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში
შეთანხმებულ, გამოცდილი: –

ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა!..
და ორივეს ჩამოაკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.

ეს უნდოდათ მონგოლებსაც!
გაიხარეს გულით დიდათ,
შუა ჩადგენ და ძმებ-შუა
შური გასდვეს გზად და ხიდად.

გაეგონათ, ქართველები
პირდაპირად ვერვინ სძლია,
და იმათი დამჩავეგრელი
მხოლოდ სულის სიმდაბლეთა!..

გზას დაადგენ ცბიერების,
ხალხსა ჰრყენიდენ მრავალგვარად;
სიცრუე და ორპირობა
ხელთ ეჭირათ ხრმლად და ფარად.

სიმართლეს და კარგ კაცობას
აღარ ქონდა გასავალი
და სდევნიდენ კაცურ კაცებს,
არ ჰქონოდათ, გინდა, ბრალი.

ჩამოაგდეს ქვეყანაში
სიღარიბე სილატაკე;
მთა და ბარი გაასწორეს,
შეაერთეს ზღვა და ვაკე.

დღეს-ხვალობით შელახული,
დაიჩაგრა, გატყდა ერი:
შიგადაშიგ გამოუჩნდა
ძმას მისივე მოძმე მტერი!..

მამა-პაპის წალმა ხნული
შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს!
ამერმა და იმერეთმაც
ერთმანეთი დაამარცხეს.

ძველი ქება და დიდება
დასჭკნა უცხად, როგორც მდელი:
ადრინდელის ჩრდილი იყო,
დაჩაგრული საქართველო!..

ყოველი მხრით გაისმოდა
სულთა ბრძოლის „ვაი!“ „ვიში!“
და დაცემულ ქართველობის
აღარ ჰქონდათ მის მტრებს შიში!..

ეგონათ, თუ ქართლის ბედი
საუკუნოდ მიეფარა
და მომავალ სიცოცხლესაც
შავი მინა მიეყარა!..

რა იცოდენ, რომ მის წილ-ხვედრს
დედა ღვთისა არ სწირავდა,
და ტანჯვაში გამობრძმედილს
მომავლისთვის იფარავდა?!

ზოგჯერ კერა ჩამქრალია...
ცივი ნაცრის გარე პირი,
და უსიტბო, უსიცოცხლო
ზედ აყრია მას ნახშირი!

მაგრამ, თურმე შუა გულში
სძინავს ობოლ ნაკვერცხალსა
და ინახავს მერმისისთვის
ჩვეულებრივ ნათელ ძალსა!

ქვეყნის კერაც ასეთია;
გინდ დახუჭოს მკვდრულად თვალი,
იმის გულში მაინც ღვივის
დაფარული ნაპერწკალი!..

თავი II

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისაგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შუქურა უკეთესია!..

ბევრია საქართველოში
პირთამზე, მზეთუნახავი;
მაგრამ, „ნათელას“ რომ სჯობდეს,
არავინ არის მნახავი.

ტანადობა აქვს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა...
ღიმილი – ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან-მოელვარისა.

ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე – ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა.

გიშერი შავი თვალეზი
სამოთხის ჩამსახველია!
კოჭებამდე სცემს ხუჭუჭი,
შავი, უკუნი, ბნელია!..

ქალია ქველი წერეთლის,
პატრონი „მოდინახისა“,
უნებლიეთად დამგები
სასიყვარულო მახისა!

აღარც დედა ჰყავს, არც მამა,
ობლობით განაზარდია...
ცით მონყვეტილი ვარსკვლავი,
ედემში რგული ვარდია!

სადაც კი საქართველოში
განთქმული მეომარია, –
თვალი იმისკენ უჭირავს,
ნათელას მაძებარია.

მაგრამ ნათელას პასუხი
საერთოდ გადაჭრილია:
„ჯერ ჩემი გული ყველასთვის,
როგორც სამარე, გრილია!

და ვერაფერი გაათბობს,
თუ არ სხვაგვარი გმირობა!
საცოლოდ იმან მიგულოს,
ვინც შეასრულოს პირობა:

მე ერთი ჩოხა შევჰკერე,
თეთრი რამ... მშვენიერია!
წელში ვინროა, წერწეტი,
ბეჭებში განიერია.

არსად ეტყობა ნაკერი,
ძაფები დაკარგულია;
და ოქრო-მკედით ნაჭედი,
სახეებ მოქარგულია.

შვიდი ტკაველი სიგრძე აქვს,
და შესაფერი განია!..
ოქროს ღილები შემბამს,
ცრემლებით გამიბანია.

ვისაც ის ტანზე მოუვა,
იმან ჩაიცვას, სხვამ არა!..
მაგრამ, სხვაც არის პირობა
ეს ერთი მარტო არ კმარა.

წავიდეს, მტრებში იომოს,
გვიჩვენოს ძალა მკლავისა!

ნითლად შეჰღებოს საპირე
ამ ჩემი ნახელავისა!..

ნახოს სახელი მისთანა,
რომ არ ენახოთ არც ძველად:
ას-ოცი თავი მომართვას
ჩემი სარების სარქველად:

რომ შემოევლოს მესერად
ამ ჩემ დიდ ციხე-დარბაზსა...
და მაშინ მხოლოდ ეს გული
გათბება... დასდებს მას ფასსა!“

ყოველი კუთხით გაისმა
ეს უცნაური პირობა!
ყველას უნდოდა ესინჯა...
გამოეცადა გმირობა.

მთლად მოეხიბლა ქვეყანა
ნათელას ციურ სახესა:
გუნდათ და გუნდათ მოატყდენ
გმირები მოდინახესა!..

სინჯვენ... არ ერგო ის ჩოხა
არავის ტანადობასა!..
ეთხოვებიან ნათელას
და სჯერდებიან დობასა.

დღე დღეზე მიდის, თვე თვეზე,
გარბიან წელიწადები!
და ფრთებს იკვეცავს სურვილი,
ნათელას გულში ნადები:

ვაი, თუ ცუდად ვკარგავდე
ჭაბუკ დროს, სანეტაროსა?
და ჩემმა გიჟმა ოცნებამ
ამაოდ ჩამიაროსა?!!

თავი III

მალლიდან გადმომდგარიყო
მზეთუნახავი ნათელა;
სარკმელში იყურებოდა,
გული უცემდა ნელ-ნელა.

სევდა რამ შემონოლოდა,
შავი ფიქრებით მღელვარეს;
შეეკრა ტევრი ნარბები,
სახეს ჩრდილავდა ელვარეს.

ხან ფიქრით გატაცებული
შორს აშტერებდა თვალებსა,
ხან ისევ გონზე მოსული
გადაჰყურებდა ჭალებსა.

ყვირილა ადიდებული
მოიკლაკვნოდა ღრიალით,
რეტი ესხმოდა ჭალებში
აქეთ და იქით ტრიალით!!.

ხიდი ნახვეტა, რაც იყო,
შეჰკრა გზა გაღმა-გამოღმის!..
დიდზე უწევდა მუქარა
მისი მყვირალა ცივი ხმის.

ანაზღათ შორით გამოჩნდა
მხედარი თეთრი ცხენითა,
მოაგელებდა მერანსა,
თითქოს მოჰყავდა ფრენითა.

მოადგა, ხიდი არ დახვდა,
ცხენი მოაგდო კიდესა!

დეზი ჰკრა, წყალში გადუშვა,
ისველებს ჩაფხუტ-რიდესა.

გამოეხვიენ ტალღებში
ცხენი და კაცი, ორივე!..
ღმერთზე ჰკიდია მათი ხსნა, –
საეჭვო არის მათი სვე!

თვალი მოავლო ნათელამ,
იკივლა „ილუპებო!..
და შველაც ხორცშესხმულისგან
იმათი არ ეგებო!“

დალუპვას რომ არ უყუროს,
თვალთ მიიფარა ხელები!..
მაგრამ გასცურა მხედარმა,
გადააჭენა ველები;

შეუდგა აღმართს... გულდაგულ
მიადგა მოდინახესა!..
სარკმელს შეჰყურებს მღელვარე,
ექებს სასურველს სახესა.

არავინა სჩანს... ხორციელს
ვერავის ჰხედავს ის თვალით!..
მხოლოდ მალლიდან დაეშვა
იმის წინ ჩოხა ფრიალით.

აილო ხელში გასინჯა,
ჩაიცვა, – ერგო კიდეცა!..
გაიორკეცა სურვილი,
მისთვის გაიხსნა კიდე-ცა!..

კოცნა შესტყორცა სარკმლისკენ,
მოახტა მარდად თეთრასა!..
და, რომელ გზითაც მოვიდა,
დაადგა ისევ იმ გზასა!

არ ჰსტქვა: ვინ იყო? რა გვარი?
საიდან იყო მოსული?..
ნავიდა და თან ნაილო
ნათელას გული და სული.

თავი IV

ერთი ხანია – ნათელას
ძღვნად მოსდის ოქროს კავეები,
და ზედაც ჩამოხირხლული
სამშობლოს მტრების თავები.

არავინ იცის. ვინ გზავნის?
ვის მოაქვს ციხის კარზედა?
დღითი-დღე თავებს აგებენ
სარქველად გამხმარ სარზედა.

ერთი აკლია ას-ოცსა!
იმასაც ელის ნათელა...
მაგრამ დრო გადის, არ მოაქვსთ,
არ იქნა... არა ეშველა.

ფიქრში ჩავარდა ლამაზი:
ვაი თუ მოკლეს გმირიო?!
მაშინ დაბნელდეს ჩემთვის ცა,
ჩაინგრეს ქვეყნის პიროო! –

წარმოიდგინა ავი რამ,
ოცნებით დართო ჭირი ჭირს;
თმა გაიშალა, ძირს დაჯდა
და აღარც იკრავს გულისპირს!

არ იხედება სარკმელში,
აღარ ადევნებს მგზავრს თვალსა!..

ისე იქცევა, როგორც კი
შეჰფერის ჭირისუფალსა.

თმაგაშლილს შავი სამოსი
უმატებს ელვარებასა.
რა შეედრება ქვეყნად მის
გულ-მკერდის მღელვარებასა?!.

შევიდა მასთან გამდელი,
მისი საყვარელ-რჩეული;
მიუალერსა გაზდილსა
და სიტყვა ჰკადრა ჩვეული:

„ბატონიშვილო, ვისა ჰგლოვ,
რათ ემონები ოცნებას?!
ლოცვა-ვედრება შეჰფერის
და არ ყვედრება ღვთის ნებას!

„ეგებ არ იყოს ის მკვდარი...
შენ კი იგლოვდე ცოცხალსა,
ცეცხლს იკიდებდე უჯეროდ
და ზედ ასხამდე ცხელ წყალსა!...

„ადე, ნუ ზიხარ! ჩაიცვი,
მოირთე სამკაულითა...
და, ვინც გსურს, იმის სიცოცხლე
ღმერთს შეავედრე გულითა“.

დათანხმდა ქალი, წამოდგა,
მიჰმართა დედამღვთისასა:
სთხოვდა მას შუამდგომლობას
და შემწეობას ძისასა!

გათენდა დილა საამო,
ქვეყანამ გამოიღვიძა:
ცა დედამიწას დახარის
და ცას შენატრის ძირს მიწა.

კაცი, პირუტყვი, მცენარე
მზეს მოელიან საამურს,
ბულბული ჩანგურს უმზადებს
და შაშვი უკრავს სალამურს.

ტოროლა მალლა ჰაერში
ზარს ანკარუნებს რიკ-რიკით,
აუქროლ-ჩამოუქროლებს
მერცხალი ტკბილი ჭიკჭიკით!

ქვეყანა აღტაცებული
უგალობს ქებათ-ქებასა,
და ყვავილები სამსხვერპლოდ
უკმევენ სუნნელებასა!..

არ სძინავს არცა ნათელას:
ხატის წინ მუხლმოყრილია,
ცრემლსა ღვრის სავედრებელსა,
მით სასოება ტკბილია!..

უცბათ გაიღო კარები,
მსახურმა ფეხი შემოდგა,
არ მოელოდა მლოცველი,
შეკრთა და ზეზე ნამოდგა.

უბრძანა: „კადნიერება
ეგ შენი მეუცხოება;
მაგრამ შლეგი ხარ, უზდელი,
ბევრი არ მოგეთხოვება!

„უდროოდ, განა არ იცი,
ჩემთან არავის უვლია?!
ნება აქვს მხოლოდ ერთს გამდეღს,
და ისიც მოკრძალებულია“.

– ჩემო ხელმწიფე, ნუ მრისხავთ!
არა გხლებივარ ნებითა:

შეგვემთხვა უჩვეულო რამ,
გიახელ იძულებითა.

კარზედ მოგვადგა მხედარი,
არ ამბობს, თუ ვინ გვანვია;
ნითელ ცხენზე ზის და ტანზე
ჩოხაც ნითელი აცვია.

პირდაპირ მოდის, უშიშრად,
და არც არავის რცხვენია!..
კალთაში გამოხვეული
მოაქვს რალაცა!.. ძღვენია!

ნახვა სურს, სული მიუდის!
ამბობს: „მაჩვენეთ ჩქარაო!
ვარ კარგი მახარობელი,
და არა მეტიჩარაო“.

გულმა უმთხრობლა ნათელას,
ვინც იყო მისი სტუმარი!
ბრძანა და გააღებია
მაგარი ციხის მან კარი.

შინ შემოვიდა სტუმარი,
მის ნახვას არრა სჯობია!
ედემში ზდილი ალვის ხე,
სამოთხის შენამკობია!

ჯერ თაყვანი სცა მასპინძელს,
მუხლები მოიყარა მან...
ვერ გამოჩნდება იმასთან
ზღაპრული გმირი ყარამან!..

ჰკადრა: „მოვსულვარ თქვენი ტყვე.
პირობის შემსრულებელი!
თქვენის სხვიის და ჯავარის
შეფრქვევით მადიდებელი.

„უბრძანეთ, ცხენი გაბანონ,
ჩოხაც გარეცხონ თბილ წყლითა;
ცხენიც თეთრია, ჩოხაცა,
შეღებლია სისხლითა!

„და აწ, მიიღეთ ჩემგან ძღვნად
ვით პირის სანახავიო,
ქვეყნის მტრისა და ორგულის
ეს მემასოცე თავიო!“

გასჭვალა ვაჟის სიკეთემ,
შეკრთა წერეთლის ასული!
მადლობის გადასახდელად
ძლივს მოიბრუნა მან სული!

„კურთხეულ იყოს“ – წყნარად სთქვა –
„შენი აქ მობრძანებო!
თვალთ გიყურებ, არ მჯერა...
მგონიხარ მოჩვენებო.

„თუ ღვთით ხარ მოვლინებული,
ცხადი რამ, ხორციელიო,
ვინ ხარ და სიდან მოსულხარ?
მითხარი! პასუხს ველიო!..“

ყრმამან მიუგო: „მაგისი
ძნელი არ არის ცოდნაო:
მთავრის შვილი ვარ, მთავარი,
დადიანი ვარ ცოტნაო!..“

ქალმა სთქვა: „ცოტნას სახელი
გამიგონია მეცაო.
კურთხეულ იყოს მარადის
ჩვენი შემყრელი ზეცაო!“

ხელი ხელს მისცეს, გული გულს,
თვალი თვალს გაუყარესა,
და გაიმართა ნადიმი
ყველგან საჩხერის მხარესა.

ნაწილი მეორე

თავი I

იქ, სადაც ხოპის ნაპირზე,
დღეს ძველი მონასტერია,
მთავრის სასახლე ყოფილა,
მიდამოც დიდი სჭერია.

იმისი კოშკი მაღალი
უჭვრეტდა ოთხსავე მხარესა;
მახლობლად თავზე ივლებდა
დღისით მზეს, – ღამით მთვარესა.

მიჩერებოდა იაღბუზს,
გადაჰყურებდა შავ-ზღვასა,
შეფერადებულ ჭალებსა,
სანახავს სხვასა და სხვასა!..

არც ერთი კუთხით მომსვლელი
მტერი არ გაეცდებოდა:
მისი პატრონის მხარ-მკლავი
შორით – შორამდი სწვდებოდა!

ის იყო ცოტნეს სადგური,
იქ მიიყვანა ნათელა!
და მიიწვია ქორწილში
მან ქვეშევრდომი სუყველა.

შემოკრბენ აფხაზ-მეგრელნი,
სვანებთან ერთად ჭანები;
ქართლ-კახეთ-სამცხეთოდან
მეგობარ თვისიანები.

ააგეს ფანჩატურები,
საჯდომი ბევრ ათასისა;
ქვეშ ორხოები დაჰფინეს,
დაუდებელი ფასისა.

თავში დაბძანდა მთავარი
და გვერდით დედოფალია;
სხვები ჩამწკრივდენ რიგ-რიგად,
როგორც ნესი და ვალია.

გახურდა ლხინი ჩვეულებრ,
შეიქმნა ყანწის ტრიალი!..
ხელიდან ხელში გადადის
თას-აზარფემა-ფიალი!..

და ვინც ბევრს არ სვამს, შიგდაშიგ,-
არაკრაკებენ „კულითა“!..
გაჩნდა ლილინი, გალობა,
სიმღერა კრიმანჭულითა.

იქ ისმის „დილა-ოდილა“,
„კაბდური“, „თინა თინაო!“ –
აქ „შადი“, „მრავალჟამიერ“,
„მზემ სხივი მოგვიფინაო!“

გამხიარულდა ერთ გვარად
სუყველა დიდი, პატარა,
მაგრამ დედოფლის სახეს კი
ღრუბელი გადაეფარა!

შენუხდა ცოტნე და ჰკითხა:
„აგრე რათ მოიწყინეო?
მასპინძელი ხარ, ხომ იცი,
რიგია, მოილხინეო! –

„თუ სანერეთლოს დათმობამ
შენ მაგრე შეგანუხაო,

სჩანს, ზეცა გამრისხებია,
და რისხვით გადმომქუხაო!...“

მზე რომ ჭიატობს ნვიმის დროს,
ანბობენ: „მზე პირს იბანსო,
და ცისარტყელა შვიდფერი
მას მხარს უშვენებს და განსო“.

იმას მოჰგავდა, ნათელას
თვალცრემლიანი ღიმილი
და ანგელოსის გალობას,
მისი პასუხი ხმატკბილი:

„ჩემო ხელმწიფე! შენთან მყოფს,
მომაგონდება მე ვინა?
მაგრამ სხვა რამემ შორიდან
საგრძნობლად გულზედ მიკბინა!

„ველარ მოვისმენ გულგრილად
„შადსა“ და „მრავალჟამიერს“,
სანამდი საქართველოში
ბატონად ვხედავ ქვეყნის მტერს,

„თვალწინ მეხატვის ერთი რამ,
ისა მკლავს და ის მალონებს:
ლიხს იქით მოძმე ქართველი
ყმად გაუხდიათ მანგოლებს!

„დღეს აქ ლხინი გვაქვს საერთო
ყანწ-აზარფემის ტრიალი;
იქ კვენესა ისმის დაჭრილთა
და ქვრივ-ობლების ღრიალი!

„ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცებს,
გმირთა-გმირს, ლომთა-ლომებსა?
ცოდვა არ არის ესენი
ერიდებოდენ ომებსა!?

„აქ რას უსხედან? ნავიდენ!..
შენ უწინამძღვრე, მთავარო!
და მეცა თქვენთან, იცოდეთ,
მამულის მსხვერპლად მზა ვარო!“

სთქვა და გაჩუმდა, მის სახეს
დაადგა თითქოს ნათელი;
თავი მოხარა სიმდაბლით,
გულზე დაიდვა რა ხელი.

ზეზე წამოდგა მთავარი,
შემერთალი გაოცებითა!..
ხალხიც შეჰყურებს დედოფალს
უბინო აღტაცებითა!..

მოულოდნელმა პასუხმა
გრძნობა-გონება არია!..
თვითქო გაქვავდა ეს ხალხი,
უხმოდ, უძრავად მდგარია.

პასუხის ველარ მიმღებმა,
ნათელამ გაიმეორა:
„ქალი ვარ, ჩემო ხელმწიფევ!..
ნუ მრისხავ, თუ რამ გეჭორა!..“

გამოარკვია ამ სიტყვამ
მთავარი გაბრუებული
და ათქმევინა რაც ჰქონდა
გულში იდუმალ დებული:

„სწორუპოვარო შევენებით,
სიბრძნითაც ამაღლებულო!
ოჯახის შვილო, ნაზარდო
ქართველად აყვავებულო!

დიდი ხანია, ჩემ გულსაც
ეგვე სურვილი მსჭვალავდა,

მაგრამ სიფრთხილე საჭირო,
ვით საიდუმლოს მალავდა.

„გონზე მოსულან, შეთქმულან
ამერთა დიდებულები,
მათში ჯაბანსა, საეჭვოს,
არავის არ ვეგულები!..

„მოუწერიათ ჩემთვისაც,
ითხოვენ შემწეობასა...
დღეის სწორს მივალ ჯავახეთს,
მით დაუმტკიცებ ძმობასა.

„ჭირი და ლხინი საერთო
მოდმეთა შუა ვალია...
ამის თავდები, ვფიცავ ღმერთს
ბრწყინვალე მომავალია!

„ეს ხალხიც მიტომ შევჰყარე,
რომ გამემჟღავნა ყველა ეს,
მოსამზადებლად მე სხვა დროს
ხელთ ვერ ვიგდებდი უკეთესს!“

ეს რომ სთქვა, მოუბრუნდა სხვებს:
„ხომ გაიგონეთ თქმულიო?
ჩვენ შეთანხმებულ სურვილზე,
რას ანბობს თქვენი გულიო?“

ერთხმად დასძახეს: „იცოცხლე,
მრავალჟამიერ!.. ჟამიერ!..
ჭირიც და ლხინიც საერთო –
კავშირი იმერ-ამიერ!“

ლიმილით ბრძანა მთავარმა:
„მეც მაგას მოველოდიო:
თქვენით და თქვენგან მომეხსნა,
გულზე რომ მანვა ლოდიო!

„კმარა! მაგაზე საუბარს
ჩვენ ხვალაც მოვესწრებითო,
დღეს სათხოვარი მაქვს ერთი
და იმას გევედრებითო:

„დაჯექით... გამხიარულდით,
ნუ მოშლით ლხინს და მღერასო.
ვინ გაქცევია უდროვოდ
ვარსკვლავს და ბედისწერასო?!“

გამხიარულდენ სტუმრები
გამრავალკეცდა ლხინიცა...
მოლხენით არის მთავარი
და მისი თვალის ჩინიცა!

ლიმილით ამბობს ნათელა:
„ჩანგური მომანოდეთო!
ველარას ფარავს დღეს გული,
რაც ვიცო, თქვენც იცოდეთო!“

სიმებზე ბროლის თითები
დაანყო ნაზად... რბილათა!
ყელ-მოღერებით დამღერის,
ჩონგურიც მოსთქვამს ტკბილათა:

„ჩონგურს სიმები გაუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო;
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა – დელა – დელაო!“

„თავის ჰანგებზე, თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ერთი მათგანიც რომ განყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,

რომ არ გაფუჭდეს ჩანგური!
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!..
ბნელში რა სასიმღეროა?!
„ოდელა – დელა – დელაო?“

„შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა-მელაო,
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს,
არ მოსწონს: „დელა – დელაო!“

„მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე?
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის – სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი-დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა – დელაო?!“

კმარა! ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო!..
ვერც ვუკრავ!.. ველარცა ვმღერი:
„ოდელა – დელა – დელაო!“

სთქვა და გადადგა ჩონგური,
შეხედა ლიმით მთავარსა:
ნათელა ნათელს ადიდებს,
ამკობს ჯავარი ჯავარსა!

თავი II

ხმალს ილესავს იმერეთი,
ანყობს, მართავს შვილდ-ისარსა!
ლისს გადივლის „ორი-რაშით“.
იქაურებს მისცემს მხარსა.

საიდუმლოდ ემზადება,
მიჰყავს ცოტნე დადიანსა!..
წინ წაიძღვანს ჭყონდიდელსა,
კურთხეულს და მადლიანსა.

გაიხსენებს ბაგრატის დროს,
დავითის და თამარისას!..
სამშობლოსთვის ცხელს ოფლს დაღვრის
და სისხლს შესვამს მისის მტრისას.

ისე გასწყვეტს ძირიანად,
არ გაუშვებს არც ერთს მთხრობლად!..
მაშინ მხოლოდ დაბრუნდება
იმერეთში მახარობლად!..

ასე ფიქრობს გმირი ცოტნე!..
ამასავე ფიქრობს ერი...
ბატონი ყმით, ყმა ბატონით,
ორივ ერთად ბედნიერი!

მაგრამ, „ვაი!“ გაუცუდდათ
იმედი და გულის ძგერა...
ბედ-უკულმა გადუბრუნდათ
სანალმართო ბედისწერა!

წიგნი მოსდის დადიანსა,
მეგობრების მონაწერი!
წაიკითხა... შეიცხადა:
დაიგლიჯა თმა და წვერი!..

მოენერათ: „ნულა მოხვალ!
თავს უშველე, ნუ აჩენო!..
შეთქმულობა გაგვიმულავნდა,
დაგვიჭირეს ყველა ჩვენო.

„ნუ მოცდები, ნუ იფიქრებ,
გზა არა აქვს ჩვენ საშველსო!..
ანის ქალაქს გვაგზავნიან,
გვიმზადებენ განსაცდელსო.

„რადგან ღმერთმან აგაშორა
ჩვენი ბედი, ჩვენი სვეო,
იცოცხლე და მაგიერი
მტერს როგორმე მიუზღვეო!“

წაიკითხა, დაიყვირა:
„რა შეგცოდეთ, ღმერთო შენო!..
შენს მორწმუნეს, ღვთისმშობლის ხვედრს,
ამ სატანჯველს რომ უჩენო?

„ნუ თუ ყველა ილუპება
საქართველოს ღირსი ძეო!
ბურჯი მისის ეროვნების.
მომავალის სიმტკიცეო?!“

„მაშ პირშავად რალათ დავრჩე,
მათი ტანჯვის მონამეო?
მათთან ჭირი, მათთან ლხინი –
უიმათოთ რა ვარ მეო?!“

სთქვა და გულში გადინყვიტა:
„მათთან წავალ მეც მალეო,
ტოლებში რომ არ გამოვსხლტე,
ვარ ამისი მოვალეო“.

თავი III

ვინ მოსთვლის: ჭირი რამდენი
უნახავს ანის ქალაქსა!..
სისხლით მორწყული არ იყოს,
ვერ ნახავ მტკაველ ალაგსა!

ყოველი მტერი ძველთაგან
ამ კუთხეს მოაწყდებოდა;
მკვიდრი, დამხვედური მამაცად
თავგამეტებით წყდებოდა.

დღეს ერთი იყო, ხვალ სულ სხვა:
მტერი მტერს ენაცვლებოდა!..
ურდო ურდოზედ მოსული,
არვისგან დაითვლებოდა.

მაგრამ ქალაქი ტანჯული,
განსაცდელს უმაგრდებოდა,
და ვით ამირანს გულ-მკერდი,
წყლული – კვლავ უმთელდებოდა!..

ძლივსლა სულმობრუნებული,
ხელახლა აოხრებულა,
შესულა ურდო მონგოლთა,
ნოინი გამთავრებულა!..

სამეფო ტახტზე დამჯდარა,
ის... სისხლით უმაძღარია!..
აქედან მიდის საომრად,
ოთხ კუთხივ!.. მიუხარია!..

სხვა ქვეყნის ტანჯვა, აკლება –
მათი წესი და რჯულია!
დღეს გამარჯვების ღხინი აქვსთ,
უზომო სიხარულია.

ზურნის ჭიჭყინში გაისმის
კიჟინა გამარჯვებისა
და ჭიანურში – ქვითინი
სხვადასხვა მხარეებისა.

ფიალათ ხელში უჭირავს
კაცის გამხმარი თავები!..
ზიზლის ბუდეა იმათი
ყოველგვარ სანახავები.

სწორეთ ამავე დროს გარეთ კი
სულ სხვა ამბავი რამეა:
დამდგარა ტანჯვა-კრულვის დღე
და მწუხარების წამია!..

აღყად შეუკრავს დარაჯებს
დიდი მოედნის პირები,
შუაში ხელფეხშეკრული,
ჰყრიან ქართველი გმირები.

ტიტველზე თაფლი წაუსვამსთ,
მზეს უფიცებენ მხურვალსა!
წყალს ნატრულობენ, არა აქვსთ...
ყელი უშრება მწყურვალსა.

გარს ეხვევიან ბუზები...
სად არის მომგერებელი?!
შორსა ჰყავთ ჭირისუფლები
და მათი დამტირებელი!..

კითხავს მტარვალი: „ვინა გყავთ
მომხრე და მოზიარეო?“
–ამ ქვეყნად ზღვა და ხმელეთი,
მალლა ცა: მზე და მთვარეო!

დაცინვით ეუბნებიან,
შიში არა აქვსთ რისხვისა...
რა იცის გულში ნადები
და საიდუმლო სხვამ სხვისა!

გამოჩნდა შორით მხედარი;
ცხენი მოჰყავდა ოთხითა,
მოედნის პირზე შეჩერდა,
თვალს ავლებს ყველა კუთხითა,

უბრძანა დარაჯთ უხუცესს:
„ვინა ვარ – ვერ მიცანიო?
ნოინის უცხო სტუმარი,
ცოტნე ვარ დადიანო.“

„ქართველ ერისთევებს, დიდკაცებს,
სადა აქვსთ მათი ბინაო?
მეც უნდა მათთან მივიდე,
წამყევ, წამიძებ წინაო!“

დაცინვით უთხრა დარაჯმა:
„არ ბრძანდებიან შორსაო!..
და ჩვენც შინაყმად ვახლავართ,
როგორც ნოინის სწორსაო!“

შევიდა წრეში ქვეითად,
პირდაპირ მიეშურება,
გულ-ღვიძლს უსივებს ნაღველი
და სიმწრით პირი უშრება!..

მივიდა, ნახა ტყვეები...
შეჰყვირა „ვაშა! ვაშაო!!
დღეს უფრო ბრწყინავს თქვენი მზე,
ვარსკვლავმა იკაშკაშაო!

„გმირი ხართ, კვდებით გმირულად,
საქრისტიანოს მსხვერპლადო,
ამიერ საშვილიშვილოდ,
სამშობლოს სადიდებლადო!

„მაგრამ რას მერჩით მეგობარს,
ყველგან თქვენ მოზიარესო.
რომ გამომწირეთ თქვენში და...
დამაგდეთ იქით მხარესო?!“

ეს სთქვა და გაიძარცვა ტანს,
დაჯდა ტყვეებთან ტიტველა!..
თავი გასწირა ნებითა
და გააკვირვა სუყველა!!.

თავი IV

ლხინგადახდილი ნოინი
ტახტზე ზის დაფიქრებული:
თვალწინ ეხატვის ქვეყნები
გადამწვარ-აოხრებული!..

ბევრი სხვადასხვა რჯულისა,
და ტომის არის მნახველი,
მაგრამ სულ სხვაა მის თვალში
უცნაურობით ქართველი:

„არავის ებრძვის, პირ-იქით,
დამხვდურათ მეომარია!..
ვინც მის ქვეყანას არ ერჩის,
მოდმე და მეგობარია.“

„არსად გაუდის მოყვრობა,
და არც მტერები აკლია;
მაგრამ ხომ მაინც პირწმინდათ
ჯერეც ვერავინ დასძლია?!“

„რა გამოვიდა, რომ ვსძლიეთ!
განა ძლევაა ეს ძლევა?!.
რაც უფრო ჭირში ვარდება,
მით სიმხნე მეტი ეძლევა.“

„გაგვინახევრდა ლაშქარი...
ერთში ათსა ვსცვლით მონგოლსა,
და რალა ძალი შერჩება,
მომსვლელსა და მის მომყოლსა?..“

„თუკი ჩვენც მართლა სხვებსავით
დიდხნობა არ გვინურია!..
მაშ დროებითი აქ ყოფნა,
რა საქარბუქო მტვერია?!

„რაში არა ჰგავს? შეთქმულნი
ასამდე დაგვიჭერია...
რომ ასჯერ მეტიც არ იყოს,
აბა რა დასაჯერია?!

„მაგრამ, არ იქნა, არ გატყდენ:
არ უდრკებიან განსაცდელს!..
ვინ იყო მათთან ლალატში,
არც გვარს ამხელენ, არც სახელს.

„არას ითხოვენ!.. ზვიადად,
ამაყად იტანჯებიან!..
რალაც მომავლის იმედით
და სასოებით კვდებიან.

„ძნელია მათზედ უფლება
მათი სხვისაგან მონება...
სულ სხვა გზა უნდა... სხვა ხერხი...
და გამჭრიახი გონება!..

„ვერ გასჭრის მათზე, ვით სხვაზე
ეს სასტიკობა-ავობა!..
სადაც ლომობა არ გადის
იქ უნდა მელიაობა“.

ამას ფიქრობდა ნოინი,
უსივდებოდა ნალველი,
რომ მოახსენეს: „ქალია
ვილაცო, თქვენი მნახველი“.

შავით მოსილი, პირბადით
შინ შემოვიდა სტუმარი...

ანიშნა მარტო დარჩენა
და გადუკეცა სხვებს კარი.

ნადგა წინ შორიახლოსა,
პირ-ბადე გადაიხადა;
მისი ციური შვენება
ნოინის გულმა იხატა!..

ჯერ მისი მსგავსი ამ ქვეყნად
არსად ენახა სულდგმული!
სულმა წასძლია ბინძურსა
და აუძგერა გლახ გული.

ზეზე წამოდგა... იმავ დროს
წინ ბიჯი ნადგა თვით ქალმა,
და იმის ბროლის თითებში
უცბად იელვა ხანჯალმა.

უთხრა: „შეჩერდი!.. ნუ მოხვალ!
რომ დაიმშვიდო, სჯობს გული;
შენ სატრფიალოდ არა ვარ
ამ სიშორს-შორით მოსული!..

„სათხოვარი მაქვს წმინდა-რამ...
მოგენდვე წმინდის გულითა!..
ნუ შეურაცხყოფ კაცობას,
ნუ დამდაბლდები სულითა!

„ნუ შფოთავ! დაჯექ დაწყნარდი
და მომისმინე ვედრება!
სულგრძელობასთან ზდილობას
ან რა სჯობს, ან რა ედრება?!“

ვით გაღალული თვალის კვრით,
ჩაჯდა უსიტყვოთ ნოინი;
დაუცხრა ვნება ჩვეული,
გაქრა სურვილი და ჟინი!

ჯერ არც სმენია ამ გვარი,
და არც რამ გაუგონია!
ფიქრობს, თუ მოჩვენებაა
და ან სიზმარი, ჰგონია!..

უყურებს, თვალით არ სჯერა!
ისმენს და მაინც იჭვშია,
უმტყუნა ძალამ სულ-ხორცის
და უჩვეულო შიშშია!..

ქალი შეჰყურებს პირდაპირ,
ლამის გახვრიტოს მან თვალთ!
კაცი! ძლივს გონზე მოსული,
ოდნად ხმას იღებს კანკალით:

„მაშ მითხარ, რისთვის მოსულხარ?
რა არის შენი სურვილი?
მისთანას რას მთხოვ, ვერ მოგცე,
ვერ მოვჰკლა ნდომის წყურვილი?!“

„გინდა, ტახტს მოგცემ: დედოფლად
დაგსვამ და გეთაყვანები!
მონად გაახლებ მეფეებს...
ჩიტის რძით გაიბანები!“

ქალი მიუგებს ღიმილით:
– დედოფალი ვარ ისეცა!
მაგგვარ დიდებას არ ვეძებ,
არ დამიგმია ისე ცა!

– „მაშ სულს შეგწირავ, თავს მოგცემ,
გულს დავსდგამ საფეხურადა!
და შენს სურვილში დავსდნები,
დავინვი უცეცხლურათა!...“

„– არა ნოინო! ნუ ფიქრობ!
ვერ დავსთმობ ჩემსა კერასა!..“

გული სხვას მივეც და შენთვის
ველარ დაინყებს ძგერასა.“

– ეგებო, რჯული გიშლიდეს,
მე აღვიარებ შენს რჯულსა!..
ზეცაში ახვალ – აგყვები,
ჩახვალ – ჩაგყვები უფსკრულსა!..

– „ეგ არას უშლის! – ღმერთი ხომ
ყველასთვის იგივე ერთია!
რჯული გზა არის სხვადასხვა,
იმ ქვეყნად შემაერთია!..“

„სხვა მიზეზია: სხვა მიყვარს,
ის არის ჩემი ქმარიცა!
მისი ვარ, იმას ვეკუთვნი
მე ცოცხალიც და მკვდარიცა!..“

„აქ გადმოვარდა, როდესაც
გაიგო სხვების ტყვეობა!
ობლად დაგვყარა სუყველა,
დასთმო ღმერთი და დღეობა?!“

„ალარ გამიძლო გულმა და
შევუდექ მეც მისს კვალობას:
ვეთხოვებოდი სამშობლოს,
ვიგლოვდი ყმანვილქალობას!..“

„მსურდა, მომესწრო, მენახა,
მომეკრა სადმე მე თვალი!
და ან მისს უცხო საფლაფზე
გულში ჩამერჭო ხანჯალი!..“

„მოველ, ვიკითხე ყოველგან,
ცოცხალი არის შევიტყვე...
ტიტვლებთან ტიტვლად დამჯდარა,
ნებით გამხდარა შენი ტყვე.“

„იმას გთხოვ, იმას გავედრებ!
მისთვის მოვსულვარ, ნოინო;
სული არ გამანირვინო...
სიცოცხლე მომაპოვინო!“

გაოცდა მშვენიერებით...
სიტყვა-პასუხიც უკვირდა!
ის ერთი წამი ნოინსა
მთელს საუკუნედ უღირდა!..

დღემდის ეგონა, თუ ქალი
მარტო ვნებისთვის შექმნილა!..
ახლა კი ხორცი დადუნდა
და სული-სულსა ეტკბილა!

იგრძნო, რალაცა ციური,
მიუწვდომელი მან ძალა!..
გადიქმნა მისი არსება,
ბუნება გამოეცვალა.

და უმაღლესის სურვილით
შეჰყურებს, როგორც ღვთაებას!..
რა სჯობს, რომ გული უბინო
ციური ჯაჭვით დაეებას!..

სთქვა: საქართველოს მფარველი
დიდი ყოფილა... ძლიერი!
სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,
რათ უნდა გაქრეს ის ერი?!

„რაც მოხდა ჩვენში, დავინყდეს!..
მოვითხოვ მე შენდობასა!..
ან კი მსურს „მამა-შვილობა“
და ვნატრობ მე შენ „დობასა!..“

„ახლა მოვიყვან შენ ქმარსაც...
ვნახავ, თუ შენი ღირსია!..
და თანაც ჩემი სიძობის
შესაფერ-საკადრისია?“

„კუთხეში დაჯექე პირბადით!
მოისმენ ჩვენსა საუბარს!
იმანაც გვითხრას: ვის ეტრფის?
თავს ვის შესწირავს, ვინ უყვარს?“

თავი V

ოქრო და ვერცხლში ჩამჯდარი,
მარტო შემოდის მთავარი.
არ ახლავს მისი მოყმები
და არც მოჰყვება მტრის ჯარი.

თავი დაუკრა ზდილობით
და ჰკითხა: რა გსურს? მიბძანეთ?
ნოინმა შეკრა წარბები,
სცდილობს ეჩვენოს მრისხანეთ.

„– ვინ ხარ? და სადაური ხარ?
ვერ ვხედავ შენს აქ მომყვანსა!..
თუ საქართველოს შვილი ხარ,
დღემდი ვერ მცემდი თაყვანსა?“

– „მე სათაყვანოდ მოსული
არც დღეს გახლავარ, ნოინო!..
ნუ ფიქრობ, ცოტნე დადიანს
ტყუილი შენ ათქმევინო!“

–ა! შენ ხარ ცოტნე? ის ცოტნე,
რომ არათ აგდებს მანგოლსა!
სცდილობს სამშობლოს გამოხსნას
და სხვებსაც ეძებს ამყოლსა?

– დიახ, ისა ვარ, ნოინო!
მართალი გაგიგონია.
– მაშ, ჩემთან როგორ მობედე?..
მადლობას გეტყვი, გგონია?!

– არ მიფიქრია მაგაზე!..
სხვა იყო ჩემი განძრახვა:
აქ მოყვრებს ვეგულეზოდი...
მომინდა მათი დანახვა!

– ხომ ნახე ისეთ პატივში,
როგორც მათ შეეფერება?!
– „ვნახე და გავიზიარე
მეც მათი ბედნიერება.

ჭირში და ლხინში ყოველგან
ვყოფილვართ გაუყრელათა...
დღესაც მოვსულვარ, მათთანვე
სისხლის და ცრემლის მღვრელათა“.

– შენ მარტო? სხვები სად არის?
რათ გაიფანტნენ ბზესავით?
– თუ ყოფილიყვნენ, ისინიც
აქ მოვიდოდნენ ჩემსავით.

– აფერუმ თქვენს მეგობრობას!..
აფერუმ ვაჟკაცობასა!!
მაგრამ ვერ გიქვებ ბატონის
მოღალატობა-მტრობასა!...

– როდის გინამეთ ბატონად!
დაკითხებიხართ ჩვენს გულსა?
თუ ტვირთი მძიმე მონობის
ძალით დაგვადგით ჩაგრულსა?!

„ძალმომრეობის კანონი
დღეს ერთის არის, ხვალ სხვისა...
ბედია მომნიჭებელი
წყალობის, გინა რისხვისა!

„დღეს მოხარკე ვართ ჩვენ თქვენი
და კიდევ ვიხდით ნებითა...

დროს ვუცდით... ჩვენ ღმერთს შევეყურებთ
იოპის მოთმინებითა.

„და უმიზეზოთ რათ გვდევენით?
რისთვის გვეპყრობით მტრულადა?
რას გარგებსთ რჯულის მოსპობა
და ან ერობის, სრულადა?!..“

„სანამდის ხელს არ აიღებთ
ამ უნაყოფო ცდაზედა,
ყოველთვის მტრულად დაგხვდებით
ყოველ სარბიელ, გზაზედა!..“

– დაგვხვდებით!.. და რას გაიტანთ?
ეს დღე მოგელის ყველასა!..
თქვენ თავად ძალი აღარ გაქვსთ
და ვისგან ელით შველასა?!

– ღვთისგან!.. რომ ჩვენმა შვილებმაც
ქვეყნისთვის სისხლი ღვაროსა!..
„ჩვენ წავალთ, ისინი მოვლენ
ტურფასა საბაღნაროსა!..“

– აფერუმ, ქვეყნის ერთგულო!
კაცი ხარ, კაცურათა სჯი!
მომნონს ეგ სიტყვა-პასუხი:
არ გირისხდები, არა გსჯი!

„გაძლევთ სრულ თავისუფლებას,
როგორც შენ, ისე ტყვეებსა!..
და თქვენ მხარესაც ავაცდენ
საგლოვიარო დღეებსა.

„იყავით მარტო მოხარკეთ...
შევეტკობთ წლიდან წლობითა:
თქვენ ჩვენი კარგი სტუმრობით!..
ჩვენ – თქვენი მასპინძლობითა!..“

„მხოლოდ მეცა გთხოვ, იცოდე,
სამაგიეროდ ერთს რამეს:
შენ ცოლს აქებენ ყოველგან
და ის მომგვარე ერთ ღამეს!..“

როგორც რომ ვეფხვი დაჭრილი,
ისე ათრთოლდა ცოტნეცა,
ააკრაჭუნა კბილები
და ცოტას განყდა, რომ ეცა!

– ბედს უმადლოდე, ხალვათად
რომ ხარ, მასპინძლად მჯდომარე,
და მე კი სტუმრად მოსული,
ხმალ-ხანჯლით შენ წინ მდგომარე!

„ეგ ერთი გითქვამს!.. მეორეთ
ენას არ წააცდენიო!
გონებაშიხდილს სასირცხვოდ
სისხლი არ დამადენიო!“

ნოინმა წარბი გაიხსნა,
ლიმილიც მოერია მას! –
და სიტყვით ცივ წყალს ასხამდა
მისს აღელვებულ გულის თქმას!

– ნუ ჯავრობ!.. განგებ გითხარი...
მინდოდა შენი გამოცდა...
რაც სთქვი, ტყუილი ყოფილა,
აგერ თვითონვე წამოგცდა!!

„სამშობლო“, „მოდმე“, „მოყვარე“ –
სიტყვა ყოფილა უბრალო!
ნუთუ არა ღირს იმდენად,
რომ შენ ერთ ქალში გასცვალო?!

არ მოელოდა ამ სიტყვას!
შერცხვა და შეკრთა მთავარი...

ცოტა შეჩერდა და შემდეგ
პასუხი მისცი ამგვარი:

– „მე რა ნება მაქვს მაგისი?
მონა არ არის, – ცოლია!
ჩვენი კანონი სულ სხვაა:
ცოლი ქმრის უღელ-ტოლია!“

– მაშ, კარგი! რადგანც მე მინდა
დღეიდან შენი მოყვრობა,
ნუ ვანყენინებთ ერთმანერთს,
განზე გადავდვით ან მტრობა!..

ხომ ხედავ, აქ რომ ქალი ზის?
ის ჩემი შვილობილია.
ვატყობ, რომ შენი ქვრეტითა,
ისიც კი კმაყოფილია!

მაგაზე უფრო მშვენიერს
ქვეყნად ვერ ნახავ ვერც ერთსა!
რომ შენი ცოლი ვერა სჯობს,
თავდებად გაძლევე მეც ღმერთსა.

სასიძოდ ამირჩევიხარ:
მინდა ის მოგცე ცოლადა;
დაგიახლოვო და მყავდე
ჩემი თავისვე ტოლადა!..

– ვინ ღირსა მაგ თქვენ წყალობას
და იმ უდიდეს ოცნებას?!
მაგრამ ორცოლიანობის
რჯული არ გვაძლევს ჩვენ ნებას.

– „ეგეც არ გინდა? მაშ კარგი!
პირობას გიდეტ კიდევე სხვას:
იზამ – არ გავტეხ ჩემ სიტყვას,
არა და ნახავთ ჩემს რისხვას!..“

„მოდი, ახადე პირ-ბადე,
აკოცე, როგორც საყვარელს!
და აგისრულებ მაშინ მეც
მაგ შენი გულის სანადელს!“

ებილნა ცოტნეს პირობა,
მაგრამ, არ იცის, რაღა ქნას?
სხვა გზა არა აქვს მოყვრების
და მის სამშობლოს გამოსხნას!..

წარმოსთქვა: „გულთამხილაო!
შენ ხედავ, მატანს ძალასო...
მივალ და ისე ვაკოცებ,
როგორც ხესა და ჩალასო.

„რა არის კოცნა უნდომი;
უგულოთ... უსიყვარულოდ,
თუ არ სიცოცხლე ბედ-კრული
უსიტკობოდ... უსიხარულოდ?!“

დათანხმდა! ქალთან მივიდა,
საკოცნად თავი დახარა!..
ქალმა გადიძრო პირბადე...
ნოინმაც გადიხარხარა!..

როგორც შვიდძალი ფერადი
აშვენებს ცისარტყელასა
ისე დაეტყო სახეზე
სიამოვნება ყველასა!..

[1896-1897 წწ.]

გამსწდელი

ნამდვილი ამბავი

ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს

|

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა, ღვიმის პირად
მინწული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად –
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა, ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, –
ფაცხააც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჭექა ელვას.

მაგრამ, როცა დაქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არე-მარე,

მაშინ ფაცხა სიმარტივით
მომხიბლავად ლამაზია,
და იმასთან ყველა სტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.

გზა მიუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზდილ-გამონვრთნილი,
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-ღვიმეს
ვინ პატრონობს, ვისი არის?
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?

ერთი ვინმე ახალგაზდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედიტაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მინაშუქს,
მოაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლათ
მიიყვანა, ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცასქვემეთი
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზი-ბროლა – სახელია,
სამეგრელოს ასულია,

მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..

ელფერობით ვარდი არის,
სინაზით კი – მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში სულს ცვლის,
ხორცს ენმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფევლის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!..

ქარი ზუის გულსაკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
 ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
 მაგრამ, დახეთ, ვილაც მგზავრი
 სტუმრად მოდგა აფხაზის კარს!!

დაურეკა და ხმა მისცა:
 „გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
 სტუმარი ღვთის, კარზე ვდგევარ,
 ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა!“

გაუკვირდა აფხაზს და თქვა:
 „ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
 შეუკიდა ცეცხლს და უცბად
 გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
 ფეხებამდე დასველებულს,
 მიიყვანა ცეცხლის პირად,
 უდგამს სამფეხ სკამს, დაღალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
 ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;
 თავპირი აქვს შებურვილი
 ჩაბალახით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
 ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
 ჩაბალახი რომ გადიძრო,
 მოტრიალდა უკან ჩქარა.

– მასპინძელო! სიცილით თქვა,
 წახდა ჩემი ხუმრობაო!..
 ვერ მიცანი, თუ გენყინა
 ეს უდროვო სტუმრობაო?

– საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს
 ძიძის შვილი მაგ შენს თავსო?..
 ეს თვალეზი რაღას ნახვენ
 შენს უკეთეს სანახავსო?

მოეხვია, გადაჰკოცნა,
 როგორც ძმა და თვისი ტოლი
 და მერე კი გააღვიძა
 შიგნით მწოლი თვისი ცოლი.

შეეხვეწა: „აბა ჩქარა
 მოამზადე ვახშამიო:
 შორი გზა აქვს გამოვლილი,
 არ ექნება ნაჭამიო“.

– „არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
 არ მცალია იმისთვისო!
 მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
 სხვანაირი გულისთქმისო“...

უპასუხა და მოუყვა:
 – „მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
 დღემდის მტკიცე პირიანსა,
 დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

„ალმასხიტს ხომ კარგათ იცნობ,
 თავმომწონე ინალიფას?
 მის ცხენსა და მის იარაღს
 ვერ ვინ დადებს ღირებულ ფასს

„ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
 ცხენოსანი უებარი!..
 მეტოქეა ჩემი მხოლოდ
 ერთადერთი საშიშარი.

„შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

„ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არათ აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავე
იმას ის ვერ იმსახურებს.

„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით გათქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დაბმულია!..

„მთვარესავით ხელუხლები,
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს.

„ჯერ დალაღავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს თვისს მსხვერპლს განსაცდელში!..

„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა...
და, თუ ქალი მაჯობებდა, –
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

„დამაჩნემა: «თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო!»

„ინალიფა თვისს ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი, თავმოძნონე.

– „აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ აღმასხიტის
ლურჯა ლაფშა მოვიპარო.“

მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეანუხა, დააღონა.

უთხრა: – „ვნუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგანც სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

„გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოინურო:

„მის ოცნებას, მის გულის თქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლევ შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუნონო.

„ეს შენც იცი, – არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი, –
სავაშკაცოდ გამოსულხარ,
უდრეკი და უშიშარი!

„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილაც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

„ერთმანეთის მინამზგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე როგორც სხვა და სხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.

„შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუმდი ცვეცხლის პირას!..
და თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოენყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაზუის თავზე ქარი.

III

ორიჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯს ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: „ერთს დავხედავ,
ტკბილად მძინარ ნაზი-ბროლას,
თუ გავუძელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას“...

სასოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს ის საკვირველს!!
ნაზი-ბროლა ჩუმად ტირის,
პირს იხოკავს, იკანწრავს ყელს!..

თმაგაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!.

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ ტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს – სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!“

„ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს
რას უჩივი რად ემდური?“

„გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ მგონია დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვიან,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა თვისს ძიძიშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“

„– შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, ან კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისად
თუ რომ ვერას გემსახურე!“

ხან ესა სთქვეს, ხან ისა თქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მით ცხენები,
ააღელვეს, ააჩქარეს
და ვინრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუმით ჩაატარეს.

რომ ჩავიდენ შორი ახლოს
მინდვრის პირათ, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

„– საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!

არა თქვა-რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედათ
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..“

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარალი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...

ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთლე!“

– „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გინოვია...“

„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკენესად.

„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!

„მაგრამ ერთს კი დაგავალე,
ამისრულე შექველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად

„წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა!“

გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვართ, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით, –
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში საზოგადოთ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭარმაგია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, –
არ ტყუილი ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა,
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ ამ უსუბთან
მიდის ეხლა საფარ ბეგი,
„მორდუობის“ გამტეხი და
ჩვეულების გადამგდები.

ეუბნება ყოველიფერს,
უნებურად რაც შეემთხვა;
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინალვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგძეგანა.

ოხვრით კითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა თქვა ქმარმა?“
– „მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!..“

მხოლოდ ეს კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!“

– მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასანმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..

შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:

– „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზღიხარ!“

წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

[1898 წ.]

მომაკლავის
არც
ჩვენება
არც

სიკვდილ-სიცოცხლის შუა მდებარეს,
როდესაც სული ხორცს მეყრებოდა,
ცოდვილი ქვეყნის გამოთხოვება
მე მაინც კიდევ მენანებოდა!..

რასაც სიყრმიდან თვალი და გული
შეთვისებია და შეჩვევია,
გონება კავშირს ველარ გაუწყვეტს,
სიცოცხლეს მისი მონა და ტყვეა!!

ვიტანჯებოდი, ცრემლების ნაცვლად,
ჭირის ოფლშილა ვინურებოდი...
მინა მტოებდა... ცა მიწოდებდა
და მე კი ვერც ერთს ველარ ვსწვდებოდი.

არც აქეთ ვიყავ და აღარც იქით
მე, ორთა შუა გამოხიდული;
უჩინარ ბენვით ოდნათ დაბმული
ხორცი უსულოდ, უხორცოდ სული!

უცბათ გაიხსნა ცა, მოელვარე
მალლით ნათელი გადმოეფინა
და თანვე მოჰყვა ხმა ზეციური:
„აჰა, ოსსანა მალალთა შინა!“

ნათლის სვეტებზე ნათლისვე კიბით
გადმოექანა ძირს ანგელოსი;
სხივით ნაქარგი თვით ელვარება
იყო იმისი წმინდა სამოსი.

მომიახლოვდა მანუგეშებლად,
ცისა და ქვეყნის შუამავალი.
დამიდგა მარჯვნივ... მისმა შვენებამ
მომხიბლა სრულად და მომჭრა თვალი.

ამ დროსვე ერთად შეიძრა მიწაც,
ქვესკნელმა გვრგვინვით გააპო ბნელი
და ამოფრინდა ბოროტი სახე
სრულის დიდებით, თვით ბელზებელი.

იმის მედიდურ ძლიერ სახეზე
უფლება შავი ხაზით ეწერა;
დადგა პირდაპირ ანგელოსისა
და შეუპოვრად დაუნყო მზერა.

„შენ აქ რა გინდა? – სთქვა ანგელოსმა –
სამარადისოდ შეჩვენებულო!..
ურჩო მეუფის!.. და ქვეყნის მტერო!
მოუსვენარო!.. ბოროტო სულო?!!

განა არ იცი: ვისაც ამ ქვეყნად
ვერ შეურყიე სარწმუნოება,
სიკვდილის შემდეგ რომ მიეკარო,
არ გაქვს უფლება! არა გაქვს ნება!!

„ვინ მოგახსენა?!. ჯერ ჩემ უფლებას
ვერ გააქარწყლებ შენ ასე ჩქარა!..
ჩვენ-ჩვენ საზღვარზე ვდგევართ ისევე!“
–სთქვა ბელზებელმა! გადისხარხარა!

„ჯერ, სანამ სული ხორცს არ გაჰყრია,
არ დამკარგვია უფლება და დრო!..
უკანასკნელად ერთს კიდევ ვსინჯავ,
რომ მაგის სული მოვინადირო.

და ხელის შეშლა თუ შეგიძლია,
იხმარე შენი გრძნობა-გონება,
რომ მოანატრო ის ზეციური
საოცნებო რამ ყოფა-ქონება.

მეც გამოვიჩენ ჩემ ძლიერებას
სათვალ-და-თვალოს და ხელშესახებს
და მაშინ ვნახავთ: ამ ორში, აბა,
რომელს აირჩევს? და რას აიღებს?

შენ შეგიძლია წაართვა სული!
მე შემიძლია რომ დავუბრუნო!
შენ სხვის მონათ ხარ კარზე მოსული
და მე კი მმონებს თვით საუკუნო!!.

ანგელოსი

როდემდის?

ბელზებელი

სანამ არ მოიშლება
ქვეყანა მისის შვენეირებით,
არ მყავს მეტოქე, მოპირდაპირე
არც მოხერხებით, არც ძლიერებით!

ანგელოსი

კი, მაგრამ ეგ ხომ დროებითია?
„მეორეთ მოსვლის“ არა გაქვს შიში?

ბელზებელი

საუკუნეთა საუკუნოებს
არა აქვთ ზომა და ანგარიში.
„მეორეთ მოსვლა“ ისე შორს არის,
რომ მაზედ ფიქრი არს უგნურება.

ანგელოსი

რასაც ოდესმე ბოლო მოეღის,
არ არის სრული ის ნეტარება.

ბელზებელი

ბევრჯელ წამიც კი ბედნიერების
საუკუნოზედ უტკბილესია!..
მეც მომავალი ჩემი სიმწარე
ანმყოს სიტკბოში ჩამილესია!!

ამას ვჯერდები და მომავალი
მე დამითმია თქვენთვის საკუთრად, –
ჩემთვის შავ-ბუნდათ წარმოსადგენი
და თქვენთვის რალაც ნათელ-ვარდის ფრად.

თქვენ ანმყოსა სცვლით იმ მომავალში
მე მომავალზე ანმყოს არ ვჭყიდი!..
ვინ მოსტყუვდება ჩვენში ვინ იცის?..
სულ სხვადასხვა გვაქვს ჩვენ გზა და ხიდი:

შენ მარჯვნივ იწვევ ადამის შვილებს
მე იმათ მარცხნით ვეპატიუები!
არჩევანი კი იმათ ხელშია
და ნუ გასჯიან როგორც გიჟები!..

სადაც ერჩიოთ იქით წავიდენ!
ა, მაგალითი ახლაც თვალწინ გვაქვს:
ამ მომაკვდავთან მოვსულვართ ერთად
და ქირის უფლად ვადგივართ მას თავს.

შენ სულ სხვას ურჩევ და მე კიდევ სხვას!
არა სჯობს, ვკითხოთ მაგისვე სურვილს:
სიცოცხლეს ირჩევს ჩემი შეწევნით?
თუ შენი რჩევით სანატრელ სიკვდილს?
სთქვი: რას ჰპირდები?

ანგელოსი

განსასვენებელს,
სად არც ურვაა, არც მწუხარება!
და ხორცშესხმულიც ვერ წარმოიდგენს
თუ რა ტკბილია ის ნეტარება!!

მახლობლად ღვთისა, წმინდათა შორის,
ანგელოსთ გუნდში გამორეული,
ციური ძალით გაიმსჭვალება
ვალგადახდილი სპეტაკი სული!

ამიერიდან უკუნისამდე
არ მოეშლება ის ნეტარება...
მაშინ როდესაც შენი დიდება
ამ ქვეყანასთან ერთად გაქრება.

ბელზებელი

წელანაც გითხარ, უფარსაგოა
ეგ საოცნებო რამ მოგონება:
მაგის სიშორეს ვერ წარმოიდგენს
ჭკუათამყოფლის გრძნობა-გონება.

და მე მით უფრო... რაც დღეს ხელში მაქვს
განა გიჟი ვარ, რომ შეველიო?
ნათქვამი არის: „ხვალინდელ ქათამს,
კვერცხი სჯობია დღევანდელიო“.

ანგელოსი

ჩვენსას თუ სწუნობ, ახლა შენი სთქვი:
რა უფლება გაქვს? რა შეგიძლია,
რომ ამ მინის შვილს შენ მიანიჭო?

ბელზებელი

რასაც კი მომთხოვს!.. სულ ადვილია!

ხანგრძლივ სიცოცხლეს და ტანმთელობას,
სიბრძნე-სიმდიდრეს და ძლიერებას!..
სიჭაბუკესაც, რომ სიყვარული
უგვირგვინებდეს ბედნიერებას.

და ამას გარდაც, ზედ მეტად კიდევ
მცირე სურვილიც ვალად მედება;
ყოვლის შემძლები, ვიქნები მონა
მაგისი! ნატვრა არ მოაკლდება.

ეს რომ სთქვა, მერე მე მომიბრუნდა:
„ან მოიკრიბე შენი ღონეო
და აირჩიე რომელიც გინდა!..
რაცა ვსთქვით შენც ხომ გაიგონეო?“

რომ მოვისმინე იმათი ბჭობა,
უჩვეულობით გაკვირვებულმა,
ალარ ვიცოდი რა უნდა მექნა!..
ძგერა დამინყო ორჭოფად გულმა:

ზეცის შელევას ვერა ვბედავდი
და ეს ქვეყანაც მენანებოდა!..
სიტკობო-სიმწარის შუა ვიყავი,
სული შფოთავდა, ხორცი დნებოდა.

ბოლოს გავბედე ხმის ამოღება
და დავეკითხე მათ მორიდებით:
„ჩემგან რას ითხოვთ სამაგიეროს,
იმის სასყიდლად, რასაც მპირდებით?“

სთქვა ანგელოსმა: „მხოლოდ იმას გთხოვ,
რომ არ დაჰკარგო შენ სასოება
და ხრწნილებადი შენი სხეულის
არ მოინდომო ამაოება!“

ბელზებელმაც სთქვა: „ბევრს არც მე ვითხოვ:
რომ მოვიფხანო, უბრალოდ, გული,
მხოლოდ ფორმისთვის, ზეცის საჯიბროდ,
მერმისისათვის მომიყიდე სული“.

ჩამაგდო ამან საგონებელში.
ალარ ვიცოდი, რა ამერჩია?

ორივე კარი ცის და ქვეყნისაც
მზა იყო ჩემთვის... ორივე ღია!..

პირი ვიბრუნე ბელზებელისკენ
და მოვინდომე მისი მინდობა.
თუმცა არ მსურდა არც ანგელოსის
უარისყოფა და ზეცის გმობა.

შენ პირობაზე მე მოვანერ ხელს!
ვსთქვი – თანახმა ვარ და არც ვინაღვლებ!
იმ პირობით კი, თუ შენც შენს სიტყვას
არ გადაუხვევ და შეასრულებ?!

– ვფიცავ ჯოჯოხეთს! სთქვა აღტაცებით
და მედიდურად გადიხარხარა!..
შეკრთა მფარველი ანგელოსიცა,
მწუხარე სახე დაბლა დახარა!!

იუდას ტყავზე კაენის სისხლით
დაინყო მტერმა პირობის წერა,
მაგრამ მართო მის დანაპირებით,
რომ ჩემი გული ვერ შეაჯერა

თამამად მითხრა: მეტი რაც გინდა
შენვე მომთხოვე და აგისრულებ!
მე ჩემი სიტყვის გამტეხი არ ვარ!..
არც გავნებილდები! არც გაგანბილებ!

– მართლა? მაშ კარგი! მიუმატე ეს:
რომ ან საერთოდ ქართველი ერი,
ამაღლებული... აჰყვავებული.....
ხანგრძლივი იყოს და ბედნიერი!

– აჰა, ჩავწერე!.. სხვა რამეც კიდევ
ჩამანერინო გინდა თუ არა?
– რასაკვირველია, ერთიც რომ კიდევ
და მეტს არას გთხოვ... გათავდეს! კმარა!

– სთქვი მალე ეგეც და გავათავოთ!
რა სურვილია ეგ კიდევ ერთი?
– რომ საქართველომ ქვესკნელი დაგმოს
მოიახლოვოს ზეცა და ღმერთი,

„რომ ქართველობამ მტკიცედ დაიპყროს
ქრისტეს მოძღვრება და წმინდა რჯული,
და მაშინ, დიას, შენი იქმნება
სამარადისოდ ეს ჩემი სული!!

შეერთა ეშმაკი ამის გამგონე!
არ მოელოდა ამგვარ პირობას!..
ფრთა შეეკვეცა იმის წამიერ
ამპარტავნობა-მედიდურობას.

გაქვავდა თითქოს, მაგრამ კანკალი
დაუნყო მხოლოდ გულმა და ხელმა.
სთქვა გუნებაში: ვაი სირცხვილო,
რომ მომატყუა ამ იმერელმა:

სულ რომ ცოტა ვთქვათ, დღეს ქართველების
მეც ორი წილი ხომ კი მერგება.
და ამ ერთ სულში რომ ის გავყიდო
რა ჭკუა არის? და რა მოგება?

გასტეხა სიტყვა, გაუჩინარდა,
ჩაძვრა ქვესკნელში სირცხვილეული
და მაშინ მხოლოდ ანგელოსიცა
ცაში აფრინდა გახარებული.

მე გონს მოვედი, მიმოვიხედე
და იმავე წამს თვალი მოვჰკარი,
რომ მარცხნივ მიდგა დიდი მკურნალი
და მარჯვნივ ახლოს ჩემი მოძღვარი.

[1898 წ.]

ბოემიდან
„ბოღუა“

|

ცრემლში ნალესი ნაღველი
მინდა, რომ მეღნად ვიხმარო,
სანერლად მივსცე გლახ-გული,
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო!

მის ნაცვლად ენა ჩავუნო,
სანვერმახვილო ის არი!..
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!

თავგანირულად, პირდაპირ
შევეჭიდები ქვეყანას!..
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას?

მას შემდეგ, რაც მე კაცადი
გამიზომ-ამინონია,
ყოველი მისი დიდება
სულ სათვალთმაქცო მგონია.

ვხედავთ, რომ ქვეყნის აყოლით
გვჭირს სოფლისავე მონება;
სხვისი თვალი და ყურია
ჩვენი გრძნობა და გონება!..

ორივე ღმერთმა მაშოროს:
სხვისი თვალიც და ყურიცა!
მაშოროს სხვაზე უფლება
და სხვისი სამსახურიცა!

სჯობს, ისე დავრჩე, როგორც ვარ
და დღემდე რაცა ვყოფილვარ...
შიშველი წავალ იმ სოფლად,
აქაც ხომ ისე ვშობილვარ!

არ მივიმადლებ, არ მინდა
მამაპაპური წყალობა...
სამცონარეო დიდება
და მათი ჩამომავლობა!

ლონიერია სოფელი,
სარბიელი აქვს საცადი:
ყოვლიფერს თვითვე მოიმიკის,
თუ ვარგა კაცად-კაცადი.

მაგრამ გულხარბი ქმნილება
უზომო, უმაძღარია,
ალარ სჯერდება სამყოფსა
და მეტის მაძებარია.

ხან იმას ეძებს, ხან ამას,
სურვილი მრავალგვარია!..
ხან სიტკბოს ჰპოებს ნალველში,
ხან მისთვის თაფლიც მწარია.

მე არ ვარ ბევრის მძებნელი,
ცოტაც არ მომყირჭებია
და მხოლოდ იმას ვსჯერდები,
რაც ზეცით მომნიჭებია.

„შენი ქება და დიდება,
შენი ღვინი და ჭირიო,
–მაღლიდგან გადმომადახეს, –
ქამანჩაა და სტვირიო.

„სული და გული შიგ ჩასდევ,
ხელში აიღე მალეო,

ნუ სდევ უკულმართ ცხოვრებას!
გაშორდი... გაეცალეო!..

„გეტირებოდეს – იტირე,
იშვებდე – გაიცინეო!
იშრომე... დაილალები?
დასწექ და დაიძინეო!

„სხვების მიყოლით... მიბაძვით
არ გადაადგა ბიჯიო!..
შენ რას დაეძებ, დაგძრახონ
და დაგიძახონ გიჟიო?!.

„შენ მხოლოდ ნუ მოშორდები
იმ შენ ქამანჩა-სტვირსაო!..
თუ შენვე არ უღალატებ,
ის არ გაგიტყვს პირსაო;

„კუბოს კარამდე მიგყვება,
ვით ძმას და მეგობარსაო,
და რომ მოკვდები, შენს ამბავს
გადასცემს მთა და ბარსაო!“

გულში ჩამეჭრა ეს სიტყვა
კანონებად და რჯულადა
და შემდეგ ჩემი ცხოვრება
მიდის სულ კრიმანჭულადა.

მაგრამ ეს კრიმანჭულობა
მიყვარს და ვენაცვალეო!
ვისაც არ მოსწონს, მომშორდეს!
განა მე მივეძალეო?

ის მისთვის იყოს, მე ჩემთვის!
რა გვაქვს ჩვენ გასაყოფელი?
ორივეს კარგად გვეყოფა
ვრცელია ნუთის სოფელი.

მაგრამ ის, ვისაც მოვსწონდეთ
და იყოს ჩვენი მოყვარე–
დაუკარ ჩემი ქამანჩა–
ცხრა მთას იქიდან მომგვარე.

იმას გადავცემ, რაც გულში
ნადულად ჩამგუბებია!
გაიცნოს ჩვენი ქვეყანა,
შეიტყოს, რა ანბებია!

ყოფილა, დღეს ველარ არის!
მაგრამ იქნება, ცხადია!
თუმც იმთავითვე შავ-ბედის
ვარსკვლავზე დანაბადია.

გამობრძმედილა ტანჯვაში,
ფოლადად გამტკიცებულა
და მოელვარე ცდომილად
უკუნში გატაცებულა.

მისის მშვენების მნახველი
მხოლოდ გონების თვალთა!..
კვალში ჩავუდგეთ! ვეძიოთ!..
ვიპოვოთ – ჩვენი ვალთა!..

„ეძიებდეთ და ჰპოებდეთ!“
მაცხოვარია, რომ ბრძანებს...
ნამის მიმყოლი პირადად
საუკუნოებს ინანებს!..

ეგები მითხრან: – „რას ჰბოდავ?
და ან ვინ გაგიგონებსო?
შენი მხილება რას არგებს
დღეს გულგატეხილ მონებსო?“

მე რალა მეთქმის ჩემ თავად,
დატვირთულს ქვეყნის ჭირითა?

და პასუხს ვაგებ მათ მხოლოდ
პატარა ფუტკრის პირითა:

„თაფლს ცოცხლებისთვის ვამზადებ,
მკვდრებისთვის წმინდა სანთელსო,
და ვაკავშირებ ორ სოფლის
სიტკბოებას და ნათელსო!

„მაგრამ არავის ვუყვარვარ,
თუ არ რჩეულსა ზენარსო,
და მეძახიან ბზუილას,
უსაქმურსა და მკბენარსო.

„ღმერთი ხომ ჰხედავს, პირიქით,
რომ ვარ მე უწყინარიო,
მხოლოდ პირაქეთ მომსვლელზე
ფარ-გვარად მოისარიო!“

მეც ამ ფუტკრის ვარ მიმყოლი!
ეს არის ჩემი მოძღვარი,
და ჩემს გულს გაკერპებულსა
არ დაედება საზღვარი!

თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით
ვერვინ შემიშლის ბოდვასა,
და გამოვიტანთ საქვეყნოდ
დაფარულს მაღლს და ცოდვასა.

ვიცი, რომ ჩვენი ქვეყანა
ღვთისმშობლის წილნახვედრია,
ქალწულ დედისგან ნაკურთხი,
ძისადმი შენავედრია!

აქ წინო, თამარ, ქეთევან
სამარადისოდ ქებულან,
დედათ გვირგვინად ზეგარდმო
კურთხევით გაბრწყინებულან.

აქ ჩვენი ძველი დედებიც
სამაგალითო ყოფილან:
ქვეყნისთვის თავი დაუდევსთ,
რადგანაც მისთვის შობილან!

გამოუზრდიათ გმირები
სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკად
და მით გვაძლევენ მაგალითს,
თითქოს ზღაპრად და არაკად!

დიდება იმათ დედობას!
დიდება იმათ სახელსა!..
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ველარ ახელსა!

ვერ ახელს მიტომ, რომ სხვა მხრით
უჭირავს შემცდარს თვალები...
და უნდა ღირსად შევამკოთ
ჩვენ დღევანდელი ქალები.

II

დრო წავიდა, სხვა მოვიდა,
დღე დანვა და ღამე ჰშობა,
„ზრასტის“ ვეტყვი ზოგიერთ ქალს!..
ალარ ესმის „გამარჯობა“.

ვეტყვი, მაგრამ სად მოვნახო,
სახლში რომ არ დამიხვდება?
დილას ადრე კატასავით
ის ხომ კარში გამოხტება?!

თითქოს რამე დაჰკარგოდეს
და ეძებდეს დანაკარგსა,
მაგრამ ვისთვის? ოჯახისთვის
შესაძენს და განა კარგსა?

სულაც არა! სხვა რამესთვის
მიჰქერი-მოჰქერის და ფარფაშობს!

ალარ ახსოვს მას ოჯახი,
არც იგონებს ქმარს და ნაშობს.

სძულს წარსული, ანმყოს ეტრფის,
მომავალში მისთვის ბნელა;
იმდენს ჰგრძნობს და იმდენს ჰფიქრობს,
რამოდენსაც ბუზ-პეპელა.

ბევრი იტყვის: „ნეტავ ჩვენში
ამისთანა ვინ უნახავს?
აბა, ერთი მიგვითითოს,
ვისზედა სწერს? ვის გვისახავს?“

უკაცრავად, ვერ გავამხელ
იმათ გვარს და იმათ სახელს,
უფრო მალე გავიმეტებ
მოსაჭრელად ენას და ხელს.

სარკე თვითონ გამოაჩენს
მისის სახით თვითეულს ქალს,
და თუ ვინმე მახინჯია,
მე არ ვიღებ ჩემს თავზე ბრალს!..

მხოლოდ ვამბობ: „ბუნებო,
რად შეამკე ეგრე სრულად,
თუ იმ შენს მადლს, დიდებულს ნიჭს,
ატარებდენ გაბასრულად?“

„თუ ქვეყანას არას არგებს,
განა არ სჯობს, დაბნელდეს მზე?
ქართველ ქალის ჩვენ ამ დროში
რას გვარგია სილამაზე?“

ჰეი! ჰეი! ველარ ვხედავ
დღეს ძველებურ ქართველ დედებს,
მათ მაგიერ მომავალზე
ველარავინ გვაიმედებს!

მაგონდება შაჰ-აბაზი,
მთელს კახეთზე გულმღელვარე
და იმის წინ ტყვედ წამდგარი
ქალი, ეშხით მოელვარე.

თრთის ყვენი ფერწასული,
ჰხიბლავს ქალის მის მშვენება,
მოელეღვა გულზე სისხლი,
აეშალა ვნებათ-ვნება.

და ტყვეს ჰკითხავს: „ჩვენება ხარ,
თუ წამდვილი მინის შვილი?
თავს გვირგინი გეკადრება
და რას ჰწინწავს ფეხთ ბორკილი?“

– „ჩვენს სისუსტეს და თქვენს ძალას! –
ქალი მტკიცედ ეუბნება: –
აღბათ, ღმერთთან შემცოდე ვართ...
კურთხეულ არს მისი ნება..“

– „ვხედავ! მაგრამ შენდა თავად
ჩემს წინაშე რა გაქვს ბრალი?
ნუთუ მართლა ბრძოლის ველზე
გამოსულხარ სუსტი ქალი?“

– „რატომ არა?.. ქალი რომ ვარ,
უფრო ჩვილი არ მაქვს გული?!
აქ მარხია ჩემის ქვეყნის
ერთგულეობა-სიყვარული!“

და ეს არის, დღევანდელ ჭირს
რომ მიქარვებს... მიაღვილებს!..
მამა-პაპათ მიაწდერძეს,
რომ გადავსცე მეცა შვილებს...

„მამა არ მყავს!.. თათრის ომში
მოკლულია ჩემი ქმარი!..“

შვილები ჯერ არ დაზრდილან...
მელა დავრჩი მეომარი.

„ვერ ვაჭმევდი ოჯახს სირცხვილს!
მომეხადა უნდა ვალი:
მამაკაცის მაგიერად
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი...“

„და ავიღე განა მიტომ,
რომ ბორკილზე გამეცვალა?!
ეჰ!. რა ვუყოთ? ნათქვამია:
„აღმართსაც ჰწინავს მეტი ძალა!“

„ერთით ერთზე ვერ მოჰბედავ...
გუნდით ებრძვი ყოველ ქართველს...
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი
მეც ვერ დამრევს თათარი ხელს“.

ვით მრისხანე ანგელოზი,
მცველად მდგომი ედემის კარს,
ყვენიწ წინ სდგას ტყვე-ქალი,
თავსბრუს ახვევს და სცემს თავზარს.

გალომებულ-გავეფხვებულს,
აღელვებულს ქართველსა ქალს,
მოთმინებით უსმენს სიტყვებს...
ვერ აშორებს ძლიერი თვალს!

„ბაშვადონუმ! – ბოლოს ბრძანა,
ქალი უნდა ამისთანა!..
ვხედავ, რითიც მიმკლავდება
ერთი ბოხჩა ეს ქვეყანა!..“

„გული მიწევს მათ სამუსროდ...
გონება სხვას მეუბნება:
ძნელი არის ამისთანა
ხალხის ჩვენგან დამონება!“

„არ შეიცვლის არც ზნეს, არც ფერს,
სანამ სრულად არ გაჰქრება!..
და ცოდვაა ამისთანა
მტკიცე ხალხის აოხრება!..“

ეს ბრძანა და სარდლებს უთხრა:
„შეაყენეთ სისხლის ღვრაო!
მზემან შუქი მომაფინა...
ვნება გულის დამიცხრაო!“

„მხეცი იყო შაჰ-აბაზი
და პირუტყვი იმ დროს ერი,
მაშინ ყველა იტანჯოდა
და დღეს კი ვართ ბედნიერი.“

„ალარც ომი, არც სისხლის ღვრა,
არც ტყვეობა და ბორკილი!..
და რად ვიტყენ უტკივარ თავს,
ცხოვრება მაქვს როცა ტკბილი?“

ამგვარ პასუხს იძლევენება
დღევანდელი ჩვენი ქალი!..
იყურება და ვერ ჰხედავს,
გახელილი თუმც აქვს თვალი.

აბა, ჰკითხე: ვისთანა ჰყავს
და როგორ ზრდის თავის შვილებს?
უზრდელობად ჩამოგართმევს,
უპასუხოდ გაგანზილებს.

შვილი მიტომ გააბარა,
თვითონ მასზე არ იფიქროს;
თავს ვერ ართმევს სხვა საქმეებს,
ვერ დაჰკარგავს უბრალოდ დროს.

დავიზიტივს, ბაღში დადის,
ხელოვნებას ვერ დასტოვებს:
თაყვანსა სცემს, გრძნობით სავსე,
ლოდებსა და ტარტაკოვებს.

III

ქალებმაც რომ გვკითხონ კაცებს:
„თქვენ რაღა ხართ, ჩვენ რომ გვწუნობთ?
განა თქვენ კი ცხოვრებაში
ჩვენზე ნაკლებ მაიმუნობთ?“

„ცოლს რომ ირთავთ, რას დაეძებთ:
მეგობარს და შვილის მშობელს?
თუ ფულსა და პროტექციას,
სინიღისის დამამხობელს?“

„როდის იყო, რომ მოგწონდათ
და ეტრფოდით მუშა-ქალებს?
თქვენვე არ სდევთ ბუზ-პეპელებს,
ვერ აშორებთ გულს და თვალებს?!“

„თქვენ არა ხარ, რომ გვიჩვენებთ
შავს თეთრად და თეთრს კი შავად?
უთავბოლოდ თუ ვირჯებით,
იმიტომ, რომ ვერ გცნობთ თავად“.

ეს რომ გვკითხონ, რაღა გვეთქმის?
ჩავიგუბოთ პირში წყალი!
წავიყრუოთ და ჩვენს საქმეს
ავარიდოთ ჩვენვე თვალი!..

თორემ აღარ მოხერხდება
ჩვენის თავის გამართლება,
და დრომაც რომ გვიკიჟინოს,
ღირსი ვართ და გვემართლება!

გული მწყდება, მაგონდება
სიყმანვილე გადასული!..
სხვაგვარ ვგრძნობდით, სხვას ვფიქრობდით,
სხვანაირად სძგერდა გული.

ჩვენ ვიყავით უცხო მხარეს
თავმოყრილი ერთად, სრულად:
ვამზადებდით ქვეყნისათვის
თავს მონამე-მოციქულად.

ჩამოვედით: ვინყეთ ბრძოლა,
მივიტანეთ იერიში;
არ გვექონია სხვისი რიდი,
არც გვდებია გულში შიში,

სანამ ბედმა უკუღმართმა
არ დაგვეტყვა, არ დაგვმეხა,
და სურვილით სავსე გული
უდროოდ არ გაგვიტეხა.

მაშინ მხოლოდ ცხოვრებამაც
შეგვიტოპა... შეგვიტორია!..
და მას შემდეგ შრომის ოფლი
ქვეყნისთვის არ დაგვიღვრია.

და რაღა ვართ? დღეს სულ სხვა ვართ,
გადვიქეცით მხოლოდ ენად,
მოყვრის გულის მოსაკვლელად
და მტერების მოსალხენად!

„ჭამა გვინდა და სმა გვინდა“
აი, ჩვენი საჩივარი!..
არ ვფიქრობთ, რომ ღორმუცლობას
არც ზომა აქვს, არც საზღვარი.

საზრდო უნდა კაცს იმდენი,
რომ განაგრძოს მუშაობა,
და მეტისმეტს ვინც დაეძებს,
თანვე ახლავს პირშავობა!

მაგრამ, ჰეი, ვინ არ სცდილობს,
რომ კარგად სვას! კარგად სჭამოს!..

ჩაიცვას და დაიხუროს...
თვალსა და გულს ასიამოს?

ამ სურვილებს ვერ ასცდება
ვერც ძველი და ვერც ახალი!
თითქოს მხოლოდ ესლა იყოს
ცხოვრებაში ჩვენი ვალი!

მაგალითად გინდ ავიღოთ
აი ჩვენი კიკოლიკა:
მოციქულად მზადდებოდა,
ადვოკატად გაიტლიკა!

დღეს დასცინის თავის წარსულს!..
შეცდომად სთვლის! სხვებსაც სძრახავს!
გარეულებს შეურიგდა,
შინაურებს აძრობს რა ტყავს!...

ქურქს იკერავს! აღარ სცივა,
ემატება შნო და ძალა,
ხალხსაც მოსწონს და ტაშის-კვრით
შესძახიან: „ბარაქალა!“

იქ რომ მივწვდით კიკოლიკას,
აქაც ვნახოთ ტეტიკელა,
პირობა და შორი ალთქმა
დაავიწყდა ჩვენში ყველა!..

„ამყოლს აჰყევ, ჩამყოლს ჩაჰყევ“ –
დღეს ეს არის მისი მცნება,
ჩაბმულია სხვის ფერხულში
და მაღალს ბანს ეუბნება!

კაკალს შოვობს და ქვაც მზად აქვს,
დროზედ ჰკრეფს და დროზე ამტვრევს!..
სათვალთმაქცოდ მღვრიევს სწმენდავს,
მაგრამ უფრო წმინდას ამღვრევს.

რომ თევზები წმინდა ბადით
უფრო მარჯვედ დაიჭიროს,
უმასპინძლოს მუქთახორას,
გულუხვობით გააკვიროს.

და იმათის დახმარებით
ხმა გაიგდოს, ისახელოს,
იბურთაოს ცხოვრებაში,
გადაავლოს ბურთი ლელოს!..

ბრბო რას ამბობს? – რა უნდა სთქვას?
შენატრის მის ხერხს და ძალას!
მაგალითად მიაჩნია
და შესძახის „ბარაქალას!“

ყველა სცდილობს მიემსგავსოს
კიკოლიკს და ტეტიკელას
და სამშობლოც აღარ ელის
შვილებისგან ხსნას და შველას.

მხოლოდ ერთი ფეხშიშველა,
კუჭ და მუცელ-ცარიელა,
მათ უყურებს მწუხარებით
მენალკოტე ტარიელა.

ხან იცინის ნაღვლიანად,
ხან ცრემლებს ჰღვრის მწუხარებით,
და გულში კი ასე ჰფიქრობს
გამოცდილის დაკვირვებით:

„ხეს როდესაც დაჰკრავს სუსხი,
უმალ წვეროს დააჩნდება,
გაყვითლდება ნელა-ნელა
და ფოთლებიც დასცვივდება!..“

დროზე უნდა მიშველება,
რომ არ გახმეს ძირიანა,
გადასხეპვა ეჭირვება,
წამალია მისი – დანა!“

IV

ცხოვრებისთვის რაც კარგია,
შეგნებული მაქვს მეც სრულად,
მაგრამ რა ვქნა, ვერ გავხდები
ლორმუცლების მზარეულად.

არ ვარგივარ საპირადოდ
არც მტერსა და არც მოყვარეს:
უპურღვინოდ რომ მხედავენ,
ქვა და გუნდა მომაცარეს.

მაგრამ რა ვქნათ? ცრუ სოფელმა
სხვა კი ვინმე გაახარა,
თუ არ ქლესა ენატკბილი
და საქმით კი მატყუარა?

და რას მარგებს მაშ მე ქვეყნის
აყოლა და ყურის გდება?
რასაც ვფიქრობ და დავეძებ,
ოდესმე ხომ გამართლდება?

ჩემ სურვილსა და ჩემ შრომას
დღეს თუ არ აქვს გასავალი,
(სულ კუჭი ხომ ვერ იმეფებს?)
სად წაუვა მომავალი?

როცა მუშა ჰხნავს და სთესავს,
ხორბალს აბნევს... აღარა სჩანს...
მაგრამ მოვა დრო და თესლი
ერთხელ ნაყოფს გამოიტანს.

სიტყვა იგივე თესლი არის,
ნორჩი გული – მინა-ხნული,
და აბიბინ-ამწვანდება,
რომ მოუვა გაზაფხული.

თუმცა მე კი ვერ მივანევ,
ველარ ვნახავ მნიფე სამკალს,
და სხვა ვინმე ჩემ ნათესსზე
ატრიალებს მღერით ნამგალს.

დაივინყებს მოლხენის დროს
მამა-პაპის დროს გადასულს
და აღარაც კი მოიხსენებს
მხვინელისა და მთესველის სულს.

მაგრამ შრომა ლოცვასავით
თავისთავად ცამდი ადის,
როგორც სამთელ-საკმეველი
ქვეყნის შვება-სიდიადის.

ეს მამხნევებს, მანუგეშებს!..
ეს მიმთელებს გატეხილს გულს
და აფერად-აფრთოვანებს
ჩემს სიხარულს და სიყვარულს!

სიყვარული სიხარულს შობს,
სიხარული – შვება-ლხენას!
და ორივე კი ფრთებს ასხავს –
საოცნებო აღმაფრენას.

აღმა მფრენი დაბლაც ხედავს
უფრო ნათლად, უფრო დიდად!
ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხინი
ნინ მიუძღვის გზად და ხიდად.

ჩემი ქნარიც, აღმა მფრენი,
ხან ზარს ამბობს და ხან ზევსურს,
დღეს კი ბოდავს და ვაფრთხილებ,
ყურს ნუ უგდებს, ვისაც არ ჰსურს.

მა რა არის, თუ არ ბოდვა,
ეს სიმღერა გადაკრული.
და დარიან-ავდრიანი,
როგორც მარტის გაზაფხული?

დიახ, ვბოდავ, ცეცხლში ვინვი
და არც ველი სხვისგან შვებას,
მაგრამ ისეც, ჩემდა თავად,
არა ვკარგავ სასოებას.

რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიშვილს – განსაცდელი,
თვით ცხოვრება ამის ბრძმედი
და განგება გამომწველი.

რა არის, ვინც ვერ აიტანს
ამირანის გასაჭირსა!
თქმულა: „ჭირში გამაგრება
ისე უნდა, ვით ქვითკირსა!“

ჩვენც ნაშთი ვართ ამირანის,
მომავალით სულჩადგმული,
და სიმბოლოთ დაგვესახა
გულზე რწმენა ეროვნული.

ქვაკუთხედი არის მისი
ენა, რჯული და ელფერი,
ბუნების და ისტორიის
შენათხზი და შესაფერი.

ვინც უარს ჰყოფს ან ერთს მათგანს
და უცარავს უკუღმა ბედს,
პილატეა, ან იუდა
და უარჰყოფს თვით შემოქმედს.

ვერ ვინამებ მოციქულად
მე იუდა გამცემელსა!
ვერც მივბაძავ პილატესა,
არ გავიბან მე წყლით ხელსა!

რასაცა ვგრძნობ, კიდეც ვამბობ...
რასაც ვამბობ, მას ვასრულებ,
და ამისთვის, ახალგაზდავ,
მტრულის თვალთ რათ მიყურებ?

ყმანვილი ხარ, ჯერ ვერა ხარ
ცხოვრებაში გამოცდილი
და არ იცი, როგორ ჰფარავს
კაცის შავ გულს თეთრი კბილი.

მეც შენ ხანში ეგრე ვიყავ,
ვერ ვარჩევდი ავსა და კარგს,
სიბრყვეს და სისულელეს
უნებურად ვაძლევდი ხარკს.

წმინდის გულით, წრფელის სულით
ვლოცულობდი ქუდმობილი,
მაგრამ მაინც ბევრჯელ შევცდი,
რომ არ ვიყავ გამოცდილი.

ზოგი ვაქე არა ღირსი,
ზოგიც დავჰგმე უსამართლო
და ვიდოდი უსწორმასწორ,
როგორც ბნელში უსინათლოდ.

სანამ ბოლოს დრო და ხანმა
თვალეზი არ ამიხილა,
და სიმართლე-სიმტყუნეზე
თანასწორ არ გამაფრთხილა.

ახლა ვიცი, სად რა არის,
ვინ რა არის და როგორა?
კმარა, რაც რომ სიყმანვილემ
შემაცდინა, მომალორა.

არ მრწამს სიტყვა ცარიელი,
სათვალთმაქცო მძულს მე წერა,
საქმე... საქმე, მხოლოდ საქმე!
როცა ვხედავ, ეს კი მჯერა.

მაგრამ ჩვენში საზოგადოდ
არ იგლეჯენ შრომით კალთას,
გარბიან და გამორბიან,
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას.

სხვაგან სადმე სხვის ნათქვამსა
ყურს რომ მოჰკვრენ ქორივითა,
შინაურებს ერევიან
„ოთოთაანთ ქორივითა“.

ეს მარქსობს, ის გარიბალდობს,
ის კეისრობს და ეს ბრუტობს,
ნამდვილ საგანს კი ვერც ერთი
ვერა ხედავს, ყველა ბრუტობს.

და ბრუტიან მეთაურებს
ვინცა მოსთხოვს გზის სისწორეს,
იქით-აქეთ, უგზო-უკვლოდ
ედებინა ყობე-ყორეს.

უმეცრებამ სძლია ცოდნას,
დაიმონა კუჭმა გული!
ფარისეველის ლოცვად გახდა
„სამშობლო“ და „სიყვარული“.

ველარა სცნობს ძალღი პატრონს,
აირია გზა და კვალი,
მაგრამ მაინც კიდევ ნათლად
თვალწინ გვიდგას მომავალი.

ის გაჰფანტავს დღევანდელ ბნელს,
გამოაჩენს მრუდეს და სწორს
და კიდევაც გაანსხვავებს
იუდას და პეტრეს ამბორს.

მაშინ კი ჩვენც დავინახავთ
დღეის საქმის მეთაურებს!
და სიმართლით გამოვუზომთ
სანაქებო თვალს და ყურებს.

[1889–1893–1902 წწ.]

საქართველოს
დღევანდელი სახე

ვის იგლოვ, იერემია?
თავზე რად იყრი ნაცარსა?
რად სტირი იერუსალიმს
და სოლომონის ტაძარსა?

ვინ იგულისხმებს გოდებას,
როცა შენ ერთი სტიროდე,
თუ იმავე დროს ილხენდეს
ათიათასი იროდე?

„ძალა აღმართს ხნავს!“ ღვთის რისხვას
ხელი არ შეეფარება!..
ძნელია, როცა მოყვრულად
მტერი კაცს შეეპარება.

უქმია მაშინ ტირილი
და უნაყოფო – გოდება!..
იხრნება ფარისევლობით
თანასწორ ყველა წოდება:

თავადი აღარ თავადობს,
არც სადმე აზნაურია!
აღარც მღვდელია, არც ერი...
ყველა ღვთის უმადურია!

იუდიანი იროდე
ორწილად რომაელია:
მგელია მისის ქვეყნისთვის...
სამშობლოს გამომხვრელია!

თუმცა კაიაფა და ანნა
ებრაელთ მღვდელმთავარია,
მაგრამ კი რომაელობა
მათშიაც ნახევარია.

ხალხიც შეყურებს თავადებს
და მათი მიმდევარია.
რომი ხელს უწყობს ცალ-ცალკე,
აბრიყვებს და უხარია!

მოტყუებული ქვეყანა
ივინყებს ძველსა დიდებას;
წამოაყენებს იუდას
და ყიდის ჭეშმარიტებას.

პონტოელი კი პილატე
ფიქრობს: „დაუდგათ თვალიო!“
განზე გამდგარი ხელს იბანს,
ამბობს: „მე არ მაქვს ბრალიო!“

ეს ყველა ერთაშორისი
ძალმომრეობის წესია:
იქ ვარდს და იას ვინ მოჰკრეფს,
სადაც ეკალი სთესია?!

აი, რას ხედავს და სტირის
წინასწარ იერემია!..
ცრემლი მკვდარს თუმცა ვერ აღადგენს,
მაგრამ ნუგემის მცემია!..

იერემიას გოდებით
რომ ვინუგეშო, მეც მინდა,
თუ სევდა გადამეყარა
და თვალზე ცრემლი მეწმინდა.

მაგრამ მე რა მრჯის მიბაძვას?
სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი?

სად ჩემი სტვირი, სად მისი
იერიქონის საყვირი?

ის მაღალ ჰანგზე გოდებდა,
მე ბლიაძურად გავყვირი,
თუმცა კი ორივეს საგლოვის
ერთია სარჩულ-საპირი.

შემკრა-შემბოჭა შავ-ბედმა,
ტანჯვები გამიზვიადა
და მწუხარება შავ-კუპრი
გულზე დამანვა ტყვიადა.

მეზარევე, ზარი აუშვი,
ამირან გმირის კენესითა!
ხმა გრძნობას შეუთანახმე
ძველ ჩვეულება-წესითა.

და ნალველ-ქაფად გამილღვე
ეს მძიმე ტვირთი გულისა,
რომ ნიშნად გადმოვანთხიო
მომავალ სიხარულისა!

„ვაი“ და „უი“ წარსულსა,
„უი“ და „ვაი“ აწმყოსა,
თუ მომავალმა იმედი
მაღამოდ გულს არ აცხოსა!

რომ ეს მაღამო არ მქონდეს,
რა გაუძლებდა ჩემს წყლულსა
და ჯოჯოხეთის სახნისით
გადაბრუნებულ გლახ-გულსა?

მაგრამ დიდება შემოქმედს!
სძლევს ქვეყნის სავალალოსა:
თანასწორ ამოაცენებს
საწამლავ-სამკურნალოსა.

მეც ცისარტყელად მესახვის
იმედი მომავალისა,
წყნარი, შვიდფერი, შვიდძალი,
ტკბილად ამხელი თვალისა.

იქ ვხედავ მეთაურებსა
კანგამოცვლილად სუყველას,
როგორც ყოფილსა მყრალ ჭიად
აბრეშუმისა პეპელას.

ალარ არიან მათ შორის
კიკოლიკ-ტეტიკელები,
რომ მოძმედ გასაცარცვაგად
ააფოთარონ ხელები.

მათ ნაცვლად სხვები ჩაბმულან
მეთაურ-მონინავედა,
გზადაბნეული ხალხისთვის
მოსედ და ისუ-ნავედა.

შრომობენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვთ დიდადა
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზად და ხიდადა!..

ეს არის მსხვერპლი საერო!
ეს არის აღთქმა და შველა!..
და ერიც „აღთქმულ ქვეყანას“
უახლოვდება ნელ-ნელა.

მეყო მეც ანმყოს ყვედრება
იერემიას ენითა!..
ოცნებავ, ისევ წარსულში
გადამიყვანე ფრენითა.

რომ ძველი საგალობელი
საერო, მამაპაპური,
გავიმეორო კიდევ დღეს
და ყველამ დაუგდოს ყური;

და დღემდი რაც მე უჩინრად
გულის ფიცარზე მენწერა,
ან მაინც აღარ დავფარო!..
აი, ეს ჩემი სიმღერა:

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ქონდა გული.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა,
და რალაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც კენესოდა, არც ოხვრიდა,
უსამართლო ძლიერებას
მონურად თავს არ უხრიდა!..

ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, ყველა გააოცა
და ის ღვანლიც მაგალითად
შვილიშვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი – ყვავ-ყორანი,

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

ეს კი, მაგრამ ვინ გმირია,
რომ აუშვებს მიჯაჭვულსა?
ან მალამოს ვინ უმზადებს?
გაუკურნებს ვინა წყლულსა?

თუ რომ დავით, ღვთის რჩეული,
მას ველარას მოეხმარა
და თამარის მალამომაც
წყლული ველარ დაუნყნარა, –

ამ ორ ძალზე უფრო დიდი
არის კიდევ სადმე ძალი,
რომ წარსულმა ვერ დაბადა
და წარმოშობს მომავალი?

არის!.. ის, რაც შესაფერად
თვით ბუნებამ განამტკიცა
ძლიერება-ეროვნებად
შენახორცა ცა და მიწა!

ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, ვერც საყიდი
და მხოლოდ თვითარსებობა
არის შენი გზა და ხიდი!

და თუ ეს გზა და ეს ხიდი
უშიშრად არ გაუვლია,
დახმარება ამირანის
თვით გმირსაც არ შეუძლია!

მაგრამ ვხედავ, მომავალში
გამოსულა მუშათ ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.

გზა გაყავს და ხიდსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა
და, მამულის მოიმედე,
აღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა.

გამარჯობა ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა.

გაასწორებს და გზას მისცემს
ტარიელს და ავთანდილსა,
ამირანის სისხლ ცრემლებით
ქართველებად გამოზდილსა.

ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს!
ზეზეულ გრძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმეს მონებასა.

აღიარებს მხოლოდ ძმობას,
თანსწორობას, სიყვარულსა,
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა!

შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს,
ამ ცუდ დროში დანაბადი
და ანდერძად მხოლოდ რჩება
ჩემი გუდა და ნაბადი!

დიახ!.. მხოლოდ ანდერძადლა!
მაგრამ მაინც იმედია:
მომავალი სიხარულიც
ნეტარება და ბედია!..

რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ!
სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნობ
მომავალ ბედს? და ამ გრძნობას
სულთამბრძოლი თან ჩავიდნობ:

არ მომკვდარა საქართველო!
აყვავდება ერთხელ კიდე
და გაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდითკიდე!

[1902 წ.]

მოსუცის
გზიძნობა

გრძნობა-გონების სალარო
არ გამყინვია ჯერ!.. არა!
თუმც კი შემიკრთა სხეული:
სიბერე შემომეპარა!

„მთებზე რომ დასთოვს, მაშინვე
სიგრილე დაჰკრავს ბარსაო!..
გულსაც აგრილებს ჭალარა...
ცოცხალს ამსგავსებს მკვდარსაო!“

ასე ამბობენ. და, მართლაც,
ეს ხომ მსოფლიო წესია?
მაგრამ მსოფლიოც არა მკის
ყოველთვის, რაც უთესია!..

განსხვავებაა მთებს შორის;
თურმე მთაც არი, – მთაც არი!..
ზოგს თავზე ყინვა რომ ადევს,
გულში აქვს ცხელი ნაცარი.

კაციც ასეა: სიბერე
ვერ შეჰკრავს ზოგის გონებას,
თუმც ჩამოართმევს სხეულს კი
ადრინდელ ყოველ ქონებას.

მეც მათ რიცხვში ვარ, სიბერე,
სხეულით ვატყობ ძნელია!
მაგრამ მაშინაც კი ვხედავ,
როცა სხვებისთვის ბნელია.

ასე ვუყურებ იდეალს,
ვით ადრე მიყურებია;
მის შესახებ სიბერე,
თითქოს, არც მომკარებია.

ჯერ ახალგაზრდა ვიყავი,
რომ დავისახე ის ერთად
ჩემ სათაყვანოდ, ჩემ რჯულად,
ჩემ მბრძანებელად, ჩემ ღმერთად.

ის იყო ჩემი თანმსრბოლი
ოცნებით შინ და გარეთა.
ჭირში და ლხინში ვხედავდი
ჩემ თანამოზიარეთა.

დავბერდი, ახლაც ისევე
ისა მყავს იდეალადა,
გულში მიდგია თაფლივით
და მიკიდია ალადა.

იმისდა დაუკითხავად
არც ავი ვიცი, არც კარგი,
და ჩემი საქმეც ყოველი
იმისაგან მაქვს ნაქარგი.

მივედი ახლაც იმასთან
და დავეკითხე, ჩვეული:
აბა, მითხარი სატრფოვო,
და დამამშვიდე სნეული.

ამ ჩვენ პატარა ქვეყანას
რა მოუხდება, რა არა,
ასე რომ ამხობს ეს ჭირი?!.
ვინ უკულმართმა შეჰყარა?!

მანაც ღიმილით მომაპყრო
ჩვეულებრივად მე თვალი;

ახსენა ჩვენი სამშობლო
და მისი გადასავალი.

მოჰყვა: ეს ჩვენი ქვეყანა
ღვთისმშობლის წილ-ნახვედრია
და მისგანავე ცრემლებით
ძისადმი შენავედრია.

მან გამოგზავნა ანდრია
ჩვენს ქვეყნად, მოსაველადა,
და თვითონ დარჩა შინავე,
ქრისტეს ბრძანებით, მძევლადა.

ეს ფაკტი ისტორიულად
თუმცაღა საეჭველია,
მაგრამ თქმულება კი ჩვენში
ძველთაგან ძველის-ძველია!

ზოგი იფიქრებს: ეს ხალხი,
თუ წილადა ხვდა ღვთაებას,
რად აყენებდა ამოდენს,
დაუსრულებელ ვაებას?

რკინას რომ ცეცხლში ჩააგდებ,
ის მაშინ გაფოლადდება!..
თუ მტრები არ ყავს მინის შვილს,
როგორღა გაგულადდება?

გამოიბრძმედა ქართველიც
იობის განსაცდელითა,
მსხვერპლად რომ სისხლსა სწირავდა
ერთპირად მთა და ველითა.

მართლაც რომ ქრისტეს გულისთვის
მან ბევრი სისხლი დაჰღვარა,
და სხვა მერჯულეთ საომრად,
ფარ-ხმალი ძირს არ დაჰყარა.

გაუძლო რომაელებსა,
არაბეთს, სპარსეთს, თათრებსა
და ბრძოლის ველზე დამდგარი,
ალარ ითვლიდა არც მკვდრებსა.

თავად-აზნაურთ წილად ხვდათ
ქუდზე გამოსვლა მხედრადა,
მტრის მოგერება და ხშირად
ველზედ დარჩენა მცხედრადა.

გლახობა იყო მეორე
შესანიშნავი წოდება!..
და დამარცხება პირველის
– მათი ცოლშვილის გოდება!

მუშაკი რწყავდა ოფლითა
მაშინ საერთო მთა და ბარს
და საზრდოს მიაწოდებდა
თავადს, საზღვარზე მეომარს.

მაგრამ ის გლახიც, როდესაც
გაათავებდა ალოსა,
მიაშურებდა თავადის
საქმეს და სავალალოსა;

ბატონთან ერთად სცდილობდა
ყმაცა მტრის მოგერებასა;
ორივე ერთად უწევდენ
დიდ-ჭაპანს გაჭირვებასა.

სადღა შეეძლო ბატონსა
შეურაცხყოფა გლახისა?
დასაკუთრება მიწა-წყლის
ან ამოკვეთა ფეხისა?

საერთო იყო იმ დროში
ყველასთვის მიწა-წყალიცა,
ასე ვით იყო საერთო
მტერი და მისი ალიცა.

სცხოვრებდა ყველა წოდება
შეერთებულის ძალითა
და იბრუნებდენ სულს მხოლოდ
იმედით... მომავალითა.

გამაგრდა ჩვენი ქვეყანა,
თუმცა არ აკლდა მას მტერი,
და ქრისტეს მცნება დაიცვა,
არ შეუცვალა ელ-ფერი.

მაგრამ დანყლულდა და იმ დროს
ხელი ჩაჰკიდა რუსეთმა;
თანამერჯულე ქვეყანამ
მას დაუმონმა გულის თქმა!..

შეჰფიცა: ოღონდ მომენდვეთ,
მოჰყევით ჩემსა ნებასო
და მაშინ არ შევეხები
თქვენს სჯულს და ეროვნებასო.

მტრებს მოგაშორებთ; მე მხოლოდ
ვიხმარ ჩემს ძლიერებასო
და მაშინ ერთად თქვენც ჩემთან
იგემებთ ნეტარებასო.

იამათ აღთქმა ქართველებს,
მიიღეს წრფელის გულითა;
თავი ჩაუდვეს კალთაში,
მიენდვენ სიხარულითა!

ასე მოითხოვს ბუნება,
კაცი რომ დაილალება,
თუ მოახერხა, იძინებს,
ბევრს აღარ გაეწვალება.

ხალხიც ასეა, როდესაც
ხანგრძლივად დაილალება,
დაეძინება... და მაშინ
აღარც რა დაევალება.

ქართველი ძილმა წაიღო
ეს ასი წელიწადია...
და პასუხს აგებს ამ ხანში
იმისი ლალა-გადია.

ბევრი რამ მოხდა ამ ხანში.
გამოიცვალა ქართველი
და უკან-უკან წავიდა,
წინ-წინ მსვლელობის მნატვრელი!

გაგვიბატონდა ბურჟუა,
გამტკიცდა ბატონ-ყმობაცა,
სულ გაცალ-ცალკდა წოდება,
თან გაჰყვა მას თანხმობაცა.

სუყველა გლეხ-კაცს დაანვა:
ბატონი, მღვდელი, ბურჟუა!..
ყოველი მხრიდან ტანჯული,
გამოიჭყლიტა მათ შუა.

იმისთვის არც მთა, არც ბარი,
აღარც მიწა, არც წყალი;
სადაც შობილა, ბოგანოდ,
დარჩენილია სანყალი!..

დიდ-დიდი მებატონენი
დიდ-დიდ მამულებს ჰყიდიან.
ქართველობაზე გულ-გრილად
ხელსაც იღებენ!.. მიდიან!..

რა ენაღვლებათ? მათ ჩვენთან
რალა ექნებათ კავშირი?
უნდათ, ჩაგყარონ სხვის ხელში
გამოგვითხარონ მათ ძირი!

ბერძნების «ჯვარის-მამები»
ჩამდგარან სისხლის მწოვრადა
და ბატონობენ ქართველებს
უშიშრად!.. შეუპოვრადა!..

ესენი ვინლა არიან?
საით მოსულან, სიდანა?
რომელმა მტერმა – ეშმაკმა
ჩამოგვიყარა ციდანა?

რა აქვსთ ქართველებს და იმათ
საერთო ერთმანეთშია,
რომ ჭირნახული ქართველის
მიაქვსთ მათ საბერძნეთშია?

უბრალო ჩვეულებაა!
ძველთაგან დარჩენილია!..
ვერ შელევინ ველარც დღეს,
რადგანც ნაყოფი ტკბილია!

მაშინ, როდესაც ქართველებს
თვის მიფობა ჰქონიათ,
ბევრი რამ საუკუღმართო
დღეისთვის მოუგონიათ.

რადგანაც მაშინ სხვა იყო
მათი განძრახვა, აზრები,
მათ აუგიათ უცხოეთს
მონასტრები და ტაძრები.

ააგეს ბიზანტიაშიც
ნიშნად ერთობა-ძმობისა
და ორ ქრისტიან ხალხთ შორის
მარადის შეთანხმობისა!

ააგეს იერუსალიმს,
ათონში, ანტიოქიას.
სწირავდენ ყმა და მამულსა,
უფენდენ ვარდსა და იას,

რადგანაც ეგულებოდათ
მლოცველად ქართველ ბერები
და იზრდებოდენ იქავე
ქართველთა მეცნიერები.

დღეს აღარა გვაქვს არც ერთი,
სუყველა მოსპობილია,
მაგრამ ნათლად სჩანს საქმიდან,
რომ „ბატონობა“ ტკბილია!..

„არ გვეშვებიან აღარც დღეს
„ჯვარის-მამები“ უბინოდ!
შემოსავალი მათ მიაქვსთ
და გლეხი რჩება უმინოდ.

სხვა სახელმწიფო ადგილებს
მე აღარ დავასახელებ
და გულდანყვეტილ გლეხობას
იმითი არ გავახელებ.

იქ დასახლების უფლება
აქვს, ვინც რომ უცხოელია!
მხოლოდ ქართველი ვერ მოხნავს,
თუ მინა შემოელია.

ნება არა აქვს ქართველ გლეხს
ისურვოს დასახლკარება!..
უჭირდეს, სიახლოვესაც
ტყვილა ნუ მიეკარება!

უნდა წავიდეს უცხოეთს,
იქ შეეთვისოს ყარიბად;
თუ სამშობლოში დარჩება,
უნდა იცხოვროს ღარიბად.

აი ესა ჰკლავს ქართველ გლეხს!
ეს ველარ აუტანია,
რალაი გამოიღვიძა,
თითქმის, ეს ერთი ხანია.

უეცრად გამოღვიძებულს
და ბნელში დიდხანს ნამყოფსა,
რომ მიაშუქებს ერთთავად
მზე, ვერ მოუტანს ნაყოფსა,

სანამდი თვალს არ მიაჩვევს!..
გამოერკვევა ნელ-ნელა.
კანონი არის მსოფლიო
და ვინ არ იცის ეს ყველა?

ქართველი გლეხიც ასეა.
სიბნელით გაბრუებული,
ჯერ შინაურებს ეხლება,
რომ მოიფხანოს მან გული;

მერე შეუტევს გარეშეს,
შინვე რომ დაიგეშება,
და მაშინ იხსნის თავს მხოლოდ!
მაშინ კი ენუგეშება!..

აი რა მითხრა, ვისაც მე
ვისახავ იდეალადა
და ვისიც სიტყვა ყოველი
გულში მედება ალადა.

გამიზიარა აზრები,
გავმხიარულდი, მიამა!
გატეხილ გულში იფეთქა
იჭვით დამჭკნარმა იამა.

სიმაღ ავიღე კალამი,
ჩანგით მივმართე წერასა
და შევუერთე ჩემი სვეც
გლეხების ბედისწერასა.

[1905 წ.]

წმინდა ნინო
ანუ ქრისტეანობის
შემოღება
საქართველოში

პატარა ნინო ბაბუას
ეტიტინება ალერსით:
იმ დიდი ნინოს ამბავი
ან პროზად მითხარ, ან ლექსით!

ვინ იყო? სიდან მოვიდა?
თუ მართლა სომხის ქალია,
შენ უნდა გამაგებინო
და მეც ვისწავლო... ვალია!

ვისგან ისწავლა ქართული?
რად მოხვდა ჩვენს ქვეყანასა
და როგორ დაუახლოვდა
ქართლის დედოფალს ნანასა?

ან რა ქმნა, რომ მოარჯულა
მან კერპი მეფე მირიან?
ამ ამბავს ყველგან, სუყველა
სხვა და სხვა გვარად ჰყვირიან!..

შენ გენაცვალოს ბაბუა!
ყოფილხარ ცნობის მოყვარე...
ჯერ შესწავლილი არა გვაქვს
ეს ჩვენი სამშობლო მხარე.

ათასში ერთმა თუ იცის
ჩვენი ცხოვრება წარსული;
თვალი გვიჭირავს სკვითისკენ,
მიგვიდის გული და სული.

ჩვენ შენგვარ ცნობისმოყვარეს,
სუნით დავეძებთ ყველგანა;
ვერ დაგამადლით, რაც ვიცით...
და ვერ გიამბობთ შენ განა?

გიამბობ. ყური დამიგდე,
ჩემო პატარა ნინუცა!
გულწრფელად გეტყვი, მონმედ მყავს
დაბლა მიწა და მაღლა ცა.

I

ძველად კაპადოკიაში
ქართველთა ტომს უცხოვრია
და მუშაკის ოფლთან ერთად
სისხლიც ბევრი დაუღვრია.

დაასუსტა, დაამცირა
მეზობლებთან ხშირმა ომმა,
სანამ სრულად არ დაიპყრო,
საბოლოოდ, დიდმა რომმა.

გადარჯულდა, სანახევროდ
გაბერძენ-გარომაელდა
და წინანდელ გვარ-ტომობას
შიშისაგან ვერ ამხელდა.

აი, სწორედ ამ გვარ ხალხმა
წმინდა ნინო წამოშობა...
მოციქულთა თანასწორი
და ქართველთა ამაყობა.

როცა ქრისტეს მოციქულთა
ერთმანეთში წილი ჰყარეს,
თუ რომელმა სად მიუთხრას
ქრისტეს მცნება?.. რომელ მხარეს?..

ღვთისმშობელიც მაშინ თურმე
არჩევანში ჩაერია

და წილად ხვდა ყოვლად წმინდას
კერპთმსახური „ივერია“,

მაგრამ იერუსალიმში
ქრისტემ დაუმკვიდრა ბინა
და მსახურად იოანე
სიკვდილამდე მიუჩინა.

და სხვა მოციქულებმა კი
აასრულეს, რაც ხვდათ წილად
და დაიწყეს ქადაგება
უცხო ხალხში მათ კეთილად.

შეხვდა მაშინ ანდრიასაც
კაპადოკიაში გავლა;
გამტკიცება ქრისტეს მცნების,
მონათვლა და კერპთა სწავლა.

ზოგმა იმ დროს საიდუმლოდ
ღმერთად ქრისტე აღიარეს
და მათ რიცხვში წმინდა ნინოს
წინაპრებმაც ინეტარეს.

II

განვლო სამმა საუკუნემ,
იშვა ნინო ქრისტიანად
და ჯერ ისევ მცირე იყო,
წაცავიდა სხვა ქვეყანად,

რომ ენახა თავის თვალთ
გოლგოთა და საფლავიცა
და იქ იერუსალიმში
ქრისტეს რჯული გაემტკიცა.

ის სულ იმის ფიქრში იყო,
თუ სად არის ქრისტეს კვართი,
ელიოზმა რომ წაიღო?..
რა ხალხია ის წარმართი?

ერთხელ ძილში მან ჩვენება
ნახა თურმე საკვირველი:
ვაზის-ჯვართ ნარუდგა წინ
ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი

და უბრძანა: „მე წილად მხვდა
ივერია... კერპთა მხარე.
შენ, გიბრძანებ, ჩემ მაგიერ
იქ წახვიდე... მოიარე!

ჩემი შვილის სიყვარულით,
მე ვხედავ, რომ გიძგერს გული.
გამოძებნე მისი კვართიც,
სადაც იყოს დამარხული.

ძნელი გზაა, მაგრამ შენ კი
აიტანე განსაცდელი.
აი, ხელში ეს გეჭიროს,
მფარველი და შენი მხსნელი“.

ეს უთხრა და მისცა ხელში
ვაზის ჯვარი დიდებული.
გაელვინა ნინოს, შეკრთა!..
მიეფინა სიხარული.

ნახა, ხელში რომ ეჭირა
მღვიძარესაც ვაზის ჯვარი;
თმა მოიჭრა, იქვე შეჭკრა,
გადიწერა რა პირჯვარი,

და ჯვრით ხელში, რწმენით გულში
ივერიას მოაშურა
და იმისი ლოცვა-მადლი
საქართველოს მოასხურა.

წამოვიდა, არ დარიდა
თავი უცხო გასაჭირსა

და მწყემსებთან გამოკითხვით,
წყალ-წყალ დაჰყვა სულ მტკვრის პირსა

და რადგანაც ურიების
მან იცოდა კარგათ ენა,
ცოტა ხნობით ქალაქ ურბნისს,
მათთან ერთათ შეისვენა.

III

ერთხელ ნინომ შენიშნა, რომ
ხალხი მიდის დარაზმული
და იკითხა: სად მიდიან,
ასე მორთულ-მოკაზმული?

უთხრეს: მცხეთას!.. დღეობაა
დიდი ღმერთის არმაზისა!..
სულ ოქროში ჩამჯდარია
ვით მეტოქი მალა მზისა.

აედევნა ნინოც სხვებსა,
გაოცებით გულის თქმაში
და წავიდა სხვებთან ერთად,
როგორც მგზავრი, იქ – მცხეთაში!..

ნახა იქაც მოძრაობა,
გამოსულა დედა, წული,
რალაც სადღესასწაულოდ
მორთული და მოკაზმული.

დაჰკრეს დაფსა და ნალარას,
გამობრძანდა მირიანი;
უთვალავი ახლავს ჯარი
და ზედ მეტი მისიანი.

აედევნა ამათაცა,
უნდა ნახოს ხალხის ძალა.
სხვებს მიასწრო, კლდის ნაპრალში
შევიდა და მიიმალა.

უხილავი, უჩინარი
სხვებისაგან მაღავს თავსა,
მაგრამ თვითონ კი უყურებს
ყოველიფერ სანახავსა.

აი, მის წინ ზადენ-გორა!
ზედ არმაზი ამართული,
მარჯვნივ გაიმ, მარცხნივ გაცი
მორთული და მოკაზმული.

ხედავს არმაზს ოქროს ჯაჭვით,
ხმალით ხელში მოელვარეს;
მრისხანებით გადაჰყურებს
საქართველოს ყოველ მხარეს.

მიდის ხალხი, მის წინაშე
სასოებით მუხლსაც იყრის:
დიდებულნი და თვით მეფეც
მოწინებთ თავს დაბლა ჰხრის.

დედებიც კი კვნესა-ოხვრით
სხვერპლად სწირვენ პირმშო შვილსა,
და შიშისგან ატანილნი,
თაყვანს სცემენ იმ ხელქმნილსა.

ამას ყველას ხედავს ნინო,
აშფოთებით უცემს გული
და ეს ხალხი ებრალება,
ზეზეულად დაღუპული!..

ხელთ ააპყრობს მაღლა ცისკენ
და შესტირის ღვთისმშობელსა,
როგორც ქირში დამხმარებელს,
საცდურისგან გამომხსნელსა:

„დედავ ღვთისავ! რა ძნელია
ამის ხილვა და ყურება,

რომ ყოფილა მინის ზურგზე
ამისთანა უგნურება!

თუ შენი ძე, ის ღმერთ-კაცი,
გაიმეტე ჯვარ საცმელად,
რალად სტოვებ სხვა მერჯულეს
ქვეყანაზე საეჭველად?

არა! ყოვლის შემძლებლო,
მოისწრაფე!.. მოიხილე!..
დაეც მეხი კერპთმსახურთა!
გამოსცადე! გააფრთხილე!“

მაშინ მოხვდა ქარი ნიავს,
ცა შეიკრა ღრუბლით შავად;
მაღლით სეტყვა გადმოჰყარა
ლიტრა-ლიტრა... კაცის თავად.

დაფრთხა ერი, გამოიქცა...
ისევ მცხეთას მოაშურა;
შემუსვრას და დამარცხებას
კერპებისას ვერ უყურა.

სთქვა: „ითრუჯან ქალდეველმა
ჩაიდინა ყველა ესო;
ერთხელ რომ ზღვა მოაყენა
მის სანაცვლოს უხდის დღესო!“

მეორე დღეს დამხობილი
ნახა ხალხმა იქ ღმერთები;
აქა-იქა მტვერში ეგდენ
მათი ნაშთი, ნაფლეთები.

ზოგან ტანი, ზოგან თავი,
ზოგან ფეხი, ზოგან ხელი,
და მათ ახლო მხოლოდ წმინდა
ნინო იდგა უვნებელი.

წამოვიდა ნინოც მცხეთას
ბინა დასდვა მაყვლოვანსა
და ცხოვრობდა იქ, მლოცველი
ჯვარცმულისა, მცირე ხანსა.

მკურნალობდა, ქრისტეს ძალით
ჩაიდენდა სასნაულსა
და სნეულთა განკურნებით
ის იგებდა ქვეყნის გულსა.

რალაც სენით უკურნებლით
ავად გახდა დედოფალი.
არაფერი რამ სახორცო
არ მიუდგა მას წამალი.

და მაშინ კი, ობოლ მკურნალს
სასახლიდამ მიეგზავნა
შუამავალ მოციქული,
სეფე-ქალი და შროშანა.

მაგრამ ნინო არ წავიდა
და პირიქით შეუთვალა:
თვითონ მოდი, რადგანც ჰკურნებს
ქრისტეს ჯვარი და მის ძალა.

დამორჩილდა დედოფალი,
რომ მეტი გზა აღარ ჰქონდა.
„ტკბილი არის სიცოცხლეო“
და სიკვდილი მოაგონდა.

სასოებით თაყვანი სცა
ჯვარცმულს, მწარე ცრემლებს ღვრიდა
და ამ უცხო დედაკაცსაც,
როგორც წმინდას თავს უხრიდა.

და ნინომაც კერპ დედოფალს,
სასოება როცა ნახა,

დადგა ლოცვად და მომაკვდავს
მაღლით ჯვარი გადასახა.

ტკბილ ქართულად უთხრა: თუ გრწამს
ჩემი ღმერთი შენდა მხსნელად,
განიკურნო და ხვიდოდე
მორჩენილი უვნებელად.

ეს რომ უთხრა, ზე წამოდგა
განწმენდილი დედოფალი.
მისთვის არც დრო... არცა ჟამი
და არც რამე სხვა წამალი!

გაუკვირდა. მოჰყვა ტირილს...
აუჩვილდა ნანას გული,
და იმ დღიდან აღიარა
როგორც ღმერთი მან ჯვარცმული!

იმავე დროს მან განკურნა
უფლისწული სულთმობრძავი
და დედის ძმა თვით დედოფლის
აღადგინა მომაკვდავი.

ხმა სასწაულთ მოქმედისა
დაუვარდა წმინდას ქვეყნად.
იძახოდენ: „მოსულია
ივერიის შვებათ და ხსნად“.

ახმაურდა ივერია,
გაიღვიძა მთამ და ბარმა
და კერპობაც შეურაცხჰყო
ჯვარცულმა და მისმა ჯვარმა!

დაამონმა აბიათარ
ებრაელთა მღვდელმა ეს ხმა
და, ვინც იყო იჭვნეული,
გაუმაგრა მათ გულისთქმა.

IV

გამობრძანდა ერთხელ მეფე
მუხრანისკენ სანადიროდ
და ოთხიჯა თან მძრახველი
გაიყოლა სათათბიროდ.

უთხრა: უნდა გაგიმჟღავნოთ
საიდუმლო, გულს ნადები;
დიდათ ვწუხვარ, რომ დავაგდეთ
ივერიის ჩვენ ღმერთები.

რომ წავდგებით საიქიოს,
რალას ვეტყვით ჩვენ წინაპრებს,
რომ არაფერს არ უჯერით
ალარც ცოცხლებს და ალარც მკვდრებს.

ზადენის და არმაზის წილ
თაყვანსა ვსცემთ ვილაც ჯვარცმულს,
დედაკაცის რალაც ზღაპრებს
ყურს ვუგდებთ და ვაყოლებთ გულს.

ის მოსული დედაკაცი
სასწაულებს ჩადის ხშირად,
მაგრამ იმას ეშმაკები
ხელს უწყობენ ჩვენდა ჭირად.

მოატანა სამხრობამ, რომ
ჯერ ნადირი არ გვინახავს...
თუ არ რისხვას ღმერთებისას
ეს შემთხვევა მაშ რასა გავს?

ალბად წინაპრების ღმერთმა
შეგვაქცია რისხვით პირი,
ალარ უნდა ჩვენი ღმერთი;
ჰსურს მოვიმკოთ ჭირზე ჭირი.

რაც შევსცოდეთ, ისიც კმარა.
შევიწინოთ ყველამ ერთად
და ღმერთები ჩვენგან კრული,
აღვიაროთ, ისევ ღმერთად,

რომ დავბრუნდეთ მცხეთას, ისევ
მთლად სამეფო იქ შევყაროთ
და ეს ჩვენი განძრახული
საქვეყნოთაც აღვიაროთ.

დავგმობთ ნინო ვით გრძნეული!..
დაუდგება ეშმაკს თვალი
და თუ ნანაც არ დავგთანხმდეს,
გაწწიროთ თვით დედოფალი.

ამ სიტყვებზე მთა შეიძრა,
თვითთოეულს ეცა ელდა;
მონმენდილმა, ცამ იქუხა,
მზეც გაშავდა... ჩამობნელდა.

აიტანა შიშმა ყველა,
აცახცახდენ ვით ალვის შტო,
გაიფანტენ აქით იქით!..
დარჩა მეფე მარტოდმარტო.

აქით ეცა, იქით ეცა,
ვერ გაიგო გზა და კვალი;
ველარაფერს იხედება:
დამდგარი აქვს ორივე თვალი.

მამაპაპის ღმერთს იგონებს,
შესაწირავს ბევრს პირდება,
მაგრამ არა ეშველარა,
მაინც ბნელა!.. არ თენდება.

გზა დაბნეულს და დაღუპულს,
მოაგონდა ცოდვილს ნინო:
„ნინოს ღმერთო! შენ გინამო,
თუ ნათელი მომაფინო“.

ამის თქმა და გათენება
ერთი იყო... მზე გაბრწყინდა.
აეხილა ყველას თვალი,
მაგრამ ყველა კი შეშინდა,

და მაშინ სთქვეს: ის ყოფილა
ქვეყანაზე ერთადერთი
და ამიერ ჩვენც ის ერთი,
გვრწამს ჯვარცმული, ნინოს ღმერთი.

ჩამობრუნდენ მცხეთას და ხალხს
მათ მიუთხრეს სასწაული
და შეიქმნა იქ საერთო
ლიტანია – სიხარული.

იმ დროს ნინო მაყვლოვანში
ჩვეულებრივ იდგა მწუხრად
და მეფემაც მიაშურა
ჯარით მოყვრად, არა თუ მტრად.

უთხრა, რაც კი თვალთ ნახა
სასწაული თხოთის მთაზე
და დასტურიც ნინოსაგან
მან მიიღო გულის თქმაზე:

კონსტანტინე დიდს მისწერა,
საბერძნეთსაც მიახარა
და, რომ რჯული გაამტკიცოს,
მუნით ღვედლები დაიბარა.

მაშინ უთხრა მეფეს ნინომ;
ღმერთს შეეტკობო ეს ქვეყანა!..
და ამ სამწყსოს მოსავლელად
აქ დარჩება მხოლოდ ნანა.

მე კი საღმრთო, ზენა ძალი
მაკისრებს და მაიძულებს,
კახეთისკენ გავემგზავრო,
მივაშურო კერპ-მთიულებს.

წავიდა და იქ დაუხვდა
მას სალომე უჯარმელი;
დედოფალმა წმინდის გრძნობით
გაუშვირა წმინდას ხელი.

გამტკიცეს მთელ კახეთში
ქრისტეს რჯული, ქრისტეს მცნება.
და ბოდბეში მოისურვა
წმინდა ნინომ განსვენება.

იქ ცხოვრობდა უდაბნოში
ქადაგებდა ახალ რჯულსა
ერთრჯულობიდ აერთებდა
ვაკელებსა და მთიულსა.

V

რომ მოვიდა აღსასრული
და დააგდო ეს ქვეყანა,
იქ იახლა მირიანი...
დედოფალიც წაიყვანა.

მოინდომა მცხეთაშივე
ჩამოტანა და დამარხვა,
მაგრამ მეფეს გაუცუდდა
სურვილები და განძრახვა:

ველარ დასძრეს ადგილიდამ
წმინდა კუბო... მძიმედ ნახეს
და დამარხვა ნეტარისა
ადგილობრივ განიძრახეს.

ზედ ააგეს ეკლესია
„წმინდა ნინოს“ სახელობით
და იქ მთელი საქართველო
თაყვანს სცემდა წლიდამ წლობით.

მაგრამ დღეს კი აღარ მიდის
ქართველი, რომ სცეს თაყვანი,
რადგანც მისთვის დაკეტილი
არის წმინდა გალავანი!

თითქმის თოთხმეტს იანვარსაც
არ მიდიან!.. თავს არ ხრიან,
რადგანაც იქ ქართულის წილ
„პაკის-პაკის“ იძახიან.

[1906 წ.]

მამლის ყეფილზე

ზღაპარი

ჩამოსტირის ზამთრის პირი,
დაღრეჯილა ტყე და ველი,
არ ვარგია ქალაქს გარედ
საცხოვრებლად ან სოფელი.

გარედ სწვიმს და ტალახია.
გული კენესის, შფოთავს გული!..
უნდა დარჩე სახლში მარტო,
ტუსალივით დამწყვდეული.

დამიძახეთ მოხუც გამდელს,
შემაქციოს მაინც ზღაპრით!..
მითხრას ამ მთის, ან იმ ბარის,
თუნდ პირდაპირ, თუნდ გადაკვრით!..

შემოვიდა დედაბერი,
ჩვეულებრივ მოიკეცა;
მოჰყვა ზღაპარს, მაგრამ ჯერ კი
მოაგონდა მალლა ზეცა.

„ღმერთზე დიდი არვინ არის!..
ვერც იქნება ვეროდესა!
წყველა-კრულვა პილატეს და
შეჩვენება ეროდესა!..“

იყო ერთგან ერთი კაცი
ობოლი და მარტოხელა;
ბატონი, ყმა, ერი, ბერი
სულ კისერზე ანვა ყველა.

მას ემართა მათ ყველასი
ერთგულეება-სამსახური.
მაგრამ ერთხელ კილო-კავად,
სადღაც თურმე მოჰკრა ყური,

რომ ბატონი ტყუილია,
მატყუარა არის მღვდელი.
მიანება თავი სახნისს
და მოავლო ხანჯალს ხელი!

გაბოროტდა, დატრიალდა,
არ ზოგავდა აღარც ერთსა;
არ ჰკითხავდა აღარაფერს
დაბლა მიწას, მაღლა ღმერთსა.

მოქნეული, მოზომილი –
ნათქვამია – ვის უნახავს?
გამწარებულს ნამეტნობას,
ჩვენში რომ ვსთქვათ, ვინ უძრახავს?

სთქვა სანყალმა გუნებაში:
თუ გადურჩი მე ამ ორ ქირს,
ჩემს ბედს ძალლიც აღარ დაჰყეფს,
მომავალში!.. რალა მიჭირს?!.

და ორივეს გაუცხადა
მტრობა... ბრძოლა პირდაპირი,
ჰსურდა მოეშორებია
ამნაირად ქირით ქირი!

„აირია მონასტირი“.
აიშალა შინაობა!..
რისი ძმობა?.. რა ერთობა?
რა მღვდლობა?.. რა ბატონყმობა?!

გადომხალდა ყველაფერი.
„ძალლი პატრონს ველარ სცნობდა“.
ვერც დიდი და ვერც პატარა
საკეთილოს ველარ გრძნობდა.

გაჩდენ მაშინ შუაკაცად,
ვითომ უფრო შეგნებული;
ერთმა სხვა სთქვა, მეორემ სხვა...
აუცრუეს გლახკაცს გული!..

თითქოს ხელში სჭირებოდეთ
მათ ზღაპრული ნატვრის თვალი,
ყველა ერთად მოინდომეს...
დააბნიეს გზა და კვალი!..

უმტერმოყვრო არ ვინ არის!..
მარტოხელსაც ყავდა მტერი,
ჩრდილოეთით გადმოსული,
სუსხისაგან მონაბერი.

მარტოხელას სამშობლო რომ
ნახა იმან არეული,
აეშალა საღერღელი,
აუძგერდა სამტროდ გული.

სთქვა: „ეს კარგი შემთხვევაა
რომ ატროვდა მარტოხელა
და მეც ეხლა მეშველება...
ხელს შეუნყოფ ნელა-ნელა.“

დაერევა შინაურებს,
არ დაზოგავს თვისიანსა
და მეც, ვითომ განზე მდგომი,
ქვემ-ქვეშურად მივცემ ბანსა.

ერთმანეთს რომ ყველა ერთად
გაადენენ მუსრს და ალსა,
მხოლოდ მაშინ გამოვიჩენ
მეც ჩემ სურვილს და ჩემ ძალსა!“

ესა სთქვა და განზე გადგა,
ჩხუბში აღარ ჩაერია.
აქეთ ეს სთქვა, იქით ის სთქვა,
ორივ მხარე გადარია.

მაშინ გაჩნდა ერთი ვინმე
და მიჰმართა მოჩხუბრებსა;
რაც რომ ჰქონდა განძრახული,
უთხრა, როგორც მეგობრებსა:

„რას ჩადიხართ? აგრე როგორ
აგრევიათ ყველას ჭკუა,
რომ თქვენგანი ყველა ერთად
გარე მტერმა მოატყუა?..“

როცა ებრძვით თქვენ ერთმანეთს,
ხომ სუსტდებით ერთად ყველა?
თქვენი მტერიც მაგას უცდის;
ხელს ჩაგკიდებსთ ნელა-ნელა!

გაგისტუმრებსთ ყველას ერთად
იქით, სადაც არ მოელით
და თქვენსავე ყელს გაიჭრით,
უგნურებო, თქვენის ხელით!..“

არ გიჯობსთ, რომ გამორიგდეთ
მეგობრულად, შინაურად
და ერთმანეთს სიყვარულით
გაუნოდოთ ხელი ძმურად?

აბა, რა გაქვსთ საჩხუბარი
და ან სამტრო საშვილშვილო?
გონს მოეგეთ, რომ არ გახდეთ
გარე მტრისგან სასაცილო!..“

დღეს ველარ მცნობთ, მაგრამ თქვენთვის
ბევრი ოფლი დამიღვრია!..
თქვენს მოსარჩლედ გამოვსულვარ
და არც ქედი მომიხრია!..“

მაშინ სიტყვაც ძნელი იყო,
არ თუ საქმე დღევანდელი.
მაგრამ ვიყავ გამბედავი...
ჩალად მიჩნდა ეს სოფელი!

აღარც ცოლი, აღარც შვილი,
აღარც სახლი, აღარც კარი!..
გაძალღებულ ცხოვრებაში
თქვენთვის ვიყავ მე მყეფარი.

ვხედავდი, რომ, რასაც თესდენ
ვერ მოგცემდათ ის კარგ ნაყოფს,
მაგრამ ვერას შემგონები
დაგტიროდით ვით ავადმყოფს!

ბატონყმობა გადაადგეს,
ვითომ, მაგრამ თვალთმაქცურად,
„სადაც გავა გავად გავა,
იქვე ფენთხიც გადის ცურად!“

გადააბეს ერთმანეთზე
თავადი და გლეხი კაცი,
როგორც მშვიდი, უწყინარი,
ორი ცხვარი! – ორი ვაცი!..“

შუამავალ მომრიგებელს
ის საბმელი მისცეს ხელში,
რომ ორივეს მოუჭიროს
და მოჰხაროს მაგრად ნელში!..

აბა, სადღა იქნებოდა
ამ ყოფაში გლეხის ბედი,
თუ რომ უნდა მოეტანა
ბატონისთვის მეოთხედი?

ის ბატონიც თავისთავად
ველარაფერს აიღებდა,
თუ რომ მოსამართლის კარზე
ძალღივით არ დაიყუფდა.

რაც რომ ჰქონდა, ეკკლესიას,
ჩამოართვეს სუყველა მღვდელს
და მიუგდეს ის სარჩენად
მის მრევლსა და სანყალ სოფელს.

გაჩნდა დრამა, შუაკაცად
ჩაერია პოლიცია...
და მღვდელიცა და სოფელიც
თანასწორად დააქცია!..

გადაჰკიდა ეშმაკურად
მან წოდება წოდებასა
და სიცილით ყურს უგდებდა
იმათ ტანჯვა-გოდებასა!

ის ამ გვარად იქცეოდა
პოლიტიკურ მოსაზრებით
და მომავალს იმზადებდა
ჩვენი ქვეყნის აოხრებით!

ჩვენ ნავალთ და სხვები მოვლენ!..
მათ დარჩებათ ჩვენი მხარე!
მე სულ ამას დაგტიროდით
და დღესეც მდის ცრემლი მნარე!

არა! გიჯობსთ მორიგება!
ნუ იქნება, მეოთხედი! –
შემოვიდეს თანსწორობა,
გაუბრწყინდეს ყველას ბედი!..

გლეხს სჭირდება მინა წყალი,
სადაც ხელი მიუნვდება!
„რაც ერგება შეერგება“!
რაც არა და ტყვილა სცდება!..

თვისი შრომა, თვისი ოფლი
მოიხმაროს იმან უნდა
და სხვასაც არ მიაყაროს
იმავე დროს ქვა და გუნდა!

უნდა შვილი გამოზარდოს,
რომ პირუტყვად აღარ იყოს
და „ძმობასა“ და „ერთობას“
მაშინ მხოლოდ ხელი მიჰყოს.

სწავლა არის მხოლოდ ერთი...
ერთი მხოლოდ განათლება,
რომ შეეძლოს სუყოველ კაცს
თანასწორად ამაღლება!“

ეს რომა სთქვა, გადახედა
სასოებით ორთავ მხარეს.
ჰგავდა ბნელში მოარულსა,
უსინათლო, დამცხრალ მთვარეს.

წინ წამოდგა ახალგაზდა,
 ულვაშები გადიგრიხა,
 გაისწორა თავზე ქუდი,
 წინ და უკან გადიპრიხა:

„რას ჩერჩეტობ, ბერო-კაცო,
 და რას მიედ-მოედები?
 საჩვენოში ერხირები
 და ამდენ ხანს აღარ კვდები!..“

რაც გინახავს, ველარ ნახავ!..
 ძველი ყველა წასულია!..
 რალას ვარგა, გინდ მზეც იყოს,
 თუ დასავლეთს დასულია?

იმ ძველ დროში შენც იყავი,
 შესაფერი გქონდა ქება,
 მაგრამ ახლანდელი დროს კი
 არაფერი გაგეგება.

ქვეყანა და ქვეყნის საქმე
 თბილ ოთახში გისწავლია,
 მე კი დედამიწის ზურგი
 სულ ფეხდა-ფეხ მომივლია.

გადავსულვარ სოფლით სოფლად,
 შემიგნია გლეხკაცობა
 და არა მჭირს მეც თქვენსავით
 ოცნება და უვიცობა!..“

რა სამშობლო? ვის სამშობლო?
 რა ერი? და რა ნაცია?
 კაცი კაცად გაჩენილა;
 სადაც იყოს, სულ კაცია!..“

არის მხოლოდ ერთი შრომა...
 ქვეყნად არის მხოლოდ მუშა;
 დღეს აქ არის, ხვალ იქ არის
 ვით ჭურჭელი... როგორც მუშა!

ოლონდ კუჭი კი გაიძლოს,
 სულ ერთია სადაც იყოს,
 საოცნებო ლათაიით
 რომ ვერავინ გააბრიყვოს!

აქ ვიქნებით ჩვენ, თუ სხვაგან
 ნუ თუ ერთი არ იქნება,
 მაგრამ იმ ჩვენ წინაპრებს კი
 არ ჰქონიათ ეს შეგნება.

სასუფევლის დამყარება
 ქვეყნად ქრისტემ ვერ გაბედა,
 საიქიოს გადიტანა,
 იქ რალაცა დაგვიყბედა.

ჩვენ აქავე მოვიპოებთ
 იმ სასურველ ნეტარებას
 და თვით ხალხსაც არ ვუფარავთ
 საიდუმლო აღსარებას!

დიაღია ქვეყნისათვის
 ჩვენი რწმენა, იდეა!
 უნდა სისხლზე ამოვიდეს
 იასამან-ვარდი-ია!..“

გაეცინა მოხუცებულს:
 „ვაშა! თქვენ აზრს, თქვენ სიტყვასო!..
 მაგრამ მაგრე წვეთ-წვეთობით
 ვინ დააშრობს უფსკრულ-ზღვასო?“

სიყმანვილით, აჩქარებით
ნუ დაიბნევთ გზა და კვალსო!..
მომავალი მოამზადეთ
და მიანდვეთ მომავალსო!!“.

სსსუ! გამდელი, მეტს ნუ იტყვი!
ეგ ზღაპარი გამიგია!..
მაგრამ მე ეგ მტრის ხაფანგი
მისთვისავე დამიგია!

გარეთ ნვიმს და ტალახია,
ჩვეულებრივ არც შინ თბილა,
მაგრამ მალე გათენდება...
ჩუ! მამალმაც დაიყვილა.

[1906 წ.]

გოგ-ასლანი

(ისტორიული ზღაპარი)

|

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა!..

დაიმტკიცა ზე-კაცობა,
არვინ ჰყავდა ქვეყნად ტოლი;
მეფეებში ერჩეოდა,
მარგალიტი ვით ობოლი.

მას ვეზირი ვინმე ახლდა,
სახელდობით ჯუანშირი,
შუქმომფენის, შუქმიმფენი,
საკადრისი გმირთა, გმირი.

ვით მნათობი დღე და ღამის
მალლა ცაზე მზე და მთვარე,
ისე იყვნენ დაბლა, ქვეყნად
ერთმანეთის მოზიარე.

საჭირლხინოდ ერთმანეთსა
გადუშლიდენ ძმურად გულსა
და ზედ სთესდენ მოსამკელად
სიყვარულით სიყვარულსა!

არ იცოდენ, თუ რა იყო
საძნელო და გასაჭირი!..
ბედსა ჰყავდა არჩეული
ის მეფე და ის ვეზირი!..

მაგრამ ერთხელ მაინც მეფეს
შემოაწვა სევდა რამე
და დაჰკარგა უნებურად
სიხარული და სიამე:

აღარც სმა და აღარც ჭამა,
აღარც ძილი გემრიელი
და სიკეთე-მოყირჭებულს,
მოენყინა ეს სოფელი!!

ხმა გავარდა სამეფოში,
ამოდრავდა საქართველო:
რა მოსვლია ბატონ-მეფეს,
რომ ყვითლდება, როგორც მდელო?

რა აკლია ნეტავი ღვთით?
ხელთ უჭირავს ნატვრისთვალი!..
წარსულითა და აწმყოთი
დამტკბარი აქვს მომავალი!

ხმალი უჭრის... ცალს არ უდებს
აღუქსანდრე მაკედონელს.
ყველა მისი მორჩილია,
საითაც კი გააშვერს ხელს.

სიმდიდრე აქვს მთელი ქვეყნის
თვით კრეზუზედაც მდიდარია;
ვეზირი ჰყავს ბრძენთა-ბრძენი
და მამ რამლა გადარია?!

რაც კი იყო სამეფოში
ან მკითხავი ან მკურნალი,
ყველამ თავი მოიყარა,
რომ შეასვან მას წამალი.

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,
ახრიალდენ წარა-მარა,

მაგრამ მათი საცადისი
მეფეს ვერად მოეხმარა:

მიდიოდა უარ-უარ
ის დღითიდღე, ნელა-ნელა;
ცდა და შრომა არ ჰკლებია,
მაგრამ მაინც არ ეშველა.

მაშინ ერთხმად გადასწყვიტეს:
„უმკურნალო სენიაო!..
ღმერთს მივანდოთ... ის მოარჩენს,
თუ რომ მოსარჩენიაო“.

სთქვეს და წავიდ-წამოვიდენ.
დარჩა მხოლოდ ჯუანშირი,
მარტო მეფის მაგიერად,
ნაცვალი და მისი პირი.

გავიდა დღე, გავიდა თვე,
გადის თითქმის წელიწადი.
შრომობს მარტო ჯუანშირი,
მისი მეფის გულითადი.

არას ამხელს. უცდის მხოლოდ
და მოელის მის მორჩენას.
დაბლა... ქვეყნად წამალს ეძებს
და ავედრებს მალლა ზენას.

||

დიდის მეფის დიდ ვეზირსა
საქმე მიჰყავს ჭკვიანადა:
მამლიყიულს რომ დაასწრებს,
დაიძინებს გვიანადა.

ისე მიჰყავს საქმეები,
თითქოს იყოს თვით ვახტანგი;
ვერ მოიცლის სალამომდე,
რომ აილოს ხელში ჩანგი.

და მაშინ კი, რომ მორჩება
სახელმწიფო საქმეებსა,
ჩანგს აიღებს და დამღერის
საგულისხმო რამე ხმებსა:

აგონდება დრო წარსული
გორგ-ასლანის გმირობისა;
დამარცხებულ მტრებისაგან
ჩამორთმევა პირობისა.

თვალწინ უდგას საარაკო
ოს-ბატონი ბაყათარი,
ვახტანგისგან განწვეული
და ძლეული მისგან... მკვდარი.

აგონდება: სპარსთა მეფემ
რომ გაულო ქართველთ კარი
და ვახტანგმაც ინდოეთში
გადიყვანა მისი ჯარი.

პოლიტიკურ მოსაზრებით
ის რომ ბერძნებს შეესია,
გადაადო პატრიარხი...
აამაღლა ეკკლესია.

წირვა-ლოცვის მოსასმენლად
მაშინ გვექონდა ბერძნის ენა
და აზრების გაუგებლად
იყო მხოლოდ სიტყვის სმენა.

ალადგინა გორგ-ასლანმა
დედა ენა დაკარგული
და, ბერძნული ენის ნაცვლად,
შემოიღო მან ქართული.

საეროვნო ნიადაგზე
დააყენა ყოლიფერი,
და მით მისცა საქართველოს
საკუთარი რამ ელფერი...

აგონდება სუყველა ეს,
მოგონებით მხიარულსა,
მაგრამ აწმყოს რომ უყურებს,
ის აღონებს... უკლავს გულსა!

უღონობა მეფის წარსულს
უბნევს ახლა გზა და კვალსა
და უმზადებს საქართველოს
უნუგეშო მომავალსა!

სევდა გულზე მოაწვება,
ჯუანშირი ჩაჰკიდებს თავს
და, ნუგეში რომ რამე სცეს,
ვერვის ჰხედავს, არავინ ჰყავს.

სწორედ ამისთანა დროზე
მის წინ წადგა ვილაც გლეხი;
შიშითა და მოკრძალებით
აეკრიფა საწყალს ფეხი.

მოახსენა: „დიდებულო,
მესმის შენი გოდებაო!..
მაგას მარტო შენ არ სწუხარ,
ჩვენც ეგ ცეცხლი გვედებაო.

მაგრამ ღმერთი მონყალეა,
შეიძლება მორჩენაო.
თუ პირობას ამისრულებთ,
რომ დაგიღებთ მეც თქვენაო:

ამ დიდებულ სასახლიდან
მას ჩემ ქოხში წავიყვანო
და იმანაც, რომ მეფეა,
გადაიგდოს გულიდგანო!

როგორც მონამ, გამიგონოს,
რაც ვუბრძანო, სუყველაო
და თავს გაძღვეთ მოსაჭრელად,
თუ წლამდინ არ ეშველაო.

გაუკვირდა ჯუანშირსა,
მოახსენა მეფესაცა
და პირობა, დადებული
გლეხისაგან, მას გადასცა.

მეფემ ბრძანა: „ჯუანშირო,
ეგ პირობა ბევრიაო,
მაგრამ ცდა, ხომ ნათქვამია,
ბედის მონახევრეაო!“

ვეახლები ერთ წელიწადს,
ეგებ, მართლა მეშველოსო!..
მანამდის შენ მოუარე
დაობლებულ სამეფოსო!..

სთქვა და მონად გამოეწყო,
დაიმდაბლა მეფემ გული
და გლეხს გაჰყვა მორჩილებით
ზურგზე გუდა მოდებული.

III

ტალახიან გზას გაუდგა
გლეხი, მიდის... მიჩანჩალობს.
და კვალდაკვალ მისდევს მეფე,
არ ჩამორჩეს, იმას ძალობს.

რომ შევიდენ ერთ სოფელში,
ისლიანი დახვდათ ქოხი,
შიგ არც სკამი, დასაჯდომი,
არც საწოლი რამე, ნოხი!

გაიფიქრა მეფემ გულში:
აქ ვერ გავსძლებ წელიწადსო!
მაგრამ სიტყვას ვერ დავარღვევ...
რომ გავსტეხო, არცა მწადასო.

სანამდისინ კი ავიტან,
მეც მოვითმენ გასაჭირსო
და ახლა კი ფეხმოკეცით
მიუფუჯდები ცეცხლაპირსო.

სთქვა და კიდევ აასრულა:
ცეცხლთან იჯდა მთელი ღამე!
მისთვის არც სმა და არც ჭამა,
არც ძილი და არც სიამე.

მეორე დღეს, რომ ინათა,
გაიყვანა მეფე კარში;
მხარზე თოხი გაუდგა და
წაიყვანა სათოხარში.

უთხრა: „ვიცი, რომ არ იცი
მუშაობა გლეხკაცური,
მაგრამ უნდა მე მომბაძო
და მომაპყრო მე თვალ-ყური:

უსარგებლო ბალახ-ბულახს
ამოუგდო უნდა ძირი
და კარგ ღეროს უნებურად
არ მოარტყა თოხის პირი.

გამოზომით დაიჭირე,
 თოხს ნუ აქნევ წარა-მარად
 და სიმინდის წვრილ ფესოებს
 დაანვეთე ოფლი ღვარად!..

„და იკურთხებს მალლით მაშინ
 შემოქმედი ჩვენ სუსტ შრომას!..
 ბევრადა სჯობს გარედ დგომა,
 უსაქმურად სახლში ჯდომას!..

ხან ეს უთხრა, ხან ის უთხრა,
 შეიქცია საუბრითა.
 მეფეს არც კი შეუნიშნავს,
 გაინუნა ოფლის ღვრითა.

სალამომდი ამუშავა.
 გაიჯერეს თოხნით გული...
 და დაბრუნდენ სახლისაკენ
 მშიერი და დაღალული.

მეფე ამბობს: დღეს მთელი დღე
 მანვალე და მანამეო!..
 კუჭი მეწვის, ისე მშიან,
 ცოტა რამე მაჭამეო!

გლეხი ეტყვის: საკადრისი
 რა მექნება, აბა, მეო?
 შენც ჩემსავით ცივი მჭადი
 გააფიცხე და სჭამეო!

და ნურაფერს უკაცრავად,
 ღვინო თუ ვერ მოგართვაო!..
 შეგიძლია, ცივი წყალიც
 დააყოლო, ისა სვაო.

არდი-გარდა წამოუნეე
 გუგუნა ჯირკს თბილად... გრძლადო
 და ბალიშის მაგიერად
 ქვა დაიდევ სასთუმლადო!

დაიჯერა გლეხის რჩევა:
 წაატანა ცივ მჭადს ხელი
 და სვაფივით გადასანსლა
 ის, თაფლივით გემრიელი.

დააყოლა ცივი წყალი
 და იქავე მიიძინა.
 სასახლეში უფრო რბილი
 არ ჰქონია იმას ბინა!

მეორე დღეს, რომ წამოდგა,
 თავი იგრძნო მორჩენილად;
 მიუბრუნდა გლეხს სიცილით,
 ვით ამხანაგს, უთხრა ტკბილად:

„უცნაური რამ ყოფილხარ:
 მომარჩინე სრულიადო.
 ახლა წავალ და სამეფოს
 შევეუდგები ხელახლადო!“

მაგრამ გლეხმა იუარა:
 ჯერ ნუ გასტეხთ პირობასო!
 არ შეშვენის სიტყვის შეშლა
 კაცის მაღალ-გმირობასო!..

თუ აქამდე გიცხოვრია
 სისხლის ღვრით და ომითაო,
 ერთი წლით მეც მემსახურე
 ოფლითა და შრომითაო!

რა გზა ჰქონდა? დაეთანხმა
მეფე გლეხის ბრძანებასო
და ერთი წლით დაემონა
იმის სურვილს და ნებასო.

IV

ამუშავებს გლეხი მეფეს
სულ თავთავის ალოზედა:
ხან პურსა მკის მასთან ერთად
და ხან ლენავს კალოზედა.

ახენვეინებს, ათესვიებს;
თოხით დაჰყავს სათოხარში.
სუყოველგან და ყოველთვის
გლეხს უდგია მეფე მხარში;

ვენახსა სხლავს, როცა დროა,
ყურძენს სწურავს სანნახელში
და უჭირავს იარაღი
შესაფერი მუდამ ხელში;

არ აწუხებს არმეფური
სმა, ჭამა და არცა ბინა
და ამგვარად წელიწადმა
სიზმარივით გაირბინა.

გლეხიკაცის სამუშაოს
გულს აყოლებს... არ სწყენია!
მით უფრო, რომ ამოდენ ხანს,
თითქმის, ფრჩხილიც არ სტკენია!

რომ გავიდა წელიწადი
და შესრულდა მათი ვადა,
გლეხმა კაცმა მოწინებით
მეფეს ქუდი მოუხადა:

დაუჩოქა, მოახსენა:
„ახლა კარგად ბრძანდებიო,
და ნაბძანდი სასახლეში!..
ნულა დაგვიანდებიო!“

V

დაბრუნდა მეფე კარგ გუნებაზე,
გასუქებული და მორჩენილი;
მადიანად სჭამს, გემრიელად სვამს,
რომ მოისვენებს, ძილი აქვს ტკბილი.

მამლიყიულზე რომ წამოდგება,
დაღამებამდი სულ საქმეშია;
გაჭირვებულთა და ქვრივ-ობლების
მრავალმონყალე და ნუგეშია.

ხმალს აღარ ჰკიდებს ძველებურად ხელს,
ხმარობს ხან და ხან მხოლოდ ფარ-გვარად;
უნდება საქმეს მარტო შინაურს,
სისხლის მაგიერ ოფლს აქცევს ღვარად.

გაოცებული მისის ყურებით,
დიდებულ მეფეს ჰკითხავს ვეზირი:
„აგრე რომ შრომობთ და ილალებით,
რა დაგდგომიათ მის გასაჭირი?“

მეფე მიუგებს ტკბილად, ღიმილით:
„ჩემო ვეზირო, უთანასწორო!
მინდა შეცდომა ჩემი წარსული
გამოვიყიდო და გავასწორო.

„თურმე, ტყუილი ყოფილა ყველა
ჭრელა-ჭრულები ამ ქვეყნიერად
და ადამიანს, თუ გსურს იცხოვრო,
აქ მოსვენებით და ბედნიერად,

უნდა იშრომო და შრომის ოფლით
გაპზანო შენი დაღალულობა,
რომ არ დაეტყოს შენ ნაშრომ-ნაღვანლს
ძალდატანება და უგულობა.

მხოლოდ გლეხისას მე შევიგენი
ჭემმარიტება ეს უტყუარი
და ჩემმა გულმაც შეება-სიხარულს,
სათანაგრძობო გაულო კარი.

მეფე ვიყავი, ქვეყნის მპყრობელი,
ქვეყნად არ მაკლდა მე ნეტარება,
მაგრამ, ხომ ნახე? ვერ მოვიპოვე
მაინც პირადი ბედნიერება.

არ მქონდა ძილი, არც სმა და ჭამა,
მიღონდებოდა სული და გული
და მხოლოდ სხვების სახარბიელოდ
გარეგნად ვიყავ მე დიდებული.

ახლა სულ სხვაა!.. სულის სინრფელი
და სისპეტაკე წრფელი გულისა
ემბაზი არის, თურმე საქვეყნო
„ძმობა-ერთობა-სიყვარულისა“.

უნდა ამ გრძობით აღძრული იყოს
ყველა თავ-თავის სარბიელზედა,
ერიდებოდეს შეუძლებელსა
და შესაძლები ედვას ხელზედა.

სიამოვნებით და სიყვარულით
როგორც გლეხკაცი უვლის ყანასა,
ისე ხელმწიფე უნდა უვლიდეს
თავის სამეფოს და ქვეყანასა:

შეჰქონდეს სწავლა-მეცნიერება
ასამაღლებლად ეროვნულ ხნულში

და დასაკლისი სხვა ეროვნების
არ უნდა ედვას მას მტრულად გულში.

თავ-თავის დროზე ნახნავ-ნათოხნი,
მომკოს ნაყოფი მან მოწეული
და განამტკიცოს ქვეშევრდომებში
„ძმობა, ერთობა და სიყვარული!..“

ამას სუყველას სარჩულ-საპირედ
მან ეროვნული დაუდვას ჰანგი
და მით მომავალს მოცაუმზადოს
საკეთილდღეო რამ ნიადაგი!

VI

ეს ყოლიფერი ხელად დასწერა,
როგორც ანდერძი, განთქმულ მახვილზე
და როგორც რამე, „წმინდა-წმინდათა“,
ისე გადასცა ის შვილიშვილზე.

და ეს ანდერძი ხელიდან ხელში
გადადიოდა, როგორც სინმინდე,
და შემდეგ შვიდი საუკუნისა
მან აანია თამარ მეფემდე.

მეფემ მახვილი, მოსაგერებლად,
დავით სოსლანსა, ქმარს, გადაჰკიდა;
თვითონ სთესავდა კეთილს საეროდ
და ერთი ასად ჯვართა მჰკიდა.

იმეფა ოცდარვა წელიწადი
და, რომ დააგდო ჩვენი ქვეყანა,
ანდერძ-მახვილი და წმინდა ჯვარი
სამარეშივე თან ჩაიტანა.

დღეს ის საფლავი დაკარგულია!
ვერ მიგვიგნია წმინდა-სამარე
და მასთან ერთად „ხმალი“ და „ჯვარი“
საქართველოზე სხივმომფინარე!

მაგრამ თქმულება დაგვრჩა ხალხური:
ის ერთხელ კიდევ გამოჩნდებაო
და საქართველოც ახალის ძალით
კიდით კიდემდე გაახლდებაო!..

მაშინ გორგ-ასლან და თამარ მეფე
შეთანხმდებიან იმ დიდ სოფელსო
და უგალობენ ხმაშენწყობილად
საშვილიშვილო საგალობელსო:

VII

„აღსდეგ გმირთ-გმირო! ნუ გძინავს!
გამოახილე თვალიო!
დროს შესაფერად წარსულში
შენ მოხდილი გაქვს ვალიო!

ახლა დაგიდგა სულ სხვა დრო,
ამაღლებული შრომითო
და სისხლი ოფლად შესცვალე,
ვერას გახდები ომითო!..

მას მიეკედლე, ვინც ხელი
გამოგიშვიროს ძმურადო!
ჩასდეგ მსოფლიოს ფერხულში,
ჩაეხი მამაცურადო!

და მით მსოფლიო ტრაპეზზე
შენც შეიტანე წვლილიო!
აღსდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს!
ალარ შეგფერის ძილიო!!“

[1909-1910 წწ.]

ასის წლის
ამბავი

თავი პირველი

თორმეტი ენკენის თვე
შემოდგომის პირია,
გწყალობდეს მისი მადლი,
საუფლო დღე... კვირია.

ცის ლაჟვარდში მალლიდან,
მზე ტკბილად იკბინება,
და სუნნელება ქვეყნად,
ოთხ კუთხივ ეფინება.

შემოდგომა გაზაფხულს
თვითქოს ეჯობრებაო
და ზეცამაც ქვეყანას
შესთხზა ნეტარებაო.

რომ მოხიბლოს ქალაქი,
გარდაქმნილი გრძნობადო
და ხატის სანთელივით
უხმოდ დასადნობადო.

სწორედ ამ დროს სიონში
ზარმა გაინკრიალა,
მიმოაფინა ტფილისს
სიტკბო, მადლი და ძალა.

მას მიჰყვენ სხვა ტაძრებიც
გალმით და გამოღმითა,
ასტყდა ზარების რეკა
სალიტანიო ხმითა.

ციხიდან ზარბაზნებმა
უცბად გაიხმაურა
და მისს გრგვინვას თან მოჰყვა
უჩვეულო ხმა: „ურრრა“.

გაისმა ხმა მუსიკის,
დაუკრეს ბარაბანი
და დამფრთხალმა ქალაქმა
უნებურ მისცა ბანი.

ყველა მიეშურება,
ალარ ვინ რჩება შინა
და მხოლოდ წვრილფეხობა
ბანზე გამოეფინა.

ლორმუცელა გიორგი
ცხენზე შეგოდრებულა;
თითქო ლოქო ეჭამოს,
გამხიარულებულა!

წინ მოუძღვის ამაყად
რუსების ურდო ჯარებს,
სურს საფიცრად მიადგეს
წმინდა სიონის კარებს.

ამ დროს გაჩნდა ქუჩაში
ტერ-შმოვანთ კეკელა,
ტერტერას ქვრივი იყო...
ქალაქში სცნობდა ყველა.

ქოშებში ფეხ გაყრილი,
კალთებ ნამონეული;
ახალ ამბის მუსუსი,
ზოგჯერ ქორსაც ჩვეული.

არც ჭირსა და არც ლხინსა
არ ოდეს აკლდებოდა!

რომ ვერა გაეგო რა,
გულზედაც გასქდებოდა.

ახლაც გამოსულ იყო
ამბის გასაგებადა:
მეფეს რა შეეძინა
და ან ვინ დაეებადა,

რომ ასე მხიარულად
ზეიმით და ზარითა
სიონში მიბრძანდება
უთვალავის ჯარითა?

უთხრეს: „დედი! უმართლებს!..
დიახ, ბედნიერია:
დღეს მიიღო მან ჯილდოდ
მხარლღივ კავალერია!“

– „რა ჯილდოა, გეთაყვა,
თვალი თუ მარგალიტი?
და ჯერ სხვა არ ყოფილა
მაგგვარი მაგალითი?“

– „ნიშანი დიდ კაცობის,
მხოლოდ სამკაულია!
ვერა ხედავ ლურჯ სარტყელს,
მხარ-ბეჭზე რომ ჰკიდია?“

– „რაო?.. რაო?! ეგ არის,
მეტი არაფერია?!
მაგ ჭინჭის დანახვაზე,
გონება აერია?!“

მთელი სამეფო გასცა
მაგ ლურჯ სანახავზედა?
მეხი კი დავაყარე
იმ უტვინო თავზედა!..

შორს რალაზედ გარბოდა?
ჩვენც გვცოდნოდა დღემდით;
გადვიჭრიდი ნიფხვის ტოტს
და მე მივართმევდიო“.

კეკელა რომ ამ გვარად
ენატანიაობდა,
მეფე და დიდკაცობა
სხვასა ლიტანიობდა.

მხოლოდ ორი მათგანი
გამდგარ იყვნენ განზედა,
ჰფიქრობდნენ სულ სხვა გვარად,
სჯიდნენ სხვა საგანზედა.

შემდგარ იყვნენ ორივე
მამა დავითის სერზე
და იქიდან ცრემლს ღვრიდენ
მოტყუებულ ჩვენს ერზე.

ერთი იყო სოლომონ
ლეონიძე, მდივანი
და მეორე ჭაბუა,
გვარად ორბელიანი.

თავი მეორე

ჭაბუამ უთხრა სოლომონს:
„რას მოვესწარით ამასო?
მამა შვილს აღარ უჯერის
და შვილი შემქმნელ მამასო!

იქცევა ჩვენი სამშობლო
ოდესმე დიდებულიო:
რუსული ჩრჩილი უჩნდება,
რომ გამოუხრას გულიო.

ბატონი მეფე მოსტყუდა,
რომ მათგან ელის შველასო!..
რაც დღემდი ქირი უნახავს,
ველარ გაუძლო ყველასო!..

რუსეთს შენც იცნობ, სოლომონ,
გინახავს მათი ქვეყანა.
ქრისტიანულის განზრახვით
მოგვეშველება ჩვენ განა?

თეთრ კბილს გვიჩვენებს გულშავად,
შემოიპარვის მელურად.
და სადაც ხერხი ვერ გასჭრის,
იქ ცულს მოიქნევს ველურად!“

სოლომონ აძლევს პასუხსა:
„გულს ნულა მიხეთქ, ჭაბუა!
სჩანს, ღმერთმა ყველა შეგვრისხა,
რომ დაგვიბნია ჩვენ ჭკუა!..

და ერთმანეთში ვერ ვარჩევთ
დღეს ჩვენ კარგსა და ავსაო,
მართლა რომ წყალნალებული,
ჩვენ ვეჭიდებით ხავსსაო!

ვინ რუსი? და ვინ ქართველი?
შუა ძევს დიდი ზღვარიო!
ვინ გაასწორა ნეტავი,
და ან სად, მთა და ბარიო?

ისინი მოვლენ მოყვრულად,
გადიქცევიან მტრებადა;
ჩამოგვართმევენ, ძველთაგან,
თუ რამე დაგვრჩა... გვებადა!

თუ გაგვარუსეს, ხომ კარგი,
თვარა, გაგვწირვენ ყველასო,
„ბოჟე მოიზე“ შესცვლიან
ჩვენებურ „დელა-დელასო!“

ხელში იგდებენ მინა-წყალს,
ამ ჩვენ ბუნებას კარგსაო,
აქ რუსებს დაასახლებენ
და ჩვენ აგვიკვრენ ბარგსაო...

„ძალა აღმართს ხნავს“, მაშინ ჩვენ
ველარას მოვახერხებთო
და უნაყოფო ფართხალით
ტყულა თავს შევიწუხებთო.

ეკალი რომ ითესება,
ის დროა სამწუხაროო!
და რომ ამოვა, რაღას იქმ,
გინდა ცრემლებიც ღვაროო?

რასაც დღეს სთესენ რუსები,
შენ ხედავ, ჩემო ჭაბუა,
ჩვენ სამშობლოში ოდესმე
ჭინჭრად და ეკლად ამოვა.

ამას ვერ ხედავს ვერც მეფე,
ვერც მისი კარის კაცები,
რუსეთის დიპლომატია,
აძრული, ანატაცები!

ჩვენ დავრჩენილვართ მარტოკა,
მაგრამ რას ვიზამთ ჩვენ ორი?
საქმეს სწყვეტს უმეტესობა,
მათ ხელში არის სასწორი.

ვფიქრობ: წავიდე იმერეთს,
იქაც ხომ საქართველოა,

და გასატანი რუსისგან
იქაც ჩვენ გვარი ლელოა!

იქ შეუჩნდები მეფესა,
მთავრებს: დადიანს, გურიელს,
რომ არ აძლევდნენ, ჩვენსავით
მოტყუებული, რუსებს ხელს.

თუ რამეს გაეხდი, ხომ კარგი,
თუ არა – გვმართებს გლოვანი.
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

ჭაბუა ეტყვის: „ეჰ, წადი!
მე აქ დავრჩები ობლადა.
ფეხ-ფეხ მოვივლი სამშობლოს,
გადავალთ სოფლით-სოფლადა.“

შევსჩივლებ გლეხებს, მთიულებს,
ვეცდები ამბოხებასა!..
კმარა, რაც ვენდვეთ აქამდე
დიდ კაცთა მეოხებასა!

ახლა მეც ვიტყვი, რაც შენ სთქვი:
ჯერ ცდა და მერე გლოვანი!
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

გამოეთხოვენ ერთმანეთს
ტირილითა და ზარითა,
წავიდენ ამერ-იმერეთს,
ორივ სხვადასხვა მხარითა.

წავიდენ, მაგრამ მათმა ცდამ
ვერ მოიტანა ნაყოფი!..
რუსის ზარბაზანს ვერ შესწვდა
ქართული ხმალი და თოფი.

უბრალო სისხლით მოირწყა
ქართლიც და იმერეთიცა,
ძმა ძმას გაუდგა, მამა – შვილს
და მაშინ განყრა ღმერთიცა:

ჟამი და შიმშილობაც კი
დაერთო რუსის ბრძოლასა,
თათრებს მიენდვენ მებრძოლნი
და ალოცებდენ მოლასა!..

მაშინ დაემხო ქვეყანა,
გაქარწყლდა ბაგრატიონი.
სოლომონ მოკვდა ტრაპიზონს,
ჭაბუას კრძალავს სიონი.

თავი მესამე

ასმა წელმა გაიარა,
რუსები რომ შამოვიდენ;
რაც უნდოდათ, იმას სთესდენ;
რაც მოსწონდათ, იმას მკიდენ.

რომ გაშინჯეს მუშტრის თვალით
საქართველოს მიწა-წყალი,
გადასწყვიტეს გუნებაში
მისი ბედი, მომავალი.

მოინდომეს საქართველოს
ამოგდება ძირიანა
და მათ ნაცვლად ჩრდილოეთით
სულ რუსების ჩამოყვანა.

მოიხმარეს მათ ჩვენნივე
მაღალ კეთილშობილება,
რომ მოესპოთ ყველა ჩვენი
ძველი წესი... წყობილება.

ჩვენ დიდ თავად-აზნაურებს
აკერებდენ ეპოლეტებს
და ქვეყანას კი იმავე დროს
თავში სცემდენ ხერხით კეტებს.

ჯერ რჯულს ეცენ, სთქვეს: თუ რჯული
არ შევბლალეთ, ჩვენ ქართველებს
ვერას უზამთ!.. მათთან ბრძოლა
უნაყოფოდ გაგვანვალებს.

ეს პატარა საქართველო
მითი იყო დიდებული,
რომ მას ჰქონდა რჯულთან ერთად
ეროვნება გადაბმული.

მტერს ებრძოდა ზნემაღალი
სწამდა ღმერთი! სწამდა რჯული;
ჭირს ითმენდა, ლხინს იშნობდა,
საგულეზე ჰქონდა გული.

რავდენადაც ხორცს უკლავდენ,
სული იმდენ მაღლდებოდა
და მიზეზი ხანგრძლივობის
ის იყო და არ კვდებოდა!

თუ რომ მისი არ დაეცა
სულმაღლობა და ზნეობა,
სისხლის ღვრით არ მოაკლდება
ვაჟკაცობა და მხნეობა.

მაშ, ვეცადოთ, სულით გავრყვნათ,
უნდა გავაუზნეუროთ:
ჩამოუგდოთ შური, მტრობა
ერთმანეთში და უყუროთ!..

ჩვენ შევუწყობთ შორიდან ხელს
იმათ ახლო მიხლა-მოხლას;
ვითამაშოთ „რუსობია“;
რას დავეძებთ იმათ წინ სვლას?

და, აბა, ჰე: ჯერ იმათ რჯულს
ხერხიანათ მივყოთ ხელი
და ნელ-ნელა დაუქციოთ
ეკლესია მათი ძველი!

კათალიკოს მღვდელმთავარი
გადააგდეს, ექსარხოსი
დააყენეს მის ადგილზე,
როგორც მწყემსი და უფროსი.

ყველა ერთგულ-ორგულობის
ხელში მისცეს იმას სია
და მიანდვეს იმის ნებას
საქართველოს ეკკლესია.

ამნაირი მოქმედება
ქვეყანას არ მოეწონა,
მოხდა ხალხში ამბოხება,
თავი არ ვინ დაიმონა.

სთქვეს: ქართული ეკკლესიის
ვერ გავბედავთ ლალატსაო!..
დღემდი ჩვენ ის გვიბრწყინავდა
ციხეებს და პალატსაო!

ძნელი არის მთელი ხალხის
დამონება და შეპყრობა,
თუ რომ ძალა შეაერთეს
და შეიკრეს მათ პირობა!

და, ვინ იცის, მაშინ საქმე
რანაირად იქნებოდა,

რომ ზოგ-ზოგი დიდ კაცობა
რუსობას არ მიმხრობოდა.

მაგრამ ვაი, რომ მიემხრენ,
ზოგი ძალით, ზოგი ნებით,
მოიყიდეს მმართველებმა
ფულით, ჩინით, ორდენებით!

მაშინ ძალა განახევრდა,
„გატყდა ციხე შიგნიდანა“
და დანარჩენ ნახევრობას
გაეყარა ყელში დანა!

იმ დროს მოკლეს ქუთათელი,
სტანჯეს, გვემეს გენათელი,
ნაიყვანეს ტყვედ და გზაში
დაუბნელეს დღე ნათელი.

რომ კვდებოდა, შეაჩვენა
რუსი, უბე გაიხია,
მიაბარა სული ზეცას
ანანურში!.. იქ მარხია.

იაშვილი, ნულუკიძე,
და სუყველა მეთაური
ძირიანა ამოაგდეს,
თავადი თუ აზნაური.

მხოლოდ ერთი აბაშიძე
გადუარდათ ახალციხეს,
მან თათრების დახმარებით
მიაშურა მაგარ ციხეს.

მაგრამ იქაც ვერაგებმა
ჭუმბურიძე შეუჩინეს,
ულალატეს და ურჯულოდ
საუკუნოდ დააძინეს.

გაიმარჯვა მაშინ სრულად
ჩვენში რუსის ეკკლესიამ
და შეუწყო ხელი მათ ცდას
ჯაშუშების მტრულმა სიამ.

აამალღეს მომხრეები;
დაამდაბლეს სხვები ყველა,
რაც იმ თავით გაედრახათ;
ასრულებდენ ნელა-ნელა!

იმ დროს ყველა მონასტრებში
შკოლა იყო გამართული
და იქ იყვნენ ჩვენი მღვდლები
გამოზრდილი, განაფული.

უსასყიდლოდ უვლიდენ მრევლს,
არ ფიქრობდენ საზრდო პურზე,
ხალხის ჭირი ჭირად უჩნდათ,
თავს დებდენ ღვთის სამსახურზე.

არ სწავლობდენ უცხო ენებს,
არ ესმოდათ მათ რუსული,
მაგრამ კარგად კი იცოდენ
ზედ მიწვევით საღვთო სჯული.

დღეს რაღაა? – რუსობია!
სადღა არის ძველი მღვდელი?
ვინც ქართველობს, ნაჭერილი
ყელშიდა აქვს რუსის ხელი.

სჯობს გაგჩუმდე. ქართლის ტანჯვას
ვერ გამოვსთქვამ რადგან სრულად!..
რომ ვსთქვა მაინც, რა გამოვა,
თუ ვერ ვიტყვი ღირსეულად.

და ისა სჯობს ისევ მგოსანს,
ცრემლები რომ დაუღვრია,
გულდადებით მოუსმინოთ
საქართველოს ისტორია!..

თავი მეოთხე

იყო პატარა ქვეყანა,
სიკეთე მიუწვდომელი
და მისი ხელში ჩაგდების
მთელი აზია მნდომელი.

ასურეთ-ბაბილონია,
არაბისტანი, სპარსეთი –
სუყველა ეტანებოდა,
არა ზოგავდა არც ერთი.

ემტერებოდენ ბერძნები,
ხელს არ იღებდა რომიცა
და ბევრიც გადაიხადა
მან საგულისხმო ომიცა.

გაკაცცოტავდა საბრალო
ხალხთა შორისი ზვარაკი,
მაგრამ კი საისტორიოდ
დარჩება, როგორც არაკი.

ვით პრომეთეოს, შორს მჭვრეტი,
კავკაზის ქედზე მიკრული,
ქორისგან ამონანინკნი
რომ ჰქონდა ღვიძლი და გული.

ისიც, ბედისგან დევნული,
ზედ ეკრა კავკაზიასა
და მიწაც, სისხლით მორწყული,
აძლევდა ვარდს და იასა.

ამ პანანინა სამეფოს
უხმობდენ „ივერიადა“,
ხალხმა, ქცეულმა ფოლადად,
სახელი გაიდიდა...

როდესაც მაჰმადიანთა
აილეს ქრისტეს საფლავი,
მლოცველს პირობა დაუდვეს
ძნელი და გულის საკლავი:

იერუსალიმ ქალაქში
ვერ შევიდოდა ვერა ვინ,
თუ ფეხის ქირას საბაჟოდ
არ გადიხდიდა წინ და წინ.

არ ეხებოდა ქართველს კი
ეს უცნაური პირობა:
მას პატიობდა ბაჟიდან
მისი წარსული გმირობა.

და მართლაც გმირი ყოფილა
ქართველი კაცი წარსულში,
მაგრამ დღეს სადღა გამოჩნდეს?
ჩაცვენილი ვართ უფსკრულში.

მაშინ კი იდგა სამზღვარზე,
მტერს იგერებდა მარადა,
ცეცხლსა და მახვილს ხმარობდა
ყველასთან ფარის გვარადა.

უმკლავდებოდა ერთი ათს,
იცავდა საკუთრებასა;
რჯულის და ქვეყნის დაცვაში
ხედავდა ნეტარებასა.

ძალმომრეობით ვერავინ
ვერას აკლებდა... ვერასა

და ვერ ანგრევდენ ქართველის
მცირე და ღარიბ კერასა.

ჯერი რომ მიდგა რუსებზე
და გაძლიერდა ისიცა,
შეუპოვრობა ქართველის
მან იუცხოვა... იტკიცა!

როგორ თუ გამიმკლავდება
პატარა საქართველოო?
ის სუსხით უნდა დავაჭკნო,
როგორც ზაფხულში მდელოო.

თუ ვერას გავხდი მტრობითა,
მოყვრობით ვიგდებ ხელშიო
და მაშინ მე მთელ აზიას
ხელსაც ნაუჭერ ყელშიო.

ეს განიძრახა და კიდეც
საქმედ აქცია ყოველი
და ერთ რჯულობით შემცდარსა
გარს შემოერტყა ვით გველი.

ის, რაც პირობა დაუდვა,
არ აუსრულა არც ერთი;
გასტეხა ფიცი და მტკიცე,
ალარ ინამა არც ღმერთი.

ხელში ჩაიგდო და ძველი
ნესწყობილება დაშალა;
შემოიტანა თავისი
და მოაყოლა თან ძალა.

ყველა გამყიდველს და ორგულს
უძღვნიდა „ქებად-ქებასა“
და ყოველ ბიჯზე სცდილობდა
მთელ ქვეყნის გარუსებასა.

ვერც აისრულა წადილი,
ხალხიც დალუპეს ტყულადა
და, შედარებით წარსული
დრო მოაჩვენეს ტკბილადა.

ჯერ ეკლესიას ეძგერენ,
სთქვებს: „აქ მარხია ძალღიო!
ჯერ ძირი გამოუთხარე,
თუ გსურს დაიქცეს სახლიო.

სანამდი სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით,
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო.

ჯერ უნდა რჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოდო
და მერმე შევსძლებთ ადვილად
რომ კიდევ გავარუსოთო!

ეს სთქვებს და კიდევ მაშინვე
შეუდგენ გარუსებასა
და ქართველების უარმყოფს
არ ამადლიდენ ქებასა.

კათალიკოზის სანაცვლოდ
დაგვისვეს ეგ ზარხოსები;
ისინიც ისე გვდევნიდენ
ვით „ბაყათრობას“ ოსები.

ქართული წირვა და ლოცვა,
ქართული სახარებაო,
მართალი არის, რომ დღეს ხალხს
ესმის და ეყურებაო,

მაგრამ ის არის კიდევაც,
რომ აღარ მოგვწონს ჩვენაო!

საქრისტიანოდ რას ვარგა,
ღვთის მადლსა, ძალღის ენაო?

არ სჯობს, რომ გასლავიანდეს
ქართული ეკლესიაო?
და ვინც კი დაგვეხმარება,
ავნუსხოთ მათი სიაო!“

და ამ აზრითვე გამართეს
მაშინვე სემინარია.
იმისმა მიმართულებამ
ხალხი სულ არივ-დარია:

გარდა ქართული ენისა,
იქ ასწავლიდენ ყოლიფერს
და ამზადებდენ სამღვდლოდ
ქვეყნის ორგულსა!.. ქვეყნის მტერს!

მღვდლად აკურთხევდენ მისთანას,
ვინც არ იცოდა ქართული
და მხოლოდ შტრაუს-რენანის
კითხვაში იყო გართული.

ეგეც რომ აღარ აკმარეს,
ჭირი დაურთეს ჭირზედა
და ვისაც თქმა რამ შეეძლო,
ხელს აფარებდენ პირზედა.

სასულიერო წოდებას
ძველ დროში ჰქონდა ქონება,
რომ მოეცალა საკუთრად
მრევლისთვის გრძნობა-გონება;

მრევლს არა სთხოვდა სასყიდელს,
რომ მით ცოლ-შვილი ერჩინა
და ეკლესია აძლევდა,
რაც სჭირდებოდა მას შინა.

პირიქით თვით პატრონობდენ
ქვრივ-ობოლ გაჭირვებულებს
და მუშაობდენ მღვდლებივე
საეკლესიო მამულებს.

ქონების შეუხებლობა
განამტკიცებდა კავშირსა,
ცხოვრობდენ მამაშვილურად
იყოფდენ ღვინისა და ჭირსა.

ეს არ დაუფცდათ ჭკუაში,
რუსობის მოტრფიალესა,
და ეკლესიას ქონება
ხელიდან გააცალესა.

მრევლს გაუკვირდა ეს საქმე:
„რალა მღვდლობაა მღვდლობაო,
თუ ხალხი უნდა გაგლიჯოს,
მღვდელმა და იწყოს მგლობაო.

ნუ თუ ფეხს რამდენს გადადგამს
სასყიდელს გვთხოვდეს მღვდელიო?
მაშინ სჯობია, რომ რჯულზე
სულაც ავიღოთ ხელიო!..“

ატირდა იქით სოფელი
და აქეთ სამღვდელოება;
კისერზე აწვათ ორივეს
ეს უკუღმართი დროება.

გამოიტანეს რაც იყო
საყდრებში სამკაულები
და სულ საჯაროდ გაყიდეს:
გვეჭირვებო ფულები.

დაუზოგავად გაძარცვეს
ყველგან მონასტირ-ტაძრები

და იმ ნაცარცვით აავსეს
საუკუღმართო მაზრები.

ხალხმა სთქვა: „ეს რა ყოფილა?!
ხატს არ ჰქონია ძალაო,
თორემ თავისი გაგლეჯა
სხვას როგორ დააცალაო?“

ასე რომ ცარცვენ და გლეჯენ
რატომ არ მოდის გულიო?
მოვსტყუვდით!.. არა ჰქონია
თურმე ხატს სასწაული!!!“

დღეს-ხვალიობით, ცოტ-ცოტად
გადაუბრუნდათ ხალხს გული:
ალარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
დაკარგული აქვს მთლად რჯული!

ჩვენთვის ერთია, რა ენით
და როგორც უნდა სწირონო!..
მშვიდობით, მადლო და ძალო!..
მშვიდობით, წმინდა მირონო!..

ასრულდა მტრების განზრახვა
რჯულს გაჰყვა ქართველობაცა
და სათვალმაქცოდ გადიქცა
დღეს, დღევანდელი მღვდლობაცა.

სხვა სარბიელიც იმავე დროს
გულდასმით „რუსობანობდა“,
ეგზარხოსების პროგრამას
წმატკბილად მაღალ-ბანობდა.

სამასწავლებლო მზრუნველად
ნიშნავდენ იმისთანასა,
ვინც ქართველობას პირდაპირ
ყელში ურჭობდა დანასა.

და ისიც მოძღვრად ნიშნავდა
ქვეყნის მტერს, ქვეყნის ორგულსა;
მარტო რომ კუჭზე ფიქრობდა
და ოცში იღებდა ფულსა,

შკოლები მოსწავლეებსა
უსპობდენ დედა ენასა:
ყურს არ უგდებდენ იმათი
მშობლების ცრემლთა დენასა.

წარსულს უგმობდენ, თვისას კი
იხსენიებდენ ქებითა
და ჰპირდებოდენ მომავალს,
მხოლოდღა გარუსებითა.

პედაგოგიურ სიმართლეს
არ დაეძებდენ ამადა.
მოსწავლის გრძნობა-გონებას
არ აფასებდენ ფარადა.

პოლიციაც და სამსჯავროც
ორივეს ეთანხმებოდა
და ქართველობა ამითი
ჩვენში დღითი-დღე ხმებოდა.

მოსამართლებლად ნიშნავდენ
ვილაცა ოხერ-ტიელსა,
ენის და ხალხის უმეცარს
მურვან-ყრუ გადამთიელსა.

მათ მოსპეს სამსჯავროებში
ქართულ ენაზე ბაასი
და რუსულ ენის არ მცოდნეს
ჭირი დაერთო ათასი:

უნდა ეშოვნა სხვა ვინმე
მოლაპარაკე რუსულად,
რომ მისი ჭირი, ვარამი
მას გადაეცა სულ სრულად.

როგორც პირუტყვი, ერთი რამ
საბრალო ძაღლი, გოშია
იდგა უსიტყვოდ მსაჯულთან
ქართველი სამსჯავროშია.

იქ სრულდებოდა ფორმები,
სხვას რას დასდევდა მსაჯული?
სულ ერთი იყო! ჩალა-ბზედ
მიაჩნდა ხალხი ტანჯული!

სუყოველ გვარსა სარბიელს
რუსები ჰქონდა სახეში
და ას წლის განმავლობაში
კიდევ გააბეს მახეში:

გაირყვნა ხალხი ზნეობით,
დაეცა გრძნობა-გონება,
და მოენიჭა ცოცხალ-მკვდარ
ხალხს პირუტყული მონება!

ხმის ამომღები სად იყო?
ყველას აგლეჯდენ ენასა
და ერს, უფსკრულში ჩატანილს,
უშლიდენ აღმა ფრენასა!..

მეხუთე თავი

რომ რუსდებოდა ქართველი
და ზნეობითად დაეცა,
რუსეთის ძალმომრეობამ
ცოდვებად გაიორკეცა.

თავისას აღარ დასჯერდა,
მიჩერებოდა აზიას
და აღარ ჰქონდა სამზღვარი
ოცნებას... მის ფანტაზიას:

შორეულ აღმოსავლეთში
სწრაფად მიჰყავდა ჯარი მას;
ეგონა დამარცხებულ ხალხს,
ზე ნაანერდა ჯარიმას!

მაგრამ იქ მოპირდაპირედ
დაუხვდა იაპონია,
რომელსაც ისტორიაც კი
წარსულში არა ჰქონია.

ვით გოლიათსა დავითი
წინ მიეგება შურდულით
და სძლია ძალმომრეობით,
განათლებითა და ფულით!..

ამოიძუა რუსებმა
და როგორც მხდალი გოშია
ნაცემი, ნათათხანები
დაბრუნდა სამშობლოშია.

აღელვდა ხალხი მდაბალი:
მთავრობა არ გვივარგაო!...
აბა თუ რამე შეგვიძინა,
რაც გვქონდა, დაგვიკარგაო!

ამიერიტგან ჩვენ საქმეს
ჩვენ უნდა უპატრონოთო!
ვემონებოდით დღემდი სხვებს,
დღეს სხვები დავიმონოთო!

აღელდენ, ალაპარაკდენ,
ასაქსაქებდენ ენასა:
ზოგან და ზოგან კიდევაც
შეუდგენ სისხლის დენასა.

ხალხი თუ ადგა, შეიგნო
მან სიდიადე ღონისა,
ყველას წაგრაგნის, მსგავსია
მაშინ ის სტიქიონისა!

გამოიღვიძა რუსეთმაც
სტიქიონურის ძალითა!
არად აგდებდა განსაცდელს,
თუმც კი ხედავდა თვალითა.

მაშინ შეუდგა მთავრობა
შინაურ ამბოხებასა
და სხვა რომ ვერა გააწყო,
მიჰმართა მეოხებასა.

ჩვენც დრო მოგვეცა, ქართველებს,
დაჩაგრულს დედინაცვლობით,
დაგვბრუნებოდა სუყველა,
რაც ჩამოგვართვეს ას წლობით.

საჭირო იყო მხოლოდ-ლა
ერთმანეთისა თანხმობა
და ისე გასვლა საბრძოლოდ
თუ არ გვინდოდა დამხობა.

კაცი როცა ზის ციხეში,
ფეხში ბორკილი უყრია,
მომცდარა, სხვაზე თუ ფიქრობს,
ტყულა ცრემლები უღვრია.

ის უნდა იყოს იმისი
გაუსხლეტელი სურვილი:
ციხე როგორმე გასტეხოს
და აიყაროს ბორკილი.

დღეს ჩვენ რაღა ვართ, თუ არა
მონა ციხეში მჯდომარე?
არ მრწამს ქართველად ქართველი
მტრის მომხრე და მტრის მოყვარე!

ხალხი მზათ არის, მაგრამ რა?
უბნევენ გზასა და კვალსა:
ზოგი რას ამბობს? ზოგი რას?!
ვინ შეაგონებს მართალსა?

ეუბნებიან: „მთავრობას
რუსეთი შეებრძოლაო
და რომ ჩამოვრჩეთ, არ ვარგა,
ჩვენ გვმართებს თან მიყოლაო.“

რუსები ჩვენთვის კარგია:
თუ გაიმარჯვეს მათაო,
აღგვიარებენ ქართველებს
საქვეყნოდ თანსწორ ძმათაო...

მაშ ვეცეთ ჩვენც შინაურებს,
რომ მოვიშოროთ მტერიო,
თავად-აზნაურს, ვაჭარს, მღვდელს,
უნდა უცვალოთ ფერიო.

ესენი რომ არ იქნება
და გაქრებიან ყველაო,
მუშათა კითხვა აღიძვრის
და გვეღირსება შევლაო!“

ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ!
და თეორიით მტკიცეცა,
მაგას ამბობდენ მოძღვრები
და ქადაგებდა ქრისტეცა.

გულს ვერ გამიტეხს დღეის დღე,
მაგგვარ დროს მეცა მოველი,
მაგრამ დრო უნდა ყოლიფერს,
დროზე ჰკიდია ყოველი.

ვერ დავიჯერებ, შორს არის,
რუსმა რომ მითხრას: „ძამია!“
და „აჩქარებით სოფელი
არავის მოუჭამია!“

ჩაქა-ღეჩხუმი

[1911-1912 წწ.]

1

რაჭა-ლეჩხუმში ავედი,
მინდოდა მათი გაცნობა;
სანახაობამ მომხიბლა
და დამიმონა მთლად გრძნობა!

ღმერთო, რა ვნახე?! სასიზმრო
და საარაკო მხარია;
თუ თვით ედემი არ არის
ედემის შესადარია!..

ცას მიბჯენია მთა და კლდე,
რალაც თვალუნვდენელია...
ძირს ყვავილებით ნაქარგი,
სუნნელი მთა და ველია!..

შიგ და შიგ მდინარეები,
მოიკლაკვნიან გველადა,
მოჩუხჩუხებენ ხმატკბილად,
რიონში ჩასართველადა.

ყოველ ნაბიჯზე წყაროა,
მგ ზავრი რომ გაახაროსა
და მწყურვალს მოაგონებენ
„უკვდავებისა წყაროსა“.

სხვა და სხვა აბანოები,
გულუხვად დანათესია,
თუმც „მჟავე წყალი“, ცნობილი
ჯერ სხვებზე უკეთესია.

ჰაერსა სულის ჩამდგმელსა,
კეთილად შეზავებულსა,
ნელსაცხებელად მიუძღვნის,
დამაშვრალს, სულსა და გულსა.

ნუ დაიჩემებს ნურავინ –
სხვა უკეთესსა მხარესა!
ვარსკვლავი ყველგან ბევრია,
მაგრამ ვერ სწვდება მთვარესა!..

ვინც აქ შობილა, გაზდილა
მართლა რომ ბედნიერია!...
კაცები თვალტანადები,
ქალები – მშვენიერია!..

გაურჩეველად ნოდების
ხნოვანების და სქესისა,
აქ ყველა ქართველებია,
მიმყოლი ძველი წესისა.

არ ჰკარგვენ, მამა-პაპებსა
რაც კარგი რამე ჰქონიათ.
არ ივიწყებენ, ძველებზედ
რაც კარგი გაუგონიათ.

რაც მიუდგება მომავალს,
მას აფასებენ დიდადა
და წარსულს, როგორც საფუძველს,
უდებენ გზად და ხიდადა.

შეუპოვარი ხალხია,
მარჯვე, გულგაუტეხელი...
ნუ ჰფიქრობთ უკუღმართობამ,
რომ შეუშალოს მათ ხელი!..

სალი კლდე, მთები მაღალი,
მათ გულში ჩასახულია,
და ქართველობაც იმიტომ
იქ უფრო შენახულია!

როგორც ფუთკარი სათაფლო
სიტკბოს დაეძებს სხვაგანა,
მოჰკრეფს და უბრუნდება ბოყვს,
შინა აქვს თაფლის მანქანა.

ისე ეს ხალხიც შინ შრომობს,
სცხოვრობს შეძლებისგვარადა.
თუ სხვაგან წავა სავაჭროდ
შრომის ოფლსა ჰღვრის ღვარადა.

და მონაგები შემოაქვს,
წმინდად ახმარებს კერასა;
ნაუკუღმართი არ უნდა
და ჰმადლობს ბედისწერასა.

საეროს ერსა ახმარებს,
სამღრთოს კი იხდის ღვთისთვისა
და გზა და ხიდი მით გაჰყავს
პირდაპირ მომავლისთვისა.

აი, რა ვნახე!.. რა ხალხი!..
ბოლოს დროს მოხუცებულმა
და სხვა გვარ ააფრთოვანა
მგოსანიც სულმა და გულმა...

2

მე დაქანცული სიამით,
ჩამოველ სოფლის ძირადა
და ქარის ამოსაღებად
მივდეგ რიონის პირადა.

მდინარე, გაგიჟებული,
იმღერდა სევდის ჰანგზედა;
შლეგივით მიიჩქაროდა,
ხტებოდა ქვიდან ქვაზედა.

– შესდევ მდინარევ – შევსძახე –
 რამ გაგამწარა, მეც მითხარ?
 სიდან მოდიხარ გულფიცხად?
 და ან საითკენ მიდიხარ?

თითქო ფიქრს უზიარებდა
 ჩემს მოუსვენარ აზრებსა;
 „ნიკორწმინდის“ და „ბრავალძის“
 შეჰლაღადებდა ტაძრებსა:

მაღალი მთების შვილი ვარ,
 კლდეებმა ჩამჭრეს განები;
 შავი ზღვისაკენ მივდივარ
 დორბლის ყრით მივექანები.

უხსოვარ დროდან მოვდივარ,
 როგორც რომ მათუსალაო;
 ვილევო, მაგრამ არ შრება,
 ჩემი ღონე და ძალაო.

სწორეთ, რომ ამირანი ვარ
 კლდეებზე მიჯაჭვულიო;
 სარკე ვარ საქართველოსი,
 მისი სული და გულიო.

დღეს მეძახიან „რიონსა“,
 „ფაზისი“ მერქვა ძველადა;
 ბევრი რამ თქმულა ჩემზედა,
 მიხსენიებდა „ელლადა“.

მაშინ ეს ჩვენი ქვეყანა
 „კოლხიდად“ იწოდებოდა;
 მსოფლიოს სახელმწიფოებს
 უტოლდებოდა... სწვდებოდა.

ღვთის გაჩენილი ქვეყანა
 სხვა და სხვისია სამკვიდრო!..

მსოფლიო კანონის ძალით
 ვის შერჩენია ერთი დრო?..

ვინ არ შეჰხარის ბუნებას
 მომხიბლავ, სანეტაროსა?
 „ერთი წავა და სხვა მოვა
 ტურფასა საბაღნაროსა“.

კოლხიდაც დროთა მსვლელობამ
 მეტად არ გააზვიადა,
 მოსპო რა მისი ხსენება,
 გარდაქმნა „ივერიადა“.

და „ივერიის“ სახელით
 ის განაგრძობდა არსებას.
 მოსაზღვრე ლიხის გადაღმა
 არც წუნს იკლებდა, არც ქებას!

ბოლოს კი ორივე მხარე
 იწოდა საქართველოდა
 და ხალხი, ჭირის ამტანი,
 კეთილ მომავალს ელოდა.

ჩემი ყურით ვარ გამგონე,
 და ჩემი თვალით მნახველი,
 რომ ღირსეულად გაითქვა
 ქართველმა მისი სახელი.

ყური დამიგდე, მოხუცო,
 გეტყვი თავგადასავალსა,
 თუ ვით იხდიდა ქართველი
 ეროვნულ სესხსა და ვალსა.

3

იყო პატარა ქვეყანა
 სიკეთე მიუნდომელი,
 და მისი ხელში ჩაგდების
 მთელი ქვეყანა მდომელი,

ასურეთ-ბაბილონია,
არაბისტანი, სპარსეთი,
სულ ყველა ემტერებოდა,
არა ჰზოგავდა არც ერთი.

ემტერებოდენ ბერძნები,
ხელს არ იღებდა რომიცა
და ბევრიც გადაიხადა
მან საგულისხმო ომიცა.

გაკაცცოტავდა საბრალო
ხალხთაშორისი ზვარაკი,
მაგრამ კი საისტორიოდ
დარჩება, როგორც არაკი.

ვით ამირანი შორს მჭვრეტი,
კავკაზის ქედზე მიკრული,
ქორისგან ამონანინკნი,
რომ ჰქონდა ღვიძლი და გული,

ისიც, ბედისგან დევნილი,
ზედ ეკრა კავკაზიასა
და მიწაც სისხლით მორწყული,
აძლევა ვარდს და იასა.

ამ პანანინა სამეფოს
უხმობდენ: „ივერიადა“.
ხალხმა ქცეულმა ფოლადად
სახელი გაიღიადა.

როდესაც მაჰმადიანთა
აილეს ქრისტეს საფლავი,
მლოცველს პირობა დაუდევს
ძნელი და გულის საკლავი:

იერუსალიმ ქალაქში
ვერ შევიდოდა ვერავინ,

თუ ფეხის ქირას საბაჟოდ
არ გადიხდიდა წინდანინ.

არ ეხებოდა ქართველს კი
ეს უცნაური პირობა,
მას პატივობდა ბაჟისგან
მისი წარსული გმირობა.

და მართლაც გმირი ყოფილა
ქართველი კაცი წარსულში,
მაგრამ დღეს სადღა გამოჩნდეს?
ჩაცვენილია უფსკრულში.

მაშინ კი იდგა საზღვარზე,
მტერს იგერებდა მარადა;
ცეცხლსა და მახვილს ხმარობდა,
ყველასთან ფარის გვარადა.

უმკლავდებოდა ერთი ათს,
იცავდა საკუთრებასა;
რჯულის და ქვეყნის დაცვაში
ჰხედავდა ნეტარებასა!

ძალმომრეობით ვერავინ
ვერას აკლებდა... ვერასა!
და ვერ ანგრევადა ქართველის
მცირე და ღარიბ კერასა.

ჯერი რომ მიდგა თათრებზე,
და გაძლიერდა ისიცა,
შეუპოვრობა ქართველის
მან იუცხოვა!.. იტკიცა.

როგორ თუ გამიმკლავდება
პატარა საქართველოო?
ის სუხსით უნდა დავაჭკნო,
როგორც ზამთარში მდელლო.

თუ ვერას გავხდი მტრობითა,
მოყვრობით ვიგდებ ხელშიო
და მაშინ მე მთელ აზიას
ხელსაც ნაუჭერ ყელშიო.

ეს განიზრახა და კიდევ
საქმედ აქცია ყოველი.
და მოტყუებულ-შემცდარსა
გარს მოეხვია ვით გველი.

ის, რაც პირობა დაუდვა,
არ აუსრულა არც ერთი;
გასტენა ფიცი და მტკიცე
ალარ ინამა მან ღმერთი.

ხელში ჩაიგდო და ძველი
წესწყობილება დაშალა,
შემოიტანა თავისი
და მოაყოლა თან ძალა.

ქვეყნის გამყიდველს და ორგულს
უძღვნიდა „ქებათ-ქებასა“
და ყოველ ბიჯზე სცდილობდა
მთელ ქვეყნის გათათრებასა.

და გათათრებას რა გვარად?
ენით და არა გულითა!..
მაგრამ თუ ჭკუა არა სჭრის,
რა გაკეთდება ფულითა!..

ვერც აისრულეს წადილი
ხალხიც დალუპეს ტყვილადა
და შედარებით წარსული
დრო მოაჩვენეს ტკბილადა.

ჯერ ეკლესიას ეძგერენ,
სთქვენს: „აქ მარხია ძალღიო!“

ჯერ ძირი გამოუთხარე,
თუ გსურს დაიქცეს სახლიო.

სანამდი სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით, –
ხელს ვერ ნაუჭერ ყელშიო.

ჯერ უნდა რჯული წავართვათ
გავხადოთ უნამუსოთო
და მერე შევძლებთ ადვილად
რომ კიდევ გავათათროთო.

ეს სთქვენს და კიდევ მაშინვე
შეუდგენ გათათრებასა
და ქართველობის უარმყოფს
არ ამადლიდენ ქებასა.

კათალიკოსის სანაცვლოდ
დაგვისვეს ყად-უფროსები,
ისინიც ისე გვდევნიდენ,
ვით ბაყათრობას ოსები.

ქართული წირვა და ლოცვა,
ქართული სახარებაო
მართალი არის, რომ დღეს ხალხს
ესმის და ეყურებაო,

მაგრამ კიდევაც ის არის
რომ აღარ მოგვწონს ჩვენაო!
ღვთის სავედრებლად რას ვარგა
რაღაცა... ძაღლის ენაო?

არ სჯობს, რომ სულ გადარჯულდეს
ქართული ეკლესიაო?
და ვინც კი დაგვეხმარება,
ავნუსხოთ მათი სიაო!

და ამ განზრახვით გამართეს
მეჯლისი – სემინარია;
იმისმა მიმართულებამ
ხალხი სულ არივ-დარი:

გარდა ქართული ენისა,
იქ ასწავლიდენ ყოლიფერს
და ამზადებდენ სამღვდლოდ
ქვეყნის ორგულს და ქვეყნის მტერს.

მღვდლად აკუთრებდენ მისთანას,
ვინც არ იცოდა ქართული
და მხოლოდ თათრულ ზღაპრების
კითხვაში იყვენ გართული.

ესეც რომ აღარ იკმარეს,
ჭირი დაურთეს ჭირზედა
და ვისაც სიტყვა შეეძლო
ხელს აფარებდენ პირზედა.

4

სასულიერო წოდებას
ძველ დროში ჰქონდა ქონება,
რომ მოეცალა საკუთრად
მრევლისთვის გრძნობა-გონება.

მრევლს არა სთხოვდა სასყიდელს,
რომ მით ცოლშვილი ერჩინა
და ეკკლესია აძლევდა
რაც სჭირდებოდა მას შინა!

პირიქით თვით პატრონობდენ
ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულებს
და მუშაობდენ მღვდლებივე
საეკკლესიო მამულებს.

ქონების შეუხებლობა
განამტკიცებდა კავშირსა;

სცხოვრობდენ მამაშვილურად
იყოფდენ ლხინსა და ჭირსა,

და ეს დაუფდათ ჭკუაში
თათრობის მოტრფიალესა
და ეკკლესიას ქონება
ხელიდან გააცალესა.

„ჩვენ ჩამოგართმევთ მამულებს
ვიქმნებით თქვენ მზრუნველადო!
არ მოხერხდება დღეს ის, რაც
ძველად გჭერიათ ხელადო!“

მრევლს გაუკვირდა ეს საქმე:
რალა მღვდლობაა მღვდლობაო,
თუ ხალხი უნდა გაგლიჯოს,
მღვდელმა დაინყოს მგლობაო?!

ნუ თუ ფეხს რამდენს გადადგამს,
სასყიდელს გვთხოვდეს მღვდელიო?
მაშინ სჯობია რომ რჯულზედ
სულაც ავიღოთ ხელიო!..

ასტირდა იქით სოფელი
და აქეთ სამღვდლოება,
კისერზე აწვათ ორივეს
ეს უკუღმართი დროება...

გამოიტანეს, რაც იყო
საყდრებში სამკაულები
და სულ საჯაროდ გაჰყიდეს;
გვეჭირვებო ფულები!..

დაუზოგავად გაძარცვეს
ყველგან მონასტერ-ტაძრები
და იმ ნაცარცვით აავსეს
საუკუღმართო ბაზრები.

ხალხმა სთქვა: ეს რა ყოფილა?
ხატს არ ჰქონია ძალაო,
თორემ თავისი გაგლეჯა
სხვას როგორ დააცალაო?

ასე რომ სცარცვენ და გლეჯენ,
რატომ არ მოსდით გულიო?
მოვტყუვდით! „არა ჰქონიათ
თურმე მათ სასწაულიო!“

დღეს-ხვალიობით ცოტ-ცოტად
გადაუბრუნდა ხალხს გული:
აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
დაკარგული აქვს მას რჯული!!

„ჩვენთვის ერთია, რა ენით
და როგორც უნდა სწირონო...
მშვიდობით მადლო და ძალო,
მშვიდობით წმინდა მირონო!!“

ასრულდა მტრების განძრახვა:
რჯულს გაჰყვა ქართველობაცა
და სათვალთმაქცოდ გადიქცა
დღეს დღეინდელი მღვდლობაცა.

5

სხვა სარბიელიც იმავ დროს
გულდასმით თათრობანობდა,
მოლა-ყადების პროგრამას
ხმატკბილად მაღალ-ბანობდა.

სამასწავლებო მზრუნველად
ჰნიშნავდენ იმისთანასა,
ვინც ქართველობას პირდაპირ
ყელზე აჭერდა დანასა.

ისიც მოძღვრებად ჰნიშნავდა
ქვეყნის მტერს... ქვეყნის ორგულსა,
მიტომ, რომ კუჭზე ჰფიქრობდენ
და მხოლოდ იღებდენ ფულსა.

შკოლები მოსწავლეებსა
უსპობდენ დედა-ენასა;
ყურს არ უგდებდენ იმათი
მშობლების ცრემლთა დენასა.

წარსულს უგმობდენ! თვისას კი
იხსენიებდენ ქებითა
და ჰპირდებოდენ მომავალს,
მხოლოდღა გათათრებითა,

პედაგოგიურ სიმართლეს
არ დაეძებდენ არადა,
მოსწავლის გრძნობა-გონებას
არ აფასებდენ ფარადა.

პოლიციაც და სამჯავროც
ორივეს ეთანხმებოდა
და ქართველობა ამითი
ჩვენში დღითი-დღე ხმებოდა.

მოსამართლებად ჰნიშნავდენ
ვილაცა ოხერ-ტიელსა,
ენის და ხალხის უმეცარს
მურვან-ყრუ გადამთიელსა.

მათ მოსპეს სამსჯავროებში
ქართულ ენაზე ბაასი
და თათრულისა არ მცოდნეს
ჭირი დაერთო ათასი:

უნდა ემოვნა სხვა ვინმე
მოლაპარაკე თათრულად,
რომ მისი ჭირი, ვარამი
მას გადაეცა მთლად, სრულად.

როგორც პირუტყვი, ერთი რამ
უბრალო ძაღლი... გოშია,
იდგა უსიტყვოდ მსაჯულთან,
ქართველი სამსჯავროშია.

იქ სრულდებოდა ფორმები,
სხვას რას დასდევდა მსაჯული?..
სულ ერთი იყო!.. ჩალა-ბზედ
მიაჩნდა ხალხი ტანჯული.

სუყოველ გვარსა სარბიელს
თათრობა ჰქონდა სახეში
და ამგვარ მოსაზრებითა
კიდევც გააბეს მახეში.

გაირყვნა ხალხი ზნეობით,
დაეცა გრძნობა-გონება!
და მიენიჭა ცოცხალ-მკვდარს
ხალხს პირუტყვეული მონება!

ხმის ამომღები სად იყო?
ყველას აგლეჯდენ ენასა
და ერს უფსკრულში ჩავარდნილს
უშლიდენ აღმაფრენასა!..

- . -

კმარა, რიონო! რაცა სთქვი
ეს ვის არ გაუგონია?
სუყველას შეგნებული აქვს,
შენ კი ახალი გგონია!

მე კი სხვას გჰკითხავ და შენგან
პასუხსაც სხვაგვარს მოველი:
ანმყო და მომავლისათვის
დღეს რაღა არის ქართველი?

„- რა მოგახსენოთ მაგისი?!
ვეგონებ, რომ არაფერია!..
მხოლოდ აჩრდილი წარსულის...
წინაპრის ფეხთა მტვერია!!

თუ წინაპრები სისხლს ღვრიდენ,
რომ ხელი ვერვინ გვახოსა,
დღეს კი ქართველი ოფლსა ღვრის,
რომ სხვების ხელში გენახოსა.

ადგილ-მამულის გაყიდვას
სცდილობენ ყველგან გულითა
და რაც ფარ-ხმაღმა დაიცვა,
ის იკარგება ფულითა!..

მოზღვავებულან უცხონი,
თავისკენ გაჰყავთ მათ არხი
და მოკლე ხანში ქართველებს
აღარ ექნებათ სამარხი“.

6

ეს შემომბლავლა რიონმა
გულსაკლავ სევდის ხმაზედა
და ცივი წყალი დამასხა
მხურვალე გულის თქმაზედა.

- არა რიონო! ყოფილხარ
ყოველთვის ქვეყნის ერთგული
და ანმყომ გამრუდებულმა
ვით გაგიტეხა ეგ გული?

რომ ჰფიქრობ, მანგრე არ არის!..
მიჰყევ სხვა მოსაზრებასა
და ჰნახავ მომავლისაგან
უმაღლეს ნეტარებასა!.

ხანდახან ცეცხლი გაქრება
და გაცივდება კერაცა.
გგონია სახლი იღუპვის
და მისი ბედის წერაცა;

მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს
და გამოუჩხრეკ მას გულსა,
იქ ნახავ ობოლ ნაკვერცხალს
მიმალულ-მივიწყებულსა.

და იმ ნაკვერცხლით ხელახლა
ააგუზგუზებ კერასა.
სახლი გათბება და ბნელიც
ნათელს ვერ აკლებს ვერასა! –

ასეა ეროვნებაცა:
ზოგჯერ ის შელახულია,
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი
სადღაც კი შენახულია.

მოძებნა უნდა იმ ნიშანს
და „ქვა-კუთხედად“ დადება!..
ის აკვანია წარსულის,
მყობადი დაიბადება!..

ჩვენი ხეც ეროვნობისა
დღეს, ვხედავთ სჭკნება და ხმება?..
გრძნობას ჰგონია, მაგრამ კი
გონება არ ეთანხმება!

ხეს რა გაახმობს თუ მისი
ფესვები კიდევ ვარგია?
და ზედაც მისი წარსული
უტყუვრად მონაქარგია.

– . –

რაჭა-ლეჩხუმში მოვნახე
ის „ფესვი“ „ნაკვერცხალითა“
და წარმომიდგა მე კერა
გაჩაღებული ალითა.

ის ალი ჰფენდა ნათელსა
საერთოდ იმერ-ამიერ
და ერიც ხმა შეტკობილად
იმღერდა: „მრავალ-ჟამიერ“.

„მრავალ-ჟამიერ! ჟამიერ!“
დასძახა მდინარემაცა
და ხმა შეუწყვეს გიჟმაჟსა
მაღალმა მთამ და კლდემაცა!..

[1912 წ.]

ഒ റ്റ റ്റ

I

რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიანს – განსაცდელი,
თუ ჯერ მწარე არ შეგვასვა,
ვით დაგვატკბობს ეს სოფელი?

ეს ცხოვრების კანონია
უბრალო და უტყუარი –
და მას ექვემდებარება
ერთიანად მთა და ბარი.

ცხოვრებაში გამონრთვნილი
კაცი უფრო მეტად ფასობს;
ის გინდ დედის ერთაც იყოს,
მაინც ასობს და ათასობს!

ასე არის ეროვნებაც:
ვისაც ბევრი გადახდია,
ის ერი სხვა ერთა შორის
გამომწვარი ფოლადია.

ეს პატარა საქართველო
თვით ღვთისმშობლის წილხვედრია
და მას ხანგრძლივ ცხოვრებაში
ბევრი რამე შეხვედრია.

ბევრი ჭირი, ბევრი ღხინი,
ბევრი ვაი და ვაება, –
მაგრამ ყველა მოიხადა,
არც მოკვდა და არც დაება.

ყველა კარგად აიტანა,
მოინელა ყველაფერი –
და მაინც არ დაკარგვია
მისი სახე და ელფერი.

ბაბილონი, ასურეთი,
საბერძნეთი, სპარსი, რომი –
ყველა ჩვენი მტერი იყო,
გადაგვქონდა ომზე ომი.

ნეტავ რისთვის აიჩემეს
ეს საბრალო ქართველები,
რომ ყოველმხრივ გარე მტრები
ესევეოდენ როგორც მგლები?

იმისთვის, რომ საქართველო
ედემივით გაჩენილა:
საამოა საცხოვრებლად –
რბილა, თბილა! თანაც ტკბილა!

ამას გრძნობდა მკვიდრი ხალხიც
და არ თმობდა არე-მარეს,
იგერებდა ყოველთვის მტერს,
განიცდიდა დიდ სიმწარეს.

მაგრამ ყველა გადიტანა,
მიახნია, მას რაც სწაღდა,
და ბრძმედიდან გამოსული
გაკაჟდა და გაფოლადდა.

სწორეთ ამისთანა დროში
მას მოესწრო ქრისტეს მცნება,
რომელიცა გაძლიერდა
და აჰყვავდა ვით ოცნება!

მერვე საუკუნის თავში
გამოვიდენ არაბები.

რა საქმე არ ჩაიდინეს,
ღმერთო ჩემო, რა ამბები!..

როგორც მუშა ნამგლით ხელში
დაენაფოს სამკალ ყანას,
ცეცხლითა და მახვილითა
მიესიენ მთელ ქვეყანას.

შემოქონდათ უცხო რჯული
მაჰმადისგან ნამოძღვრალი;
ვინც ურჩობას გაუნევდათ,
ემტვრეოდათ თავზე ძალი.

სწორეთ ამ დროს ქრისტეს მცნება
წმინდა რამ და დიდებული –
იყო ხალხში ჯეროვანად,
მაგრად ფეხმოკიდებული.

ყურანი ჯერ ვრცელდებოდა
ხალხში ჩუმათ, ნელა-ნელა –
და თათრებმაც რომ მიიღეს,
გამრავლდენ, ვით ჭიანჭველა!

მაშინ კი სთქვეს: ჩვენ ვყოფილვართ
რაც ვყოფილვართ ამ ქვეყნადო –
და მამ ჩვენი რჯულიც უნდა,
სხვა რჯულებზე დავამყნათო!“

მოინდომეს ქრისტეს რჯულის
მოსპობა და ამოგდება
და მის ნაცვლად ალ-ყურანის
ამაღლება, გადიდება.

სახელგანთქმულ ვიზანტიას
შეებნენ და დაამარცხეს;
დიდებული საბერძნეთი
სათავისოთ მოიფარცხეს.

გაძლიერდენ, გაამაყდენ,
სლავიანეთს მოჰკრეს თვალი,
და როგორც რომ ქრისტიანებს
ჩამოართვეს მინა-წყალი.

დღეს, ხვალ და ზეგ გამარჯვებით
გაუმართლდათ ფანტაზია:
მათ კინალამ დაიმონეს
და დაიპყრეს მთლად აზია,

მაგრამ იმ დიდ აზიაში
მათ დაუხვდათ ერთი ერი,
მართლმორწმუნე, ქრისტიანი
და ისლამის დიდი მტერი.

უთხრეს თათრებს: „რათ ირჯებით?
ნუ მოდიხართ ჩვენზედაო!
ვერა ჰხედავთ, ხმალ-ხანჯალი
რომ გვარტყია წელზედაო?“

რიცხვმრავლობით თუმცა გვჭარბობთ,
მოგვცემთ დიდსა ვნებასაო,
მაგრამ მაინც ვერ დაგითმობთ
რჯულს და ეროვნებასაო!“

ხორცს გავსწირავთ რჯულისათვის,
მაგრამ მტკიცედ ვიპყრობთ სულსო,
მივენდობით ქრისტე ღმერთსა
და იმისგან სასწაულსო!

გაუკვირდათ ზვიად თათრებს
ერთი მუჭა ხალხის სიტყვა!
მოინდომეს მათი დასჯა,
მიესიენ როგორც სეტყვა.

ყოველი მხრით შემოერტყა
ურდო, ურდო თათრის ჯარი!

დამხდურებიც გაუმაგრდენ,
დაუკეტეს სახლის კარი!

ჯვართა და მახვილითა
გამოვიდენ მომგერებლად
და თავსაც არ იზოგავდენ
ზვარაკად და წმინდა მსხვერპლად.

სხვისი არა უნდოდათ რა,
იდგენ მხოლოდ საზღვრებზედა,
არ ახსოვდათ მათ ცოლ-შვილი,
თვისიანი, მამა, დედა!

ამნაირის თავგანწირვით
სასწაული ჩაიდინეს –
და მთელ საქრისტიანოსაც
განსაცდელი ააცდინეს.

თვითქმის ათი საუკუნე
გაიარა მათმა ბრძოლამ,
მაგრამ მაინც ვერ დასჩაგრა
ჩვენი მღვდელი მათმა მოლამ.

უშიშარი ქართველობა
ბრძოლის ველზე რომ კვდებოდა,
მეომართა რიცხვი მაინც
სუყოველდღე აკლდებოდა.

მეთვრამეტე საუკუნე
ქართველთათვის იყო მწარე;
ათის თავი აღარ დარჩა,
განახევრდა არე-მარე.

მაშინ კი სთქვეს ქართველებმა:
ნახდა ჩვენი განძრახვაო,
თუ რომ არ გამოგვენაცვლა
ჩვენ მაგიერ ვინმე სხვაო!

დიდ რუსეთის სახელმწიფო
აღიარებს ქრისტეს რჯულსო,
ის მოვა და ის დაიჭერს
გზას, ამ ჩვენგან გაკვალულსო.

შემოიყვანს აზიაში
მტრის საბრძოლოდ ურიცხვ ჯარსო,
და ჩვენც ამოგვყრევენებს
ქრისტიანთა მტრების ჯავრსო.

ის მოვიხმოთ დღეის იქით
მფარველ-მეთაურათაო,
ჩვენც მივილოთ, მივეგებოთ
მამაშვილურ ძმურათაო“.

გაუგზავნეს მათ ელჩები,
ეფისტოლე აახლესო,
წრფელის გულითა და სულით
მიუწერეს იმათ ესო:

„დიდებულო ხელმწიფეო!
დიდო მართლმადიდებელო!
დრო არის, რომ ახლა მაინც
ქრისტიანებს მიეშველო!

ჩვენ ვიყავით მარტოთ-მარტო
დღემდი მათი მეთაური
და კიდევაც გაუწიეთ
ღირსეული სამსახური

დღეს დავსუსტდით, დავუძღურდით,
აღარა ვართ და აღარა, –
ჩვენდა თავად ვერას ვიზამთ,
თუ არავინ მოგვეხმარა.

ის არავინ თქვენ ხართ სწორეთ,
სხვა არავინ!.. ერთად ერთი!

ჩვენთან თანამორჯულებცა,
ორივეს გვრწამს ერთი ღმერთი.

თქვენ აიღეთ ხელთ მახვილი,
მეორეში იპყართ ჯვარი,
ქრისტიანთა სადიდებლად
მოგვაშველეთ ფიცხლად ჯარი.

წრფელის გულით გვედრებით,
არა გაქვსთ რა საეჭველო;
მოდით, თქვენის თვალთ ნახეთ
საარაკო საქართველო.

ბუნებისგან შემკობილი –
კობტაა და ლამაზია,
და აქედან შეგიძლიათ,
რომ დაიპყრათ მთლად აზია!“

ქართველებზე ბევრი რამე
მეფეს კვლავაც გაეგონა
და, რომ ნახა ეფისტოლე,
გაუხარდა, გულს ეფონა!..

სიხარულით აუსრულა,
რასაც სთხოვდენ იმას, ყველა:
დასუსტებულ ქართველობას
დიდი ჯარი მოაშველა!

გაუხარდათ ქართველებსა,
მიეგებენ წრფელის გულით
და მიიღეს მეგობრულად
გულით სტუმრად, მაგრამ ძმურად.

სთქვეს ან უნდა თქვენ ითაოთ,
იყოს ყველგან თქვენი ნება,
ჩვენ კი, როგორც დაღალულებს,
გვეჭირვება მოსვენება.“

ეს რომ უთხრეს, კიდეც ჩადვეს
თავი რუსის კალთაშია,
და სიზმრისგან წაღებულ ხალხს
არც სწყურია და არც შია.

გამოშუშდა ხანგრძლივ ძილში,
მოიხადა დაღლილობა –
და თავს იჩენს დღეს ისევე
წინანდელი ქართველობა.

II

დრო უკუდმართი, შხამ-ნაღვლიანი
კაცობრიობას ბევრჯელ ჰქონია,
მაგრამ დღეს რომ აქვს, ჯერ იმისთანა
სიზმრათაც კი არ გაუგონია.

ამხედრებულა მთელი ევროპა,
ძმა ძმას არ ჰზოგავს და მამა შვილსა,
მომავალ დროზე გულგატეხილი
ესწრაფებიან ნებით სიკვდილსა.

ჯერ არაოდეს კაცობრიობა
არ მოსწრებია ამდენ ვაებას,
მძვინვარეობა კაცთა შორისი
სიკვდილითა ჰკლავს თვით უკვდაებას.

მოდის სიკვდილი წყლიდან, ჰაერით
მოიპარება ჩუმად ქვესკნელით;
თუმც ვერ ჰხედავენ თვალთ მტრები მტრებს,
მაგრამ სიკვდილს კი იჭერენ ხელით!

ეს ყველაფერი საჭირბოროტო
მეცნიერების შენაძენია,
თვითქოს ცოდნა და მეცნიერება
კაცისთვის ცეცხლი და გენია.

ვისი ბრალია ეს ამისთანა
აურზაური, აყალ-მაყალი?

ვინ წაუკიდა კაცობრიობას
ეს ჯოჯოხეთის ცეცხლი და ალი?

ვინ და ვილჰელმმა. გერმანიელი
სულ უმიზეზოდ აღრინდა ლომი
და მთელ ევროპას მან ერთად ერთმა
გამოუცხადა სასტიკი ომი.

ნაპოლეონის შურით, სიხარბით
თურმე ვილჰელმი გულზე სქდებოდა,
ორმოცი წელი ჩუმათ, ქვეშ-ქვეშად
ნაპოლეონად ემზადებოდა!

ხშირად ჰფიქრობდა: „მთელი ევროპა
უნდა გავხადო ჩემ ყმად და მონად,
მე სათავეში დაუდგე ყველას
მათ მბრძანებელად და მათ ბატონად.

აქ პოლიტიკა მოითხოვს ამას
კერძოთ არავის არ ვემტერები
უნდა გავჭყლიტო ჯერ ერთიანათ
პატარ-პატარა კერძო ერები.

მერე მიუხტე დიდ მეფეებსა
და წაუკიდო ცეცხლი და ალი,
უსამართლობათ ვინ ჩამომართმევს?
სამართალია ძლევა და ძალი!“

სთქვა და ბელგიას უძღვნა წერილი:
„შენი სამეფო მარჯვობს დიდადო;
მე საფრანგეთზე მივდივარ ომით
და თქვენ გამიხბი გზად და ხიდადო.

გამარჯვებული რომ დავბრუნდებით
საფრანგეთიდან ჩვენ ყველა ღვთითო,
ჩვენ სამსახურსა და ერთგულებას
თქვენც ერთი ორათ გადაგიხდითო.

იუკადრისა ბელგიის მეფემ
ვილჰელმის სიტყვა, მისი ბძანება –
და მის პატარა სამფლობელოზე
ჯარის გაყვანის არ მისცა ნება.

მოუხდათ ჩხუბი, გაცხარდა ომი,
ბელგიის მეფემ მარტო ითავა,
მაგრამ სიმრავლემ გერმანიელთა
ბელგია სრულად გაანიავა.

თუმცა ბელგიამ შესწირა თავი,
მაგრამ საფრანგეთს კი მოეხმარა,
ესენი სანამ აქეთ იბრძოდენ,
მან იქით დიდი ჯარი შეჰყარა!

შეჰყარა... მაგრამ რა გამოვიდა?
ვერ აიციდინა მან გასაჭირი:
სანამ ქომაგი არ გამოუჩნდა
გაჭირვების დროს სამთა კავშირი.

გარისხებული, გამწარებული,
ამას ამბობდა მაშინ ფრანცია:
„მოკავშირენო, ვერ ხედავთ – მტერმა
სულ ამაოხრა და დამაქცია!

სიტყვა ყოფილა სამთა კავშირი!
სად არის ახლა თქვენი პირობა:
ერთად სიკვდილი, ერთად სიცოცხლე,
ერთი მიზანი, ერთი გმირობა!

ის თურმე სამთავ არაფრად გვაგდებს
და იმედებით ის მებრძოლია,
და ჩვენ სამივეს რომ გაგვიმკლავდეს,
იმდენი ჯარი კიდევ ცოლია!“

ინგლისმა უთხრა: „ნუ გეშინია!
საქმე ბოლომდე არ მიმდგარო,
ვერ შეგვაშინებს ფახი-ფუხებით
ჩვენ ეს ვილაცა მეტიჩარაო!

ხმელეთი თქვენი საბურთაოა,
ზღვა, კარგათ იცი, ჩემი სანავო
და რას დაგვაკლებს, ბევრიც იხტუნოს,
უმწეო მტერი იმისთანაო?!

ზღვას დაეუკეტავ, არ გამოუშვებ,
აურ-დაურევ კვალსა და გზებსო,
სულ ჩამოვართმევ, სადაც კი ვნახავ
მის კოლონიებს და ბოლაზებსო.“

გამარჯვებული მხოლოდ ის არის,
ვინც საბოლოოთ გაიმარჯვებსო;
ჩვენ რა გვაჩქარებს? შევყვეთ ნელ-ნელა
ის კი ომს ველარ გააგრძელებსო.“

ჯერი რომ მიდგა რუსებზე, მაშინ
ესა სთქვა მათმა იმპერატორმა:
„მეც ვეთანხმები ჩემ მოკავშირეთ,
რაც გადასწყვიტეს მაშინ იმ ორმა.

მეტის დათმობა არ შემიძლია,
ან საზღვარი აქვს ჩემს მოთმინებას.
და წვრილი ხალხი რომ დამეჩაგროს
არავის ამის არ მივსცემ ნებას.

მრავალსულობით გალომებული
დეე ნუ ჰყლაპავს სუსტსა ძლიერი!
სრული უფლება მიენიჭებათ
თავის ნებაზე, რომ იყოს ერი.

მაშინ მსოფლიოდ სანეტარო დრო
დამწიფებული დადგება სრული
და დამყარდება ერებთა შორის
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

ამას ჰქადაგებს ჰაგის კავშირი –
და ეს მოძღვრება სანატრელია,
მაგრამ განძრახვა დღევანდელი დღის
ხელის შემშლელი საზარელია.

მეც მიტომ ვიღებ ხელში მახვილსა
წინააღმდეგად სისხლის მდომისა
და მოკავშირეთ ვხდები მეც სხვებთან
ამ უკანასკნელ დიდი ომისა.

თუ სულ არ გასწყდა მთელი რუსეთი.
არ მოვეშვები ბრძოლას, თავს დავდებ,
სიმართლე მუდამ თავისას გასჭრის,
თავდები არის მაღალი ღმერთი.

გერმანიამ მტრად გამომიხტუნა,
აქეთ თათრები, იქით ავსტრია:
მაგრამ ისინი რას გააწყობენ
ვიცი, ან ერთში მათში რა ყრია?!”

რუსების აღთქმას და დაპირებას
როგორც რომ მოჰკრა ქართველმა ყური,
მოუნდა ისე ჩხუბში ჩარევა,
როგორც მშიერსა მოუნდეს პური;

მიდიან ჯარში თავისის ნებით,
რუსის მეომრებს ემატებიან;
სიცილ-ხარხარით, ტკბილის სიმღერით
იმათთან მწარედ ერთად კვდებიან.

ჩვენის სიკვდილით, ჩვენის გაქრობით,
ახლა იწყება მომავლის შობა
და დიდ რუსეთსა წვრილ ხალხის დამცველს,
ნუ მოეშალოს ან გამარჯვება.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს
არცა ამიერ და არც იმიერ
და ჩვენც ვიძახდეთ მამაპაპურად
ჩვენის ელფერთ: „მრავალ-ჟამიერ!“

[1914 წ.]

გადმოკეთებული

გოჭის ტახე

(ველიჩკოდან გადმოქართულებული)

მოგზაურო! ვერა ხედავ
გორის ციხეს მაღალ სერზე,
ჭირნახულს და გამარჯვებულს
სუყოველთვის ქართლის მტერზე?

გარს არტყია მას ღრუბელი,
თავით მაღლა ცას ეხება;
ძირს ლიახვი გულმოსული
ენმახვნება... ეგრიხება!

მიუვალს და მიუნვდომელს
ტინი კლდე აქვს საფეხურად,
ძველის მგონი დღესაც კიდევ
გადმოჰყურებს ამაყურად!

საუკუნით-საუკუნოდ
ვერას აკლებს დროთა დენა!..
ღვთის კურთხევამ და თამარის
ბრძანებამან ააშენა!

ერთხელ თურმე სანადიროდ
გამობრძანდა თვით თამარი
და შეჰყარა ლიახვის პირს
ყოველის მხრით ქართლის ჯარი.

შემოჰკრეს და შემოზღუდეს
მოსარეკად მთა და ბარი, –
მაღლა ფრინველს და ძირს ოთხფეხს
უპირებენ დასცენ ზარი.

გაიმართა ნადირობა,
ამოიღეს ყველგან კვალი.
მაღალ სერზედ სავსე მთვარედ
გადმომჯდარა დედოფალი.

შვილდ-ისარი, ჯილა-შვილდი,
ხმალ-ხანჯალი, შუბ-ლახვარი
მუსრავს ნადირს ხელუცდენლად, –
ლიახვს ერთვის სისხლის ღვარი.

თვით ფრინველიც ცის ლაჟვარდში
ჩვეულ ნავარდს ველარ ჰბედავს,
შენატყორცსა სასიკვდილოდ
გულის გამპობ ისარს ჰხედავს.

ვინც კი არის თვალსაჩინო
თავადი თუ აზნაური,
გინდ ბეგები, გინდ ფაშები,
გარეშე თუ შინაური,

ყველა ცდილობს გამეტებით
თავისთავის გამოჩინას
და დედოფლის ღიმილს ელის
ვით საჩუქარს... ჯილდოს ზენას!

მაგრამ იმათ ყურს არ უგდებს
დიდი თამარ დედოფალი...
ლიახვს გაღმა სერს შეჰყურებს
მიუპყრია კლდისკენ თვალი.

სანაქებო შევარდენი
იქ შემჯდარა, გაქცეული,
არ აპირობს დაბრუნებას,
და დიდ პატრონს სწყდება გული.

შეაჩერა ნადირობა,
საყვირს სცემენ, შეკრბა ერი!
ბრძანებს მეფე: „დამიბრუნეთ
ის ურჩი და კადნიერი!“

ეს ბრძანება ყველასათვის
რჯული არის და თვით მცნება...
გული უჭრისთ ასრულებას...
მაგრამ ურჩობს – კი გონება:

გიჟმაჟურად გადიდებულს
ლიახვს მოაქვს ტყე და ველი,
უფარსაგო ვერ გასცურავს
სულდგმული და ხორციელი.

შემკრთალსა და შეშინებულს,
თავჩალუნულს კარის კაცებს
ტალლა ტალლით მინაგორი
გულს უფრთხობს და თვალსა სტაცებს.

მაშინ ბრძანა დედოფალმა:
„ვერას ვიტყვი ამის მეტსო:
რასაც კი მთხოვს, აღუსრულებ,
ვინც მომიყვანს კაპუეტსო.“

წინ წამოდგა შავ-თვალ-წარბა,
თმა-ხუჭუჭა, წელ-წერწეტა
ემხით სავსე ახალგაზდა,
თავი ხელად გაიმეტა.

ჯერ შეხედა მზისა დარსა
ჟრჟოლითა და სიამითა,
თითქოს სურდა, რომ ძალ-ლონე
მოეკრიბა გულის თქმითა!

ისკუბა და გადაეშვა
 აგზნებულმა იმედიითა;
 ტალღებს ებრძვის, აპობს, არღვევს
 მხარ-მკლავით და გულ-მკერდითა.

გასცურა და შევარდენი
 ხელში იგდო და დაბრუნდა,
 მეტი ღონე, მეტი ხერხი,
 ხელმეორედ ახლა უნდა:

ერთ ხელზედ ჰყავს შევარდენი
 ცალის ხელით უსვამს მხარულს,
 თითქმის კიდეს მოატანა...
 ველარ მალავს ის სიხარულს;

არა ნაკლებ ღიახვისა
 მას უღელავს ვნებით გული...
 დედოფლისკენ იყურება
 ტრფიალებით აგზნებული,

და სურვილით კადნიერი
 ნორჩმა სახემ ვერ დამალა...
 თვალი მოჰკრა დედოფალმა,
 შეკრთა! ფერი შეეცვალა.

მიხვდა და სთქვა: „დედა-ღვთისავ,
 გელათისა ღვთის მშობელო!
 განარინე განსაცდელსა,
 საქართველოს მწე და მხსნელო,

ის, ვინც დროშა მანიაკით
 შემოგწირა ძლევის ნიშნად
 და თავსაც სდებს სამშობლოსთვის
 უბინობის მსხვერპლად და ძღვნად“.

აჩუხჩუხდა მყის მორევი,
 გაიპო და ჩანთქა გმირი;
 ტალღა ტალღას მიაჯახა
 ჩვეულებრივ შეჰკრა პირი.

და ღიახვი მოთქმით, ზარით
 მტკვარისაკენ გაექანა,
 რომ ის მსხვერპლი უჩვეულო
 უფროს დისტვის მიეტანა.

დედოფალმა ცას შეხედა
 და ცრემლები მოიწმინდა,
 ვერვინ მიხვდა, რას ფიქრობდა?
 ან რას გრძნობდა მაშინ წმინდა.

მაგრამ ბრძანა იმ ადგილზე,
 გორის ციხის აშენება,
 რომ ჭაბუკის სახსოვარად
 ხალხში დარჩეს, როგორც მცნება.

მოგზაურო, ხომ უყურებ
 იმ ძველ ციხეს, რომ არ ქრება?
 თითქოს დღესაც სამშობლოს მტერს
 მომავალით ემუქრება.

[1892 წ.]

რედაქციები

წმინდა გიორგი
და წმინდა ილია

ქართლში დარჩენილი აპოკრიფული არაკი

|

ჩამობრძანდა დაბლა ქრისტე
ღმერთი ჩვენი მაცხოვარი,
კაცის სახით ქვეყნიურად
დადიოდა, როგორც მგზავრი.

თანვე ახლდა მას ილია,
დიდი ღრუბელთ წინამძღვარი,
და ჩვენი წმინდა გიორგი,
მავნესაგან მხსნელი ფარი!

დაიარა სულ ფეხდაფეხ
ყველგან კაცის ჭირნახული,
მერე დაჯდა ხის ქვეშ ჩრდილში,
როგორც კაცი დაღალული.

მოშივდა, ვით ადამიანს,
და მოუნდა პურის ჭამა,
გაიხედა სერზე, ცხვრები
დაინახა და იამა.

ბრძანა: „აბა ჰე, ილია!
წადი, ნახე მეცხვარეო,
აარჩიე ერთი კრავი,
გამოართვი... მომგვარეო!“

წამოვარდა ელვასავით
დიდი ღრუბელთ წინამძღვარი,
მივიდა და იმ მეცხვარეს
გამოსთხოვა ღვთისთვის ცხვარი.

მწყემსმა ჰკითხა: „ჯერ მიბრძანეთ
ვინაობა მე თქვენით?
და მერე ჩემ მაგიერად
მიიტანეთ იქ ძღვენიო“.

უპასუხა: „ილია ვარ,
წინამძღვარი ღრუბლისაო,
დღეს აქ მხლებლად ჩამოსული
ქრისტე ღმერთის, უფლისაო!“

„რაო? რაო? შენ ისა ხარ,
რომ გვიგზავნი ჩვენ სეტყვასო?
საბრალო ცხვრებს უმიზეზოდ
თავს უტეხ და აგლეჯ ტყავსო?“

არა, შენ არ ეკადრები
მოციქულად მაცხოვარსო!
მთელ ფარასაც რომ არ ჰზოგავ,
ვინლა განდობს შენ ერთს ცხვარსო?“

გამობრუნდა და, რაც უთხრეს,
ილიამ ღმერთს მოახსენა;
გაიცინა ქრისტე ღმერთმა
და გიორგი გაუგზავნა.

II

წმინდა გიორგიმ რომ უთხრა
მეცხვარეს თავის სახელი,
მან მეტის სიამოვნებით
პირს დაიჩინა ნათელი.

და უთხრა: „შენ ის არა ხარ,
მავნესგან რომ მიფარავო?
მიირთვი, რამდენიც გნებავს!
ჰა, წაიყვანე ჩქარაო!“

გამოურჩია მას კრავი
სიმსუქნით საუკეთესო
და სთხოვა: „კვლავაც მობრძანდი,
როდესაც კი დაგჭირდესო“.

მოართვა წმინდა გიორგიმ
ის ძღვენი ქრისტე მაცხოვარს;
დაჰკლეს, შესწვეს და სუფრასა
სამივე შემოუსხდენ გარს.

გულმადლიანად შეექცენ,
და რომ გათავდა სადილი,
ქრისტემ დაბერტყა იქ კალთა
და მით აკურთხა ადგილი.

ბრძანა: „აქ ვინც რამ დასთესოს,
იმრომოს გაუჭირვლადო
და თვის ნაშრომზე მოიმკოს
ყოველთვის ათას წილადო!“

ბრძანა და ზეცას ამაღლდა,
შემოიბურა ნათელი;
მხლებლებიც თან აიყოლია
იკურთხოს მისი სახელი!

III

მივიდა წმინდა გიორგი,
მეცხვარეს უთხრა: „ბიჭოო,
იმ შენის სამსახურისთვის
მსურს ბედი მოგანიჭოო!“

ქრისტემ რომ კალთა დაბერტყა,
ის მიწა შეიძინეო!
მერე წამოწე ქმარ-თედოს
და ტკბილად დაიძინეო!

მხოლოდ ერთხელ კი დათესე
შენ იმ ხრიოკზე პურიო
და არ დარჩები შენს ბედზე,
იცოდე, უმადურიო!”

დაემორჩილა მეცხვარე
მის მრჩეველს და მოკეთესა:
მაშინვე ყანა იყიდა
და პურიც ხელად დათესა.

მისთანა პური მოვიდა,
რომ გააკვირვა ქვეყანა!..
ილიამ ციდან შენიშნა:
„რააო ეს ამისთანა?!”

ვინ არის ამის პატრონი,
ან პური ვინ დათესაო
იქ, სადაც დაუბერტყია
კალთა ჩვენს მეუფესაო?”

გიორგიმ უთხრა: „მეცხვარემ
იყიდა ის ადგილიო;
თოხნა, დასთესა და ხარობს,
მოსავლით კმაყოფილიო!”

„მეცხვარემ? ის ხომ არ არის
მე რომ გამკიცხა ადრეო?
ჰმ!.. აბა კი გადავუხდი,
რაც მისგან მე ვიკადრეო!..

თავისის სიბრიყვისათვის
მე დავუყენებ მას თვალსო:
ისე დავსეტყვავ ყანასა,
რომ არ შევარჩენ მარცვალსო!”

ენყინა წმინდა გიორგის,
დაეშვა დაბლა ქვეყანას

და იმ მეცხვარეს ურჩია,
რომ შელეოდა იმ ყანას.

ერთი ვაჭარი იმ ყანას
მეცხვარეს ევაჭრებოდა;
ფეხზე უნდოდა ეყიდა,
ფული კი ეზარებოდა,

და ნახევარს ფასს აძლევდა.
მეცხვარეც უარზე იდგა,
მაგრამ ახლა კი ისევე
საქმე იმ ვაჭარზე მიდგა.

მოვიდა, უთხრა მეცხვარემ:
„ვაჭარო, ფული მიჭირსო,
და რა ვქნა, შევშლი ჩემს სიტყვას,
შენ კი ნუ გასტეხ შენს პირსო!”

ცოდვა ვარ, მაგრამ რა გიყო?
გქონდეს ნახევარ ფასადო
და, რის ღირსიც ხარ, გამჩენმა
მოგაგოს ერთი ასადო!”

იამა ვაჭარს, რომ ნახა
საწყალი, გაჭირვებული,
და მიუთვალა მაშინვე
ხელის კანკალით მას ფული.

მოგებას ჰფიქრობს, ნუგემობს,
საეჭვო აღარ ჰგონია!
მის დავთრებს გააქვს ჩხაკუნი,
ვაჭარი თავმომწონეა.

მაგრამ მეორე დილასვე
დაებნა იმას დავთარი:
ძირს დაუწვინა ის ყანა,
სეტყვამ მით დასცა თავზარი.

ატირდა და სთქვა: „ვა! ინჩეს?
რა ხათა მომივიდაო?!
ჩემი საქმეა არშინი
და პურთან რაღა მრჯიდაო?“

ბევრი იტირა, მაგრამ თავს
რალას არგებდა ეს გლეხი?
სხვის მატყუარსა თვითონვე
თავზედ დაატყდა სხვა მეხი!

მეორე დილას ილიამ
გიორგის უთხრა: „დახეო!
იმ შენი მეცხვარის ყანას
როგორ დავუგე მახეო!..“

გიორგიმ უთხრა სიცილით:
„იმისი აღარ არიო:
გუშინლამ ვაჭარს მიჰყიდა,
თავს აიცდინა ზარიო!“

ენყინა ილიას და სთქვა:
„ეს არ მიამა სწორედო!..
გამოვუბრუნებ საბრალოს
იმ ყანას ხელმეორედო!“

ეს რომ გაიგო გიორგიმ,
დააგდო მაშინვე მან ცა,
ძირს ჩამობრძანდა და იმ ბიჭს
ზეცის ამბავი გადასცა.

მეცხვარემ ნახა ვაჭარი
გულმკვდარი, ატირებული,
და უთხრა: „კაცო, რას სტირი?
ეგრე რად გტკივა შენ გული?“

შენს ცოდვას ამოუგდია,
რაღა თქმა უნდა, ის ყანა!..

ნაარმი არვის შერჩება,
ასეა ჩვენი ქვეყანა!

მაგრამ ის ღმერთმა იცოდეს...
ჩვენ უნდა ვსაჯოთ კაცურად:
ეგ შენი უბედურება,
მოდი, გავიყოთ დღეს ძმურად!“

იამა ვაჭარს მეცხვარის
ასეთი გულკეთილობა;
მადლობით დაეთანახმა,
აღარ დაუნყო ცილობა.

ცოტა სათავიც დაუდვა,
უკანვე მისცა მას ყანა!..
მეცხვარემ დაჰკრა ფეხი და
შინისკენ გამოექანა!..

IV

გათენდა დილა, მოვიდა
ლამაზი წვიმა ჟუჟუნა,
წამოაყენა პური და
ის ყანა გამოაბრუნა.

უთხრა ილიამ გიორგის:
„ახლა დახედე იმ პურსო!..
მეცხვარის შინი მიჭირებს,
სხვისთვის კი კარგი არ მშურსო!..“

გიორგიმ გადიხარხარა:
„კიდევ შემცდარხარ განაო?
მეცხვარემ გამოიყიდა
ისევე თავის ყანაო!..“

განრისხდა წმინდა ილია
და სთქვა: „ვერ ჰხედავ იმ ბიჭსო!
რადგანც ასეა, მე ვიცი,
ან კი აუკრავ მე კრიჭსო!“

უკანასკნელად დავსწყველი
და მით დაესხმის რეტიო:
ურემში ნუ გამოუვა
მას თითო კოდზე მეტიო!“

ბრძანა და მით გაათავა
თვისი რისხვა და მუქარა.
გიორგიც, მისი გამგონე,
ქვეყნისკენ გამოეჩქარა.

ნახა მეცხვარე და უთხრა:
„თავს გაუფრთხილდი, თვარაო,
თავზე რომ განეგს, ის წყევლა
შენს დასალუჰად კმარაო!“

სხვებმა რომ კიდევ დაგცინონ
და დაგიძახონ ტეტიო,
თითო ურემზე არ დასდვა
თითო თაველზე მეტიო!

ალარ ექნება იმ ყანის
მოსავალს ანგარიშო,
და მაშინ შენც ნუ გექმნება
სხვისი ხათრი და შიშო!“

გამდიდრდა მნემსი!.. ყოველს კაცს
გარშემო მადლი არტყია,
თუ კი ქრისტე ღმერთს მის წილად
კალთები დაუბერტყია.

[1889 წ.]

ნაწყვეტები

საქათმეურნეობის
საქართველოს
მეცნიერებათა
აქადემიის მიერ

(1798–1800)

ღორმეუცელა გიორგი ცხენზე შეგორებულა,
თითქო ლოქო ეჭამოს, გამხიარულებულა;
წინ მიუძღვის ამაყად უცხო ქვეყნის ჯარებს,
სურს, საფიცრად მიადგეს წმინდა სიონის კარებს.
ამ დროს გაჩნდა ქუჩაში კუზიანთ კეკელა, –
ტერტერას ქვრივი იყო, ქალაქში სცნობდა ყველა,
ქოშებში ფეხგაყრილი, კალთა-ამონეული,
ახალ ამბის მუსუსი, ზოგჯერ ჭორსაც ჩვეული.
ახლაც გამოსულიყო ამბის გასაგებათა:
– მეფე რომ მხიარულობს, ნეტა რა დაემართა,
რომ ასე სიამით, ზეიმით და ზარითა
ტაძარში მიბრძანდება უთვალავის ჯარითა?!
უთხრეს: დედი, უმართლებს, დიად, მხიარულია,
მან მიიღო დღეს ჯილდოდ მხარღლივ კავალერია.
– რა ჯილდოა ნეტავი: თვალი თუ მარგალიტი,
რომ ჯერ არ მომხდარიყო მისთანა მაგალითი?!
– ნიშანი დიდკაცობის, მხოლოდ სამკაულია.
ვერა ხედავ ლურჯ სარტყელს, მხარ-ბეჭზე რომელია?
– როგორ? სულ ეგ არის და მეტი არაფერია,
რომ მეფეს თვალი მოსჭრა და ჭკუა აერია?!
რა ნახა ლურჯ ჭინჭებში ისე უსაშვეულო,
რომ მასში გასცვალა მთელი საქართველო?!
მისთვის შორს რად გარბოდა? რო მცოდნოდა დღემდღო,
გადვიჭრიდი ნ-ს ტოტს და მას მივართმევდიო.

[1911 წ.]

ვარიანტები
შენიშვნები
კომენტარები

ტექსტისათვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის მეოთხე ტომში იბეჭდება 1859-1914 წლებში დაწერილი ოცდაორი ორიგინალური და ერთი გადმოკეთებული პოემა. ტომს ერთვის განყოფილება „რედაქციები და ნაწყვეტები“, ახლავს შენიშვნები და ვარიანტები, ტექსტოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები, აგრეთვე, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ტომის შედგენისას ჩვენ ვეყრდნობოდით მწერლის სიცოცხლისდროინდელ ყველა გამოცემას, მათ შორის, „აკაკის თვითი კრებულის“, „თხზულებანის“ 1893 წ. I და II ტომებსა და „ჩემი ნაწერების“ 1912 და 1913 წწ. I-II წიგნებს. ასევე, იოსებ (სოსიკო) მერკვილაძის წიგნის მალაზია „ცოდნას“ მიერ გამოცემულ პოეტის ნაწერებს.

IV ტომი ეფუძნება აგრეთვე, აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის შვიდტომეულის III ტომს (რედაქტორი იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1940), აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის V ტომს (რედაქტორი ი. გრიშაშვილი, თბ., 1956), ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინეს“ (თბ., 1989). „უცნობი აკაკი“-ს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემას (შემდგ: იუზა ევგენიძე და ნანა ფრუიძე, თბ., 2001).

წინამდებარე ტომში შედის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის აკაკის ფონდსა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდებში დაცული მასალები.

აკაკის თხზულებათა ოცტომეული წინა გამოცემებისაგან გამოირჩევა აკადემიური სისრულითა და არაერთი სიახლით. თხუთმეტტომეულისაგან განსხვავებით, ტომი შეივსო ხუთი პოემით, ამათგან ოცტომეულში პირველად იბეჭდება პოემა „ასი წლის ამბავი“, რომელიც მწვავე პოლიტიკური შინაარსის გამო აკაკის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. შვიდტომეულში დაიბეჭდა პოემის მხოლოდ პირველი თავი. სრული სახით პოემა პირველად გამოქვეყნდა კრებულში „უცნობი აკაკი“.

აკადემიურ ოცტომეულში იბეჭდება ორი პოემა: „წმინდა ნინო“ და „ანდრია-პირველწოდებული“, რომელთა გამოქვეყნება თხუთმეტტომეულში აკრძალა საბჭოთა ცენზურამ რელიგიური კონიუნქტურის გამო.

წინამდებარე ტომს შეემატა აგრეთვე, „საქართველოს დღევანდელი სახე“, რომელიც პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნდა როგორც პოემა, ხოლო შემდეგ გამოცემებში კი ლექსების ტომში იბეჭდებოდა.

ასევე პირველად ქვეყნდება ნაწარმოები „პოემიდან „ბოდვა“, რომელიც აკაკიმ რამდენჯერმე გადააკეთა და საბოლოოდ 1902 წელს პო-

ემის სახით დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“. მასში აღდგენილია თ. კვაჭანტირაძის მიერ მიკვლეული შვიდი უცნობი სტროფიც (იხ.თ. კვაჭანტირაძე, „ყოფილა დღეს აღარ არის, მაგრამ იქნება ცხადია!“ „გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 2001, 3-8 მარტი).

გამოცემას შეემატა პოემების დღემდე უცნობი რამდენიმე ავტოგრაფული და ნაბეჭდი წყარო: მაგ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მივაკვლიეთ პოემა „ასი წლის ამბის“ სამ ავტოგრაფს: K 72, K 88 და K 86; ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდში ინახება ორი პოემის – „ალექსი“ Q 2173/973 და „გორის ციხე“ Q 2173/948 – უცნობი ავტოგრაფები, რომლებიც წინა გამოცემებში მითითებული არ არის.

გამოცემა შეივსო პოემა „მეუდაბნოეს“ ხელნაწერი ასლით, რომელიც ინახება ქართული ლიტერატურის მუზეუმის საცავში, ნომრით 25909.

მიკვლეულია პოემა „ნათელას“ ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო, რომელიც ინახება ქუთაისის მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ზოგიერთი პოემის ძირითადი წყარო და მისი დაწერის ზუსტი თარიღი. როგორც ძიებამ ცხადყო, პოემები: „ნათელა“, „გამზრდელი“, „კიკოლას ნაამბობი“, „ორი ქართველი“, „ბაგრატ დიდი“ და მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ აკაკი წერეთელს სიცოცხლის ბოლოს შემოქმედებითად გადაუმუშავებია და გამოსაცემად, სამუდამო საკუთრებაში, გადაუცია იოსებ (სოსიკო) მერკვილაძისათვის, რომელმაც 1911 და 1913 წლებში წიგნის მალაზია „ცოდნას“ გრიფით დაბეჭდა ეს ნაწარმოებები. ტექსტების მეცნიერულმა შესწავლამ ცხადყო, რომ აღნიშნული გამოცემები არის ავტორიზებული წყაროები, რადგან ისინი შეიცავენ სხვადასხვა ტიპის სწორებას: შინაარსობრივს, ლექსიკურსა და გრამატიკულს. ყველა ეს ცვლილება ეკუთვნის ავტორს, ისინი გამოხატავენ აკაკის ბოლო შემოქმედებით ნებას და, ამდენად, მიჩნეულია ამ ნაწერების ძირითად წყაროებად (იხ. ჯ. გაბოძე აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემები, თბ., 2009, გვ.240-266).

კვლევით ასევე დადგინდა, რომ პოემა „ომის“ ხელნაწერი ასლი, რომელიც გადაწერილია სპირიდონ ზაბახიძის მიერ, ნასწორებია აკაკის კარნახით და, ამდენად, ისიც პოემის ავტორიზებული წყაროა (იხ. ჯ. გაბოძე, დასახ ნაშრომი, გვ. 225).

ტომის თავდაპირველმა შემდგენელმა, ან განსვენებულმა პროფ. ლევან ჭრელაშვილმა იმთავითვე გაიზიარა ჩვენი კვლევის შედეგები, რის გამოც ტომი ხელახლა მომზადდა არსებული ცვლილებების გათვალისწინებით.

ტომში ნაწარმოებები განლაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, – ამიტომაც პოემები: „მეუდაბნოე“ და „ალექსი“, რომლებიც აკაკის თხზულებათა შვიდტომეულსა და თხუთმეტომეულში ბოლოში,

„ადრეული ნაწერების“ განყოფილებაში, იბეჭდებოდა, ქრონოლოგიური პრინციპის თანახმად, ტომის დასაწყისში გადავიტანეთ.

აკადემიური ოცტომეულის სიახლეა პოემების ვარიანტები და მრავალფეროვანი საძიებლები, რაც პოემების არც ერთ წინა გამოცემას არ ერთვოდა.

პასპორტებში პოემების თარიღი მითითებულია ავტოგრაფის მიხედვით, სხვა დანარჩენ შემთხვევაში თარიღი ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოები თარიღდება ან მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით, ან – კვლევა-ძიების შედეგად.

ხშირ შემთხვევაში პოემებს მოეპოვებათ ავტოგრაფები, ზოგჯერ – რამდენიმეც. აკადემიური ტექსტის დადგენისათვის გამოყენებულია პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ყველა წყარო – როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი. ისინი შედარებულია ერთმანეთთან და ნაირნაკითხვები წარმოდგენილია სათანადო პირობითი ნიშნებითა და ლიტერებით ვარიანტების განყოფილებაში.

წყაროებს ახლავს ლიტერები მრგვალ ფრჩხილებში. ძირითადი ტექსტი აღნიშნულია A ლიტერით. ლიტერს არ ვუწერთ იმ შემთხვევაში, თუ წყარო ემთხვევა ძირითად ტექსტს.

ტომს ერთვის ავტორის ტექსტსა და სამეცნიერო აპარატში მოხსენიებულ პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, პოემების ანბანური საძიებელი ძირითადი ტექსტებისა და ვარიანტების სათაურებით და სარჩევი.

აკაკის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის გამოცემის სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა ავტორისეული ფორმები, რადგან გრამატიკულ ნორმათა მრავალფეროვნება ნიშანდობლივია XIX ს-ის 60-80-იანი წლებისთვის, ენობრივ ფორმათა უნიფიცირება გამოინვევდა ეპოქისათვის დამახასიათებელი სურათის წაშლას. პოემების ტექსტებში ზედმინევენით დაცულია ავტორის ენისათვის დამახასიათებელი ყველა ლექსიკური ნიშანი და, აგრეთვე, ორთოგრაფია. კომპოზიტების მართლწერა და პუნქტუაცია გამართულია თანამედროვე ნორმების მიხედვით.

ტექსტებში ყოველგვარი სწორება და ტექსტებს შორის სხვაობანი ნაჩვენებია ვარიანტებში.

ჩანართზე წარმოდგენილი აკაკის სურათის ორიგინალი ინახება გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილებაში.

პოემა „ასი წლის ამბის“ უცნობი ავტოგრაფი №88 ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში.

**ფილოლოგიის დოქტორი
ჯუულიტა გაბოძე**

K – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

H – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული აკაკის ფონდის ძველი ნიშანი.

T – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის აკაკის ფონდი.

Q – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდი.

A – აღნიშნავს ძირითად წყაროს, რომლის მიხედვითაც არის დადგენილი ამ გამოცემაში დაბეჭდილი კანონიკური ტექსტი.

თსკ – თხზულებათა სრული კრებული.

+ ტექსტს ემატება (მაგ., გმირული+ნაბიჯი B, ნიშნავს: B-ვარიანტში სიტყვა „გმირულს“ ემატება „ნაბიჯი“).

- არ არის (მაგ., ქვა -B, ნიშნავს „ქვა“ სიტყვა არ არის B ვარიანტში).

| ნაცვლად (მაგ., ლამაზი| მშვენიერი BC ნიშნავს: ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი „ლამაზის“ ნაცვლად BC ვარიანტებში იკითხება „მშვენიერი“).

~ სიტყვები გადასმულია. მაგ., მკვირცხლი ბავშვი~ BC, ნიშნავს: ვარიანტებში იკითხება „ბავშვი მკვირცხლი“.

*** აღნიშნავს,** რომ პირვანდელი ტექსტი ავტორს გადაუხაზავს და მის ნაცვლად სხვა დაუწერია, მაგ., აგრძნობინა| აგრძნობია B*. ეს ნიშნავს: ავტორს ჯერ დაუწერია „აგრძნობინა“, შემდეგ იგი გადაუხაზავს და მის ნაცვლად დაუწერია „აგრძნობია“.

მუქად დაბეჭდილი ციფრი მიუთითებს ტომის გვერდს, ხოლო მკრთალად დაბეჭდილი – პოემის სტრიქონს. სტრიქონების გადათვლისას სათაური და ქვესათაური არ ითვლება.

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 25909, ფ 12 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ფ. „ცისკარი“, 1859, №12 გვ. 260-266. (A).

ს ა თ ა უ რ ი: მეუდაბნოე.

თ ა რ ი ღ ი: 1859 წ-სა გიორგობის თვეს. ს. პეტერბურგით A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: წ.

9. 6. თვისის] თვისის A. 7. ხელი] ჳელი A. 9. თუთხმეტი] თხუთმეტი A. 11. მისთვის] მისთვის A. 12. სხვა] სხუა A. 14. მაშვრალი] მაშურალი A. 24. დასცვინდებოდნენ] დასცუნდებოდნენ A.

10. 5. მოკასკასესა] მოკაშკაშესა B. 8. ღვთის] ღუთის A. 12. ღვთისანი] მლუთისანი A. 14. თვისი] თვისი A. სიკვდილი] სიკუდილი A. 23. ღვთისა] ღუთისა A. 26. შვრები] შურები A.

11. 1. რისთვის] რისთვის, მღვიმესა] მღუმესა A. 8. შვილმა] შკლმა A. 10. სხვა და სხვა] სხუა და სხუა A. 21. სიყვარულისა] სიყუარულისა A. 23. სხვა] სხუა A. 27. მკვდარსა] მკუდარსა A.

12. 1. სიკვდილი] სიკუდილი A. 3. შვილს] შკლს A. 8. ჩემთვის] ჩემთვის A. 12. მოკვდა] მოკუდა A. 13. მოკვდა] მოკუდა A. 14. სიკვდილი] სიკუდილი A. 15. მოხვდა] მოხუდა A. 19. ტანჯვასა] ტანჯუასა A. 24. ხელი] ჳელი A. 26. თვისსა] თვისსა A. 27. თვისი] თვისი A. შვილმა] შკლმა A. 28. ხელში] ჳელშიდ A.

13. 5. ღვთისა] ღუთისა A. 6. სიყვარულისა] სიყუარულისა A. მსხვერპლი] მსხუწრპლი A. 9. ჩემთვისაც] ჩემთვისცა A. 10. სიკვდილი] სიკუდილი A. 13. წარმოსთქვა] წარმოსთქუა A. 14. დააკვდა შვილის] დააკუდა შკლის A. 15. ღვთისა] ღუთისა A.

ეს პოემა აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის V ტომში დაიბეჭდა „ადრეული ნაწერების“ განყოფილებაში. პოემა „მეუდაბნოე“ აკაკის პოემებში ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, დაგვეცვა ნაწარმოებების განლაგების ქრონოლოგიური პრინციპი. ფ. „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ტექსტში გამოყენებული იყო ძველი ქართული ასოები, ჩვენ პოემის ძირითად წყაროს ვბეჭდავთ ახალი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, სხვაობას კი აღვნიშნავთ შენიშვნებში.

ალექსი (გვ. 15-36)

ხ ე ლ ნ ა ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/973 (F), ასლები: K 78(G);
T 17 772 1ფ. ფრაგმენტი, II თავი (II), ფურცელი ამოღებულია ხელნაწერი
ჟურნალიდან. ზედა მარცხენა კუთხეში ფაზელის (მ. გურიელი) ლექსის
ბოლო სტროფია, პოემას მიწერილი აქვს „გაგრძელება იქნება“.
ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „მნათობი“, 1869, №11-12 (პირველი თავი) გვ.10-16; 1870,
№1 (მეორე თავი) გაგრძელება; გაზ. „დროება“, 1876, №56 (III და IV თავები),
№59, გვ1. (V თავი) (B); ამ წყაროს ახლავს შენიშვნა: დასასრული ამ ზღაპრისა
თავი VI და VII რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ იბეჭდება.
რედ. ჟ. „ივერია“, 1880, №1 გვ.9-154 (C); ჟ. „აკაკის თეიური კრებული“, 1898,
№10, გვ.3-26 (D); ჟ. „ნაკადული მოზრდილთათვის“, 1908, №11 გვ.3-56 (E).
ალექსი, წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა 1910, თფ., (A).
ს ა თ ა უ რ ი: ალექსი B, ზღაპარი ყმანვილებისთვის FC.
ქ ე ე ს ა თ ა უ რ ი: საყმანვილო ზღაპარი B, ზღაპარი ყმანვილებისთვის AE.
თ ა რ ი ლ ი: [1869] DE; 1876 CF.
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი ACEF; თ. აკაკი წერეთელი B.

პოემა თარიღდება ავტოგრაფისა და პირველნაბეჭდის მიხედვით. რო-
გორც ჩანს, იგი იქმნებოდა 1869-1876 წწ. ამიტომაც მივეცით ორმაგი თარიღი.

ამ პოემის შესახებ ი. გრიშაშვილი წერდა: „სამწუხაროდ, ამ პოემის
დედანი ჩვენ არ შეგვხვედრია, არის მხოლოდ გადანაწერი (ალბად დაბეჭდი-
ლიდან), რომელსაც ივანე ელიაშვილის ხელით აწერია აშიაზე: „მღვდელი
გიორგი ზაბახიძის მიერ გადაწერილი, როგორც გვითხრა სპირიდონ ზა-
ბახიძემ (ხელთ. №1505-H). ლიტ. მუზეუმშიც არის დაცული „ალექსის“ ხელ-
ნაწერი“ (ა. წერეთელი თსკ, ტ. V, გვ.395).

ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას გამოვლინდა პოემის უც-
ნობი ავტოგრაფი, რომელიც ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ
მუზეუმში, კირილე ლორთქიფანიძის ფონდში K 2173, აკაკის ლექსების ხელ-
ნაწერ კრებულში (Q 973), რომელიც შეიცავს 40 ლექსს. უმრავლესი მათ-
განი აკაკის ხელითაა გადანაწერილი, თუმცა არის სხვა ხელწერაც. კრებულში
რიგით მეორე ნაწარმოებად („ქართული ანბანის“ შემდეგ) აკაკის ხელით
ჩაწერილია პოემა „ალექსი“ ასეთი სათაურით „ზღაპარი ყმანვილებისთვის“.
პოემა შესრულებულია ძირითადად კარგი კალიგრაფიით, აქა-იქ არის ჩას-
წორება. რამდენიმეგან დაწერილია სტროფი და შემდეგ ნაშლილია. გვერ-
დით მიწერილია სხვა ტექსტი, პირვანდელი კი შემდეგაა გამოყენებული.
ხელნაწერს აშკარად ემჩნევა შემოქმედებითი მუშაობის კვალი. აღსანიშნა-
ვია, რომ ი.გრიშაშვილის კონიექტურაც ამ ავტოგრაფში ისევ გასწორე-
ბული, როგორც ამას მეცნიერი ვარაუდობს (ი. გრიშაშვილი, დასახელებულ
V ტომში (გვ.394) არეულ სტრიქონებს: „ძილი დაუფრთხათ ტკბილი მაგარი“,
ასე ასწორებს: „დაუფრთხათ ძილი, მაგარი ტკბილი“...).

ავტოგრაფს აბოლოებს აკაკის ფაქსიმილე და თარიღი 1876 წ. რადგან

ბოლო გამოცემა ავტოგრაფთან შედარებით არსებით ცვლილებას არ შეი-
ცავს, პოემის ძირითად წყაროდ ის იქნა არჩეული.

17. 3. თავი I] B. 15. დამზერდა] დაჰმზერდა C. 17. სამოთხედ] BF სა-
მოთხეთ ADE. 21. აყვავდა] ალყვავდა ABF. 22. გაჩნდენ] გაჩნდენ BF. 24.
დაინყეს] და ინყეს B. მაძგერათ] მაძგერად F; 25. თქვეს] სთქვეს F, 26. ვა-
კეთოთ] ვიკეთოთ F. 27. გავჰყოთ] გავყოთ BCF. 28. ვიხაროთ] ვახაროთ BF.

18. 4. თითო] თვითო BCF 8. მშვიდობიანს] შვიდობიანს C. 9. უწყინარ
] უწყინარს BCDF 10. ნაკერჩხალი] ნაკვერჩხალი CDE. 13. დგას] სდგას
BC. თქვა] სთქვა DE. 15. დავდებ] დავსდებ BCF. 16. იქიდამა] იქიდამ B.
ორ] ორს B. ტკბილ] ტკბილს FC. 17. გასაზრდელათ] გასაზრდელად F. 22.
შეძლენა] შესძლენა BCDF. 24. ტკბილ] ტკბილს BCDEF. 29. ჩემ] ჩემს BCF.
34. დავდებ] დავსდებ BC. გამოვტყებ] გამოვსტყებ CF. 37. გავტყებ] გავსტყებ
BF. 38. განიზრახა] განიძრახა B.

19. 8. მინდაო] მინდა B. 13. დავდებ] დავსდებ BCF. 14. ბლომათ]
ბლომად BC. გამოვჩეკ] გამოვსჩეკ F. 15. ოხრათ] ოხრად BF. 28. საზრდოც
] საზრდოდ B. სხვაც... სადარდელი – A. 29. სტვენდა] ჰსტვენდა C.

20. 2. მტრული] მტრულის BC. 4. შტოზე] შტოზედ BC, ჯდებოდა]
ჰსჯდებოდა B. 8. ყოველ] ყოველს BC. 24. იქიდან] იქიდან B. 26. „გუგუს“
ძახილით] ძახილით „გუ-გუ“. B, „კუ-კუს“ C. 29. მიმართა] მიჰმართა BC.
32. თავმონონებით] თავმომწონებით B. 35. საამოთ] საამოდ BF. 36. მით]
მას B. 38. მეტი] მეტის B. დნებოდა] სდნებოდა B, სდნებოდეს C.

21. 3. ბულბულის ... უკიდებდა] ბულბულის გულსა მწველ-ცეცხლს
უდებდა BC. 9. ჭკნება საბრალო ია] სჭკნება საბრალო ია C] სჭკნება D.
21. ერთ] ერთს BC.

თავი II. 21. 31. ძრახავს] სძრახავს D. 33. სოფელზე] სოფელზედ BC.

22. 1. რად] რათ BC. 4. გვაძლევინებს] გვაღლევინებს D. 5. მწარ] მწარს
BC. 8. ჰოი] ჰი B. 10. მალამო] მალამოდ DF. 13-16. ეკლიან... ბედნიერებას
B (ცენზორის წერტილებია). შიშველი] შიშველის CF. 13. მიწას, ცხოვრება
მით გვეტკბილება F. 16. ერი] ხალხი F*. დამოველით დროს] მოველით ჩვენ
დროს F.* 19. თანაუგრძნობთ] თანა უგრძნობთ B. 34. თესავს] სთესავს
BF. 36. მადლობს] ჰმადლობს B. 37. მომავალ] მომავალს BC.

23. 2. კარგ] კარგს B. 5. ჰპოვებს] ჰპოვებს BC. 8. ძრახავს] ჰძრახავს
B. 11. სახავს] ჰსახავს B. 14. ახარებს] ახარებებს BC. 16. გრძნობიანი]
მგრძნობიანი B. 22. უსუსტარ] უსუსტარის B. 28. სად] მად B. 32. ძგერს]
სძგერს BC. 36. გამრავლდით] განმრავლდით BF.

24. 1. საძირკვლათ] საძირკვლად F. 7. უმცროსს] უმცროს DE. 15.
სამწყსოდან] სამწყსოსგან B. 21. ჩვენს] ჩვენ B.

თავი III 24. 25. ცხოვრება] სცხოვრება BF.
მაგრამ ერთ დღეს კი
აკვნიტეს ნეკი F.* – შემდეგ დაუნერია
„ვის რას უყოფდა! / მით ამაყობდა,
რომ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა. F.
დაუფრთხათ ძილი,
მაგარი, ტკბილი. – F ასეა ეს სტრიქონები ავტოგრაფში Q 973; სხვა
ყველა გამოცემაში, მათ შორის A-შიც, წერია.

„ძილი დაუფრთხათ
ტკბილი მაგარი“. ი. გრიშაშვილი თსკ. V ტ. პოემის შენიშვნებში
(გვ. 395) წერდა: „აშკარაა, აქ რითმების დალაგება არ არის სწორი და სტ-
ამბის უყურადღებობას უნდა მიეწეროს ცდომილება. საჭიროა ამ ტექსტის
ასე გადასმა, რომ რითმის კეთილხმოვანება და აკაკისებური ლექსის რიტ-
მული ნყოფა არ დაირღვეს“ და შემდეგ ასწორებს ისე, როგორც ავტოგრაფ-
შია. როგორც ჩანს, იოსებ გრიშაშვილი არ ცდებოდა – პოემის მიკვლეული
ავტოგრაფი სავესებით ადასტურებს ამ კონიექტურას. ამდენად, ძირითადი
ტექსტის ეს სწორება ახლა უკვე ავტოგრაფს ემყარება.

24. 31. ხტოდა] ხლტოდა BC.

25. 5. ჰკვირობენ] უკვირობენ BC. კვირობენ F. სტქვა] თქვა D. 16.
ხერხი] ხერხით B. 34. ყოველი] ყოველის BC. დაწყდათ] დასწყდათ BC.

26. 5. ცხოვრება სცხოვრება BC. 11. სანყალს] სანყალ B. ჩვენს]
ჩვენ B. 15. სწოვდენ] წოვდენ E. 23. ცხვისა წესზედ] ცხვის წერაზედ
B] ცხვის წესაზედ G.] წესზე E. 29. მუცლიდან] მუცლიდამ BC. 32.
მოიპოვება] მოიპოება BF. 37. ჩნდა] სჩნდა B. 26. პირველათ] პირველად
F. 27. სასურველათ] სასურველად F.

თავი IV 27. 9. ერთს სურვილსა] ერთ სურვილს B. ერთსა სურვილსა
